ჩვენი მიზანია შევაჯამოთ პირველი რესპუბლიკის ასწლეული. დავფიქრდეთ, როგორ ვაფასებთ წარსულს, გამოვხატოთ ჩვენი იმედები, როგორ ვხვდებით ახალ ასწლეულს. ესეებში გამოვხატოთ ჩვენი განცდა, ჩვენი ნააზრევი, ის, თუ რა ემოციით გადავდივართ დამოუკიდებლობის ახალ ასწლეულში, რა მიზნის კენ უნდა იმოძრაოს საზოგადოებამ და სახელმწიფომ.

გიორგი მარგველაშვილი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ
რესპუბლიკის 100 წელი

26 ვსე

თბილისი 2018

რედაქტორი: თამარ ნეფარიძე

დიზაინერი: გიორგი ჩიქვინიძე

© „განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ინსტიტუტი“.

ISBN

თბილისი 2018

სარჩევი

ფენიქსური ასწლეული
ნანი მანველიშვილი 9

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ —
რესპუბლიკის 100 წელი
ლანა კაპანაძე 17

თავისუფლება და თანასწორობა უნდა იქცეს ქვეყნის იმ მამოძრავებელ ჭანჭიკად, რომელსაც შეუძლია ეროვნულ დონეზე შექმნას ლიბერალური, დემოკრატიული მმართველობა და სოციალური კეთილდღეობა
გიორგი დუნდუა 26

საუკუნის რესპუბლიკა
ზვიად დოლიძე 36

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ —
რესპუბლიკის 100 წელი
რატი ოქროპირიძე.....46

სუვერენულ უფლებათა მატარებელი
საქართველო და ქართველ გმირ ქალთა ნარატივი
თინათინ მშვიდობაძე 56

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ —
რესპუბლიკის 100 წელი
თამარ რუსეიშვილი 64

საქართველოს შეიარაღებული ძალები
დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე
გიორგი ჯავახიშვილი 76

**დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ —
რესპუბლიკის 100 წელი**
სალომე კახიძე 85

**დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ —
რესპუბლიკის 100 წელი**
სოფიო დგებუაძე 96

**დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ —
რესპუბლიკის 100 წელი**
დიმიტრი შველიძე 105

**დამოუკიდებლობიდან Exodus-ამდე:
რესპუბლიკის 100 წელიწადი**
მარიამ ფიფია 115

**დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ —
რესპუბლიკის 100 წელი**
მარიამ ღვინჯილია 123

**დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ —
რესპუბლიკის 100 წელი**
ვატო შოშიაშვილი 132

**დამოუკიდებლობა და თავისუფლება ალბათ შენი
ქვეყნის წინაშე საკუთარი წილი პასუხისმგებლობის
გაცნობიერება და ამ პასუხისმგებლობის საკუთარ
თავზე აღებაა**
ხატია ლაბაძე 140

**დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ —
რესპუბლიკის 100 წელი**
ნიკა გელაშვილი 148

**დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ —
რესპუბლიკის 100 წელი**
მარიამ ბლიაძე 157

**საჭიროა გამბედაობა გამოწვევებთან მიმართებაში,
რომლის წინაშეც საქართველო დგას**
ანუკი ლუაშვილი 164

**ასწლოვანი წარწერა და ასი წლის შემდეგ
წასაკითხი ბარათი**
გიორგი სოსიაშვილი 171

**თანამედროვე ქართული სახელმწიფო, როგორც
საქართველოს პირველი რესპუბლიკის
სამართალმემკვიდრე (წარსული და
თანამედროვე გამოწვევები)**
ბექა ქანთარია 181

**დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ —
რესპუბლიკის 100 წელი**
ავთანდილ ოქროსცვარიძე.....195

**რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს
ისტორია მეოცის საუკუნისა**
ეკა ჭყოიძე 205

**მავთულხლართებით შემოღობილი ეროვნული
დღესასწაული**
ზეინაბ სარია 212

**დემოკრატიზაციის პროცესი კანონშემოქმედებით პრიზმაში:
Rule of Law vs. Rule by Law**
თამარ ჩარკვიანი 219

თავისუფლების გაკვეთილები
თეიმურაზ ფაჩულია.....231

ჯანდაცვის სისტემა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921)
თენგიზ ვერულავა 240

ფენიქსური ასწლედი

ჯერ კიდევ 12 წლის იყო დავითი, როდესაც ომობანას თამაშით დაღლილს ძველი, მაგრამ მოვლილი სკივრი გაახსენდა, შუა ოთახში, გამურული სათბურას უკან. როგორც ჩვენში მერე იტყვიან, ბნელი 90-ების მიწურულია. სათამაშოებიც არ იშოვება, განსაკუთრებით ობლებისთვის ჭირს, და როგორია ერთ ადგილას უქმად გაჩერება, დათუნას ეს ვერ წარმოუდგენია. ზუსტად ასეთ ფაცი-ფუცში, პირველად იპოვა ფურცლებშემომჭკნარი რვეული. აი ისეთი, ალბათ საუკუნეების წინ რომ წერდნენო - გაიფიქრა ბავშვურად და კითხვა დაიწყო.

ოქტომბერი, 1917 წ.

თვალები რომ გავახილე, პირველი, რაც დავინახე ხალხით სავსე საავადმყოფოს დერეფანი იყო, გამურული მინის მიღმა ექთნების მოღლილი სახეები ილანდებოდა. ფეხი ისევ ადგილზეა - გავიფიქრე და შვებით ამოვისუნთქე. ვიღაცას წინასწარ ეზრუნა და მორყეული მაგიდის თავზე ახალი გაზეთი გაემზადებინა. უკვე დიდი ხანია რევოლუციის სუნი ტრიალებდა მეფის რუსეთში, და ზუსტად საჭირო სათაურს მოვკარი თვალი. ვარაუდი გამართლდა, საბჭოთა რუსეთის მთავრობა ესალმებოდა ახალ „მაყურებელს“. საწოლში უქმად ჯდომა ყველაზე ნაკლებად შეჰფერის ქვეყნის ბედზე მაწუხარს-მეთქი - შევუძახე ჩემს თავს და კოჭლობით, თან ისე, რომ მორიგე ექთანს არ შევემჩნიე, ჩავუყევი ხის ფერდაკარგულ კიბეებს. თავში ათასი ფიქრი მიტრიალებდა, რა იქნებოდა ამის მერე, ჰორაციოსეულად რომ ვთქვათ, უნდა „დაგვეჭირა წამი“. ზუსტად ვიცოდი სად და ვისთან იხარშებოდა ქვეყნის ბედი და მე, როგორც საჭირო კაცი, ამ ამბავს ვერ გამოვაკლდებოდი.

ნოემბერი, 1917 წ.

შემოდგომის ჩვეულებრივი დღე განსაკუთრებულად უნდა გვექცია ქვეყნის ისტორიისთვის. სახაზინო თეატრში შეკრებილ საზოგადოებას ვუყურებდი იმ შორეული თვალით, საუკუნეებიდან რომ გადმოგვხედავდა. ხომ

არ ვიცოდით რა იყო წინ, მაგრამ ეროვნული საბჭო ზუსტად ის იყო, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდებოდა. უნდა გვესწავლა ბევრი რამე, პრიორიტეტები დაგველაგებინა... მაგრამ, ყველაზე მეტად, ამ სიცივეშეპარულ ნოემბრის დილას მახარებდა ერთიანობა - ყველა პარტიის წარმომადგენელი ისხდა ერთ მაგიდასთან. სახუმარო საქმე არ იყო, საქართველოს ბედი წყდებოდა.

მაისი, 1918 წ.

წვიმამ რომ ჩამოუარა და თბილისური ეზოებიდან წამოშალა დიდი თუ პატარა, სწორედ მაშინ მივუყვებოდი გოლოვინის გამზირს მთავრობის სასახლისკენ. უკვე აღარ იყო საკმარისი მხოლოდ სამეულში ყოფნა. როგორც ვიცოდით, ევროპიდან ამბად დადიოდა, დამოუკიდებლებს უფრო დაგეხმარებითო. იმ დღემდე თითქოს სულში მქონდა, მაგრამ ბაგეზე არ გადმოდიოდა, იმ წუთამდე სანამ ნოე ჟორდანიამ არ გამოაცხადა: „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს". დამოუკიდებლობა - სწორედ რომ სულზე მოსწრებული სიტყვა და საქმე იყო.

მარტი, 1919 წ.

თითქმის ერთ წელი გადის, რაც დამოუკიდებელ საქართველოში დავიწყეთ ცხოვრება და რას ნიშნავს ეს ერთი წელი ჩვენთვის-მეთქი, ამ აზრს ვამთავრებდი, რომ მივხდი, ფიქრი ხმამაღლა გამომსვლოდა და ეზოს ძირში მომჯდარი გოგო-ბიჭების ყურადღებაც მიმეპყრო. ვიფიქრე, ეტყობა აინტერესებთ-მეთქი და ვითომ შეუმჩნევლად, ხმამაღლა განვაგრძე ფიქრი. ჯერ კიდევ, 1801 წელს დავკარგეთ თავისუფლება, მოტყუებით შეგვიყენეს გაუცხოების გზაზე. იყო ბევრი აჯანყება, იყო ცრემლი და გოდება, მაგრამ თითქოს დროსთან ერთად ზოგიერთებმა პარაზიტული გზა არჩიეს. და რა ოსტატურად იყენებდა ამ მოვლენებს ჩვენი მეტოქე? „მათრახის და თაფლაკვერის" პოლიტიკა ჩვენნაირ ხალხში ყველაზე მეტად ჭრიდა. და მაინც, რა იქნებოდა, რომ არა შარშანდელი გამარჯვება? ერის გადაგვარების გზაზე ვიდექით ცოტა ხნის წინ და ღმერთმა არ გაგვწირა. ახლა რა გვაქვს

ხელში? ჩატარებული დემოკრატიული არჩევნები, საკონსტიტუციო კომისია, საკუთარი გერბი და დროშა. წარმოგიდგენიათ რამხელა ნახტომი არის ერთი წლისთვის? უფრო მეტიც, თურქეთმა, არანაკლებმა ისტორიულმა მოქიშპემ, დამოუკიდებლობა გვიღიარა 3 ივნისს და ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩემთვის აქ გადის დედა-აზრი დღევანდელი მთავრობის წარმატებისა. რა იყო მსოფლიოსთვის 1918 წლის 26 მაისამდე საქართველო? არც არაფერი, მეფის რუსეთის მკვდარი გუბერნია. და რა არის ახლა? ჯერ ახლად ადგმული, მაგრამ მაინც თავისუფალი ქვეყანა, საკუთარი ხალხით, ენით და კულტურით. ამისთვის ნამდვილად ღირდა ბრძოლა. მონოლოგი რომ დავასრულე აღტაცებული სახეები დავინახე, იყო იმედი ამ გოგობიჭების თვალებში.

თებერვალი, 1921 წ.

დაძაბულობა ყოველ დღე მატულობს. თითქოს ნათელი დღეები იწურება. ამ ფონზე ბედნიერ გამონაკლისად გვექცა კონსტიტუცია, სადაც მკაფიოდ ჩანდა ქვეყნის მიზნები, ჩვენ პირდაპირ ვაცხადებდით, რომ გვინდოდა დემოკრატიული, განვითარებული, თანასწორ უფლებებზე დამყარებული ევროპული ქვეყანა. სულ რომ არაფერი შეექმნა რესპუბლიკას, კონსტიტუცია იყო პირველი მონაპოვარი, პირველი სიტყვა ხალხთა შორის ნათქვამი. მიზნები დიდი ჰქონდა რესპუბლიკას, მთავარი იყო საერთაშორისო მხარდაჭერა მოგვეპოვებინა და თავი დაგვეცვა ჩრდილოეთიდან წამოსული საფრთხისგან. თითქოს იმედად 1920 წლის მაისის ხელშეკრულება გვესახება, ასეა თუ ისე, ჩვენმა დამმონებელმაც აღიარა ქართველთა თავისუფლება. ეს დიდი გამარჯვებაა, ალბათ, მომავალში უფრო დაფასდება პირველად საუკუნეების თავზე მომხდარი, მაგრამ, გაფრთხილდით, არ უნდა ენდო მტერს, რომელიც ზურგიდან გესხმის თავს. ამ ფიქრებში ვარ მთელი თებერვალია. ქვეყანა რაღაც გაურკვევლობაშია. ხოლო, მოლოდინი, გაურკვევლობის ნიღბით, დღემდე აუტანელია კაცთათვის.

17 თებერვალი, 1921 წ.

საფრთხე იმაზე დიდი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოვიდგენდით. ქუდზე კაცია საჭირო აქ და უფრო მეტად ქვეყნის გარეთ. გვჭირდება შველა. მონაპოვარი თავისუფლება არ უნდა დაითმოს. ამ ორომტრიალში ძნელია იფიქრო

მომავალზე, მაგრამ ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, მაინც შევძელი შორი თვალით შემეხედა ამ პროცესისთვის. ერთი მეორეზე უკეთესი მეომრები გვყოლია და არ ვიცოდი. თითქოს აღმაშენებელი აღდგა გენერალი კვინიტაძის სახით და ახალგაზრდა იუნკრები ხელმეორედ იგებდნენ ჩვენი დროის დიდგორს. თუ არ იგებდნენ, მცდელობაც უკვე იყო გამარჯვება. ასე უნდა გაიაზროს ჩვენმა მომავალმა.

25 თებერვალი, 1921 წ.

ციხე შიგნიდან ტყდებაო ნათქვამია და ქართულმა ბუნებამ იჩინა თავი. ამ ფიქრებში ვარ გაბლანდული და საშველიც არსაიდან ჩანს. ჩვენს თავს არავინ დავეძებთ. უკვე გამოვიტირეთ ერთმანეთი. მთავარია, შვილებმა ისწავლონ განვლილ სამ წელზე. დაინახონ, სად არის გასაღები უკეთესი მომავლისკენ და „ნაზრახ სიცოცხლეს“ სიკვდილი ერჩიოთ. აქ წყდებოდა ყდაშემოფატრული წიგნაკის ნაწერები. იცოდა დავითმა ამბები ბაბუას გმირობაზე და ეს ნაწერიც მის ხელს ჰგავდა. 12 წლისამ ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ დამოუკიდებლობა რომ მიზანი იყო, ამას ნამდვილად ჩასწვდა. წიგნაკს მეორე ნაწილიც ჰქონდა, თითქოს ამბის გაგრძელება უნდა ყოფილიყო, მაგრამ უფრო მოკლე, ხელწერაც სხვა იყო და წლებიც არ ემთხვეოდა.

აპრილი, 1989 წ.

ვინც მიცნობას, გაუკვირდება, სად შენ და სად ასეთი ჩანაწერებიო, მაგრამ თავისუფლებისთვის დაღუპული მამისეული ტრადიციის გაგრძელება მომინდა. ბრძოლაში ვართ და ბრძოლა კი ზოგჯერ სიკვდილით მთავრდება, მინდა დარჩეს ნაწერი, ჩემი შვილისთვის და მისი თანატოლებისთვის. წლების წინ მამაჩემი იცავდა წითელი საფრთხისგან ქვეყანას და მეამაყება ახლა ამ მოედანზე დგომა, ახალგაზრდების გვერდით, რომლებიც იაზრებენ წარსულს და იხედებიან მომავლისკენ. რა იყო ეს გასული წლები? რუსიფიკაციის, ტერორის და მკაცრი იდეოლოგიის მიღმა მაინც იწვრთნებოდა ქართული აზრი თავისუფლებაზე. რომ არა ის სამად სამი წელი დამოუკიდებლობისა, გაგვიჭირდებოდა დღეს ამ გზაზე დგომა. ჩვენთვის ეს იყო საფუძველი,

რომელზედაც აგებენ სახელმწიფოს, რომლითაც გაგვიცნო დანარჩენმა სამყარომ. საწყისი, რომელიც სჭირდება ერს. რაც მთავარია, ამჯერად უფრო მეტნი ვართ და საგარეო ფაქტორებიც ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებს. მრავალმხრივი გამოწვევების გზაზე ვდგავართ, არჩევანი ქართველმა ხალხმა თავად უნდა გააკეთოს. უნდა ისევ რუსული იდეოლოგიის ფარსში ცხოვრება, თუ ისწრაფვის კარსმომდგარი თავისუფლებისკენ? ეს პირველი ბრძოლა არ არის და ალბათ არც უკანასკნელი. ამ წლებმა გვასწავლა, რომ მტერი ხშირად შეპარვით მოდის და ისე გვართმევს ყველაზე ძვირფასს: ენას, კულტურას, თვითმყოფადობას. ისიც ვისწავლეთ, რომ დემოკრატიული მმართველობა ჩვენეული სამოთხის კარია. ბრძოლა იყო 70-წლიანი. სისხლისმსმელიც და ტრაგიკულიც. ამ ფონზე, დღევანდელი დღე უკვე გამარჯვებაა. თავისუფლება, რომლისთვისაც ვიბრძვით, გაგრძელებაა 1918 წელს დაწყებული საქმის.

მაისი, 1991 წ.

საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. საგარეო ფაქტორებმა, სსრკ-ს შიდა პოლიტიკურმა სისუსტემ და ევროპა-ამერიკის აქტიურმა მხარდაჭერამ შედეგი გამოიღო. ამ წუთიდან დაიწყო ახალი ეტაპი ქვეყნის ცხოვრებაში. მთავარ პრიორიტეტად, ახალგაზრდებს, გვესახება დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ქვეყნის მშენებლობა. თითოეული მოქალაქე ვალდებულია მიუძღვნას საკუთარი თავი სამშობლოს და თავისი წვლილი შეიტანოს მის განვითარებაში. პირველადი კი, ჩემი აზრით, ერთიანობის შენარჩუნებაა. როგორც ქართველთა ბუნებას სჩვევია, გამარჯვებულები ერთმანეთს დავერევით ხოლმე და მოპოვებულს მარცხად ვაქცევთ. ვშიშობ, ახლაც იგივე არ დაგვემართოს.

დეკემბერი, 1991 წ.

სამწუხარო მოლოდინი გამართლდა. მოღალატურმა ბუნებამ, ერთმანეთის გაუტანლობამ, კვლავ იჩინა თავი. ომი, რომელიც ალბათ ისტორიულ ლაქად იქცევა, თბილისის ქუჩებს აწიოკებს ყოველდღიურად. მშვიდობა, თანასწორობა და ერთობა ვერ შენარჩუნდა. კიდევ გაურკვეველი ვადით გადაიდო ჩვენი შვილების „ნათელი მომავალი“.

სექტემბერი, 1993 წ.

ასე უსამართლოდ არ დასრულდება ეს ამბავი-მეთქი გავიფიქრე და უკვე ნაომარ სოხუმს მოვავლე თვალი. რამდენი თანატოლი მომაკლო ამ დღეებმა და მაინც ცოცხლობს იმედის ნაპერწკლები. თუმცა, შიდა კონფლიქტს ნაცნობი ძალა გარედან უმაგრებს ზურგს. ძნელია, რამე მომავალზე ფიქრი. ტყვიებს ეწირება სულ რამდენიმე წლის წინ მოპოვებული თავისუფლება“. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნაწერი აქ წყდებოდა. არავინ იცის, რით დასრულდა ის ფიქრთა ჯაჭვი, რომლის ავტორიც ნაცნობი მტრის ტყვიამ იმსხვერპლა. ამ დღის შემდეგ დავითს გულის ჯიბით დააქვს მოლურჯო-მონაცრისფრო წიგნაკი. არავის უმხელს, მაგრამ იცის, რა ძლიერია საკუთარი ქვეყნისადმი სიყვარული. დროსთან ერთად საქმითაც დაამტკიცებს.

აგვისტო, 2008 წ.

მე დავითი ვარ, დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქე, ბაბუის და მამის ტრადიციის გამგრძელებელი. ომში ვართ. არავინ იცის, საიდან დაიწყო ან სად მივყავართ ამ ტყვიების ზუზუნს, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი ის იდეებია, რომლებსაც ყველა ჩვენ, აქ მყოფნი ვიზიარებთ. დამოუკიდებელი საქართველო ჩვენი უმთავრესი მიზანია. ეს ბრძოლა დღეს აქ არ დაწყებულა და ალბათ, არც აქ დამთავრდება. მთავარია გვახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ 1801 წ. მეფის რუსეთმა დაგვირღვია საზღვრები და უკანონოდ მიითვისა ქართული სამეფო ტახტი. ერთმორწმუნეობას ამოფარებულ სიტყვებში ბევრმა ირწმუნა მტრის სიკეთე და მოღალატეობის გზას დაადგა თავისდაუნებურად. მერე იყო 1918 წ.- გამარჯვების სამწლეული, დასაწყისი გზა დემოკრატიულობისაკენ, ევროპისაკენ. ამჯერად წითელმა არმიამ შეზღუდა ჩვენი თავისუფლება და 70-წლიანი ბორკილი გვისახსოვრა. თითქოს იყო წარმატებები, იყო წინსვლები, მაგრამ - მონობა უპირველეს ყოვლისა. ამიტომ 1991 წელი და დამოუკიდებლობის აღდგენა მეორე ღირსეული ნაბიჯია ერის ცხოვრებაში. და ახლა, XXI საუკუნეში, რა გამოწვევების წინაშე დგას ქართული სახელმწიფო?! არჩევანი ისევ ამ ქვეყნის მოქალაქეებზეა. მე ვფიქრობ, დემოკრატიული პრინციპებისკენ სწაფვა უნდა იქცეს პირველ პრიორიტეტად. ძალა რომ ერთობაშია, მხოლოდ დევიზი არ უნდა იყოს და თითოეულმა ქართველმა თავის საქმეში უნდა გამოიყენოს. მშვიდობა? მშვიდობისთვის ვიბრძვით დღეს ჩვენ, მაგრამ ვერც უბრძოლველად დავთმობთ იმას, რაც

ჩვენია. ჩემზე უკეთ ო. ჭილაძეს უთქვამს: „მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი იმას, რაც ჩემი ნებით არ დამითმია“. თანასწორობა - ჯერ კიდევ პირველმა რესპუბლიკამ ითამაშა როლი თანასწორობის პრინციპის ფორმულირებაში, 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელთა კრებაში 130 დეპუტატი შედიოდა, აქედან 5 ქალი იყო. გაუგონარი ამბავი იყო იმ ეპოქაში ბევრი ქვეყნისთვის. დღეს, უფრო მაღალ ხარისხში ვიბრძვით თანასწორობისკენ, რომ მარტო ფურცელზე დაწერილად არ დარჩეს „განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა”. ამდენად, დამოუკიდებლობის ისტორია აქ არ მთავრდება. ბრძოლა ყოველთვის საჭიროა მოპოვებულის დასაცავად, ზოგჯერ იარაღით და უფრო ხშირად სიტყვით. მარტო თავისუფლება არ კმარა, საჭიროა ეკონომიკური, სოციალური, საგანმანათლებლო პრობლემების დაძლევა. ვფიქრობ, თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაიაზროს, რომ თვითონ არის შემოქმედი საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობის. გმირობა მარტო ბრძოლაში არ იჩენს თავს, გმირები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, ყოველდღურად, ნაბიჯ-ნაბიჯ აკეთებენ ქართულ საქმეს და ამ „წვალებაში“ წარმატებულ მომავალს ქმნიან. მთავარია სწორად არჩეული პრიორიტეტები, საკუთარი პოზიციის განსაზღვრა და ქვეყნის ინტერესების მიხედვით მოქმედება. ამდენად, დღეს ჩემი და ჩემი მსგავსი მოქალაქეების ბრძოლა საქართველოს უკეთეს მომავალს ემსახურება.

მაისი, 2018 წ.

დღეს, 26 მაისს, დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავს აღნიშნავს მთელი საქართველო. აფერადებული ქალაქი დროშებით, მომღიმარი სახეებით და ტრადიციული გამოფენებით სიამაყეს და სიხარულს ანიჭებს უბრალო მოქალაქეებს, ისეთს, როგორიც მე ვარ. გამოცდილება დროსთან ერთად მოდის და პრაქტიკა რომ ყველაზე დიდი მასწავლებელია კარგად ნაცნობი სიმართლეა. ამიტომ, ასწლიანი დამოუკიდებლობა სიხარულის და სიამაყის ფონზე დიდი პასუხისმგებლობაცაა. იყო მომავალი ასწლოვანი დამოუკიდებლობისა, რომელიც ათასობით შენი მსგავსი მოქალაქის სიცოცხლეზე დგას, გვავალდებულებს უფრო მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ ცნება „დამოუკიდებლობას.“ დავაფასოთ და ამასთანავე, კრიტიკულად შე-

ვაფასოთ განვლილი წლები, რადგან შეცდომები არ გავიმეოროთ. ისტორია უნდა იქცეს მასწავლებლად შემდგომი თაობისთვის. მეორე მხრივ, ხელი შევუწყოთ ქვეყნის გაძლიერებას, რომელიც მიიღწევა ცალკეული ერთეულების ნება-სურვილით. გამარჯვება მარტო ფინიშის ხაზთან მისვლა არ არის, უფრო რთული მისი ღირსეული შენარჩუნებაა. ამ ჩანაწერსაც თავისი მიზანი აქვს, წლების შემდეგ, მომავალ თაობას ექცეს მაგალითად, სწორედ ისეთად, როგორიც მე მქონდა. დავითი ერთია, მაგრამ არა ერთადერთი, მის მსგავსად უამრავი დავითი, გიორგი, მარიამი, თუ ნინო იაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე. როდესაც იცი რისკენ ისწრაფვი, მიზნის მიღწევა ადვილდება. განახლება ხშირად გადარჩენის საშუალებაა. ამგვარმა მცდელობებმა მოგვიყვანა დღევანდელობამდე და კიდევ უფრო შორს წასვლის პერსპექტივასაც იძლევა.

ნანი მანველიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ — რესპუბლიკის 100 წელი

„სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი“, - ასე აფასებს კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს ისტორიის სამ უმნიშვნელოვანეს წელიწადს, რომელიც ქართველი ერის მეხსიერებაში მუდამ დარჩება სახელმწიფოებრიობის განსაზღვრის ინდიკატორად. სწორედ დამოუკიდებლობის ამ სამმა წელიწადმა მოახდინა დიდი გარდატეხა საქართველოში. 1918 წლის 26 მაისიდან დაიწყო ახალი ეპოქა.

როგორც ფრედერიკ დუგლასი ამბობდა, „ბრძოლის გარეშე პროგრესი არ არსებობს“. ქართველ ერსაც ამ დიდი გამარჯვების მისაღწევად დიდი ბრძოლა დასჭირდა. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ დასუსტებული რუსეთის იმპერიის შედეგი არ ყოფილა. ნანატრი დამოუკიდებლობის მიღწევა მრავალი ფაქტორით იყო გამოწვეული. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, თვალი გადავავლოთ მის წინარეისტორიას, თუ რა გზა განვლო საქართველომ ამ პროგრესისთვის.

ერთი შეხედვით, რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ საქართველო განწირული იყო რუსული ჩექმის ქვეშ ცხოვრებისთვის. თუმცა XIX საუკუნის I ნახევრიდან ქართულმა ინტელიგენციამ აიღო საკუთარ თავზე ქვეყნის ბორკილებისგან დახსნის მცდელობა. ჯერ იყო 1932 წლის შეთქმულება, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მოვლენა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა როგორც ქვეყნის ისტორიაში, ასევე ბიძგი მისცა მომავალ თაობას, დაესრულებინა საქართველოს გათავისუფლების წარუმატებელი მცდელობა. მომავალი დამოუკიდებლობის მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს „თერგდალეულებმა“ - ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა, რომლებმაც იარაღად კალამი გამოიყენეს. მათი სახით საქართველოში გაჩნდა ახალი აზროვნების, ახალი ხედვის მატარებელი თაობა. ლიტერატურული ნაშრომებით, პუბლიკაციით, მედიის საშუალებით ისინი სარკედ მოევლინენ ქვეყანას და მოურიდებლად უთითებდნენ ერს მათ მანკიერებაზე. მეორე მხრივ კი ავრცელებდნენ ევროპის მოწინავე იდეებს, რაშიც ყველაზე კარგად ჩანდა განსხვავება ევროპული განვითარებულობის სიკეთესა და

რუსულ „პოვოსკას“ ბოროტებას შორის. „თერგდალეულთა“ მოღვაწეობა სხვა საზოგადოებრივი მოძრაობების შექმნის შთაგონების წყაროც გახდა. მათ შორის ქართველი ემიგრანტი სტუდენტების მიერ ჩამოყალიბებული საზოგადოება ,,უღელი“. ,,თერგდალეულთა“ იდეოლოგიის მატარებელი იყო ვაჟა - ფშაველას თაობაც.

დამოუკიდებლობის მოპოვება არ ყოფილა მარტივი პროცესი და ეს ალბათ შეუძლებელიც იქნებოდა ქვეყანაში ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების გარეშე. ამიტომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის განვლილი საუკუნის განმათავისუფლებელი იდეოლოგიის გარშემო შეკრებილი ადამიანების ღვაწლი ფასდაუდებელია.

რა თქმა უნდა, ქვეყანაში პროგრესი ძნელი იქნებოდა საგარეო ფაქტორების გარეშეც. 1918 წლის მოვლენებზე უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია რუსეთის იმპერიაში დატრიალებულმა პროცესებმა. კერძოდ კი, 1917 წლის მოვლენებმა, როდესაც ცარიზმი ბოლო დღეებს ითვლიდა. თებერვლის რევოლუცია კი ბოლო წვეთი აღმოჩნდა ცარიზმის დაცემისთვის, თუმცა, ეს არ ყოფილა რევოლუციის ბოლო ეტაპი. რუსეთში არეულობა მას შემდეგაც გაგრძელდა, რაც ოქტომბერში სოციალისტური რეჟიმის გამარჯვებით ვლადიმერ ლენინი მოვიდა ქვეყნის სათავეში. სწორედ ამ გარემოებებიდან გამომდინარე რუსეთი ვერ შეძლებდა უზრუნველეყო ერთი მხრივ საკუთარი შიდა პრობლემების მოგვარება და ამავდროულად შეენარჩუნებინა ძალაუფლება საგარეო სექტორში. ამ პროცესებით კი საქართველომ ისარგებლა და გარკვეული პროცესების გავლის შემდეგ საქართველომ 1918 წლის 26 მაისს მიიღო დამოუკიდებლობის აქტი. ეს არ იყო უბრალოდ ფურცელზე დაწერილი სიტყვები. ეს იყო მრავალწლიანი ბრძოლით მიღწეული გამარჯვება. მართალია პირველმა რესპუბლიკამ მხოლოდ 2 წელი და 8 თვე გაძლო, თუმცა ამ მოკლე პერიოდშიც კი მოხერხდა მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება. მათ შორის იყო ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმები, ფულად-საფინანსო სისტემა, საგანმანათლებლო სფეროში მოხდა უდიდესი გარდატეხა და დაარსდა პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დღეს ამაყად ატარებს ასწლოვანი უნივერსიტეტის სახელს. რესპუბლიკის მიწურულს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო პირველი კონსტიტუციის მიღება, რომლის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობითაც შეიქმნა უკვე საბჭოეთისგან გათავისუფლებული საქართველოს კონსტიტუცია 1995 წელს. საქართველოს პირველ კონსტიტუციაში ნათლად იყო წარმოდგენილი

მოქალაქის ძირითადი უფლებები, პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებები... კონსტიტუციაზე დაყრდნობით ნათელი ხდება იმდორინდელი სახელმწიფოს ლიბერალური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო თანასწობისა და დამოუკიდებელი ევროპული ქვეყნის განვითარებისკენ. სამწუხაროდ, კონსტიტუცია ფაქტობრივად ძალაში არ შესულა, ვინაიდან 4 დღეში საქართველოს პირველი რესპუბლიკა დაეცა, საქართველო „გაწითლდა“...

საქართველოს გასაბჭოებიდანვე ნათელი გახდა, რომ ნანატრ დამოუკიდებლობას ქართველი ერი ასე მარტივად არ დათმობდა. 1921 წლიდანვე გააქტიურდა ანტისაბჭოთა მოძრაობები, ასეთი მოძრაობები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არსებობდა. აჯანყებები ხდებოდა ცალ-ცალკე რეგიონში, რაც იდეის ჩანასახშივე განწირული იყო. პატარ-პატარა აჯანყებებმა კი უფრო მასშტაბური სახე მიიღო 1924 წელს, როდესაც წინასწარი შეთანხმების მიხედვით საქართველოს ყველა კუთხეში ერთდროულად 29 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო მასობრივი აჯანყება. თუმცა ცენტრთან შეუთანხმებელი მოქმედებების შედეგად ჭიათურაში გამოსვლები 24 საათით ადრე დაიწყო. ამან თავისთავად გაართულა ვითარება. მართალია აჯანყებების სერია გაგრძლედა, მაგრამ არაორგანიზებული აჯანყებები დამარცხებისთვის იყო განწირული. ორკვირიანი ბრძოლის შემდეგ აჯანყებები საბოლოოდ ჩაახში წითელმა არმიამ. ამ აჯანყების ყველაზე მძიმე შედეგი არა დამარცხება, არამედ მისი შემდგომი რეპრესიები აღმოჩნდა, რასაც უამრავი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. და მაინც 1924 წლის ცხელ აჯანყებას უდიდესი მნიშვენელობა ჰქონდა ერის სულისკვეთების განმტკიცებისთვის. ამ აჯანყებით გამოჩნდა ქართველთა შეურიგებლობა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვისადმი და მეორე მხრივ გამოჩნდა საბჭოთა კავშირის სისასტიკე, რომელიც კიდევ 70 წელი გაგრძელდა უფრო მძიმე სახით.

საბჭოთა კავშირმა თანდათანობით დაიწყო მოსახლეობის ეროვნულობის შეგრძნების მოსპობა, მისთვის მთავარი იყო, საბჭოთა ადამიანს გაეცნობიერებინა, რომ ის იყო საბჭოთა მოქალაქე და მისი შრომა უნდა მოხმარებოდა საბჭოთა კეთილდღეობის შენებას. მოქალაქეებში ასეთი ფსიქოლოგიური გარდატეხისთვის კი საჭირო იყო რადიკალური ზომების მიღება. სტალინი კარგად იცნობდა მასების ფსიქოლოგიას და იცოდა, რომ პირველ რიგში დარტყმა ქართველი ინტელიგენციისთვის, ქართული ლიტერატურისა და ზოგადად კულტურისთვის უნდა მიეყენებინა.

და დაიწყო რეპრესიები - ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მოვლენა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში. სტალინური ,,დიდი წმენდის“ შედეგად საქართველომ დაკარგა ხელოვნების ყველა დარგის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები: ტიციან ტაბიძე, ივანე ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი... თავისი სიმძაფრით განსაკუთრებული იყო პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა. რეპრესიების მსხვერპლად ყოფნას პაოლომ მწერალთა სახლში თავის მოკვლა არჩია, თუმცა, საბჭოთა მთავრობისთვის პაოლოს თვითმკვლელობა არ ყოფილა შემაფერხებელი ფაქტორი. მათ თვითმკვლელობა პროვოკაციულ და საბჭოთა წყობის წინააღმდეგ ქმედებად ჩათვალეს და პოეტი ჯაშუშად შერაცხეს. ეს ნათელი მაგალითი იყო იმისა, რომ ყველაზე ტირანულ მმართველობასაც კი ჰქონდა შიში არამარტო რიგითი მოქალაქეებისადმი, არამედ გარდაცვლილი ადამიანებისადმიც. საბჭოთა მთავრობა თითოეულ ადამიანში ხედავდა შესაძლო საფრთხეს, საფრთხეს წყობილების წინააღმდეგ. მათ კარგად დაინახეს პაოლოს თვითმკვლელობის გზავნილი - პროტესტი და გალაშქრება ტირანიის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი იყო ფაქტებით მანიპულაცია და მოსახლეობის წაქეზება წყობილების წინააღმდეგ წასული ადამიანების მიმართ. ამის საბოლოო მიზანი კი მოსახლეობის სრული დამორჩილება იყო. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ფაქტობრივად ეროვნული კულტურა და ხელოვნება მოკლეს, უფრო ადვილი გახდა ხალხის მართვა. საბჭოთა კავშირის მთელი პოლიტიკა მთლიანად მიმართული იყო პიროვნული თვისებების ნიველირებისკენ, ინდივიდის კოლექტივისადმი დაქვემდებარებისკენ. როგორც ტოტალიტარიზმის მკვლევარები კარლ ფრიდრიხი და ზბიგნეკ ბზეჟინსკი ამბობდნენ: „სსრკ-ში შიში და თანხმობა გახდნენ სიამის ტყუპები“. „გაწითლებულ“ საქართველოში გაქრა პიროვნების, ინდივიდის გაგება. საქართველომ პოლიტიკურად და ერმა ზნეობრივად თავისუფლება საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დაკარგა. საბჭოთა სისტემამ თითქმის დაუკარგა ქართველებს თავისუფლების არსის გაგება იმ მხრივ, რომ კომუნიზმმა შექმნა ისეთი სისტემა, რომელშიც დაპყრობილ ხალხს მოჩვენებითი თავისუფლება მისცეს. დროთა განმავლობაში საზოგადოება თავისდაუნებურად გახდა კომუნიზმის მორჩილი და ცრუ თავისუფლების ფონზე საკუთარ მონობას ვეღარც ამჩნევდა. საბჭოთა ფსიქოლოგიური მანქანის გავლენა დაზომბებულ ქართველ ერზე ნათლად ჩანს 1956 წლის მაგალითზე. სტალინმა თავისი 30-წლიანი ტირანიის განმავლობაში მოახერხა, რომ ქართველების აზროვნებაში სტალინის კულტი შეექმნა. ეს კულტი იმდენად ძლიერად იყო გამჯდარი ქართველთა ცნობიერებაში, რომ

1956 წელს სტალინის გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვის კრიტიკამ სტალინის წინააღმდეგ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთლიანად საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით მძაფრად მიიღო ეს ქართველმა ერმა. აქციებითა და სტალინის პორტრეტებით ხელში გამოხატეს პროტესტი დიდი ბელადის კულტის გაკრიტიკების გამო. დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ ყველა თაობის წარმომადგენელები. ეს მოვლენა არის მაგალითი იმისა, რომ ,,ტირანია ერის სიკვდილს იწვევს“.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ფაქტობრივად არ დარჩენილა საქართველოში სფერო, რომელსაც არ შეხებია საბჭოთა გარდაქმნის მანქანა. მათ სრული ცვლილება მოახდინეს განათლებაში, ოჯახის ინსტიტუტში, მედიაში, რელიგიაში. მოკლედ, ყველა იმ სფეროში, რომელშიც ძალას და მისგან მომდინარე საფრთეს ხედავდნენ, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო ყველა ბერკეტი საბჭოთა ხელისუფლების ხელში ყოფილიყო. სკოლებში მათი მიზანი იყო მასწავლებლებს შთაენერგათ მოსწავლეებისთვის საბჭოთა პატრიოტიზმი, შთაეგონათ კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლის სულისკვეთება. საქართველოსთვის დიდი დარტყმა იყო სკოლებში გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოს ისტორიის სწავლების აკრძალვა, ლიტერატურის შემოღება, რომელშიც უმეტესად საბჭოთა მწერლების ნაშრომები იბეჭდებოდა, ხოლო დიდი ქართველი მწერლების მხოლოდ იმ ნაშრომებს ეღირსათ მზის სინათლე, რომელთა თემატიკაც საბჭოთა კავშირს აწყობდა, იქნებოდა ეს ილიას ხიდჩატეხილობა თუ ვაჟას კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი. ამ გარემოებების გათვალისწინებით საბჭოთა მთავრობამ ქართველებს ფაქტობრივად წაართვა ისტორია, წაართვა წარსული და შექმნა ილუზია, თითქოს საქართველო საბჭოთა კავშირამდე არც არსებობდა. ზედმეტია საუბარი მედიაპლურალიზმზე, რომლის მნიშვნელობა ალბათ არც კი იცოდა ქართველმა საბჭოთა მოქალაქემ. მედიას, რომელიც დასაბამიდან ქართველი ერის გამოფხიზლებისთვის ყველაზე დიდი იარაღი იყო, საბჭოთა კავშირმა სრულად გაუნადგურა მნიშვნელობა. ხოლო გაზეთები, რომლებიც საქართველოში გამოიცემოდა, მოსახლეობის საბჭოეთისადმი კიდევ უფრო მეტად დამორჩილებას ისახავდა მიზნად. საბჭოთა კავშირი მისწვდა ადამიანის ყველაზე ახლო ინსტიტუტსაც - ოჯახს. „მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ მომთხოვს ამას“ - მსგავსი ფრაზები, რომლის დაწერა პოეტებს ევალებოდათ ბავშვებისთვის, გამიზნული იყო ბავშვებშივე კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულების ჩასანერგად. ეს იყო ფსიქოლოგიური ზეგავლენის ხრიკები, რომელსაც რეალური შედეგები ჰქონდა: როდესაც თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ტოროშელიძე სიკვდილით დასაჯეს, მისმა ქალიშვილმა საჯაროდ დაგმო მშობელი მამა და განაცხადა, რომ ის იმსახურებდა სასჯელს.

გამოფხიზლება

რა თქმა უნდა ასეთი საზოგადოების მართვა მარტივია, მაგრამ ვფიქრობ ბუნებით მონიჭებული ადამიანის თავისუფლება ნებისმიერ ტოტალიტარიზმზე და ტირანიაზე უფრო ძლიერია. კომუნიზმის დიადობის ხანაშიც ჩვენს შორის აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთა თავისუფლების ნებაზე გავლენა ვერ მოახდინა ამ ეპოქამ. ამის მაგალითია 1978 წლის 14 აპრილი, როცა ქართველმა საზოგადოებამ პროტესტი გამოაცხადა ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ - ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმების შესახებ. ჩემი აზრით, ეს მოვლენა იყო ის ფუნდამენტი, რომელმაც გააღვივა ქართველებში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სურვილი. სახელმწიფო ენის დაცვა ხომ ნებისმიერი ერისთვის თავისუფლების ერთ-ერთი ძირითადი გარანტიაა.

დღემდე ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საბჭოთა მოვლენად რჩება 1983 წლის ,,თვითმფრინავის ბიჭების“ ამბავი, რომელიც ერთი მხრივ დიდი ტრაგედია იყო, მეორე მხრივ კი ნათელი გახდა, რომ საქართველოში იბადებოდა მძაფრი ახალგაზრდული პროტესტი ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ. ეს იყო თავისუფლებამოწყურებული ახალგაზრდების რადიკალური ნაბიჯი, რათა გაქცეოდნენ „ბოროტების იმპერიას“ (რეიგანი). თავისუფლების ნამდვილი სურნელი კი 1989 წლის 9 აპრილს დატრიალდა, თარიღი, რომელიც საქართველოს ისტორიაში დარჩება, როგორც ტრაგიკულ მოვლენად, ასევე დიდ მონაპოვრად. სწორედ 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ შეუქცევადი პროცესის სახე.

დამოუკიდებლობის პირველი ათწლეული არანაკლებ მძიმე აღმოჩნდა საქართველოსთვის. ბნელმა 90-იანებმა ღრმა კვალი დატოვა ქართველი ერის მეხსიერებაში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო 70 წლის

განმავლობაში იმ დინებას მიჰყვებოდა, რასაც საბჭოთა მთავრობა ქმნიდა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პროცესები ფაქტობრივად გარდაუვალი იყო. მასობრივი გაჭირვება, შიმშილი, უმუშევრობა, ,,ტვინების გადინება"... ეს ყველაფერი დამოუკიდებლობის თანმდევი პრობლემები იყო. ქართველი ერი არ აღმოჩნდა მზად დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისთვის. თუმცა, საბედნიეროდ ,,ბნელი 90-იანები" 90-იანებშივე დარჩა და შემდეგი წლები სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას მიეძღვნა. დღეს კი პირველი რესპუბლიკიდან 100 წლის თავზე საქართველო არის დამოუკიდებელი, თავისუფალი, შემდგარი სახელმწიფო, რომელიც თავის სიტყვას ამბობს მსოფლიო ცივილიზაციაში.

გამოწვევები

,,ჩვენს ქვეყანას ევროპული გამოცდილება,
მეცნიერება და განათლება სჭირდება.
ეს უნდა იყოს მისი თოფ-იარაღი"

ი.ჭავჭავაძე

საქართველოს ოდითგანვე ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა ევროპასთან. საქართველოსთვის ევროპა მუდამ იყო მშობლიური გარემო. საქართველო მუდამ მიიწევდა ევროინტეგრაციისკენ, თუმცა დღესაც საქართველოს უმთავრესი გამოწვევა ევროპულ ოჯახში დაბრუნება და ღირსეული ადგილის დაკავებაა. ქვეყნის ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ნათელია, რომ ევროინტეგრაციის პროცესს მუდამ თან სდევდა ბუნებრივი თუ ხელოვნური დაბრკოლებები. დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველო ევროინტეგრაციის კვალდაკვალ ვითარდებოდა, დღემდე მაინც ვერ მოახერხა ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ეს რთული პროცესია და მასთან არის დაკავშირებული სხვა გამოწვევებიც.

ევროინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი, ხელოვნურად შექმნილი გამოწვევაა საქართველოს მთლიანობის დაცვა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რაც რუსეთმა ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა და იქ დამატებით სამხედრო ნაწილები დაიყენა, საქართველოში მცოცავი ოკუპაცია დაიწყო. რუსეთის მიერ საქართ-

ველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია არღვევს პირველ რიგში სახელმწიფოებრიობას, მის სუვერენიტეტს, ეს კი თავისთავად აისახება ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ სტაბილიზაციაზე. გარდა იმისა, რომ უშუალოდ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა არის საფრთხის ქვეშ, ამ პროცესში ზარალდებიან საქართველოს რიგითი მოქალაქეები, რომელთა უფლებებიც რეგულარულად ირღვევა საოკუპაციო ზონებში. ზოგიერთ შემთხვევაში კი საოკუპაციო რეჟიმს საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლე ეწირება. საოკუპაციო რეჟიმის მორიგი მსხვერპლი იყო 35 წლის არჩილ ტატუნაშვილიც, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 22 თებერვალს დააკავა 2008 წლის ომში მონაწილეობისა და დივერსიის მოწყობის გეგმის ბრალდებით, რის შემდეგაც ცხინვალის ციხეში ცემით მოკლეს.

საქართველო თავისი ისტორიის განმავლობაში ბევრჯერ იდგა ტერიტორიული მთლიანობის გამოწვევის წინაშე. სამწუხაროდ, დღესაც საქართველო დგას ამ რეალობის წინაშე, რეალობის, რომლის გადაჭრა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, რუსეთი კი ცოცვით მოემართება ჩვენკენ.

დღეს, როგორც არასდროს. საქართველო კიდევ უფრო მჭიდრო კავშირშია ევროპასთან, საქართველო მიილტვის, რომ დაუბრუნდეს თავის ფესვებს, დაუბრუნდეს ევროპულ ოჯახს. თავის დროზე ნოე ჟორდანიასაც უთქვამს ევროპაზე: **„ის არის სისხლი სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი-ხორცთაგანი ჩვენი“.** სწორედ ამ ფონზე, რაც უფრო ვუახლოვდებით ევროპას, მით უფრო ძლიერდება ანტიდასავლური მოქმედებები. ანტიდასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლა კი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. რატომ შეიძლება იყოს ევროპა მიუღებელი?! პირველ რიგში ამის მიზეზი წარსულია. საქართველოს უახლესი წარსული დაკავშირებულია თითქმის 70-წლიან განვითარების პროცესის შეჩერებათან. მართალია საზოგადოება მოექცა ერთ დიდ შემოსაზღვრულ სივრცეში. ამ ყველაფერმა კი, რა თქმა უნდა, იმოქმედა ადამიანების ცნობიერებაზე და მსოფლმხედველობაზე. სამწუხაროდ, წარსულის კვალი თანამედროვეობასაც ეტყობა და საზოგადოების ნაწილში ჯერ კიდევ არსებობს გაურკვეველი ნოსტალგია საბჭოთა დროისადმი. ჯერ კიდევ მისტირიან 37 მანეთად მოსკოვში გადაფრენის შესაძლებლობას, მისტირიან იმდროინდელ ,,წესრიგს'' და ა.შ. სწორედ ეს ნოსტალგია და საბჭოთა კავშირის ,,სიკეთეში“ დარწმუნებულობაა მიზეზი, რატომ მოქმედებს დღეს საქართველოში ასე აქტიურად ანტიევროპული

და, შესაბამისად, პრორუსული პროპაგანდა. მეორე მხრივ კი, ამას თავისთავად რუსეთი უწყობს ხელს. მის მიერ გავრცელებულ ცრუ ინფორმაციებს ევროპასთან დაკავშირებით მალევე იტაცებს ევროპისადმი ისედაც ნეგატიურად განწყობილი საზოგადოება და იყენებს ამათ თავიანთი იდეოლოგიის გავრცელების სასარგებლოდ. თავის მხრივ რუსეთის მიზანიც სწორედ ის არის, რომ დაიბრუნოს მსოფლიო ჰეგემონობა, რომელიც არც არასოდეს ჰქონია. ევროპის ფასეულობებისგან და ღირებულებებისგან სრულიად საწინააღმდეგო იდეოლოგიის მქონე რუსეთი თავისი ჩარევით ცდილობს შუღლის გაღვივებას, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მოსახლეობაში მათი ანტიდასავლური პროპაგანდის გავრცელებას. მაგრამ სწორედ ამ საზოგადოებაში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებები იქნება დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი ანტიდასავლური დეზინფორმაციის თუ მითების წინააღმდეგ და დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის.

ლანა კაპანაძე

თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (მესამე კურსი)

თავისუფლება და თანასწორობა უნდა იქცეს ქვეყნის იმ ამოძრავებელ ჭანჭიკად, რომელსაც შეუძლია ეროვნულ დონეზე შექმნას ლიბერალური, დემოკრატიული მმართველობა და სოციალური კეთილდღეობა

„თავისუფლებას ფასი არ აქვს, თუკი ადამიანებს შეცდომების დაშვების თავისუფლება არ ეძლევათ" - მაჰათმა განდის ამ შესანიშნავმა ფრაზამ გაარღვია მომეტებული საჯარო დისკურსი, სადაც ხშირად გავიგებთ სკეპტიკოსთა ნეგატიურ კომენტარებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. უახლესი ისტორიის ის თვალსაწიერი კი, რომლიდანაც საქართველო იმზირება, ჭეშმარიტადაა იმის შედეგი, რაც 1918 წელს დაიბადა ქართველი ერის თვითშეგნებაში, რამაც ეროვნული ინტერესების კონსოლიდაცია შეატოვა კოლექტიურ სურვილს, შექმნილიყო მაღალ ფასეულობებსა და მოწინავე ორიენტაციებზე დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკა. ჭეშმარიტად, ეს მონაპოვარი შეუძლებელია შევაფასოთ იმ ჯაჭვის გარეშე, რომელიც წლების განმავლობაში, ვიდრემდე 1918 წლამდე იგრიხებოდა და ვითარდებოდა ტკბილ-მწარე ისტორიული გამოცდილების ქარცეცხლში. საუკუნეთა ქარტეხილში ჩვენი ქვეყანა არაერთხელ ყოფილა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მფლობელი, თუმცა, რაც უფრო მოწადინებული იყო პატარა ქვეყანა, შეწვდენოდა თავისუფლების მაღალ ხარისხს, მით მეტი მოშურნე ჰყავდა მას.

გადარჩენასა და დაღუპვას, ბრძოლასა და დათმობას შორის უალტერნატივოდ გაჭედილ ქვეყანას ბევრჯერ ჰქონია დუმილისა და დილემის ჟამი. სწორედ ასეთი დილემის წინაშე აღმოჩნდა მტრისგან ალყაშემორტყმული საქართველო, რომლის შედეგად "მეზობელი" რუსეთის შეერთებას დავჯერდით, თითქოს ეს ქმნიდა დაცვის გარანტიებს. მძიმე აღმოჩნდა შედეგი. საქართველოს მდგომარეობამ აუცილებლობით მოითხოვა საკუთარი ძალების მაქსიმალური მობილიზება, თუმცა ამ კონცეპტუალურ ხაზს, სადაც აშკარად ლიდერობდა პატრიოტიზმი და ბრძოლის სულისკვეთება, სჭირდებოდა ორგანიზებული ფორმა, რომელიც შემდეგში იქცეოდა დამოუკიდებლობის გამოხატულებად. ასეთი კი აღმოჩნდა დემოკრატიული რესპუბლიკა. სამაგალითო მეხსიერებად მივიღეთ სუვერენიტეტის პირველი ოფიციალური ფორმა, ერთაშორისი შერიგებისა და დამეგობრების

სახელმწიფოებრივი გამოცდილება, თანასწორობის ძირითადი პრინციპები, დემოკრატიული მართვის პირველი ორიენტირები და ბევრი სხვა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ყველა გადაწყვეტილებასა და ნაბიჯს გასდევს თანასწორობის ძირითადი პრინციპები. ქართველი ერი აღმოჩნდა ერთ-ერთი იმ რამდენიმე ერს შორის, რომელმაც შეძლო 1921 წლის 26 მაისს ყველა პროცესი დაგვირგვინებულიყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებით. არსებობის ხანმოკლე, სამწლიანი დამოუკიდებლობის მიუხედავად ეს სამი წელი დატვირთული იყო მთელი რიგი პოზიტივით.

ქართველ ხალხს, რომელმაც ისტორიის განმავლობაში მრავალჯერ დაამტკიცა, რომ ხმლით მეტად კარგად შეეძლო მტერთან ბრძოლა, XIX საუკუნის მიწურულს კარგად ესმოდა, რომ რაღაც ახალი, სხვა იარაღი იყო საჭირო. ასეთი აღმოჩნდა "სიტყვა". ეს მოტივაცია დიდწილად იყო იმ სიძნელეების გაანალიზების შედეგი, რომელსაც თერგდალეულთა მებრძოლი თაობა ხედავდა ეროვნული აზროვნების მოშლაში; ქართული, ეროვნული ენის, რწმენის, ფასეულობების გადაგვარებაში. ის, რასაც მოაზროვნე თაობამ ბრძოლის უღელში მიაკვლია, აღმოჩნდა ეროვნული ინტერესების კონსოლიდაცია.

აღსანიშნავია, რომ კონსოლიდაციის პროექტს სათავეში სწორედ ის ახალგაზრდები ედგნენ, რომლებმაც განათლება თერგს მიღმა, რუსეთში მიიღეს და ამის შემდეგ, კარგად დაამტკიცეს, რარიგ მნიშვნელოვანი რესურსია განათლება - გამოარჩიო მტერი და მოყვარე და მოყვრის ნიღბით შემოსილი მტერი. ამ პერიოდის ქართველი ხალხის მინი ისტორია, მოთხრობილი ზნეობრივ-კულტურული ფასეულობების დისკურსში, კარგად ჩანს ერთ-ერთი თერგდალეულის, ილია ჭავჭავაძის ლექსში " ბედნიერი ერი". ამ ლექსმა და იმ ძალამ, რომელსაც ილია "მოძრაობაში" ხედავდა, თავისი გავლენა იქონია ეროვნული გამოფხიზლების საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ ილია მოღალატედაც კი შერაცხეს.

კონსოლიდაციის საქმეში მნიშვნელოვან წინააღმდეგობად იქცა მამათა თაობის იდეოლოგიაც, რომელიც რომანტიზმით საზრდოობდა. ეს ბრძოლა და თაობათა იდეოლოგიური ჭიდილი დღესაც დიდ როლს თამაშობს საბჭოთა ლაქებისგან გათავისუფლების საქმეში. ეროვნულმა მოძრაობამ ბიძგი მისცა ქალ საზოგადო მოღვაწეთა კორპუსის გააქტიურებას. აღნიშნულიც იყო მოწინავე შედეგი, რადგან, ქალთა თვითრეალიზების პრობლემა დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ამ დროს იგრძნობოდა, როგორ იწყვეტს

ბორკილებს ქალთა ძალა და ებრძვის ქალთა ემანსიპაციას. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელს აწერს ხუთი ქალი (მინადორა ორჯონიკიძე ტოროშელიძე, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე, ქრისტინე შარაშიძე, ელისაბედ ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძე, ანა სოლოღაშვილი). 1991 წლის 9 აპრილის ტრაგედიაც ინახავს სამშობლოსთვის თავგაწირული ქალი ეროვნული გმირების სახელებს.

ეროვნული კონსოლოდაციის იდეით შეპყრობილი თაობა თანდათან ხედავდა იმ მრავალფეროვნებას, რომელიც ერში გაღვივდა. ამ პროცესში თანდათან ჩაერთო მედიაც. ეს იყო ახალი სივრცე, ბრძოლის ახალი ასპარეზი.

აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც ხალხში, მედიაშიც ვხვდებოდით ანტიპოდებს. მაგალითად, პირველი ქართული ჟურნალი ნაცვლად ეროვნული მიზანდასახულობისა, უფრო რუსული პროპაგანდით იყო დაკავებული. თავისი სიტყვა თქვა და მისი წილი პასუხისმგებლობა იტვირთა გაზეთმა "ტფილისის უწყებანი", რომელსაც სათავეში სოლომონ დოდაშვილი ედგა. სხვა გაზეთებმაც - "ცისკარი", "საქართველოს მოამბე", "დროება", "კრებული", "ივერია" და სხვა თავიანთი წვლილი შეიტანეს დამოუკიდებლობის ეკლიან გზაზე, ერის ინფორმირებისა და მის მიღმა, ერის სწავლების საქმეში.

სწორედ ამ განპირობებულობაში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება ხიდს აშენებდა 1918 წლის 26 მაისამდე მისასვლელად. სწორედ ამ პროცესში, ეროვნულ ცნობიერებაში მოხდა პირველი დამოუკიდებლობა და ამის ასახვა იყო 26 მაისის პროცესი, როცა ქართველთა სახლი ოფიციალურად გამოცხადდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად.

ამ ეტაპზე ვხვდებით პირველ დემოკრატიულ არჩევნებს მთელი თავისი ღირსებებითა და ღირებულებებით. კერძოდ, ახალი მთავრობის ლეგიტიმაციის პროცესი, დამატებითი არჩევნები, რათა არ დაკარგულიყო იმ მოქალაქეთა ხმები, რომლებმაც უამინდობის გამო ვერ მოახერხეს თავიანთი წვლილი შეეტანათ დემოკრატიზაციის პროცესში, პარტიების პლურალიზმი, დამფუძნებელი კრების არსებობა. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ საქართველო გახდა პირველი სახელმწიფო მსოფლიოში, რომლის არჩევნებში დემოკრატიულად არჩეულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა. 1919 წლის 21 მარტის კრებაზე შეიქმნა შრომის, ჯანმრთელობის, განათლების, სამხედრო, იურიდიული, ხელოვნების, საგზაო და რაც მთა-

ვარია, თვითმმართველობის კომისიები. ფიქრი, ლოკალური თვითმმართველობების განვითარებასა და დეცენტრალიზაციაზე ნამდვილად მოწინავე იდეაა ისტორიის ამ ეტაპზე, როცა აღნიშნული დღესაც, თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

აღსანიშნავია, რომ პირველი კონსტიტუციის მიღება მთელ რიგ კომპლექსურ პრობლემატიკას მოიცავდა, რის გამოც ის 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს, სწორედ მაშინ, როცა დამფუძნებელი კრების შეკრებას კარს რთული მდგომარეობა უმტვრევდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია იყო სამაგალითო დოკუმენტი, რომელიც მრავალჯერადი ჩასწორებებისა და გადასინჯვის შედეგად მიიღეს და დღის წესრიგში იდგა საკითხიც, ვის უნდა მიეღო ის - ხალხს თუ დამფუძნებელ კრებას. ეს კონსტიტუცია ფართო თვალსაწიერიდან იმზირება ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებებისკენ, როგორიცაა: დემოკრატია, თანასწორობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის შინაარსი თავისი ორიენტაციებით ევროპული კულტურისა და ევროპული თავისუფლებისაკენაა მიდრეკილი. ნიშანდობლივია, რომ ევროპაც არ იყო გულგრილი, საქართველო ეცნო ევროპული ღირებულებების მქონე ქვეყნად, თუმცა იმის გამო, რომ ამ ურთიერთობაშიც რუსეთი დიდ გავლენას ფლობდა საქართველოსა და ევროპულ სახელმწიფოებს შორის ისეთი ნაბიჯების გადადგმისკენ, როგორიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარება იყო, ევროპა ამ პროცესს მას შემდეგ იწყებს, რაც თავად რუსეთი "აღიარებს" საქართველოს დამოუკიდებლობას და გერმანია და შვეიცარია 1920 წელს პირველი ქვეყნები ხდებიან, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებენ.

სამწლიანი დამოუკიდებლობის განმავლობაში ქვეყანამ შეძლო საკმაოდ მყარი საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომლის თვალსაჩინო შედეგია: სახელმწიფო საზღვრების დადგენა, სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადება, სასამართლო რეფორმა, ეროვნული გვარდიისა და რეგულარული არმიის ჩამოყალიბება, პროფესიული კავშირების ჩამოყალიბება და სხვ.

მეტად მძიმე და ტრაგიკულია 1921 წლის 25 თებერვლის მეხსიერება, როცა საბჭოთა არმია რამდენიმე მხრიდან შემოიჭრა საქართველოში. მოკავშირეების გარეშე, ბედის ანაბარად დარჩენილმა ქვეყანამ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა რუსეთის არმიას და საქართველოში საბჭოთა

რესპუბლიკა გამოცხადდა, რომელიც ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რაც აღიარებულია 1921 წლის 21 მაისის ახალი ხელშეკრულებით და 1922 წლის კონსტიტუციით, თუმცა იურიდიული ფორმა არ შეესაბამებოდა პოლიტიკურ სიცხადეს.

ამ პერიოდიდან საქართველოს ბრძოლის ფრონტზე გამოდის ეროვნული მოძრაობები. ასეთმა მოძრაობებმა გააერთიანა სტუდენტური, მუშათა, ქალთა, ეროვნულ უმცირესობათა, ხელოვანთა და სხვათა ძალები. ეროვნული ინტერესების კონსოლიდაცია ამ დონეზე, ნამდვილადაა სამაგალითო არამატერიალური მემკვიდრეობა.

1921 წლიდან საქართველოს ისტორიაში რამდენიმე აჯანყება და პარტიზანული რაზმების ბრძოლა ჩაიწერა. ისტორიას ახსოვს რამდენიმე მშვიდობიანი პროცესიც - კანის, გენუის, ლოზის კონფერენციების სახით, რომელმაც გამოკვეთა, რომ დასავლეთის ქვეყნები არ აპირებდნენ საქართველოს ინტერესების დაცვას. როვნულ მოძრაობაში მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი, რომელიც სოციალ-დემოკრატებს უსახავდა იმედს, რომ საბჭოთა კავშირი ომში დამარცხდებოდა და საქართველო კვლავ შეძლებდა, ძალა მოეკრიბა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ამ ომს ემსხვერპლა ქართველი ემიგრაცია, როგორც პოლიტიკური ძალა. ომს უდიდესი დანაკარგი ჰქონდა საქართველოს დემოგრაფიაშიც.

საკმაოდ ცუდი შედეგებით წარიმართა პოსტ-ომის პერიოდი, რომელიც დატვირთული იყო კვლავ რეპრესიებით, იდეოლოგიური ბრძოლით მწერლებისა და ხელოვანების წინააღმდეგ.

ამ სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გვერდით საინტერესოა, რომ მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების საბჭოთა ლიდერების ხელში იყო ხელსაყრელი იარაღი სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად. ამ პროცესმა ადამიანის სპეციალური ტიპი - ჰომოსოვეტიკუსი ჩამოაყალიბა. საბჭოთა ხელისუფლება ამ რთული მიზნის მიღწევას რამდენიმე ხერხით შეეცადა: პირველ რიგში, პროპაგანდისტული პრესისა და ლიტერატურის გავრცელებით, რათა უწიგნურობა უკვე ფორმულირებული, მზამზარეული ცოდნებით აღმოეფხვრათ. შემდეგ ნაბიჯს გლეხების, ადვილად სამართავი ხალხის კომუნისტური სულისკვეთების გაზრდა წარმოადგენდა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბჭოთა მთავრობის სურვილებსა და ყალიბზე მორგებული ინტელიგენციის ჩამოყალიბებას. საბჭოთა ხელისუფლება ადამიანებს სახალხო აქტივისტებად აყალიბებდა და უნერგავდა ბრძოლის

ჟინს, გაეცა ყველა მოღალატე. საბჭოთა ადამიანი ამის შემდეგ ტაშს უკრავს ადამიანის ჩამოხრჩობასაც კი. შრომის კოლექტივიზაციამ მეტი და მეტი ადამიანი გამოიყვანა სახლიდან სამუშაო სივრცეში და მიუჩინა მუდმივი საქმე. ქართველ ხალხს ულოცავდნენ გამოგონილ წარმატებებს, რომ მას გასჩენოდა განცდა, მომავალში აუცილებლად აყვავდებოდა საქართველო.

ინდივიდუალიზმისგან დაცლილ, შებოჭილ, შეშინებულ და მაინც ბედნიერ, რომანტიზებულ რეალობაში, ბრმადმორჩილად მცხოვრებს ღმერთიც გამოაცალეს. საბჭოთა უტოპია, ძალიან საშიში უტოპია იყო იმის პარალელურად, რომ ქვეყანას მატერიალურადაც განაგებდა საბჭოთა ხელისუფლება და ხალხის აზროვნების რეალობასთან დაკავშირებას დიდი დრო დასჭირდებოდა. ამ პერიოდის შედეგებს დღესაც ვიმკით, კვლავაც აქტუალურია მამათა და შვილთა იდეოლოგიური ბრძოლა, თუმცა მნიშვნელოვანი წარმატებები უფრო პოზიტივს ირეკლავს მომავლის სარკეში. ქვეყანამაც და საზოგადოებამაც თითქმის საუკუნოვან ბრძოლაში ბევრ წარმატებას მიაღწია საბჭოთა უტოპიის რომანტიზირებისგან გათავისუფლების გზაზე ქართველი ხალხი დღეს დგას თვითცნობიერებისა და საბჭოთა ლაქებისგან განწმენდის გზაზე. საზოგადოება დღითიდღე მიმღები ხდება დროითი მონაპოვარისა, უფრო ნაკლებად უცხო ახალი თაობის ბრძოლისადმი, რომელიც უფრო ადვილად ძლევს საბჭოთა მენტალობის უხეშ მარწუხებს, თავუსუფლდება ბორკილებისაგან.

მთელი რიგი მონაპოვარია არა მხოლოდ აზროვნების გარდატეხა, არამედ ისიც, რომ საბჭოთა დროში მეტწილად და ახალ დროში ცალი ფეხით გადმორგული ადამიანი შეურიგდა იმას, რომ არც ერთი ხელისუფლება არ არის მარადიული, არც ერთი მონაპოვარი არ არის სამოთხის ტოლფასი. მათ აღიზიანებთ კორუფცია, ნეპოტიზმი, უფრო კრიტიკულები არიან პოლიტიკური დღის წესრიგის მიმართ. ადამიანის ცნობიერებაში ამოტივტივდა ის თემები, რომლებიც საბჭოთა განპირობებულობაში არ მოვლენილა. საზოგადოება აქტიურად მსჯელობს ადამიანის უფლებებზე, ცხოველებისა და ბუნების დაცვა, ეკოლოგიური საკითხები მეტად აქტუალურ ადგილს იკავებს გამოწვევათა ნარატივში. მიდრეკლება გვაქვს, რომ გვქონდეს თავისუფალი სასამართლო. ქალებს დღეს უფრო მეტად უჩნდებათ საკუთარი თავისა და ძალის რწმენა. მთელი რიგი დადებითი შედეგები დევს დღეს ეპოქათა სასწორზე, ლიბერალური, დემოკრატიული, დამოუკიდებელ ერი-სახელმწიფოს სასარგებლოდ. პროცესი საბჭოთა ადამიანიდან მოაზროვნე, თავისუფალი, შემოქმედებითი ადამიანის მიღებამდე, რომელიც დღესაც აქტიურად გრძელდება, მიმდინარეობდა რამდენიმე მონაპოვრის გვერდით. ევროპა კარგად

ხედავდა, რომ პოლიტიკური რეჟიმი ლიბერალიზმის ნაცვლად შოვინიზმის გაღვივებას ცდილობდ. ამასთანავე, საბჭოთა კავშირში თანდათან გაჩნდა კრიზისის სოციალურ-ეკონომიკური ბაზისიც, გაძლიერდა ადამიანის უფლებების დაცვა, რომელსაც ჰელსინკის ხელშეკრულებაში საბჭოთა კავშირიც აწერდა ხელს, თუმცა ესეც ფორმალურად. ეროვნულ მოძრაობას ამ განპირობებულობაში სტიმული მისცა ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის შესაძლო დაკარგვამ.

ეროვნული მოძრაობა იალაღზე გაშლილი დამშეული ცხვრებივით მოედო თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს. გაძლიერდა და დაღვინდა ანტისაბჭოთა დემონსტრაციები. თუმცა, ამ ბედნიერ ჟამს, როცა ქვეყანაში წლების შემდეგ გაჩნდა იმედის ნაპერწკალი, თავზარდამცემი იყო აფხაზი და ოსი სეპარატისტების წადილი, გამოყოფოდნენ საქართველოს. ამ პერიოდშიც, ქართველ ხალხს, ვიდრე შემოაცვდებოდა ძალა და გონითი შესაძლებლობები, არ დაუყრია ფარ-ხმალი. 1989 წლის 4 აპრილიდან მთავრობის სახლის წინ დაიწყო საპროტესტო აქციები. ამ პერიოდის ქართულ სულს კარგად ხედავდა საბჭოთა კავშირის მთავრობა, ეს ბრძოლა ააშკარავებდა შესაძლო რეალობას, რომ სხვა რესპუბლიკებიც დაიწყებდნენ მალე ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის, რის გამოც 9 აპრილს, გამთენიისას თბილისში, მთავრობის სახლის წინ რუსეთიდან ჩამოყვანილმა სპეცდანიშნულების რაზმებმა მომწამლავი აირითა და ალესილი ნიჩბებით დაარბიეს მომიტინგეები.

ეროვნული მოძრაობების აღმავლობა, რაც უფრო მეტად საზრდოობდა 9 აპრილის სისხლითა და ცრემლებით, ვერ შეაჩერა მოსკოვმა. 1989 წლის 26 მაისს საქართველოში არსებობის მანძილზე მეორედ, გამარჯვების ზარმა ჩამოკრა. 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ისტორიაში მეორედ მოეწყო რეფერენდუმი და მეორედ, ქართველმა ხალხმა ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

მას შემდეგ ხელისუფლება რამდენჯერმე შეიცვალა და მხოლოდ 2008 წელს ვხვდებით პოლიტიკურ ცხოვრებაში რუსეთის უწყვეტ სამხედრო აგრესიას, რომელმაც ახალი ფორმა მიიღო და საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია უკვე რეგულარულმა არმიამ მოახდინა. ისტორიის ამ ეტაპზე, საქართველომ ნდობა განიმტკიცა საერთაშორისო არენაზე. უფრო ნათელი გახდა ევროპისთვის საერთო საფრთხე და ამის პარალელურად დაიწყო ქართული და ევროპული სახელმწიფოების დამეგობრების პროცესი, რომელიც დღესაც აქტიურად გრძელდება.

საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ რუკას თუ გადავავლებთ თვალს, ამასთანავე მედიიდან თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან მიღებულ ტევად ინფორმაციას გავაანალიზებთ, ერთი შეხედვით, საფუძვლიანი ეჭვი გაგვიჩნდება, რომ არც თუ კარგადაა ყველაფერი. თუმცა, დღევანდელი მომეტებული საჯარო სივრცეები სავსეა ნეგატივით, უპრიანი არ იქნება, ხაზი გავუსვათ იმ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც დაგვეხმარება თვითრეფლექსიაში. ეს უკანასკნელი აუცილებელ პირობას წარმოადგენს ახალი ხიდის მშენებლობაში, რომელსაც სჭირდება ბანალურ და მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხი - რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით.

1991 წლის კონსტიტუცია, ამასთანავე 1992 წლის გაეროში გაწევრიანების საერთაშორისო დოკუმენტი გვახსენებს, რომ არსებობის განმავლობაში ქვეყანამ ორჯერ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება. მიუხედავად ამ პროცესებისა, წლების შემდეგ საქართველო ლოკალური და საერთაშორისო გადმოსახედიდან დგას მშვიდობიანი, სტაბილური დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის მქონე ევროპულ სახელმწიფოებს შორის, რაც დღის წესრიგში აყენებს საკითხს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობასაც და სუვერენიტეტსაც დიდწილად ევროპული უსაფრთხოება და ევროპული სუვერენიტეტი განაპირობებს.

ყველა ხელისუფლება, რომელიც დამუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არსებობდა ქვეყანაში, მიუხედავად შიდა პოლიტიკური შეცდომებისა, ერთხმად აღიარებდა პროდასვლურ კურსს, რისი ობიექტური შედეგიც მივიღეთ და ვიღებთ ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით. დღეს შედარებით ობიექტური პოზიციები ჩამოყალიბდა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში. რაც მთავარია, გააზრებულია ორი მნიშვნელოვანი რამ: ჩვენი და რუსული ინტერესები ერთმანეთის საპირისპიროა მთელი რიგი ფასეულობების კუთხით; მსოფლიო დემოკრატიები დღეს უკვე მეტად ამჟღავნებენ რუსეთის აგრესიისადმი ნეგატივიზმს, თუმცა აქვე, საკმაოდ რთული წარმოსადგენია უფრო თამამი ნაბიჯები რუსეთის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ მოცემულობაში გვჭირდება ძლიერი დიპლომატიური კორპუსი, რომელიც შეძლებს პროდუქტიულად და სიფრთხილით ლავირებას. საქართველოს შიდა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ფრონტზე რომ გადმოვიხედოთ, მთელი რიგი სტატისტიკები და ანგარიშები გვაჩვენებს ეკონომიკური პოლიტიკის სისუსტეებს. ვხედავთ შედეგებსაც, თუმცა ძნელად თუ ნარჩუნდება სტაბილურად, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკა მოკლევადიანი პერსპექტივებით იმზირება. ეს უკანასკნელი ასახვას

პოულობს დღევანდელი, თანადროული დემოგრაფიული სურათისა და გამოწვევების ფორმირებაში. ჩვენს წინაშეა პრობლემათა სპექტრი: სოციალური უთანასწორობა, დასაქმების დაბალი სტატისტიკა, ემიგრაციის მომძლავრება, რაც თავისთავად აისახება დემოგრაფიულ სურათზეც, უარყოფითია ემიგრაციის სალდო, მაღალია მოკვდავობა და, შესაბამისად, იკლებს საქართველოს მოსახლეობა.

პოსტსაბჭოთა ქვეყანას მემკვიდრეობით გადმოგვეცა ევროსკეპტიციზმი. ურყევი მენტალიტეტი ძნელად ეგუება ევროპულ იმიჯს. სწორედ ამ პროცესში, როცა ევროპა ქართველი ხალხისთვის „საშიშია“ და უარყოფითია, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ცნობიერების ამაღლების საკითხს. 2017 წლამდე, ვიდრე საქართველო ვიზალიბერალიზაციის უფლებას მიიღებდა, გაწეული საინფორმაციო კამპანია, ძირითადად არსებული სიკეთეების მიმოხილვით შემოიფარგლებოდა. ყურადღების მიღმა დარჩა რეალური საკითხი, როგორ შეეგუებოდა საბჭოთა სისტემის ლაქებიანი საზოგადოება ახალ რეალობას. საზოგადოებამ კარგად უნდა გადასინჯოს ახალი ეპოქა და შესაძლებლობები, შეცვალოს დრომოჭმული ქცევა და მიიღოს სიახლე. მუდმივი კვლევა-ძიების შედეგია ის, რომ გვაქვს მთელი რიგი სტატისტიკა ოჯახში ძალადობის, სკოლაში ბულინგის, თვითმკვლელობებისა და ზოგადად, ინტერკულტურული მგრძნობელობის შესახებ. ჩავარდნები ამ საკითხში აფერხებს საზოგადოების პროდუქტიულ ფუნქციონირებას. მნიშვნელოვანი და ღირებულია ბალავარის ჩაყრა ამ პრობლემებისადმი მიმართულ სოციალურ პოლიტიკაში, ერთი მხრივ, ცნობიერების გაზრდისა და მეორე მხრივ, განათლების ალტერნატიულ დონეებზე. სკოლამ და დაწყებითმა განათლებამ უნდა იტვირთოს პასუხისმგებლობა, რომ ტოლერანტობასა და ურთიერთსიყვარულზე დაფუძნებული ახალი თაობის ფორმირება შეძლოს.

დაბალი ცნობიერების მიღმა, საინტერესოა კიდევ ერთი განზომილება. სხვადასხვა ასპექტში ჭირს ღიაობისა და ავტონომიურობის მიღწევა. ეროვნული შიში ვერ იძლევა გასაქანს, საზოგადოებამ გამოიყენოს მისი შესაძლებლობები, ჯანსაღი ანალიზი აქციოს ჯანსაღ შედეგად. ეროვნულ ერთობას ემსხვერპლება კოლექტიური ცნობიერება, სამსახურიდან გაშვების შიში, პირადი და საზოგადო ინტერესების განცალკევება და სხვა.

დასასრულ, მსურს მივუბრუნდე ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებას, როგორც ბირთვს ქვეყნის ფუნდამენტური პრობლემების ჩამოყალიბებაში. ეკონომიკური განვითარების წახალისებაში საკვანძო როლს ასრულებს ქმედითი და კვალიფიციური საჯარო მმართველობის სისტემა,

ძლიერი ინსტიტუტებისა და კარგი მმართველობის არსებობა. აუცილებელია კორუფციასთან ბრძოლა. ამ თვალსაზრისით სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი მედიის ჩართულობის უზრუნველყოფა უაღრესად მნიშვნელოვანია. საქართველოს რეალობაში მნიშვნელოვან გამოწვევად დგას შესაძლებლობათა პოტენციალისა და საერთო გამოწვევების გაზიარება, რისთვისაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო მობილობა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას ხელი 2014 წელს მოეწერა. ეს ნაბიჯი დღემდე რჩება ამბიციური გარდაქმნის გზად საქართველოს საკანონმდებლო, მმართველობის, სასამართლო სისტემის და საჯარო მმართველობისთვის. ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სივრცეს გააჩნია ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის წახალისების პოტენციალი.

დღეს, როცა გამოწვევად რჩება განათლების საკითხი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული სიკეთეების შექმნისათვის, ზემოაღნიშნულ რჩევასთან ერთად, სადაც ლოკალურ დონეზე განათლების სისტემის გაუმჯობესება წარმოადგენს, საჭიროდ მივიჩნევ სტუდენტთა მობილობის ზრდას. ამ უკანასკნელის წყალობით, მოსალოდნელია უმაღლესი განათლების გაუმჯობესება, რაც ქმნის განათლებული და კვალიფიციური სამუშაო ძალის წინაპირობას ეკონომიკის შემდგომი გათანამედროვებისა და ზრდის მხარდასაჭერად.

როგორც ვხედავთ, პრობლემების სტრუქტურა საკმაოდ კომპლექსურია, თუმცა აქვე, ვხედავთ იმასაც, რომ ქვიშის საათი არაა ჩართული. კარგად გვაქვს გააზრებული, რომ ყველაფერს სჭირდება დრო, თუმცა ეს არ უნდა გვაძლევდეს უფლებას, გვერდით გადავდოთ მწვავე საკითხები და ორიენტირებული ვიყოთ მოკლევადიან მიზნებზე. 100 წლის შემდეგ, საქართველოს ეძლევა შანსი, მიაღწიოს ეროვნული კონსოლიდაციის იდეას და მასთან თავსებადი, ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის ჰარმონიით კვლავ დაამტკიცოს, რომ თავისუფლება ესაა ნამდვილად დიდი მონაპოვარი.

თავისუფლება და თანასწორობა უნდა იქცეს ქვეყნის იმ მამოძრავებელ ჭანჭიკად, რომელსაც შეუძლია ეროვნულ დონეზე შექმნას ლიბერალური, დემოკრატიული მმართველობა და სოციალური კეთილდღეობა, კეთილდღეობა რეალობის კონტურებში.

გიორგი დუნდუა

თსუ, მაგისტრატურის სტუდენტი

საუკუნის რესპუბლიკა

ლირიკული გადახვევით უნდა დავიწყო - ერთი ამბით, რომელიც 1918 წლის დადგომისას მოხდა: საქართველო ჯერ არ იყო ოფიციალურად დამოუკიდებელი, მაგრამ ამ დიდი დღისთვის შინაგანად და გარეგნულადაც უკვე მზად იყო, თბილისი თბილისობდა, ცხოვრება დუღდა. მსოფლიო ომის ფრონტებიდან დაბრუნებული ოფიცრები თავდავიწყებით იყვნენ გადაშვებული დროსტარებისა და სიყვარულის მონატრებულ ტალღებში... მათ შორის იყო შტაბს-როტმისტრი ევგენი აფხაზავა - ომის გმირი, შარისთავი და მექალთანე, მეგობრებსა და ქეიფზე შეყვარებული, მთელ ქალაქში პოპულარული ახალგაზრდა ოფიცერი. სატრფო ჰყოლია ზემო სოლოლაკში; დაჰპირებია - შენთან შევხვდები ახალ წელსო, მაგრამ „ხელს გადაჰყოლია“ ძმაკაცებთან ერთად. 12-ის ნახევარზე შემოურტყამს თავში ხელი, წამოუღია „ოთუზბირად“ ნაყიდი ვარდები და გამოქანებულა ეტლით. თავისუფლების მოედანს რომ მიაღწია, თბილისის სათათბიროს საათზე უკვე 5 წუთი აკლდა ახალი წლის დადგომას! ქალაქი ელოდა მთავარი საათის ზარების ხმას - ის აუწყებდათ ხოლმე ახალი წლის დადგომას. აფხაზავა შიდა კიბით ავარდნილა კოშკში და მოხუცი მესაათისათვის (მუდმივი მეთვალყურე ჰყავდა ქვეყნის მთავარ ქრონომეტრს) „უთხოვია“, 15 წუთით გაეჩერებინა საათი! ... თბილისში ახალმა წელმა მეოთხედი საათით „დააგვიანა“, მაგრამ როდესაც დილას ამის მიზეზი შეიტყვეს, ცხადია, არავინ გაბრაზებულა...

•

1988 წლის 26 მაისს, ბებიაჩემის მიერ შეკერილი დროშით მივედი უნივერსიტეტის ბაღში და იქიდან, სხვა სტუდენტებთან ერთად, ჯერ მერაბ კოსტავას ეზოში გადავინაცვლეთ, შემდეგ კი ქაშუეთთან შევუერთდით მცირერიცხოვან „არაფორმალებს“... ცოტანი ვიყავით - ჩვენზე დაგეშილ კომკავშირლებზე გაცილებით ნაკლები, მაგრამ ვიცოდით, რომ მალე გავბევრდებოდით და ეს დროც დადგა - იმავე წლის შემოდგომის აქციებმა მსოფლიოს აუწყა, ბოროტების იმპერიის ნგრევა სწორედ საქართველოდან იწყებოდა...

ბედმა გამიღიმა და 1918-1921 წლების არა უბრალოდ მომსწრეებთან, არამედ იმდროინდელი ამბების მონაწილეებთანაც მომიხდა ურთიერთობა ახალგაზრდობაში და მათი მონათხრობების ჩაწერაც არ დამზარებია აქაც და საფრანგეთშიც.

დღეს, როდესაც ოფიციოზსაც და პრესასაც, ერსაც და ბერსაც, მრგვალი თარიღი „ავალდებულებს“, აღფრთოვანებული იყოს პირველი რესპუბლიკის დემოკრატიით, კონსტიტუციისა და საარჩევნო სისტემის ულტრაპროგრესულობით, როდესაც „სანიმუშო კომკავშირული წარსულის“ პიარ-სპეციალისტები, ბიუჯეტიდან მსუყე დაფინანსებით, ზედიზედ შტამპავენ ტელე-კლიპებსა თუ მეტროს ესკალატორების გასწვრივ უადგილოდ გამოკრულ „სააგიტაციო პლაკატებს“, არავინ საუბრობს იმ მართლაც შესანიშნავი სახელმწიფოს - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ცხოვრების ადამიანურ, „არაოფიციალურ“ ნაწილზე. ამიტომ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუკი გვერდით გადავდებთ ციფრებს, ოქმებს, მოღვაწეთა ოფიციალურ ბიოგრაფიებს და შევეცდებით „იქაურები“ და „მაშინდელები“ გავხდეთ, ასი წლის წინანდელი რიგითი ქრთველის თვალი გადავავლოთ ძნელ, მაგრამ მაინც ბედნიერ სამწლეულს. ფორმატი გვზღუდავს, რომ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა აღვწეროთ, ამიტომ გადავწყვიტე, გავიხსენოთ, როგორი იყო საქართველო ექსტრემალურ პერიოდებში - ექსტრემალურში დადებითი და უარყოფითი თვალსაზრისით, ანუ „ჭირსა და ლხინში“ - როგორ ხვდებოდა ქვეყანა და ხალხი დღესასწაულებს (მაგალითად, ახალ წელს) და როგორ ქვითკირდებოდა ბრძოლის დროს...

•

რაც შეეხება ომებს: იშვიათად აღინიშნება, რომ დამოუკიდებლობა ცარიელ ადგილზე არ მოსულა. გაუთვითცნობიერებელი ადამიანები, გაუგებარ „არგუმენტებზე“ დაყრდნობით, ამტკიცებენ, რომ დამოუკიდებლობა „შემთხვევით“, „იძულებით“, „დროებით“ და ა.შ. გამოცხადდა(?!). არადა, ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ოფიციალურად არარსებულმა ქვეყანამ სერიოზულ ბრძოლებში გაიმარჯვა, რამაც დიდწილად განაპირობა დამოუკიდებლობისთვის საძირკვლის ჩადება: იანვარში პირველი მსოფლიო ომის ფრონტებიდან იარაღით გამოქცეული, გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცების ბრბოების შემოსევას აცდა საქართველო მისი უმამაცესი ოფიცრებისა და გვარდიელების თავდადების ფასად, ხოლო აპრილის დასაწყისში ჩოლოქთან მოხდა მეორე „ძლევაი საკვირველი“, რომელიც უსამართლოდ არის მივიწყებული და მხოლოდ ისტორიკოსებმა თუ იციან მის შესახებ...

მე წილად მხვდა ბედნიერება, რომ მისი სიცოცხლის ბოლოს საფრანგეთში ვინახულე „ლევილის დიასახლისად“ წოდებული ქალბატონი ნამეტია

ბერძენიშვილი-გოგუაძისა. ადამიანი, რომელიც იყო სასაფლაოსთვის მიწის შეძენისა და იქ ევროპის სხვადასხვა ქალაქში დაკრძალული ქართველი ემიგრანტების გადასვენების ინიციატორი.

ისედაც: ლევილი რომ „საქართველოს ერთ-ერთი კუთხე“ (გრ.რობაქიძემ უწოდა ასე) გახდა, ამაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ „ლევილის დიასახლისმა“ შეიტანა: იქაურობა „გურიის ფილიალად“ აქცია - ჩვენებური საღორეებით, ბოსლებითა და საქათმეებით, ყვავილებით მოჩითული ეზოთი და „პარმაღიანი“ სახლით, „ნალიაც“ კი დაუდგამს... ქალბატონი ნამეტია 97 წლისა, 1988 წელს გარდაიცვალა. რაც მთავარია - ის ბრძანდებოდა ზემოთ ნახსენები ჩოლოქის ბრძოლის მთავარი გმირის, ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის მეუღლე და თანამებრძოლი, რომლის ღვაწლიც, ვფიქრობ, სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის დაფასებული. ამიტომ თავს უფლებას მივცემ, აქ მხოლოდ ის საოცარი ბატალია და ბრწყინვალე გამარჯვება გამოვყო პირველი რესპუბლიკის არსებობის სხვა მნიშვნელოვან ამბავთა შორის, რადგან რომ არა დამოუკიდებლობის ოფიციალურად გამოცხადებამდე ერთი-ორი თვით ადრე მიღწეული გამარჯვებები, იქნებ აღარც არაფერი გვქონოდა დამოუკიდებლად გამოსაცხადებელი.

მაშ ასე: 1917 წლის შემოდგომაზე რუსეთის სათავეში ლენინი და ბოლშევიკები მოექცნენ და ბრესტ-ლიტოვსკში გამართულ საზავო კონფერენციაზე გერმანიის მიერ ნაკარნახევ ყველა სამარცხვინო პირობაზე მოაწერეს ხელი (ლენინს, არცთუ უსაფუძვლოდ, სწორედ ამის გამო მიიჩნევენ გერმანიის აგენტად). ეს 1918 წლის თებერვალში ხდებოდა, როდესაც საქართველოში არ არსებობდა ხელისუფლება - ამიერკავკასიის კომისარიატი მხოლოდ პარტიათა გაერთიანება იყო და გაურკვეველი ფუნქციებით. თურქებმა მალევე მოითხოვეს „კუთვნილი“ ტერიტორიების დაცლა - იქ ხომ რუსული ჯარის ნარჩენები იდგნენ, რომლებიც ფორმალურად „ამიერკავკასიის კომისარიატს“ (ოფიციალურად - რუსეთის ხელისუფლების ფილიალს) ემორჩილებოდნენ. მაშინღა შემოირტყეს მენშევიკებმა თავში ხელი და 1918 წლის აპრილში სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა გამოაცხადეს, რის საფუძველზეც თურქებს უთხრეს - თქვენ ტერიტორიები რუსეთმა დაგითმოთ, ჩვენ კი სხვა სახელმწიფო ვართ და თქვენი არაფერი გვმართებსო. მაგრამ ამას წინ სწორედ ის ბრძოლა უსწრებდა, რომელიც მდინარე ჩოლოქთან - გურია-აჭარის დღევანდელ ადმინისტრაციულ საზღვართან გაიმართა და რომლის

საოცარმა შედეგმა მისცა საშუალება საქართველოს (ოფიციალურად - ამიერკავკასიის) ხელმძღვანელებს, ასე თავდაჯერებით ესაუბრათ თურქებთან... როდესაც თურქები საქართველოსაკენ დაიძრნენ, შეიკრიბა ე.წ. ეროვნული საბჭო, რომელშიც ეროვნული ძალები უმცირესობაში იყვნენ (9 ეროვნულ-დემოკრატი 36 სოციალისტისა და მათი 20 მხარდამჭერის წინააღმდეგ) და გენერალ ვასო გაბაშვილის პასუხად, რომელმაც საბჭოს განუცხადა - კარგად ვიცნობ ბათუმის ციხეს, სამი ათასი ჯარისკაცითა და არტილერიით 6 თვე გავაძლებინებ ქალაქს, სანამ პოლიტიკოსები რამეს მოაგვარებთო, ევგენი გეგეჭკორმა „დასჭექა“: „როგორ გეკადრებათ?! რაღა დროს ზარბაზნებია?! რომელი საუკუნეა?! ჩვენ ჯარისკაცები კი არა, ხალხი უნდა ჩავიყვანოთ ბათუმში, რომელიც მიტინგს ჩაატარებს და ასე დემოკრატიულად ვამცნობთ ოსმალეთს ჩვენს სურვილს, იქაც ნელ-ნელა დემოკრატია იკიდებს ფეხსო“ (!!!). შედეგად ხუთი ათასმა თურქმა ასკერმა ბათუმი „დემოკრატიულად“ აიღო - „ჯარი“ თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, წინააღმდეგობა მხოლოდ ზოგიერთმა პატრიოტმა ოფიცერმა და ჯარისკაცმა გაუწია და შეაკვდა კიდეც მტერს ბოლშევიკების მიერ გაგიჟებული, ნაძარცვით დატვირთული დეზერტირ-მოროდიორები ბათუმის დეპოდან წამოყვანილი მატარებლებით სამტრედიაში იყრიდნენ თავს და იქ ბაზრობა ჰქონდათ გამართული. თურქები კი კვლავ მოიწევდნენ - მოითხოვეს, ბაქომდე მიეცათ მოძრაობის საშუალება, არადა, ძალით გავივლითო. ჩვენები უარზე იდგნენ - სომხებს უფრთხილდებოდნენ, „გზად მიმავალმა“ თურქებმა ჩვენს მეზობლებს არ „აწყენინონო“.

როგორც იქნა, გადაწყდა ომი, მაგრამ გენერალი მაზნიაშვილი სამტრედიიდან ჩოლოქისაკენ მხოლოდ ერთი ეშელონით დაიძრა, 1-ელ აპრილს, ზუსტად იმ დღეს, როდესაც თურქები მიტოვებულ ბათუმს არბევდნენ. გენერალს პოლკოვნიკ ფურცელაძის პარტიზანთა რაზმი, კაპიტან კარგარეთელის მსროლელთა ბატარეა და ინჟინერ ხუნდაძის მიერ შორაპანსა და ჭიათურაში შეგროვილი მოხალისეები ახლდნენ. სამტრედია ყველაზე მოხერხებული ადგილი იყო რეზერვის შესაკრებად, მაგრამ როგორც მაზნიაშვილი იგონებს, „ბათუმიდან გამოქცეული დეზერტირები ისე იყვნენ გახრწნილები, მეშინოდა ახალწვეულებიც არ გაეხრწნათო“. ამას დაუმატეთ, რომ ბოლშევიკები, როგორც ყოველთვის, „ლეშის სუნზე“ შეგროვდნენ და იქვე, სამტრედიის სადგურთან მოაწყვეს სააგიტაციო პუნქტები. ასეთ სიტუაციაში ისიც საკვირველი იყო, რაც გაკეთდა.

ხალხში პატრიოტული გრძნობების გასაღვიძებლად, გონს მოსული სოციალ-დემოკრატიული ლიდერები რიგითებად ჩაეწერნენ გოგუაძის ჯავშნოსანზე: ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი, ვლასა მგელაძე და კიდევ რამდენიმე პარტიული „ბოსი“ კარაბინგადაკიდებულები გამოცხადებულან ჩოლოქთან. მაზნიაშვილმა შემოსწრებულები საომარ პოზიციებზე განალაგა - ზღვიდან გურია-აჭარის ქედამდე მტერს მხოლოდ ორი გზით შეეძლო წამოსვლა: ზღვისპირა რკინიგზით და გზატკეცილით (მთის გასწვრივ), ამ მიმართულებებს შორის გაუვალი ჭაობები იყო და იქ ჯარი, აღალითა და არტილერიით, ვერ გაივლიდა. მთავარი პრობლემა მაინც ჩამოუყალიბებელი ჯარი იყო - რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ გენერალი შიშობდა, რადგან ზოგი მათგანი ბოლშევიკების აგიტაციას იყო აყოლილი, ზოგი კი ბათუმიდან გამოქცეულ დემორალიზებულ ნაწილებში მსახურობდა; ამიტომ როდესაც მზვერავებმა (ადგილობრივმა მოხუცებმა იტვირთეს ეს მძიმე მისია) ამბავი მოიტანეს, შვიდი ათას კაციანი გალიპოლის დივიზია ჩოლოქის ხიდთან დაბანაკდა და ხვალ შეტევისთვის ემზადებიანო, მაზნიაშვილმა გოგუაძე გამოიძახა და უბრძანა - ძალები არასაკმარისია, მდინარე სუფსის იქით უნდა დავიხიოთ, ჯავშნოსანით უკან, არიერგარდში უნდა ჩადგე, რომ თავდასხმებისგან დაგვიცვა, ხოლო როდესაც სუფსას გადავლახავთ, ხიდები უნდა ააფეთქო და შემოგვიერთდეო. პასუხად გოგუაძემ ფანტასტიკური გეგმა შესთავაზა, - მტრის პოზიციაში შევიჭრები მატარებლით და გავანადგურებო! თავიდან უარი მიიღო, მაგრამ მერე დაარწმუნა გენერალი, არიერგარდში ჩამდგარს უფრო ადვილად გამანადგურებს არტილერიაო. გოგუაძე ჯავშნოსანზე დაბრუნდა და თავის „მხედრებს“ (ასე ეძახდა) მიმართა: „მტერი ერთი ოთხმოცზე იქნება, ვისაც ბრძოლა არ უნდა, ჩავიდეს და გენერალთან დაბრუნდეს პოზიციებზე, არავის ვუსაყვედურებ, მე სამშობლოსთვის უეჭველ სიკვდილზე გეპატიჟებით!“. უნდა ითქვას, რომ გოგუაძის რაზმში ძირითადად მისი მეგობრები და ნათესავები, ახლო-მახლო სოფლების მკვიდრი ხალხი იყო (მათ შორის მისი სამი ძმა) და მათთვის სუფსის იქით პოზიციები მხოლოდ „სტრატეგიული უკან დახევა“ არ იყო. ყველა „მხედარი“ „რკინის მერანზე“ დარჩა და გადაწყდა: გოგუაძე თავისი 90 კაცით 7000 თურქის წინააღმდეგ!!! დილის ხუთ საათზე ტყიდან გაშლილ ადგილზე ურჩხულივით „გამობობღდა“ ჯავშნოსანი და გაჩერდა. გოგუაძემ ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს შეცდომით მოხვდა მტრის ბანაკში და ნებდებოდა. ჯერ რამდენიმე თურქი გამოძვრა საფრიდან და მიუახლოვდა ახალ „ტროას ცხენს“, მერე დანარჩენებიც გამოეფინენ და ატეხეს ყარყაში; ჩარაზულ კარში ვერ შედიოდნენ, ამიტომ

ზოგი საფეხურებზე აცოცდა და ტყვიამფრქვევების ლულებს ჩამოეკიდა; თან ყვიროდნენ: „თაალიმ, გოგვაძე“ (დაგვნებდი, გოგუაძე)! და სწორედ ამ დროს ყველა ტყვიამფრქვევმა ერთად „ამოიდგა ენა“! ასკერები დაიბნენ და ტყისკენ გაქცევაც ვერ მოახერხეს, მაგრამ მალე საფრებს მიაშურეს და გააფთრებით შემოუტიეს, თუმცა ყველგან მისწვდათ ტყვია. საარაკო გმირობა გამოიჩინა ობერკონდუქტორმა სიმონ სკამკოჩაიშვილმა - იგი გარეთ იყო და ნიშანს აძლევდა მემანქანეს, რომელი პოზიცია დაეკავებინა. ერთადერთი იყო, ვისაც გამხეცებული თურქები ხედავდნენ; სულ მალე სასიკვდილოდ დაჭრილ-დაცხრილული ობერკონდუქტორი თანამებრძოლებმა ვაგონში აიყვანეს. მტერმა არტილერია ჩართო, მაგრამ მხოლოდ 11 საათზე (ბრძოლის დაწყებიდან 6 საათის შემდეგ! გადავიდა რელსებიდან წინა ვაგონი. ამბის გასაგებად ხოხვით წასული სამი ჯარისკაცი დაიჭრა და იქით თავად გოგუაძე წავიდა; ისიც დაჭრეს, მაგრამ მიაღწია დაზიანებულ ვაგონამდე - იქ თავის ძმას, ნოეს უბრძანა, უკანა ვაგონისთვის ხმა მიეწვდინა, ცეცხლი წინ მოემართათ, რათა დაჭრილთა გამოყვანა შესძლებოდათ. ნოეც მიწაზე ფეხისდადგმისთანავე დაიჭრა, მაგრამ უკანა ვაგონამდე მაინც მიაღწია. ამაოდ - იქ ტყვიამფრქვევები უკვე გადახურებული იყო... მტერმა დასავლეთიდან წამოსული ახალი ათასეულით საბოლოო იერიში მოიტანა; ჯავშნოსნის მეთაურს ბოლო იმედიც გადაეწურა - ალბათ, მაზნიაშვილთან დახმარებისთვის გაგზავნილი აკაკი ურუშაძეც დაიღუპაო. ერთადერთი და ყველა თანამებრძოლთან წინასწარ შეთანხმებული გამოსავალი დარჩა: 150 კილოგრამი პიროქსილინისაგან დამზადებული ბომბის აფეთქებას ღილაკზე („ფოლაქზე“ - როგორც თვითონ წერს) თითის დაჭერა უნდოდა და ჯავშნოსნისა და „მხედრებისაგან“ მტერს მხოლოდ რკინის ნამსხვრევებიღა შერჩებოდა. მენანებოდა სიცოცხლე, უკანასკნელად მოვავლე თვალი მშობლიური ბუნების სილამაზეს და „ფოლაქს“ ხელი დავაჭირეო, - იგონებს გოგუაძე...უფალმა არ გაიმეტა თავგანწირული გმირები: ტყვიას ნაღმამდე მიმავალი მავთული გაეწყვიტა და, რაც მთავარია, ურუშაძეს მაზნიაშვილამდე მიეღწია - გენერალი გორის გვარდიის ოთხასკაციანი რაზმით გამოჩნდა ბრძოლის ველზე მეორე ჯავშნოსნით და დამფრთხალმა თურქებმა ქობულეთისკენ მოუსვეს...

ერეკლე II-ს მიერ ასპინძაში თურქების დამარცხება, ომების ისტორიის ერთ-ერთ საოცრებად არის მიჩნეული: 8000 მოწინააღმდეგის პირისპირ 3000 მებრძოლით გასულმა მხოლოდ 25 კაცი დაკარგა, მაშინ, როდესაც მტრის 6000 ჯარისკაცი გაწყდა იმ დღეს. თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ,

ჩოლოქის პირას უფრო გამაოგნებელი „ანგარიში დაფიქსირდა“: 90 ქართველი 7000-ს წინააღმდეგ!!! და მხოლოდ იმ აფეთქებულ ვაგონში დაიღუპა სამი მებრძოლი, ერთიც შემდეგ - ჭრილობებისგან, თურქებმა კი ათასამდე (!!!) კაცი მოკლული დატოვეს და თითქმის იმდენივე დაჭრილი ქობულეთში ჩაიყვანეს!

...11 აპრილს ვალოდია გოგუაძე თბილისში ჩამოვიდა ოპერაციის გასაკეთებლად. 12-ში ამიერკავკასიის დელეგატების ყრილობა იყო და ჟორდანიამ კაცი გამოუგზავნა. გოგუაძე სასახლის თეთრ დარბაზში აღმოჩნდა. ჟორდანიამ დელეგატებს მიმართა: კამათს ვწყვეტ და გთხოვთ, ამხანაგ გოგუაძეს მივესალმოთ, რომლის გმირობამაც გადაგვარჩინაო. ჯავშნოსნის მეთაურს ოვაციით შეხვდნენ; ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება - გოგუაძისთვის პირველი გმირის წოდების მინიჭების შესახებ. ასეთ ამბებს მიუჩვეველი გმირი კი იდგა და: „სირცხვილით ვიწვოდი. საზოგადოებას მადლობა გადავუხადე და შინ წავედიო...“ - წერდა.

•

ასე ომობდნენ თავისუფალი რესპუბლიკის მოქალაქეები, მაგრამ ზეიმი და დროსტარებაც იცოდნენ შესაფერის დროს.

ახლახან, რუსულ საიტზე, საინტერესო ინფორმაცია ამოვიკითხე: რუსეთში, უფრო ზუსტად - საბჭოთა კავშირში, ახალი წლის საზეიმოდ აღნიშვნა მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხრუშჩოვის ე.წ. „დათბობის“ პერიოდში დაიწყესო. იქვე ისიც იყო ნათქვამი, რომ არც რევოლუციამდე ზეიმობდნენ ახალ წელს მასშტაბურად - მთავარ დღესასწაულად და უქმე დღედ შობა ითვლებოდა. რა ხდებოდა ჩვენში? საბჭოთა პერიოდზე, ცხადია, არ ვისაუბრებთ, საქართველოს სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში კი, შობაც და ახალი წელიც ისე აღინიშნებოდა, თქვენი მოწონებული! მაშინდელი პრესის თვალიერებისას, სარკესავით ხედავ ოთხივე ახალი წლისა დღეებს და გული სევდანარევი სიამაყით გევსება - ჯერ კიდევ მაშინ, ჩვენი ქვეყანა, მენტალურად და კულტურულად, ცივილიზებული ევროპის ნაწილი იყო და ამ მხრივ უკვე არაფერი ჰქონდა საერთო მოველურო ჩრდილოელ მეზობელთან... სხვათა შორის, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1918 წლის 26 დეკემბრის საგანგებო კანონით დაამტკიცა მომავალი - 1919 წლის დღესასწაულები: 20 უქმე დღიდან მხოლოდ 3 (ახალი წელი, 1-ელი მაისი და 26 მაისი) იყო საერო დღესასწაული, დანარჩენი 17 -

საეკლესიო, მათ შორის, შობას 2 დღეს (7-8 იანვარი), ხოლო აღდგომას 5 დღეს (ვნების კვირის პარასკევი და შაბათი, აღდგომა, აღდგომის კვირის ორშაბათი და სამშაბათი) ზეიმობდნენ საქართველოს მოქალაქეები.

ეს, რაც შეეხებოდა ოფიციალურ ნაწილს, მაგრამ როგორი იყო რეალური სურათი? როგორ ემზადებოდნენ, როგორ მხიარულობდნენ, ერთობოდნენ და ქეიფობდნენ პირველ რესპუბლიკაში? აქვე უნდა ითქვას, რომ სრულიად განსხვავებული იყო საზოგადოების განწყობა სამივე ახალ წელს („დაგვიანებულ“ 1918 წელზე დასაწყისში ვთქვით) - მიუხედავად დღესასწაულისა, არც ერთი წუთით არ ივიწყებდნენ ქვეყნის მდგომარეობას და ზეიმებიც ისე ეწყობოდა, რომ სიამოვნებასთან ერთად, საერთო საქმისთვისაც ერგოთ...

1919 წელს საქართველო შფოთითა და პრობლემებით ხვდებოდა - რადგან ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო სომხეთ-საქართველოს ომის შედეგები. მაგრამ სასიხარულო ახალი წელი გაუთენდა საქართველოს - გავიმარჯვეთ, ომი ზუსტად 31 დეკემბრის ღამის 12 საათზე შეწყდა და ქვეყანა ბედნიერებამ მოიცვა. გაზეთები სავსეა მისალოცი განცხადებებითა და სადღესასწაულო საღამოების ანონსებით. ასეთი განცხადებაც გამოქვეყნდა: „ვექილი შარაშიძე ულოცავს ყველა მეგობარს მტერზე გამარჯვებას, ახალ წელს და შობას - ერთად, და ეპატიჟება ყველას მის ოჯახში, 8 იანვარს, საღამოს 6 საათითგან“ - როგორია?! ყველას ეპატიჟება!!! ქვეყნის ყველა თეატრში ეწყობა საზეიმო კონცერტები და ბენეფისები, წარმოდგენები ბავშვებისათვის - „საჩუქრებითა და ქალაქში გასეირნებით“. კიდევ ერთი საჩუქარი მოსწავლეთათვის - განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ მოწაფეები არდადეგების შემდეგ მიიღებენ ტრამვაის 50%-იან აბონემენტებს.

მაგრამ მთავარი სხვა იყო: დღესასწაული არავის ავიწყებდა საქვეყნო ვალს და ყველა ცდილობდა, დახმარებოდა ახალდამთავრებულ ომში დაღუპულთა ოჯახებსა და დაჭრილებს. ეს რომ ასე იყო, გამოქვეყნებული სიები ადასტურებს, რომლებშიც დაწვრილებით არის ჩამოთვლილი, ვინ რამდენი ფული, ასანთი, პაპიროსი, თეთრეული, თბილი წინდა, ხორბალი, საწერი ქაღალდი, მელანი და კონიაკიც კი(!)შესწირა საერთო საქმეს...

ერთ წელს „გადავახტეთ“ და ჯერ 1920-21 წლის გასაყარის პრესა ვნახოთ, რადგან იმ ახალ წელსაც ღია ფრონტით შეხვდა ქვეყანა: ქართველები ვერ ჩაერევით იმ დავაში, რომელიც ახლახან ესტონელებსა და ლიტველებს

შორის გაიმართა, თუ სად მოირთო პირველად საშობაო ნაძვის ხე, მაგრამ რუსეთისაგან განსხვავებით რომ არა მარტო თბილისი, არამედ მთელი საქართველოც ნაძვის ხეებით ხვდებოდა, ამას გაზეთ „საქართველოს“ 1920 წლის ქრისტესშობისათვის 23-ის ნომერში გამოქვეყნებული განცხადებაც მოწმობს: „შაბათს, 25 დეკემბერს და კვირას, 26 დეკემბერს, თბილისში და რესპუბლიკის ყველა კუთხეში ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი აწყობს „ფრონტის შობის ხეებს“. თბილისში, სასახლის წინ, ქუჩაში დადგმულ ყუთებში შეგროვდება შემოწირულობა. მოვუწოდებთ ყველა მოქალაქეს, კლასისა და ეროვნების მიუხედავად, შემოიტანოს, რაც შეუძლია“.

საომარი მდგომარეობის მიუხედავად, დამოუკიდებლობის მესამე წელს ვითვლიდით და ქვეყანაც უკვე ქვეყანას ჰგავდა - პრობლემები პრობლემებად, მაგრამ შესაბამის დროს მხიარულებასა და დროს ტარებაზეც არ ამბობდა უარს საქართველო და დღეს რომ ჩვენს „შოუმენებს“ თავი ქართული „ივენთების“ პიონერები ჰგონიათ, 1920 წლის 24 დეკემბრის ერთი საგაზეთო რეკლამა ვნახოთ და მერე შევედაროთ ასი წლის წინანდელ თბილისს: „შაბათს, 25 დეკემბერს, „არმაზში“ (ყოფ. „ქიმერიონი“) გრანდიოზული საღამო: მთ. შემადგენლობა ბოშათა ჯგუფისა, თამარ წერეთელი, ვერიკო ანჯაფარიძე, ვანო ნანიაშვილი, იესე ანდრონიკაშვილი, მიხეილ ჭიაურელი, პაოლო იაშვილი, სანდრო ყანჩელი, ტიციან ტაბიძე და მთელი თბილისის არტისტული ძალები. საერთო ცეკვა, შარჟი, ექსპრომტები, ყვავილები, შამპანური, კრუშონი, გრანდიოზული შობის ხე, ჰაეროვანი ბურთები. კონფერანსიე - პაოლო იაშვილი! სტოლებზე ჩაწერა თ. ავალიანთან, ტელეფონი 15-84“...

ყველაზე ნაკლები პრობლემითა და ყველაზე მეტი იმედით 1920 წელს შეხვდა საქართველო: უამრავი უცხოური დასი თუ შემსრულებელი; საზეიმო-საქველმოქმედო საღამო; გრანდიოზული ფასდაკლებები ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტკბილეულის, ალკოჰოლური სასმელების, წიგნებისა და საოჯახო ტექნიკის მაღაზიებში (მაგალითად, გერმანული „ზინგერის“ საკერავ მანქანებსა და შვეიცარული „ომეგას“ საათებზე - ორივე ამ ბრენდს წარმომადგენლობები და მაღაზიები ჰქონდა თბილისსა და ქუთაისში); ქართველ, რუს და ევროპელ მხატვართა გამოფენები და პოეტების საღამოები: „ქართველ მწერალთა კლუბი“, „ქიმერიონში“ (დღევანდელი - „თბილისი მერიოტის“ სარდაფში - ზ.დ.) მართავს შეხვედრას და მკითხველს აუწყებს: „დღის 1-ელი საათიდან 5-მდის სადილი. უკრავს რუმინული

ორკესტრი ანგელესკუს ლოტბარობით. საღამო დაიწყება 10 საათზე, პროგრამა - 11 საათზე. კონფერანსიე - ნეჩაევი (ბოლშევიკებს გამოქცეული გამოჩენილი რუსი მსახიობი - ზ.დ), ღამე - საზეიმო მიგებება ახალი წლის (ძველი სტილით). დაკვეთა წინასწარ“.

მაგრამ ხომ იყო ხალხი, ვისაც არ უნდოდა ეს რუმინული ორკესტრი და „ჰაეროვანი ბუშტები“?! კი ბატონო, ასეთები აქეთ „მობრძანდით“: „ამით ვაუწყებთ სიძველის მოყვარეთ, რომ კაფე-რესტორან „26 მაის“-ში სამშაბათს, იანვრის 13 მიგებებაა ახალი წლის (ძველი სტილით). მენიუ: შემწვარი ორაგული, ზუთხი სალათით, შემწვარი გოჭი საწებელით, ბატკანი სალათით, ნაღები, ნაყინი, ხილი, ღვინო და ლიქიორი სხვადასხვა მარკების. მაგიდის დაკვეთა წინასწარვე მიიღება. ფასი 4 სულისთვის 100 მან. ყოფილი აფიცერთა საზოგადოების გამგეობის შენობა“. საინტერესოა ფასი: 4 კაცზე ასეთი მენიუ 100 მანეთი ჯდება იმ პირობებში, როდესაც გაზეთის ერთი ეგზემპლარი (1920 წლის 13 იანვრის „საქართველოს“ ის ნომერიც, სადაც ეს განცხადებაა) 3 მანეთი ღირდა! გადავთვალოთ ახლა და ვნახოთ, რას მოგვართმევენ ახლანდელი თბილისური რესტორნები გაზეთის 33 ეგზემპლარის ფასად. აი, ასე ზეიმობდდნენ პირველი რესპუბლიკა და მისი მოქალაქეები...

P.S. დასაწყისში ნახსენები, „ახალი წლის დამგვიანებელი“ ევგენი აფხაზავა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ახალშექმნილ ქართულ გვარდიაში ჩაეწერა და მამაცი ქართველი ოფიცერი იმ ამბიდან ერთ კვირაში - 1918 წლის 8 იანვარს შეეწირა ფრონტიდან გამოქცეული ბოლშევიკი ჯარისკაცების ბანდებთან ბრძოლას. ამ უმართავი ძალის მოთოკვამ და განიარაღებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქვეყანაში ბოლშევიკური ქაოსის ალაგმვა და რამდენიმე თვეში დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება.

ზვიად დოლიძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ლექტორი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

„...ისტორიამ გვაჩვენა, რომ ერთხელ მოპოვებული ეროვნული დამოუკიდებლობა „ინფექციურია" და მხოლოდ განუზომელი გარეშე ძალის გამოყენებით შეიძლება მასზე უარი ათქმევინო ვინმეს..." ზბიგნევ ბუეზინსკი

„...მე საქართველოს მოქალაქე ვარ - ეს არის უძვირფასესი მონაპოვარი დღევანდელი საქართველოსი. ყველაზე საფრთხილო, ყველაზე სათუთი, ყველაზე სავალალო, ყველაზე მეტად საზრუნავი მონაპოვარი..." ოთარ ჩხეიძე

„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო"- იმისათვის, რომ ეს სიტყვები 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციაში ჩაწერილიყო და თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ერთგვარ სამართლებრივ ბაზისად ქცეულიყო, 70 წლის განმავლობაში საბჭოთა მარწუხებში მოქცეულმა, თავისუფლებააყრილმა ქართველმა ერმა დიდი საფასური გადაიხადა.

დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებულმა თაობებმა ადეკვატურად უნდა შეაფასონ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებიდან გასული საუკუნოვანი პერიოდი და გაიაზრონ მისი მნიშვნელობა აწმყოში. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა გასული ასწლეულის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტების ანალიზი. უნდა განვსაზღვროთ: როდის, რატომ და როგორ დაირწა პირველად თავისუფალ საქართველოში დემოკრატიის აკვანი, რატომ დავკარგეთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როგორ მოვიპოვეთ იგი ხელახლა, სად ვართ დღეს და სად გვინდა, რომ ვიყოთ. როგორც აკაკი ბაქრაძე წერდა, ჩვენი ეროვნული ხასიათის ამოცნობა იმისთვის არის აუცილებელი, რომ უმეცრების გამო თავს არ მოვიხვიოთ ის, რაც უცხო და მიუღებელია ჩვენთვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1028-დღიანი „თავგადასავალი" 1918 წლის 26 მაისს, 17 საათსა და 10 წუთზე, საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ თბილისში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაიწყო. ეროვნული დამოუკიდებლობა, როგორც მონაპოვარი, ლოგიკური შედეგი იყო ქართველი ერისა და მისი საუკეთესო

შვილების 117-წლიანი მიზანსწრაფული მოძრაობისა. ამასთან, არ უნდა უგულებელვყოთ იმ დროს შექმნილი საერთაშორისო კონიუნქტურაც, რამაც დიდწილად განაპირობა ქართულ პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოსულ ძირითად სუბიექტთა ინერციული, მაგრამ გააზრებული სვლა - დამოუკიდებლობის გამოცხადება.

„...თავისუფალ საქართველოს თავისუფალნო შვილნო! წელში გაიშალენით... დღეიდან თქვენ მონები აღარ ხართ! დღეიდან თქვენ სწორუფლებიანი მოქალაქენი შეიქმენით ჩვენი საყვარელი საქართველოსი!..“ – ასე მიულოცა „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებიდან იოსებ იმედაშვილმა ქართულ საზოგადოებას „დროთა უკუღმართობის ცოდვაში დამწვარ-ჩაფერფლილი“ სამშობლოს აღდგენა და განახლება. ამგვარ პათეტიკას ჰქონდა რაციონალური საფუძველი. საქართველომ მცირე დროში შეძლო სამართლებრივი, ეკონომიკური თუ სოციალური რეფორმების გატარება, ყოველივე ამის ინსტიტუციონალიზაცია და იმ ფუნდამენტის შექმნა, რაზედაც უნდა დაშენებულიყო ქართული დემოკრატია. პირველ რესპუბლიკას გააჩნდა სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი. საქართველოს ჰყავდა დემოკრატიულად არჩეული მთავრობა და სენატი, ჰქონდა სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა: დროშა, გერბი, ჰიმნი. სახელმწიფო ენად განისაზღვრა ქართული ენა. ბოლშევიკურ ოკუპაციამდე 4 დღით ადრე მიღებული კონსტიტუცია - ევროპული, რესპუბლიკური, დემოკრატიული. ის არაფრით ჩამოუვარდებოდა თანადროულ თუ თანამედროვე მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის საუკეთესო ნიმუშებს. აღსანიშნავია 1919 წლის 14-16 თებერვალს საქართველოს ისტორიაში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული იყო.

დამოუკიდებელი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე 1968 წლის მაისში „რადიო თავისუფლების“ ქართული სამსახურისთვის პარიზში მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ ქართველი ერი თავისი ჩვეულებებით არის ევროპელი და არა - აზიელი. ეს სიტყვები პლაკატური შეძახილი არ ყოფილა. პირველი რესპუბლიკის ევროპული პოლიტიკური ღირებულებები იმ საკანონმდებლო აქტებში აისახა, რომლებიც შინაარსობრივი და პოლიტიკური მნიშვნელობით უაღრესად პროგრესული იყო და გულისხმობდა: შეკრების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებას,

ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების კონსტიტუციის დონეზე აღიარებას, აბსოლუტურ სეკულარიზმს, სოციალური უფლებების გარანტიებს, პრესის თავისუფლებას.

1918 წლის 26 მაისის აქტის მიღება უდავოდ დააჩქარა დაახლოებით ერთი წლით ადრე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამ. რუსეთის ხელისუფლება 900-იანი წლებიდან მოყოლებული აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის იდეას, რადგან მასში ქართველთა შელახული პოლიტიკური უფლებების აღდგენის საფრთხესაც ხედავდა. მართლაც, თავისუფალმა ქართულმა ეკლესიამ საზოგადოებრივი ნიადაგი მოამზადა და ფაქტობრივად, ერთგვარი პლაცდარმის როლი შეასრულა პირველი რესპუბლიკის შექმნაში.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენად იქცა ივ. ჯავახიშვილისა და სხვა ქართველი მამულიშვილების თაოსნობით თბილისში პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსება. იგი გახდა კულტურის, მეცნიერების, ნაციონალური ღირებულებების შენარჩუნებისა და გადარჩენის ცენტრი. უნივერსიტეტის პროფესურისა და რესპუბლიკის ხელისუფლების სანიმუშო თანამშრომლობამ ხელი შეუწყო სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნას. აქ დგინდებოდა ახლად დაფუძნებული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები, იქმნებოდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია, მუშავდებოდა ქართული კულტურული მემკვიდრეობის მართვის პოლიტიკა და სხვ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული ერთეულის არსებობა არ შედიოდა ბოლშევიკური რუსეთის გეგმებში. თბილისში იკვეთებოდა სხვადასხვა ქვეყნის ინტერესები. რასაკვირველია, რესპუბლიკის მესვეურთა მოქმედებები ამ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. არ დაგვავიწყდეს, რომ მოვლენები ელვისებურად ვითარდებოდა. იგი მყისიერი გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვდა. ასეთ პირობებში, ბუნებრივი იქნებოდა შეცდომებიც. თუმცა, მიუხედავად ამისა, გაუმართლებელი იყო ხელისუფლების არასახელმწიფოებრივი მილიტარისტული პოლიტიკა და ინდიფერენტული დამოკიდებულება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება-განმტკიცებისადმი. გენერალი გ. მაზნიაშვილის მემუარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,

სოციალ-დემოკრატიული პარტიის გასამხედროებულ დანამატად ქცეული სახალხო გვარდიის შტაბის წარმომადგენლები, რომელთა დაუსწრებლად ვერა საკითხი ვერ გადაწყდებოდა, ან სულ არ მიდიოდნენ დანიშნულ სხდომაზე, ანდა კრებას მთელი საათობით აცდევინებდნენ. იგი აგრეთვე იგონებდა: „არც ნდობა, არც ყურადღება, არც საღსარი..! და თუ იგი (ქართული ჯარი - რ.ო.) მაინც კიდევ არსებობდა, ეს უნდა მიეწეროს სამშობლოსადმი და საქმისადმი სიყვარულით განმსჭვალული ოფიცრებისა და პატიოსანი ჯარისკაცების საქმიანობას. მაზნიაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობამ, სამხედრო სამინისტრომ და მისმა ორგანოებმა ჩვენი საზღვრების დასაცავად არაფერი გააკეთეს. ეს მაშინ, როცა თბილისის აღებისთვის მზადყოფნის შესახებ შეტყობინება ბოლშევიკური აგრესიის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე მიიღეს.

ამდენად, ისე გამოიხლართა „გორდიას კვანძი“, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას დამოუკიდებლად აღარც მისი გახსნა შეეძლო და აღარც - გაჭრა. გრიგოლ რობაქიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, უფსკრულზე მოქანავე საქართველოს, საქანელა სახრჩობელად გადაექცა. პირველი მსოფლიო ომისგან ეკონომიკურად დასუსტებულმა ევროპამ უარი თქვა საქართველოს სუვერენიტეტის დაცვაზე, რაც, ავტომატურად, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ძალისმიერი „გაწითლების“ დე-ფაქტო ლეგიტიმაციას ნიშნავდა. პირველი რესპუბლიკის 1028-დღიანი „სიზმარი დამოუკიდებლობისა“ 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის აღებითა და ბოლშევიკური ოკუპაციით დასრულდა. ახალი იმედებითა და იდეალებით სავსე ერი რუსეთის დესპოტიას დაუმორჩილეს. „დროთა უკუღმართობის ცოდვაში“ საქართველო კიდევ 70 წლის განმავლობაში „იწვებოდა“ და „იფერფლებოდა“. სამწუხაროდ, 1921 წელს, მსოფლიოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გააზრებული კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფცია: თავისუფლება საყოველთაო ფასეულობაა და საფრთხის შემთხვევაში იგი ერთხმად დასაცავია. საქართველოში შემოჭრა და მისი ანექსია პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საბჭოთა რუსეთმა ცინიკურად დაარღვია საერთაშორისო შეთანხმება. დღეს კი მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია, თუ რამდენი შეთანხმება დაარღვია მას შემდეგ ამ სახელმწიფომ.

დამპყრობლის ტოტალიტარულ სისტემას დაქვემდებარებული ერის მაჯისცემა მაშინ ჩერდება, როცა მონობის უღელდადგმულს უიმედობა სძლევს და თავისუფლების განცდადაშრეტილი, კარგავს წინააღმდე-

გობის გაწევის სურვილს. უდავო ჭეშმარიტებაა - „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი!..“ სხვა შემთხვევაში, პატარა ხანს დადგომაც კი „მყრალ გუბედ“ გადააქცევს ერსაც და ადამიანსაც. მიუხედავად უმკაცრესი დიქტატისა, ოკუპაციის პირველ და შემდგომ წლებშიც ორგანიზებულად თუ ქაოტურად, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, მიზანსწრაფულად თუ ინერციულად - ქართველი ერი და მისი „მოუთვინიერებელი“ ელიტა „მოძრაობდა“, „მოძრაობდა“ - თავისუფლებისაკენ!

რასაკვირველია, მარტოოდენ ერში არსებული ემოციური მუხტი არ არის დამპყრობლის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლისთვის საკმარისი საფუძველი - მოსალოდნელი დანაკარგისა და პოტენციური შედეგების შედარებითი ანალიზის გარეშე. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ კარგად დაგეგმილ და ცუდად განხორციელებულ პირველ და უკანასკნელ საყოველთაო ამბოხს (1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყება) ნაკლებად ჰქონდა რაციონალური საწყისები. იგი მარცხისთვის იყო განწირული. როგორც გერონტი ქიქოძე აღნიშნავდა, შეთქმულებმა მეტი რომანტიზმი გამოიჩინეს, ვიდრე საღი პოლიტიკური გონიერება. თავისუფლების წყურვილი ერთია, პრაგმატული განსჯის უნარი - მეორე. სამწუხაროდ, პირველმა სძლია მეორეს, რამაც ისევ „უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები...“.

ფიზიკურ ასპარეზზე მარცხგანცდილი და იარაღაყრილი ერისათვის მთავარ ამოცანად ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენა იქცა. ეს ურთულესი მისია თავს იდვა ხელოვნებამ. იგი იყო და არის ყველაზე ძლიერი იარაღი ადამიანის ხელში - თავისი დაუძლეველი სიმტკიცის, სიდუხჭირის წინაშე შეუდრეკელობისა და თავისი იმედის კანონიერების დასამტკიცებლად. ქართველი ერის „იმედის კანონიერება“ არაერთხელ დაასაბუთეს ქართული სიტყვიერი ხელოვნების დიდოსტატებმა: პოეტებმა, პროზაიკოსებმა, დრამატურგებმა. მათ შემოქმედებაში პირდაპირ თუ სიმბოლურ-ალეგორიულად - აირეკლა საქართველოს უახლესი ისტორიის დრამატული ფურცლები. ჩვენი ეროვნული ენერგია ნაციონალურ მწერლობაში აკუმულირდა. მან დაიცვა წმინდა გრაალი - შეგვინარჩუნა რწმენა მომავალში ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. სწორად შენიშნავდა აკაკი ბაქრაძე მოგვიანებით, - დღეს ჩვენ ვერ მოვახერხებდით თავისუფლებისათვის ბრძოლას, მწერლობას რომ არ ეხსნა ჩვენი სულიო.

საბჭოთა უტოპიურ იმპერიას რაციონალურ-კოგნიტური საყრდენი არ გააჩნდა. სწორედ ამიტომ, ჭეშმარიტ ხელოვნებას საბჭოთა იდეოლოგიამ კვაზიხელოვნება დაუპირისპირა, რომელსაც „მხატვრულად უნდა გადმოეცა გმირული პათოსითა და ენთუზიაზმით სავსე სოციალისტური მშენებლობა, მსოფლიოს ერთ მეექვსედზე დამკვიდრებული ბედნიერი და მხიარული ცხოვრება. ბუნებრივია, ქართველ ხელოვანთა შემოქმედებითი თავისუფლება და ინდივიდუალიზმი მიუღებელი აღმოჩნდა კომუნისტური რეჟიმისთვის. „სტახანოვურ მოძრაობასა“ და სოციალისტურ შეჯიბრებებში ჩართული „ბედნიერი და მხიარული“ ხალხისთვის ევგენი მიქელაძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის და სხვათა არანომენკლატურული შემოქმედება ზედმეტი იყო. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ექცეოდა სისტემა თავისუფალ შემოქმედს, რეჟისორ სანდრო ახმეტელის მაგალითიც კმარა. მან „არ მოისურვა, გარდაექმნა მუშაობა საბჭოთა თეატრის გაზრდილ მოთხოვნილებებთან შეფარდებით - სცადა რა თეატრის გადაყვანა „ლამარას“ ნაციონალისტურ რელსებზე. იგი არ ჩაება ბოლშევიკების ფერხულში. ვერ მოათვინიერეს, ვერ გარდაქმნეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

დროთა განმავლობაში, საბჭოთა პროპაგანდამ და რეპრესიულმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო: განათლება - სწორხაზოვანი, პრესა - პარტიული, ოპოზიციური ხმა - ჩახშობილი, „საშიში ლიტერატურა“ - აკრძალული, რელიგია, ღმერთი და ეკლესია - დაგმობილი და უარყოფილი, საბჭოთა სოციალისტური იდეოლოგია - განდიდებული, კომუნისტი ბელადები - გაღმერთებული. კომუნისტური დიქტატურის გარემოში ხანგრძლივმა ცხოვრებამ და კომუნისტურმა აღზრდამ საზოგადოებაში, თითქოს, თვითგადარჩენისა და შეგუების ბუნებრივი ინსტიქტი განავითარა. მიუხედავად ამისა, დრო და დრო ვლინდებოდა ქართული ნონკონფორმისტული ხასიათი - მიმართული დამპყრობელი რეჟიმის წინააღმდეგ. ქართული მოდგმის სიცოცხლისუნარიანობის აშკარა დადასტურება იყო დამოუკიდებლობის ლოზუნგებითა და ელემენტებით დატვირთული 1956 წლის 9 მარტი, როდესაც „აღსდგა, ხალხი, მძინარე, მტარვალისათვის მახვილის დასაცემად.“ არ უნდა დავივიწყოთ ქართული იატაკქვეშეთის ქრონიკები, უწვერული სკოლის მოსწავლეების - მომავალი დისიდენტებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მომავალი ლიდერების უკომპრომისო ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ. შეუძლებელია უგულებელვყოთ 1978 წლის 14 აპრილი - ქართულ საზოგადოებაში ათეული

წლის განმავლობაში დაგროვებული ნაციონალისტური იმპულსების დემონსტრირების, დედაენის გადარჩენის, სისტემის მარცხისა და უკან დახევის დღე.

იატაკქვეშეთიდან ამოსული დისიდენტური ძალების შეუქცევადმა მოძრაობამ ლოგიკური დასასრული ჰპოვა. 1989 წლის 9 აპრილის დაუმორჩილებლობის აქტი და მშვიდობიან მომიტინგეთა დაღვრილი სისხლი მაცნე იყო მოახლოებული თავისუფლებისა. მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში ეროვნული ძალების ისტორიული გამარჯვება და საყოველთაო რეფერენდუმით დამოწმებული დამოუკიდებლობის სურვილი - გახდა საფუძველი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. ყავლგასული, ანტიჰუმანური სისტემა დაეცა. თუმცა, საუბედუროდ, როგორც მერაბ კოსტავა ამბობდა, ქართველები მხოლოდ გადამწყვეტ მომენტში ვერთიანდებით - როდესაც დაღუპვის კარსა ვართ მიმდგარი. რაც შეეხება შემდგომ ეტაპს, როცა განვითარება და აღორძინება უნდა დაიწყოს ერმა - ისევ თავს იჩენს ჩვენი პრომეთეული გოროზობა, ჩვენი ეს ოდითგანდელი სენი და კვლავ ვერთმანეთს ვშორდებით...

„ბოროტების იმპერიის“ რევანშისტულმა ქმედებებმა და ჩვენმა ურთიერთგაუტანლობამ „შორს გადატყორცნილი სამოთხის ნატეხი“ ჯოჯოხეთად აქცია. დემოკრატიის გადარჩენისა და „ზვიადიზმის“ დამარცხების სახელით მოქმედმა მანქურთებმა, ანარქისტებმა და მათმა მხარდამჭერმა „ელიტამ“ 1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფოებრიობას ომი გამოუცხადეს. მათ ვერ გაიაზრეს დემოკრატიის „ანა-ბანა“ და ერთი მარტივი ჭეშმარიტება: დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება ისევ საზოგადოებამ უნდა გადაირჩიოს კანონით დადგენილი წესით და არა - შეიარაღებულმა „ოპოზიციამ“. 70 წლის განმავლობაში საბჭოთა ტოტალიტარულ სივრცეში მცხოვრები საზოგადოების მენტალური გარდაქმნა რამდენიმე თვეში შეუძლებელი აღმოჩნდა. ხელისუფლების შეცვლის დემოკრატიულ გზას კვლავ საბჭოური მეთოდი - ძალადობა, ვარჩიეთ. კანონიერი ხელისუფლების დამხობით მტერმა იხეირა, ჩვენ კი მივიღეთ: სამოქალაქო ომი, პოლიტიკური ქაოსი, სრული განუკითხაობა, დახვრეტილი მიტინგები, სადამსჯელო ოპერაციები საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, ოსური და აფხაზური სეპარატიზმი, დაცემული სოხუმი და ამ ყველაფრის პასუხად - ცივილიზებული სამყაროს დუმილი.

ზემოხსენებული მოვლენები ცალსახად ნეგატიურად უნდა შეფასდეს. თუმცა, ამასთანავე, არ შეიძლება, არ აღინიშნოს XX საუკუნის მიწურულს

საქართველოში დაწყებული და განხორციელებული სამართლის რეფორმა და მისი დადებითი ასპექტები. ამ პერიოდში ევროპული სამართლის რეცეფციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც გახდა დასაბამი თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს შენებისა.

მიუხედავად დასახელებული პოზიტიური ეფექტისა, ქვეყანაში გამეფებულმა სიღატაკემ, კორუფციამ და უძრაობამ მოსახლეობა იძულებული გახადა, ინერტული დროება ე.წ. ვარდების რევოლუციით დაესრულებინა. ახალი საუკუნის დასაწყისშიც შედარებით ჰუმანური, მაგრამ მაინც ძალადობრივი გზით განვაგრძეთ სვლა. რევოლუციის შემოქმედებმა ქვეყნის მერყევი საგარეო კურსი ცალსახად მიმართეს დასავლეთისკენ. ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს მიერ სტრატეგიულ პარტნიორად აშშ-ის განსაზღვრა კი განაპირობა იმედმა: ეს ზესახელმწიფო რუსეთისგან განსხვავებით ისე გამოიყენებდა მოკავშირე ქვეყნის გეოპოლიტიკურ სივრცეს, პოლიტიკასა და სამხედრო შესაძლებლობებს, რომ შეუნარჩუნებდა მას სუვერენიტეტს, ეროვნულობას, ენასა და კულტურას.

ბუნებრივია, ჩრდილოელი მეზობელი გააღიზიანა საქართველოს ამ ნაბიჯმა. იგი ყოველმხრივ ცდილობდა სეპარატისტული ძალების აშკარა წაქეზებით ქვეყანა ჩაეთრია ფართომასშტაბიან საომარ დაპირისპირებაში. 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა „ოლიმპიური ომით“ „დააგვირგვინა“ დაწყებული პროვოკაციები. შედეგად, ორი ისტორიული ქართული მხარე ოკუპირებულ ტერიტორიებად იქცა. ეს იყო გაფრთხილებაც, მუქარაც და ძალის დემონსტრირებაც. მიუხედავად ამგვარი დანაკარგისა, საქართველომ არ გადახედა არჩეულ საგარეო პოლიტიკურ კურსს და განაგრძო სვლა იმ სამყაროსკენ, რომელშიც პატივს სცემენ ქვეყნის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, იცავენ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპს და თითოეულ სახელმწიფოს თანასწორუფლებიან სუბიექტად აღიქვამენ.

დემოკრატიული პროცესების წინსვლაზე მეტყველებს 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლების არაძალადობრივი, არჩევნების გზით შეცვლის პრეცედენტი. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არის საძირკველი, საშუალება და არა - საბოლოო მიზანი. ამ კუთხით მნიშვნელოვანია: ინდივიდის პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფა, სამოქალაქო მართლშეგნების, სამოქალაქო თვითშეგ-

ნებისა და საზოგადოების კოლექტიური პასუხისმგებლობის ამაღლება, ქართულ სინამდვილეს მორგებული დემოკრატიული ინსტიტუტების თანმიმდევრული ფორმირება, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, მისი ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდა, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბება.

პირველი რესპუბლიკის დაფუძნებიდან განვლილი ასი წელი ეპოქის „გაბზარულ და შიგა-და-შიგ ლაქებიან სარკეში“ არეკლილი ისტორიაა. იგი უნდა მივიღოთ, როგორც მოცემულობა და შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ. დღესაც ქართული სახელმწიფოებრიობა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ამ გამოწვევების ადეკვატური აღქმა მართებს როგორც სახელმწიფო ხელისუფლებას, ისე - საზოგადოებას. აღნიშნულის შეფასების პროცესში პრაქტიკული განსჯისა და ანალიზისთვის ყველაზე ავთენტიკურ დოკუმენტს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში წარმოადგენს. უწყების დასკვნით, საქართველოს სახელმწიფოსთვის მთავარ საფრთხედ სამართლიანად არის მიჩნეული ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების არსებობა. რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის არაფორმალური ანექსიის მიმდინარე პროცესი, მზარდი მილიტარიზაცია, უკანონო დაკავებები და ქართული მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია. ამის პასუხად, საქართველომ უნდა განაგრძოს პრაგმატული პოლიტიკა და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა დიპლომატიური ბერკეტი, რათა გაძლიერდეს საერთაშორისო ზეწოლა ოკუპანტ სახელმწიფოზე. დასავლელი პარტნიორებისა თუ აშშ-ის მხარდაჭერა და არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება ძალზე მნიშვნელოვანია კონფლიქტის დეესკალაციის პროცესში. ამავე დროს, საერთაშორისო მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურ განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით.

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია არის გარანტი ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ამაღლებისა. სწორედ ამიტომ, საქართველო დეკლარირებულად განაგრძობს დასავლეთთან დაახლოების პოლიტიკას, რაც კონკრეტულ შედეგებში რეალიზდა (შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედება, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება და სხვა). „ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პრეამბულის მიხედვით,

მხარეთა საერთო სურვილია, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმავონ ურთიერთობები ამბიციური და ინოვაციური გზით. ეს გზა არ არის სწორხაზოვანი. ამ თანამშრომლობის პროცესში ჩვენ უნდა შევძლოთ საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება, კანონის უზენაესობის დაცვა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება, პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება.

„ევროპულ წესსა და ცხოვრებასთან“ დაახლოების სასიცოცხლო მნიშვნელობა არაერთი პუბლიცისტის მსჯელობის საგანი გამხდარა საქართველოში. ნიკო ნიკოლაძის აზრით, „იქაურ ხალხებს პირდაღებული და გულხელდაკრეფილი არ მოუცდიათ ამ ბედისთვის და არც ეს სიკეთეები ზეციდან ჩამოცვენიათ. არა, იმათ ძლიერ ბევრი უშრომიათ, ბევრი უმეცადინებიათ, ბევრნაირი საცადი უსინჯავთ, სანამ ეხლანდელ თავიანთ მდგომარეობას და მღიმარე ბედს მოიპოვებდნენ... მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სახელმწიფოებრივ თვითშეგნებაზე დაფუძნებული თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. მაგრამ, თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს „ევროპული წესისა და მეცნიერების“ დამკვიდრება საქართველოში, მარტოოდენ ევროპული მიღწევებით აღტაცება არ არის საკმარისი. ამ ყველაფერს საჩუქრად არავინ გვიძღვნის ზეციდან, ეს ყველაფერი უნდა მოვიპოვოთ - „ბევრი შრომით, ბევრი მეცადინეობით და ბევრი საცადის სინჯვით“.

დღეისათვის, ხელახლა უნდა გავიაზროთ ილიას „ნაციონალური კონსოლიდაციის“ კონცეფცია. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მხოლოდ კონსოლიდირებულ ერს შეუძლია ტრადიციებზე დაფუძნებული და ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი ეროვნული კულტურის განვითარების პარალელურად, ახალი იდეებისა და ღირებულებებისათვის გახსნილი საზოგადოების ჩამოყალიბება. ასე შენდება თავისუფალი, ერთიანი, ძლიერი, შემწყნარებელი, მიზანდასახული საზოგადოება. ამ საზოგადოებას აშენებენ ეროვნული თუ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მატარებელი, დროის გამოწვევების მიმართ ადეკვატური ადამიანები. ასე ყალიბდება სახელმწიფო.

რატი ოქროპირიძე

თსუ, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი

სუვერენულ უფლებათა მატარებელი საქართველო და ქართველ გმირ ქალთა ნარატივი

შესავალი

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მსოფლიოს ახალი სახელმწიფოს დაბადება ამცნო. პირველი ქართული რესპუბლიკის შექმნას წინ უძღვოდა ერთწლიანი პერიოდი, რომელიც ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენებით იყო აღსავსე. 1917 წლის გაზაფხულზე საქართველოში მოქმედმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებმა, ეროვნული ყრილობა მოიწვიეს. 1917 წლის 22 ნოემბერს კი ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც ფაქტობრივად მთავრობის მოვალეობას ასრულებდა. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, 1917 წლის ნოემბერში, კიდევ უფრო შემცირდა რუსეთის გავლენა საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში. კავკასიის გავლენიანი პოლიტიკური წრეები და მოსახლეობა იმთავითვე მტრულად განეწყვნენ ვლადიმირ ლენინის მთავრობისადმი, რომელიც არც კანონიერი იყო, არც ლეგიტიმური და არც გამოხატავდა რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების გავლენის ჯერ დასუსტებამ, ხოლო შემდეგ კი მოსპობამ გამოიწვია სხვა რეგიონული და საერთაშორისო მოთამაშეების გააქტიურება. ისარგებლა რა სამხრეთ კავკასიიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების წასვლით, თურქეთმა გადაწყვეტილება ექსპანსიის სასარგებლოდ მიიღო და მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. იმის გამო, რომ კავკასიურმა ფედერაციამ უძლურება გამოიჩინა და თურქეთის აგრესიის საწინააღმდეგოდ სათანადო ზომები არ მიიღო, იგი დაშლილად გამოცხადდა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ნოე ჟორდანიას, თავმჯდომარეობით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. ეს იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც რუსეთის იმპერიის ყოფილ პერიფერიაზე, ბევრ განვითარებულ ქვეყანაზე ადრე ჩაატარა საყოველთაო არჩევნები ორივე სქესის მოქალაქეთა მონაწილეობით, მიიღო კონსტიტუცია, დააფუძნა სა-

ხელმწიფო ინსტიტუტები შეიმუშავა კანონმდებლობა ეროვნული და რელიგიური უმცირესობების დასაცავად, გასაქანი მისცა ქალთა უფლებებს, შექმნა მრავალპარტიული სისტემური მმართველობის კარგი მაგალითი, ჩამოაყალიბა პოლიტიკური აზრისა და დებატების კულტურა. რასაკვირველია, იყო შეცდომებიც, მარცხი თუ მცდარი საშინაო და საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. გაცილებით დიდ პრობლემებს წააწყდა ქართული სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე, მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებელმა მამებმა ზედმიწევნით დაიცვეს ყველა საერთაშორისო ნორმა, როგორც დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ასევე მის შემდეგ. ახალი მსოფლიო წესრიგის მამები საქართველოს ევროპის ნაწილად არ მოიაზრებდნენ, რაც უნდა დასავლურად განსწავლული და დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგული მთავრობა მჯდარიყო თბილისში. 1920 წლის 7 მაისს მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. საქართველოსა და რუსეთის მთავრობებმა ხელშეკრულება გააფორმეს. რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შემდეგ ჩვენი უსაფრთხოება, წესითა და რიგით, უნდა გაზრდილიყო და ამის კვალდაკვალ ის პერსპექტივაც უნდა გაგვჩენოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ახალი მსოფლიო წესრიგის ქვაკუთხედის, ერთა ლიგის, წევრიც გავხდებოდით. სამწუხაროდ, პირიქით მოხდა: ხელშეკრულებამ გზა გაუხსნა რუსეთის მე-5 კოლონის მოქმედებას ქვეყნის შიგნით, ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე კი ჩვენს იზოლაციას შეუწყო ხელი. 1921 წლის აპრილში დამარცხებული საქართველოს პირველი მთავრობა კონსტანტინოპოლის გავლით პარიზში ჩავიდა. პარიზში ჩასვლისთანავე, იგრძნეს რა საერთაშორისო სოლიდარობა, დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმიანობას. მათ დაიწყეს საერთაშორისო პარტნიორების ძიება ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებში. საქართველოს პირველი მთავრობა ბოლომდე ცდილობდა საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას, თუმცა საერთაშორისო საზოგადოება, დღევანდელის მსგავსად შეშფოთებას კი გამოთქვამდა, მაგრამ პრობლემის გადაჭრაში საქართველოს ვერ ეხმარებოდა. დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობა დიდი ხნის განმავლობაში იკავებდა თავს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე იურედ ეცნო, რადგან რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდნენ.

დამოუკიდებლობის სათავეებიდან დღემდე

XIX საუკუნის მეორე ნახევარი აღსანიშნავია, როგორც ეროვნული კონსოლიდაციის დასაწყისი, რომელმაც სათავე დაუდო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას. 1860-იან წლებში საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში „თერგდალეულთა“ თაობამ ქართული ეროვნული აზროვნებისა და რუსიფიკაციის პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა დაიწყო. ბრძოლის მთავარი იარაღი არც ხმალი იყო და მითუმეტეს არც ცეცხლსასროლი იარაღი, არამედ კალამი. აღსანიშნავია ისიც, რომ „თერგდალეულთა“ თაობაში დიდ ძალას წარმოადგენდნენ ქალებიც. 1870-იანი წლებიდან პრესაში გამოჩნდა ქართველი ქალების სახელებიც. ერთ-ერთი მათგანი იყო ახალგაზრდა მწერალი ნ. ინაიშვილი, რომელმაც ჟურნალ “მნათობში” საკმაოდ ცნობილი და გავლენიანი მოაზროვნის, ჯონ სტიუარტ მილის, წერილი “ქალთა განთავისუფლება” თარგმნა. მის გვერდით იყო ელ. ყიფიანიც, რომელმაც ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე არაერთი პუბლიცისტური წერილი დაწერა. ერთ-ერთი პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა იყო “უღელი”, რომელიც უცხოეთში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა ჟენევაში შექმნეს 1873 წელს. 70-იან წლებში ქართველ ახალგაზრდებში პოპულარული გახდა ეროვნული თემატიკა და მათაც ჰქონდათ სურვილი, საკუთარი ცოდნა და ევროპული გამოცდილება სამშობლოსთვის გაეზიარებინათ. სწორედ ამ მიზანს ატარებდა საზოგადოება “უღელი”. ამ პერიოდისთვის ბრძოლის მთავარი პლატფორმა კი პრესა იყო. პირველი გაზეთი, რომელსაც მეტ-ნაკლებად ეროვნული ხასიათი დაკრავდა, “ტფილისის უწყებანი” იყო, რომელიც პირველად 1828 წელს გამოვიდა და სულ რაღაც 4 წელს იარსება. ეს გაზეთი წარმოადგენდა “ტფილისსკიე ვედომოსტის” ქართულ ანალოგს. გაზეთის რედაქტორი იყო სოლომონ დოდაშვილი. გაზეთში იბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებები და პუბლიცისტური წერილები, სადაც ხშირად ეროვნულ საკითხებზე შექმნილი ტექსტებიც ხვდებოდა, თუმცა ეს საკმარისი ნამდვილად არ იყო.

ერთ-ერთი პირველი ჟურნალი, რომელმაც საქართველოს ისტორიაში ნამდვილად ღირსეული ადგილი დაიკავა, “ცისკარი” იყო, რომელიც 1851 წელს შეიქმნა. თერგდალეულების ინიციატივით, 1866 წელს შეიქმნა გაზეთი “დროება”, რომელიც ს. ხუნდაძის შეფასებით იყო, “პირველი ევროპული

ხასიათის გაზეთი ქართულ ენაზე, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობა ახასიათებდა და რომელიც ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემსახურებოდა".

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს მარქსიზმმა საქართველოსა და რუსეთში დიდი ადგილი დაიკავა. 1894 წელს ქართველმა მარქსისტებმა გამოაცხადეს ახალი ორგანიზაციის საქმიანობის დაწყება და მას გიორგი წერეთელმა "მესამე დასი" უწოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ბოლო ყველაზე გავლენიან გაზეთად "კვალი" იქცა, რომელიც მკვეთრად სოციალისტური იდეოლოგიის მატარებელი იყო.

განვიხილავთ როგორ განვითარდა მოვლენები 1918-1921 წლებში საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელსაც ჰქონდა თავისი კონსტიტუცია, ეროვნული საბჭო, სადაც კანონებს ქალებიც წერდნენ. ქვეყნისა, რომელიც იმდროინდელ ევროპის რუკაზე მოჩანდა როგორც პროგრესული, პროდასავლური სახელმწიფო. მაშინდელ პეტროგრადში (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგი) მომხდარი გადატრიალება ხელისუფლებისკენ გზას ხალხის მმართველობას გაუხსნის. იმპერატორ ნიკოლოზ მეორისა და რომანოვების დინასტიის მმართველობას დროებითი მთავრობა შეცვლის. 1917 წლის ოქტომბერში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და დროებითი მთავრობა დაემხო, შეიქმნა საბჭოთა რუსეთის მთავრობა ლენინის მეთაურობით. იმ პერიოდიდან შემორჩება ისტორიას სოციალ-დემოკრატ აკაკი ჩხენკელის წერილიც, გამოგზავნილი საქართველოს ეროვნული საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე, სადაც მათ დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას სთხოვს: „ურისკოთ არაფერი არ კეთდება... სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოთ! საჭიროა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა". ამბად შემორჩა, თითქოს მეფის რუსეთის დამხობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტს პეტროგრადიდან ამავე პარტიის ერთ-ერთმა წევრმა, გოგიტა ფაღავამ შეატყობინა. თბილისში გამოგზავნილ დეპეშაში თურმე ეწერა: „პეტერბურგში უშფოთველად გარდაიცვალა მოქალაქე მთავრობაძე, შეატყობინეთ ნათესავებს და ნაცნობებს". მერე თურმე ხუმრობდნენ კიდეც თბილისში, 5 „რევოლუცია ფოსტით მივიღეთო". რევოლუციამ რუსეთში, დააჩქარა მოვლენების განვითარება საქართველოში – დამფუძნებელი კრებაც ამ რევოლუციურ ორომტრიალში ჩამოყალიბდა. 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, ეროვნულმა საბჭომ საქართველოს პირველი მთავრობა დაამტკიცა. ის წარმოადგენდა სხვა-

დასხვა პარტიების კოალიციას, საიდანაც თანამდებობების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ. საქართველოს ახალ მთავრობას კონსტიტუციის შესამუშავებლად აუცილებლად სჭირდებოდა ლეგიტიმაცია და ხალხისგან მინიჭებული უფლება. გარდა ამისა, არჩევნების ჩატარება იყო უდიდესი გამოწვევა ახლად შექმნილი დემოკრატიისთვის. ეროვნული საბჭო მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო დამფუძნებელი კრების შექმნა, რაც არჩევნების გზით უნდა მომხდარიყო. „საქართველოს დამფუძნებელი კრება, არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, თავის პირველსავე სხდომაზე 1919 წლის მარტის 12-ს ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს…" – ვკითხულობთ დამოუკიდებლობის აქტის შესავალ სიტყვაში. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს ერთხმად მიიღო კონსტიტუცია. გარეთ, სახალხო ზეიმის ნაცვლად, ზარბაზნების ხმა ისმოდა. საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდ აისახა პირველი მთავრობის მიზნები, შეექმნათ დემოკრატიული, განვითარებული, თანასწორ უფლებებზე ორიენტირებული ევროპული კონსტიტუცია, რომელიც მთელს მსოფლიოში ერთ- ერთი გამორჩეული იქნებოდა. „ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა", – იტყვის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი – დასტური იმისა, თუ საით სურდა სვლა ამ ქვეყანას ასი წლის წინათ – სწრაფვა ევროპული აზროვნებისაკენ, დემოკრატიული წყობისკენ. საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელი მთავრობა კი მიიღებს კანონებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა და შრომითი ხელშეკრულების შესახებ და კანონს სახელმწიფო ენის შესახებ, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად გამოცხადდება ქართული ენა. საქართველოს ეროვნულ გერბზე თეთრ გიორგის გამოსახავენ – შვიდი მნათობით. დროშა სამფეროვანი იქნება: შავში, თეთრსა და შინდისფერში. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი „დიდება" გახდება. დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების მეორე თავში კი ჩაიწერება: „დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ორივე სქესის მოქალაქეთ". დამფუძნებელ კრებაში პირველი კანონმდებელი ქალები იქნებიან: ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე, ელეონორა ტერ-ფარსაგოვა-

მახვილაძე, ანა (ოლა) სოლოღაშვილი, ელისაბედ (ლიზა) ნაკაშიძე-ბოლქვაძე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე - ხუთივე სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, ხუთი ქალი 130 არჩეული დეპუტატიდან. ასე მოვედით ქალთა დიდ ჩართულობამდე დამოუკიდებლობა აღდგენილ სახელმწიფოში.

ქალები ასი წლის წინ – მოციმციმე წერტილი ძველ პოლიტიკურ რუკაზე

იმ დღიდან მრავალი წლის შემდეგ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი, მინადორა ტოროშელიძე გაიხსენებს: „საქართველო რუსეთისაგან გაითიშა. ქვეყანაში უცხოელების უზარმაზარი მასაა. თურქეთი აზერბაიჯანისაკენ დაიძრა საქართველოს გავლით და მის დაპყრობას შეეცადა. დაიწყო მოლაპარაკებები. ამიერკავკასია ჩამოშორდა რუსეთს. საქართველო ჩამოშორდა აზერბაიჯანსა და სომხეთს და დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა... შეიკრიბა დამფუძნებელი კრება. გამომუშავდა კონსტიტუცია. ჩატარდა დეპუტატთა არჩევნები. მუშაობა დუღდა! დღე და ღამე არ გვეძინა". საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის (SOVLAB) მკვლევარი ირაკლი ხვადაგიანი ამ მოგონებებს შეიტანს წიგნში „ისტორიები რეპრესირებული ქალების შესახებ". ამ წერილის ადრესატი კი დამფუძნებელი კრების წევრი, გაბო ცისკარიშვილია, რომელიც 1924 წელს დახვრიტეს ბოლშევიკებმა. „განა ვიცით, სად დაგიტიროთ, სად ვეძებოთ შენი საფლავი? მაგრამ შენ ხომ გულის უღრმეს ფსკერზე ხარ დამარხული და დაუღვრელი ცრემლის მლაშე ფენა ზედ გაფარია. გამშრალია ის ცრემლი, მაგრამ ღაპაღუპით ჩამომდინარე ცრემლზე უმწარესია. არ დაგივიწყებ. არა. არა. ვიდრე ჰფეთქს გული. ვამბობ მე. მოგონების პატარა ფურცლები იშრიალებენ დღეს, როცა დარგვალდა ორმოცი წელი სამშობლოსათვის შენი მეორედ სიკვდილის შემდეგ", – ამ სტრიქონებს ამოიკითხავს კიდევ ორმოცი წლის შემდეგ მკვლევარი ირაკლი ხვადაგიანი ქრისტინე შარაშიძის ჩანაწერებში. ამოიკითხავს ხელნაწერთა ინსტიტუტის შენობაში, სწორედ იმ ტერიტორიაზე, სადაც, სავარაუდოდ, ხვრეტდნენ ადამიანებს. ქრისტინე შარაშიძის დაკითხვის ოქმში, რომელიც 1922 წლის 18 თებერვლით თარიღდება, მას ეკითხებიან:

როგორი განწყობა გაქვთ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ? ქრისტინე კი პასუხობს: „არ თანავუგრძნობ და ვთვლი, რომ ეს ხელისუფლება დამყარდა რუსეთის წითელი არმიის დახმარებით და მან მოუტანა საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული უბედურება". ირაკლი ხვადაგიანი მესამე კურსზე იყო, როდესაც საქართველოს სახელმწიფო არქივში ე. წ. სამეულის (იგივე „ტროიკა", 1937-38 წლებში განხორციელებული ტერორის დროს სსრკ-ს შინსახკომთან არსებული „განსაკუთრებული სამეული", რომელსაც განაჩენი გამოჰქონდა) ფონდის დასამუშავებლად გაუშვეს. კვლევა დაიწყო და ძველ დოკუმენტებშიც მაშინ ჩაეფლო, როცა SOVLAB-ი ჯერ კიდევ არ არსებობდა. ერთ საინტერესო ხელნაწერს მეორე მოჰყვა, ერთ კითხვას სხვა, ნაპოვნ პასუხს ისევ კითხვა – ასე მიადგა დამფუძნებელი კრების ქალების ამბებს. მანამდე საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცოდა მათ შესახებ; ვინ იყვნენ და რა გამოარჩევდა ამ ხუთ ქალს, რომელთა სახელები და სახეები სამუდამოდ დაუკავშირდა დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიას. ირაკლიმ მათი გაფანტული ისტორიები ერთ დიდ თავგადასავლად აკინძა – მინადორა, ქრისტინე (ჩიტო), ანა (ოლა), ელეონორა (ლოლა), ელისაბედი (ლიზა)... ირაკლი ხვადაგიანი გვიამბობს, რომ 1917-18 წლებში კითხვა, თუ რატომ აქტიურობდნენ ქალები, აღარავის უჩნდებოდა: „მართლაც, რომ შევხედოთ იმდროინდელ ქვეყნებსა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის კუთხით შევაფასოთ მათი მოღვაწეობა, მაგალითად, საპარლამენტო წარმომადგენლობის დონეზე, დავინახავთ, რომ საქართველო არის ნათელი წერტილი აღმოსავლეთ ევროპის უზარმაზარ, ცარიელ სივრცეში. ჩვენ ამ დროს, სამი წლის განმავლობაში, ხუთი დეპუტატი ქალი გვყავდა". დამფუძნებელი კრების წევრი ხუთივე ქალი რეპრესიების მსხვერპლი იყო – ზოგი ფიზიკურად გადარჩა, თუმცა გადასახლებაში გატარებული წლების შესახებ სიცოცხლის ბოლომდე დუმდა.

ასი წლის შემდეგ

„გესმით ჩემი ხმა? გესმით ქალის ხმა?" – თითქმის ასი წლის შემდეგ, 2014 წლის შემოდგომაზე, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ გამართულ აქციაზე, მიკროფონში ჩაჰყვირებს ფემინისტი და „ქალთა მოძრაობის" ერთ-ერთი წევრი. ამ დღეს საქართველოს 25 ქალაქში გამოვიდნენ ქუჩაში

ქალები და მეტი ქალის ხმა მოითხოვეს პარლამენტში. უფრო მეტი, ვიდრე დღეს, 2016 წელსა, იქ – სულ 18 ქალი იყო, ანუ - 12%. მხოლოდ 12 ქალით მეტი, ვიდრე ასი წლის წინანდელი საქართველოს დამფუძნებელ კრებაში იყო.

დასკვნა

საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი იარსება (1918-1921) და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მისი მემკვიდრეობა დღევანდელი ქართული სახელმწიფოსათვის ფასდაუდებელი გამოცდილება და სიამაყის საგანია. 26 მაისი, საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღება, იუნკერთა გმირობა და 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმიის თბილისში შემოსვლა – ეს ის ფაქტებია, რომლებიც საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ კარგად იცის, თუმცა თავისუფლების ეს მცირე პერიოდი ჯერ კიდევ მოითხოვს შესწავლას. ამისი მიზეზი, პირველ რიგში, ჩვენს უახლოეს წარსულშია. დემოკრატიული საქართველო საკუთარი ევროპული ღირებულებებითა და თავისუფლებისაკენ სწრაფვით პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა უძლიერესი პროპაგანდისტული მანქანით აღჭურვილ საბჭოთა სახელმწიფოს მოდელთან. 2018 წელს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ასი წელი სრულდება. მოდის დამოუკიდებლობის იუბილე იმ ქვეყნისა, რომელიც, როგორც ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე ამბობს, იყო „თვალსაჩინოდ პროგრესული ქვეყანა, რომელმაც თავიდანვე დაიწყო დემოკრატიული პრინციპებით ქვეყნის აღმშენებლობა". და კიდევ, ეს იყო ქვეყანა, რომლის მაშინდელ ხელისუფლებაში არ აღმოჩნდა არც ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც რუსების მხარეზე გადავიდოდა. ყველა მათგანი ბოლომდე დამოუკიდებლობის ერთგული დარჩა.

თინათინ მშვიდობაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, ანუ როგორ ქმნის ანტითეატრი ახალ ღირებულებებს

"და ვინ იტყვის, რომ საქართველომ არ იცოდა სიცოცხლე, რომ მან არ იცოდა ბრძოლა და თავისუფლება, სილამაზისთვის არ მიეტანოს მსხვერპლი".

ტიციან ტაბიძე

სენეკამ მანამ, სანამ ქრისტე მოევლინებოდა სამყაროს, თავის მეგობარს მისწერა წერილი „ბედნიერ ცხოვრებაზე", რომელშიც ცხადად იკვეთება სტოიციზმის ფილოსოფიაცა და ისეთი რჩევებიც, დღესაც წარმატებით რომ შეგვიძლია დავეყრდნოთ. თუმცაღა, უმეტესწილად, ნათელყოფას საჭიროებს წერილის სათაური. სენეკასეული ბედნიერება დადებითი შეგრძნებების ყოფით გაგებასთან გაუცხოებულია, იგი ბერძნული სიტყვის Eudaimonia-ს ეკვივალენტია და ნიშნავს სიცოცხლეს, რომელიც ღირს იმად, რომ იცხოვრო.

ქართულ სინამდვილეში არაბედნიერი ცხოვრების მუდმივმა განცდამ მეტამორფოზა განიცადა და მსხვილმასშტაბიან რუკებზე გამორჩენილ ადგილებში შეიჭრა დაუოკებელი მოთხოვნა უფლებაზე, რომელიც ნამდვილად ღირს სიცოცხლედ.

ადამიანები ქმნიან კონსტიტუციას და კონსტიტუცია ქმნის ადამიანებს. სახალხო სულისკვეთება, ეროვნული იდენტობაცა და მისწრაფებანიც საუკეთესოდ წარმოჩინდა დამარცხებული ტოტალიტარიზმის ნარჩენებზე აღმოცენებულ საქართველოს მოქმედ უზენაეს კანონში, რომელიც ცნობს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. გადამეტებული არ იქნება, ვთქვათ, რომ ამგვარი ჩანაწერი მოწოდებულია, წარსულის იარებს უმკურნალოს. უნიკალური შიში, არ განმეორდეს წარსულში მომხდარი მოვლენები, კანონმდებლის საუკეთესო მრჩეველია და კონსტიტუცია იქცევა იმად, რადაც სახელმწიფოს გამოცდილებანი აქცევს. მაგრამ თუ გვინდა

„შიშის კონსტიტუციონალიზმის“ არსში ჩასვლა, უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაზე საინტერესო ის არის, რაც მას წინ უძღოდა.

სახელმწიფოებრიობა და თავისუფალი განვითარების დაუოკობელი სურვილი ის ღირებულებებია, რომლებსაც დაეფუძნა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები საქართველოში. 1776 წლის 8 ივლისს მიღებული „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, მის აღსანიშნავად ახმაურებული თავისუფლების ზარი და 1787 წლის კონსტიტუცია ამერიკის განვითარების ის ათვლის წერტილებია, რომლებიც კონტექსტუალურად ძალიან ჰგავს ქართულ სინამდვილეს. „ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს“: ამგვარად გახსნა ნოე ჟორდანიამ 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელზედაც ერთხმად მიიღეს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. საეტაპო მოვლენის აღსანიშნავად ჩვენთანაც გუგუნებდა ქართველი ერის სულიერი სიმტკიცის სიმბოლო, სიონის საკათედრო ტაძრის ზარები. ისევე, როგორც ამერიკის 1776 წლის „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიც ახალი ერის დაბადების ტოლფასი მოვლენა გახლდათ. სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი პაატა ცნობილაძე, რომ მან ზედმიწევნით კარგად განსაზღვრა ქვეყნის მომავალი განვითარების უალტერნატივო ორიენტირი - დამოუკიდებელი თვითმმართველი ერის თავისუფლება და განვითარება.

სახელმწიფოს თანამედროვე კონცეფციის განვითარების პირმშოა მანტრა, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს თავისუფლება მრავალი ინდივიდის თავისუფლების ჯამია, ვინაიდან მისი უპირველესი დანიშნულება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ცნობა და დაცვაა. შესაბამისად, ჩვენს ცხოვრებას თავისუფლებისა ჯადოსნური სიტყვა მართავს და სწორედ აღნიშნული ლაიტმოტივია ერთ-ერთი საგულისხმო საქართველოს გზაზე დამოუკიდებლობიდან თავისუფალი სახელმწიფოსაკენ.

„დამოუკიდებლობის დეკლარაცია... დეკლარაციული ქარტიაა ჩვენი უფლებების” - წერს თომას ჯეფერსონი და გადაჭარბებული არ იქნება, პარალელი გავავლოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტთან აღნიშნული თვალსაზრისითაც კი. დოკუმენტში ვხვდებით სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვან გარანტიას, რომელიც შინაარსობრივად

ცალსახად იყო გამოხატული იმ პუნქტში, რომელიც ადგენდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა, ხოლო, მეორე მხრივ, აქტის 1-ელი დამატების ტექსტში, აღნიშნულთან ერთად ვხვდებით სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობის ნიშნებს. ამგვარად, 100 წლის წინათ მიღებულ დოკუმენტში ფართოდ იყო გაცხადებული დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნა.

ჰანა არენდტისთვის თავისუფლება ახლის წამოწყების შესაძლებლობაა, თუმცა თუკი აღნიშნულს მივიღებთ, როგორც ყოვლისმომცველ განმარტებას, პოლიტიკური თავისუფლების ფესვები გარდაუვლად დაიკარგება. სწორედ ამიტომ, არენდტი თავისუფლების კვლევისას ეყრდნობა ორ ლათინურ ტერმინს: agere, წამოწყებას და gerere, წამოწყებისათვის მიდევნებას. ამგვარად, დამოუკიდებლობის აქტი არის თავისუფლების თვითმყოფადი გამოვლინება, agere და კიდევ მეტად საინტერესოა ქმედითი მიდევნება, ხელახალი დაბადება, gerere.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ სამწლოვანი ისტორიის იმ ნაწილებზე, რომლებიც მოგვითხრობენ ამბებს თანასწორობასა და ინდივიდუალურ თავისუფლებაზე.

ახლად ჩამოყალიბებული რესპუბლიკის მთავრობამ აქტიურად დაიწყო სხვადასხვა მიმართულებით დემოკრატიული რეფორმების გატარება, ისევე, როგორც ქვეყნის რეკონსტუქცია სხვადასხვა დაწესებულების მეშვეობით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე დიდებული მაგალითი სახელმწიფოს მშენებლობისა და დემოკრატიული ექსპერიმენტებისა ადრეულ მეოცე საუკუნეში.

1918 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, თბილისის მაზრის ყარაზაიას ოლქში, გამარჯვება მოიპოვა ფარი-ხანუმ სოფიევამ. ფარი ხანუმი პირველი მუსლიმი ქალი იყო მსოფლიო ისტორიაში, რომელმაც კენჭი იყარა და პოლიტიკური ძალაუფლება მოიპოვა არჩევნების გზით. გაზეთი „სახალხო საქმე“ მის წარმატებაზე წერდა: „აღსანიშნავია ერთი ფრიად სასიხარულო მოვლენა. ხმოსანთა რიცხვში შედის ყარაზაის ოლქიდან წამოყენებული მუსულმანელი ქალი, პარი-ხანუმ სოფიევი“.

1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა საყოველთაოობის მაღალი ხარისხით გამორჩეული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნები, ხმის უფლებით სარგებლობდა ყველა მოქალაქე 20 წლის ასაკიდან, განურჩევლად წარმომავლობისა თუ სქესისა. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში აირჩიეს ხუთი ქალი, რაც ჭეშმარიტად აღსანიშნავი ფაქტია.

პირველი რესპუბლიკის გამორჩეულობას ამტკიცებს სამოქალაქო უფლებების დაცულობის ხარისხი და მრავალფეროვნებისადმი შემწყნარებლობა. საზოგადოებამ მოიპოვა ავტონომია სახელმწიფოსაგან და მიიღო დემოკრატიის ინსტიტუციონალური გარანტიები. საგულისხმოა, რომ აქტიური და პასიური საარჩევნო ხმის უფლება მიენიჭა ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. დამფუძნებელმა საბჭომ საბოლოო ჯამში მიიღო 100-ზე მეტი კანონი, რომლებიც შინაარსობრივად შეეხებოდა კერძო საკუთრების აღიარებას, სარგებლიან გარემოს, უცხოელ ინვესტორებს, აგრარულ რეფორმებს, ისეთ სამართლებრივ საკითხებს, როგორიც მაგალითად ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ქვედა ინსტანციის მოსამართლეთა არჩევაა თვითმმართველობების მიერ. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, წამოწყებისათვის მიდევნება ნამდვილად ხასიათდებოდა უპრეცედენტო საკითხთა წრითა და თანამედროვე დასავლური სამყაროს ღირებულებების იმდროინდელ რეალობაში საკმაოდ წარმატებული ინტერვენციით. კარლ კაუცკიმ, ევროპის სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა, აღნიშნა, რომ ქართული დემოკრატიის გზა 1918-1920 წლებში კარდინალურად განსხვავდებოდა ბოლშევიკური არჩევანისგან - ნაცვლად დიქტატურისა და ტირანიისთვის დამახასიათებელი მეთოდებისა სახელმწიფო იმართებოდა დემოკრატიული გზით.

აღნიშნული პროცესები 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის ერთხმად მიღებით დაგვირგვინდა. ვინაიდან სოციალ-დემოკრატებით გახლდათ უმეტესწილად დაკომპლექტებული დამფუძნებელი კრება, მათმა იდეოლოგიამ ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის უზენაესს კანონზე. კონსტიტუციის მეცამეტე თავში „მოქალაქის უფლებათა“ თავისაგან განცალკევებით ჩამოყალიბდა სოციალური უფლებები, რაც, შესაძლოა, ემსახურებოდა მიზანს, წარმოჩენილიყო საქართველო ცალსახად სოციალურ სახელმწიფოდ, თუმცა კონსტიტუციის ტექსტში ვერ ვხვდებით ჩანაწერს აღნიშნულ პრინციპთან მიმართებით. ადამიანის სოციალური

დაცულობის თვალსაზრისით კონსტიტუციამ უნაკლოდ წარმოადგინა სამი უმთავრესი სიკეთე: სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. კერძოდ, უპირობოდ გაუქმდა სიკვდილით დასჯა, დადგინდა პიროვნების ხელშეუხებლობის მყარი კონსტიტუციური გარანტიები და განისაზღვრა ექსპროპრიაციის პირობები შესაბამისი კომპენსაციით.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია უპრეცედენტო მოვლენა იმდროინდელ სინამდვილეში, კონსტიტუციის ლიბერალური მიდგომა სიკვდილით დასჯასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ბელგიისა და ლიხტენშტეინის მსგავს ქვეყნებში სასჯელის აღნიშნული უმკაცრესი ფორმა მე-19 საუკუნეში გაუქმდა, უმრავლეს შემთხვევებში ის მაინც იყო შენარჩუნებული კონკრეტული ტიპის დანაშაულთათვის. ამგვარად, ქართული რეგულირება არამხოლოდ ევროპული ღირებულებების მიმდევრობით, არამედ ინოვაციურობითაც კი იწონებდა თავს.

დებულებანი ადამიანისა და მოქალაქის უფლებებზე შეიძლება ჩავთვალოთ დიდებულ მიღწევად და ურყევ სიმბოლოდ 1921 წლის კონსტიტუციისა. მისი სულისკვეთება მოწმობს ავტორების ჭეშმარიტ ნებას, დაემკვიდრებინათ სამართლის უზენაესობა ინდივიდუალური თავისუფლებისა და ღირსების პირობებში.

იმდროინდელი დემოკრატიული კონსტიტუციების მსგავსად, აღიარებული იყო რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. კონსტიტუცია აგრეთვე ცნობდა, რომ სახელმწიფო ეკლესიისგან განცალკევებულია და არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა.

1921 წლის კონსტიტუციაში განმტკიცებულია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ისეთი უფლებები, როგორებიცაა, სიტყვის, ბეჭდვის, შეკრების თავისუფლება, თავისუფალი მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, გაფიცვის უფლება. აგრეთვე, აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი, რომ დისკრიმინაციის ამკრძალავი ზოგადი ნორმის გარდა, ვხვდებით გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის დამდგენ ნორმას, 39-ე მუხლის სახით, რომლის თანახმადაც ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკური, ისე სამოქალაქო, ეკონომიკური და საოჯახო უფლებით.

საქართველოს მოქმედი კონსიტუციის 39-ე მუხლის შინაარსის ანალოგიური ნორმა გვხვდება 1921 წლის კონსტიტუციაში 45-ე მუხლის სახით,

რომელიც ადგენდა, რომ კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნორმა მსგავსია აშშ-ის კონსტიტუციის მეცხრე შესწორებისა და, სავარაუდოდ, სწორედ მისგან იღებს სათავეს.

ძნელად მოიძებნება მსოფლიოში ანალოგი იმ უფლებრივი ფარგლებისა, რომელიც 1921 წლის უზენაესმა კანონმა მიანიჭა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს. მათ ჰქონდათ უფლება კავშირების შექმნისა (მუხლი 130), სკოლების გახსნისა (მუხლი 134), მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება (მუხლი 135) და სხვ. პროფესორი პაატა ცნობილაძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ეს უფრო იყო არა ეროვნული უმცირესობების დაცვის საერთაშორისო სტანდარტი, არამედ ქართული შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის გამომჟღავნება, ეროვნული უმცირესობების დაცვის ე.წ. „ქართული ვარიანტი“.

1921 წლის კონსტიტუციამ ჩამოაყალიბა წარმომადგენლობითი დემოკრატიისა და კარგი მმართველობის შესაშური მოდელი, ადამიანის უფლებათა აღიარების საკითხში საგრძნობლად აამაღლა ევროპაში არსებული თამასა და თანასწორობის იდეის გასიგრძეგანებით დაიცვა ინდივიდუალური ღირსება. ის იყო იმედისა და თავისუფლების ნაპერწკალი, რომელსაც შეეძლო საქართველოსთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება მსოფლიო ასპარეზზე, რომ არა ოკუპაცია და შედეგად, მისი მოქმედების შეწყვეტა.

დღევანდელი გადასახედიდან, ყველაზე ჭეშმარიტი ნარატივი თავისუფლებისა და საქართველოს სუვერენიტეტის შიდა თუ გარე წახნაგებისა, ჩემი აზრით, უნდა ვეძებოთ სწორედ რომ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წიაღში. პრე-საბჭოური სულისკვეთება ბევრად წრფელია თავისუფლებასა და თანასწორობასთან მიმართებით, ვიდრე პოსტ-საბჭოური, ვინაიდან აღნიშნული პერიოდის მიერ ხელოვნურად შექმნილი ეროვნული თვითშეგნება (საკრალურია, თუმცა ეს უკანასკნელი, национальное самосознание ბოლშევიკების მიერ დამკვიდრებული ცნებაა, რომლის მიხედვითაც ხორციელდებოდა ადმი ნისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა საბჭოთა კავშირისა) ყალბია, რაზედაც საუბარი ქვემოთ გვექნება. ქართველი ხალხი, ჩემი ღრმა რწმენით, იდეოლოგიური მემკვიდრეა პირველი რესპუბლიკისა, დემოკრატია, თავისუფლება და სოლიდარობა მისი თავდაპირველი

პირმშოა, შესაბამისად ის ღირებულებები, რომლებზედაც დღეს ზოგჯერ მყარად, ზოგჯერ კი მერყევად ვდგავართ.

1921 წლის 25 თებერვალს სამხედრო ოკუპაციის გზით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რის შედეგადაც შეიქმნა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა. ძალაუფლების ხელში აღებისთანავე საქართველოს სსრ რევკომმა ძალადაკარგულად გამოაცხადა ხელისუფლების მიერ 1918-1921 წლებში გამოცემული აქტები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის განმავლობაში მიიღეს ოთხი კონსტიტუცია. დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა მათი ყალბი იდეალიზმი, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო სამართლებრივსა და დემოკრატიულ სახელმწიფოსთან. მათთვის ორგანულად იყო მიუღებელი ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა ხელისუფლების დანაწილება, პოლიტიკური პლურალიზმი, სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანის სხვა ძირითად უფლებებზე. თითოეული კონსტიტუცია ტოტალიტარიზმის სულისკვეთების სიმძიმის სავიზიტო ბარათია და კლასობრივი იდეოლოგიის განმტკიცებისაკენ წინ გადადგმული ნაბიჯი.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის კარგი მაგალითია 1922 წლის 2 მარტის კონსტიტუცია, რომელიც გამოირჩეოდა ბოლშევიკური პათოსის მაღალი ხარისხით და სავსებით უარყო ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს არსებობა. ვერც შემდგომმა, 1927 წლის 4 აპრილის, კონსტიტუციამ გაუმჯობესა ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობა, თუ არ ჩავთვლით თანასწორობის პრინციპის დახვეწის მცდელობას, რომელიც საფუძველშივე არასწორი იყო და გაჯერებული იყო ნარატივით, რომლის თანახმადაც ყველა თანასწორია, თუმცა ზოგიერთი - უფრო თანასწორი. 1937 წლის 13 თებერვლის კონსტიტუციის მთავარი მონაპოვარი შესაშურად დამაჯერებელი დეკლარაციულობით ჩამოყალიბებული სიტყვის, შეკრებისა და გაერთიანების უფლება, პიროვნებისა და მისი ბინის ხელშეუხებლობა, კორესპონდენციის საიდუმლოების დაცვა, არჩევნების საყოველთაობა, თანასწორობა და სხვ. არის. პროფესორ ანდრაშ შაიოს მოსაზრებით, სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია (რომლის ანალოგსაც წარმოადგენდა საქართველოს სსრ მესამე კონსტიტუცია) მსოფლიოს გასაბრიყვებლად იყო მიღებული. რასაკვირველია, უნდა დავეთანხმოთ მის მოსაზრებას, ვინაიდან არ არსებობდა უფლებათა კატალოგის რეალიზების საშუალება

მატერიალური, სამართლებრივი და პროცესუალური თვალსაზრისით. უფრო მეტიც, სიტყვის თავისუფლების საპირისპიროდ, განსხვავებული აზრი კვალიფიცირდებოდა, როგორც ანტისაბჭოთა აგიტაცია და ისჯებოდა სისხლისსამართლებრივი წესით. აღნიშნულის თვალნათელი დასტურია საქართველოში „დიდი ტერორი“ და განხორციელებული რეპრესიები. 1978 წლის 15 აპრილის კონსტიტუცია არის მეოთხე და ბოლო საბჭოური კონსტიტუცია საქართველოში, რომელმაც აღიარა სახელმწიფოს საერთოსახალხო ხასიათი, თუმცა აგრეთვე დაადგინა დემოკრატიის კლასობრივი ორიენტაცია, რომელსაც ეწოდა „სოციალისტური დემოკრატია“.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული გარემოება - 1978 წლის კონსტიტუციის პროექტით შემოთავაზებული ვარიანტი იყო მცდელობა ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევისა. ჩვენს ცნობიერებაში უდავოდ არსებობს „ბაბილონის პარადოქსი“, რომელიც ენობრივ მრავალფეროვნებას ზოგჯერ სასჯელად წარმოგვიდგენს, ზოგჯერ კი ენობრივ კონსოლიდაციას აქცევს ასეთად. დღეს არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტები გამოკვეთს ენის სოციალური დანიშნულების ორ უმთავრეს მიმართულებას: ადამიანებისათვის ენა კულტურული იდენტობის ნიშანია და ენობრივი პლურალიზმი მრავალფეროვნების საწინდარია საზოგადოებაში. ამგვარად, საბჭოური ტოტალიტარიზმი თავისთავად ეცადა, გაევრცელებინა „ბაბილონის პარადოქსი“ ადამიანის ღირსებისაგან განუყოფელ უფლებაზე, თუმცა პროექტის განხილვის დღეს, 1978 წლის 14 აპრილს, მოეწყო გრანდიოზული დემონსტრაცია. ხალხის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო, იმპერიამ უკან დაიხია და ქართველებმა წარმატებულად დაიცვეს თავიანთი ღირსებისაგან განუყოფელი უფლება.

ვინაიდან მოცემული ნაშრომის მთავარ საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ისტორია, ყურადღება უნდა გავამახვილოთ საქართველოს მოდერნულ კონსტიტუციაზე, რომელმაც წერტილი დაუსვა თვითნებურ ძალაუფლებას და შექმნა პოლიტიკური ხელისუფლების თვისებრივად ახალი ფორმა. 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის იდეალების გასაცნობიერებლად მიზანშეწონილია საბჭოური ტოტალიტარიზმის არსებობის უკანასკნელი პერიოდის განხილვა.

საქართველოში მომძლავრებულ ეროვნულ მოძრაობას შედეგად მოჰყვა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, რომელმაც ფაქტობრივად დაას-

რულა საქართველოში საბჭოური გავლენების არსებობა. 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც უპრეცედენტოდ მაღალი ჩართულობა დაფიქსირდა მოსახლეობისა და შედეგად დამაჯერებლი გამარჯვება მოიპოვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალისაქართველო“. 1990 წლის 14 ნოემბერს ჩატარდა უზენაესი საბჭოს სესია, რომელზეც ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“, დამტკიცდა ეროვნული სიმბოლიკა და გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი. საერთო-სახალხო რესპუბლიკის სახე ყველაზე უფრო თვალნათლივ წარმოაჩინა 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულმა რეფერენდუმმა, რომლის მთავარი კითხვა შემდეგნაირი გახლდათ: „ხართ თუ არა თანახმა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე? კითხვას დადებითი პასუხი გასცა საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა 98-მა პროცენტმა.

კარლო კაჭარავას დარჩა დაუსრულებელი ნამუშევარი „სიბნელის ხელოვნება“, რომელსაც 11 დღის განმავლობაში სანთლის შუქზე ხატავდა. 31 მარტის რეფერენდუმი „სიბნელის ხელოვნებაა“, არათავისუფლების 70 წლის განმავლობაში იმედის შუქზე ნახატი დღე. ქართული სახელმწიფოებრიობა გადათეთრებულ ტილოზე იქმნებოდა და მას სამ მილიონზე მეტი ადამიანის ხელი ქმნიდა, ისინი იყენებდნენ ბედნიერების ფერებს, თავისუფლების ფერებსა და თანასწორობის ფერებს. არათავისუფლების ორსულობიდან შობილი თავისუფლების ტილო ჩვენს ერთგვარ ამოსავალად იქცა, მის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“.

მას შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში რამდენიმე თარიღი გვაქვს, 26 მაისის, 9 აპრილისა და 31 მარტის სახით, რომლებსაც შეგვიძლია, პირობითად ვუწოდოთ ადამიანის გულები, რომლებიც ოცნებობდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრებაზე, სიახლის წამოწყების უფლებამოსილებაზე, უმთავრეს ბედნიერებაზე.

სიბნელის ხელოვნების დასრულებულ ნამუშევრად ქცევის მცდელობა 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციაა. ქართულმა საზოგადოებამ სამოცდაათწლიანი გამოცდილების შედეგად გაიაზრა, რომ ადამიანი ტოტალიტარიზმისათვის ძალაუფლების ზემოქმედების ობიექტია. საბჭოურმა პრაქტიკამ ძალმომრეობის გამართლება მთლიანად გამორიცხა პიროვნების

შესაძლებლობებისგან, ვინაიდან არ მიიჩნევდა მას, როგორც ძალაუფლების ობიექტს, არ მიიჩნევდა ღირსად და შემძლედ გონივრული გამართლებისა. აღნიშნულის საპირისპიროდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. შესაბამისად, კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებების მთავარი ღირებულებითი საფუძველი ადამიანია და აღნიშნული უფლებების განმარტებისა და შეფარდების პროცესში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მოქმედი კონსტიტუციური დებულებანი იძლევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მეტნაკლებად სრულყოფილ კატალოგს, რომლის დაცვაც, კლასიკური საშუალებების გარდა, ძალაუფლების დაბალანსების გზით ხორციელდება. ვინაიდან, „ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე“, სახელმწიფოში არსებობს მათი დაცვის ისეთი მძლავრი და წარმატებული მექანიზმი, როგორიც არის საკონსტიტუციო სასამართლო.

საქართველომ მოქმედება დაიწყო „სუფთა დაფის“ პრინციპით, გამოაცხადა თავი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა და 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრედ და არა, სსრ კავშირისა. საქართველოს ძალისხმევა საერთაშორისო ასპარეზზე უსათუოდ მნიშვნელოვანია უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საკითხისათვის. სახელმწიფო გახდა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების წევრი, ხელშემკრე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, მაგალითისთვის საკმარისია, გავიხსენოთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და სხვ. ხაზგასასმელია აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ შეთანხმებული მოქმედებანი ადამიანის, როგორც უმთავრესი ღირებულების დასაცავად. ლაკონურად რომ ვთქვათ, ქვეყანამ უკანასკნელი დეკადების განმავლობაში გაიარა უმნიშვნელოვანესი ეტაპები სამართლებრივი სახელმწიფოს გზაზე, თუმცა, მიუხედავად განხორციელებული ქმედებებისა თუ სახელმწიფოს დასავლური კურსისა, ჯიუტად არის შენარჩუნებული მრავალი პრობლემა.

თანასწორი მოპყრობის თვალსაზრისით რთული სიტუაციაა ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა: ქალთა პოლიტიკური მონაწილე-

ობა, ოჯახში ძალადობა, სოციალური მოწყვლადობა, ტრეფიკინგი, კანის ფერისა და ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით დისკრიმინაცია, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა უზრუნველყოფა, LGBTQ უფლებები, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობა, ბავშვთა უფლებები. უკანასკნელ წლებში ხარვეზები დაფიქსირდა რელიგიის თავისუფლების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, პატიმრობის პირობების, ეფექტური გამოძიების, სამართლიანი სასამართლოს, თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა დაცვის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლებისა და შეკრების თავისუფლებასთან მიმართებით.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების (და სხვ.) გათვალისწინებით, Freedom House-ის ინდექსში საქართველო იწოდება ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნად. აუცილებელია გავუსვათ ხაზი საქართველოს წინაშე მდგარ ყველაზე დიდ პრობლემას ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში. რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე საქართველო შეზღუდულია, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები. ზეწოლა, რომელიც განხორციელდა აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე, ატარებდა ეთნიკური წმენდის ხასიათს და წარმოადგენდა არამხოლოდ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, არამედ სხვა მომიჯნავე დარგების უხეშ დარღვევას. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის განხორციელების შეზღუდვის მიუხედავად, საქართველოს მაინც ეკისრება მოვალეობა, დაიცვას თავისი მოქალაქეები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხშირად აკეთებენ მითითებას გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო ორგანოები და საქართველო დგას გამოწვევის წინაშე, იპოვოს ეფექტური საშუალება, რათა დაიცვას თავისი მოქალაქეები, რომლებიც არ ექცევიან თავისი იურისდიქციის ქვეშ.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოება არის ჭეშმარიტი ხელშეკრულება არამხოლოდ ცოცხალთა შორის, არამედ მათ შორისაც ვინც მკვდარია ან მომავალში დაიბადება. თავისუფლებაცა და თანასწორობაც არ არის მხოლოდ დეკლარირებული იდეები, არც ფუფუნება, რომელიც იღბლიანებს ერგო. ჩვენ გავხდით მოწმენი დაცულ პირთა წრის გაფართოებისა, თანდათანობით გავიარეთ საკმაოდ გრძელი გზაც, მაგრამ ნათელია, რომ არსებობს სივრცე განვითარებისთვის კვლავ.

კურტ ვონეგუტი წერს: “იდგა 2081 წელი და ყველა თანასწორი იყო, განა მხოლოდ ღვთისა და კანონის წინაშე, თანასწორობა მოიცავდა ყველას

და ყველაფერს, არავინ იყო სხვაზე გონიერი, არავინ იყო სხვაზე ლამაზი, არავინ იყო სხვაზე ძლიერი ან მკვირცხლი“. დისტოპიის შემოქმედებას სახელმწიფოს არავინ აიძულებს, თუმცა-ღა დაბადებით თავისუფალი და თანასწორი ადამიანის კონცეფციის მატერიაზე კიდევ მეტად მატერიალურად დაცვას - ნამდვილად.

საქართველომ, როგორც სამართლებრივმა, სოციალურმა, დემოკრატიულმა და სუვერენულმა სახელმწიფომ, დამოუკიდებლობის ასწლოვანი გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა აშენოს დაუღალავად თავისი სახელმწიფოებრიობა თავისუფალი და დაცული ადამიანებით, თუკი სურს გადაკვეთოს ის საზღვარი, რომელთანაც „პოსტ-საბჭოური“ სივრცე მთავრდება.

თამარ რუსეიშვილი

თსუ, სტუდენტი

საქართველოს შეიარაღებული ძალები დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

1918 წლის 26 მაისი საქართველოს ისტორიაში გამორჩეული თარიღია, რადგან სწორედ ამ დღეს დაარსდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება ვფიქრობ, საქართველოს უახლესი ისტორიის უდიდესი მოვლენაა, რადგან სწორედ ამ დღეს ჩაეყარა საფუძველი საქართველოს რესპუბლიკურ მოწყობას, წყობას რომელმაც მოიტანა საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები, სიტყვის თავისუფლება, საერთო სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემა, ქალთა თანასწორუფლებიანობა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, რელიგიური პლურალიზმი, შექმნა კონსტიტუცია და ეროვნული ჯარი. 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო და რელიგია ერთმანეთს გაემიჯნა, დამყარდა სეკულარიზმი. ამასთანავე, რუსეთისა და თურქეთის აგრესიის წინაშე მდგარმა ხელისუფლებამ ბლოკადისა და ომიანობის ქარცეცხლში მოახერხა ეკონომიკური და ინსტიტუციონალური პირველობა რუსეთის ყოფილ იმპერიაში. არაერთი წარმატებული ომის ხარჯზე, შეინარჩუნა ტერიტორიული მთლიანობა. მოახერხა და არ დათმო: სამუსულმანო საქართველო, აფხაზეთი, სამაჩაბლო, ლორე, ზაქათალის ოლქი.

1490 წლის შემდეგ საქართველოს სამეფო ფაქტობრივად დაიშალა და საუკუნეების განმავლობაში მცირე პოლიტიკური ერთეულების სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო 1801 წლის ქართლ-კახეთის ანექსიამ საბოლოო წერტილი დაუსვა ამ სამეფოების არსებობას და საქართველოს ტერიტორია რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა. მე-19 საუკუნის საქართველო მთლიანად ეროვნული იდეის გარშემო გაერთიანდა, შეიქმნა განსხვავებული მიდგომები არსებული რეალობის მიმართ და დაიწყო აქტიური, ჯანსაღი პოლიტიკური პროცესები, თავისი იდეოლოგიური პლატფორმებითა და პოლემიკით. 1918 წლისთვის შექმნილმა საგარეო ფაქტორებმა ევროპის მასშტაბით უამრავი ახალი სახელმწიფო წარმოშვა, მათ შორის აღმოჩნდა საქართველო, რომელიც დაარსების დღიდან დეკლარირებული პროდასავლური სახელმწიფო გახდა.

ახლად შექმნილ სახელმწიფოს უამრავი გამოწვევა ჰქონდა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა თანდათან დაძლიეს ეს პრობლემები, მალევე შექმნეს ჯარი და სახალხო გვარდია, ჩააცხრეს სეპარატისტული მოძრაობები და დაიწყო სახელმწიფოს აღმშენებლობა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმდროინდელი მწირი შესაძლებლობებიდან გამომდინარე დიდი ყურადღება ექცეოდა საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას, ჯარისა და სახალხო გვარდიის გაძლიერებას. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1919 წელს დაარსებული სამხედრო სკოლა, რომლის კურსანტებმაც 1920-1921 წლებში მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანები შეასრულეს სახალხო გვარდიასთან და ჯართან კოორდინაციით. გარდა ამისა, გაიზარდა სამხედრო სამინისტროს დაფინანსებაც, არმიისა და სახალხო გვარდიის ბიუჯეტი გათანაბრდა. საქართველოს სამხედრო საბჭო, რომელიც არსებობდა 1919-1920 წლებში, შეიქმნა 1919 წლის ივნისში დამფუძნებელი კრების მიერ. სამხედრო საბჭო შედგებოდა 6 წევრისგან: „სამი ლაშქრიდაან და სამიც სახალხო გვარდიიდან პარიტეტულ ნიადაგზე“. სამხედრო საბჭოს წევრებად დაინიშნენ გენერალი ოდიშელიძე, გენერალი ქუთათელაძე და ერისთავი, ხოლო სახალხო გვარდიიდან გ. მახარაძე, ი. ქარცივაძე და ვ. ჯიბლაძე, ხოლო მათ მოადგილეებად აუშტროვი და ჭიაბრიშვილი. სამხედრო საბჭოს თავჯდომარედ სამხედრო მინისტრი დაინიშნა, აღნიშნული თანამდებობა კი ამ დროს ნოე რამიშვილს ეკავა, ხოლო მისი მოადგილის პოსტი გენერალმა ილია ოდიშელიძემ შეითავსა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას და ბიუჯეტის დაახლოებით 27% სამხედრო ხარჯებზე გაითვალისწინეს. სულ სახელმწიფო დაგეგმილმა გასავალმა საბიუჯეტო წლის (1919-1920 წლების 1 ივნისისდან – 1 ივნისამდე) მანძილზე შეადგინა: 1.960.490.796 მანეთი. აქედან სამხედრო სამინისტროს ხარჯები იყო 538.791.632 მანეთი. თანხა შემდეგნაირად განაწილდა, რეგულარული არმია: 379.176.786, ხოლო სახალხო გვარდია: 159.614.846 მანეთი.

ახლად წარმოქმნილ ქვეყანაში, რომელიც მუდმივ საბრძოლო მდგომარეობაში იმყოფებოდა, არსებული ხარჯები საკმარისი მაინც არ იყო და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით არსებობდა თავდაცვის ორი ფონდი, რომლებიც სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდნენ მატერიალური დანაკლისის შევსებას და მობილიზირებული ჯარების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1918-1921 წლების საქართველოში ორი სამხედრო ძალა არსებობდა სახალხო გვარდია და ჯარი. ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ყალიბდებოდა ქართული რეგულარული ჯარის

ნაწილები და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წითელი გვარდიული შენაერთები. 1917 წელს ამიერკავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრებაზე ალექსანდრე დგებუაძემ გააჟღერა იდეა, დაეცვათ რევოლუციის მონაპოვარი და ამისთვის საბჭოს შესთავაზა რაზმების შექმნა. პირველი რაზმი შეიქმნა 1917 წლის სექტემბერში, ხოლო პირველი დიდი გამარჯვება იყო 1917 წლის 12 დეკემბერს, როდესაც თბილისელმა მუშებმა რუსული იარაღის არსენალი დაიკავეს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი პარტიული წითელი გვარდია საქართველოს სახალხო გვარდიად გარდაიქმნა. ეს ცვლილება ძალაში შევიდა 1918 წლის 2 ივლისს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე მიღებული კანონის შესაბამისად. 2 ივლისს მიღებული კანონის შესავალში წერია შემდეგი: „რევოლუციის დროს, განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში, როცა უთვალავი საფრთხე და უბედურება ემუქრებოდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, ნორჩ და გაუმაგრებელ სახელმწიფოს, წითელმა გვარდიამ დაუფასებელი სამსახური გაუწია თავისუფლებისა და სამოქალაქო წესრიგის დამყარებას. წითელი გვარდიის ამ დიადი სამსახურის აღსანიშნავად ეროვნული საბჭო ამით აცხადებს წითელ გვარდიას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახალხო გვარდიად“.

კანონის პირველ ორ მუხლში გაწერილი იყო გვარდიის შექმნის მიზეზი, მიზანი და არსი: „მუხ. 1. სახლხო გვარდიის მიზანი იგივეა, რაც სახელმწიფოს მთელი შეიარაღებული ძალისა, დაცვა დემოკრატიულ რესპუბლიკისა, მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა. მუხ.2. სახალხო გვარდიაში შესვლა შეუძლიან ყველა მსურველს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან, რომელიც არ ირიცხება ნამდვილ სამხედრო სამსახურში, არის უმწიკვლო და ერთგული დემოკრატიული რესპუბლიკისა. სახალხო გვარდიაში ჩარიცხვა არავის ანთავისუფლებს სამხედრო ბეგარისგან“. მუხ.4. სახალხო გვარდიელი ვალდებულია სათანადო შტაბის მოწოდებისთანავე დაუყოვნებლივ დაანებოს თავი ჩვეულებრივ შრომას და გამოცხადდეს დანიშნულ ადგილს ყველა იარაღითა და გაწყობილობით, რომელიც შტაბისგან აქვს მიღებული. მუხ.5 სახალხო გვარდიელი ვალდებულია რიგიანად შეინახოს მიღებული იარაღი და გაწყობილობა. სამსახურის გარეშე არა აქვს უფლება გამოცხადდეს საჯარო ადგილებში იარაღით ან იხმაროს მიღებული გაწყობილობა.

მუხ.7. სახალხო გვარდიაში სამსახური უსასყიდლოა, მაგრამ სახალხო გვარდიელის ოჯახს, გვარდიელის მიერ სამსახურის შესრულების დროს ეძლევა მთავრობისგან შესაფერი დახმარება. რაოდენობა დახმარებისა

განისაზღვრება ცალკე კანონით. გვარდიელს, რესპუბლიკის სამსახურში დაშავებულს ან მოკლულის ოჯახს ეძლევა დახმარება, რომლის რაოდენობა განისაზღვრება ცალკე კანონით-ჯარისკაცთა დახმარების შესახებ.

მუხ.10. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს მთავრობა აძლევს საჭირო თანხას, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს სამხედრო მინისტრის უწყების ხარჯთაღრიცხვაში. მუხ.11.სახალხო გვარდიის ვერც ერთ ნაწილს ვერ გამოიწვევენ ისე, თუ არა მთავარი შტაბის საშუალებით. სახალხო გვარდიის გამოწვევის უფლება ეკუთვნის მთავრობის თავჯდომარეს.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრებს ნიშნავდა მთავრობის თავმჯდომარე იმ კანდიდატებისგან, რომელსაც წამოარდგენდა მთავარი შტაბი. იგივე შტაბი ნიშნავდა სახალხო გვარდიის ცალკე ნაწილების უფროსებს, რომლებიც დამტკიცებულ იქნებოდნენ თანამდებობაზე იმავე წესით, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სათანადო ნაწილების უფროსები.

სახალხო გვარდიის კანონი ხელახლა ჩასწორდა 1919 წლის ზაფხულში დამფუძნებელი კრების მიერ და განისაზღვრა მისი ფუნქციები, სტრუქტურა და მოვალეობები. სახლხო გვარდიის მიზანი იგივე დარჩა, რაც გაწერილი იყო 1918 წლის 2 ივლისის კანონში - „სახელმწიფოს მთელი შეიარაღებული ძალისა, დაცვა დემოკრატიულ რესპუბლიკისა, მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა“.

სახალხო გვარდიას მართავდა მთავარი, საოლქო და სარაიონო შტაბები. მთავარ შტაბს, რომელიც შედგებოდა 21 წევრისგან, ერთი წლით ირჩევდა გვარდიის ყრილობა და ამტკიცებდა მთავრობა. იმ შემხვევაში, თუ მთავრობა არ დაამტკიცებდა რომელიმე არჩეულთაგანს ან სხვა მიზეზით გამოაკლდებოდა ვინმე, მთავარ შტაბს ეძლეოდა უფლება თვითონ წარედგინა მთავრობისთვის თავისი კანდიდატები დასამტკიცებლად. სახალხო გვარდია ემორჩილებოდა პირდაპირ რესპუბლიკის მთავრობას მთავრობის თავმჯდომარის საშუალებით. სახალხო გვარდია შედგებოდა რეზერვისაგან და მუდმივი ნაწილებისაგან. გვარდიაში შესვლა შეეძლიო ყველა მსურველს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან, რომლებიც არ ირიცხებოდნენ სამხედრო სამსახურში, ამასთანავე სახალხო გვარდიაში ჩარიცხვა არავის ათავისუფლებდა სამხედრო სამსახურისაგან.

ძირითადი მიზეზი სახალხო გვარდიის არსებობისა გახლდათ ის, რომ იმდროინდელი მმართველი გუნდისთვის იდეალური სამხედრო ძალების

მოწყობის საუკეთესო მოდელი – შვეიცარული სახალხო მილიცია იყო, რასაც ყოველთვის აღნიშნავდნენ, მაგრამ მუდმივი საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე რეგულარული ჯარის ჩამოყალიბებაზე უარს არ ამბობდნენ, პიქირით დაფინანსებასაც უზრდიდნენ და რიგ შეღავათებსაც უწესებდნენ. შორეულ პერსპექტივაში როცა ქვეყანასა და რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების პირობები შეიქმნებოდა, მათი აზრით, სახალხო გვარდია – შვეიცარიული მილიციის ანალოგ უწყებად უნდა გარდაქმნილიყო.

გვარდიის გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყანაში არსებობდა მეორე შეიარაღებული ძალა - ჯარი. ქართული ჯარი ძირითადად შეივსო რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრებისგან, რომელთაც ბრწყინვალე სამხედრო განათლება ჰქონდათ მიღებული. სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება იცნობს მხოლოდ თითო-ოროლა გენერალს, ძირითადად გიორგი მაზნია-შვილსა და გიორგი კვინიტაძეს, არადა 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 17 მარტამდე სხვადასხვა დროს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში (არმია, გვარდია, სამხედრო სამინისტრო) მსხურობდა სამოცამდე გენერალი. მათგან 15-ს გენერლის წოდება მიღებული ჰქონდა 1917 წლამდე, ანუ ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის პერიოდში. ესენი იყვნენ: ვასილ გაბაშვილი, ილია ოდიშელიძე, კირილე ქუთათელაძე, როსტომ წერეთელი, ალექსანდრე გედევანიშვილი, ალექსანდრე ერისთავი, დიმიტრი თოფურია, აბელ მა-ყაშვილი, ზაქარია მდივანი, გიორგი არჯევანიძე, გიორგი ფურცელაძე, ივანე ყაზბეგი, გიორგი წულუკიძე, ვარდენ წულუკიძე, სპირიდონ ჭავჭა-ვაძე. მათგან ორი ოდიშელიძე და ქუთათელაძე იყვნენ გენერალ-ლეი-ტენანტები. ქუთათელაძე და ყაზბეგი კი სამი სახელმწიფოს: რუსეთის იმ-პერიის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და პოლონეთის რესპუბლიკის გენერლები გახლდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბრწყინვალე სამხედრო ელიტა გვყავდა, ამ პერიოდის საქართველოს იარაღის არსენალი ძალიან მცირე ჰქონდა და მოსახლეობის მობილიზაცია ხშირად ვერ ხერხდებოდა. სამწუხაროდ, მსგავსი სიტუაცია იყო 1921 წლის თებერვალ-მარტშიც, როდესაც წითელი არმიის წინააღმდეგ მასობრივი მობილიზაცია სწორედ იარაღის არქონის გამო ვერ მოხერხდა. არსებობს მითები, თითქოს ქართველებმა იარაღის მარაგები ვერ გამოიყენეს, რაც სიცრუეა და სიმართლეს არ შეესაბამება. ქართულმა ჯარმა 1028 დღის განმავლობაში პირნათლად მოიხადა თა-ვისი ვალი ისტორიის წინაშე და უამრავი ომის მიუხედავად არ უღალატა

თავისუფლების იდეას, ზრდიდა მომავალ ოფიცრებს იუნკერთა სამხედრო სკოლაში, ზრუნავდა ოფიცრების განათლებასა და საბრძოლო მომზადებაზე.

ქართული ჯარი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი გახდა 1991 წლის 9 აპრილის შემდეგაც. 1991 წლის 21 დეკემბერს დაარსდა ეროვნული გვარდია, შეიქმნა შეიარაღებული ძალები, რომელმაც აფხაზეთის ომსა და ცხინვალის კონფლიქტში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, დაიცვა ქართული სახელმწიფოს იდეა და ღირსება.

2008 წლის ომმა მნიშვნელოვნად დაგვანახა ქართული არმიის როლი ქართული სახელმწიფოსთვის და ცხადყო, რომ ისევე, როგორც დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოსტ-საბჭოთა საქართველოშიც აუცილებელი იყო არმიის რეფორმა და ბიუჯეტის ზრდა, სამხედრო ელიტის გამოზრდა და უმაღლესი საოფიცრო განათლება. სწორედ ამიტომ დღეს თავისუფალ საქართველოში არსებობს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემია და გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი. თავდაცვის აკადემიის კურსანტებს იუნკერები ეწოდებათ, რადგან არ დავივიწყეთ იმ ახალგაზრდა მებრძოლების ღვაწლი, რომლებიც 1921 წლის თებერვალ-მარტში წითელ არმიას ებრძოდნენ ეროვნული იდეისთვის, ხოლო გიორგი კვინიტაძე ქართული არმიის გენერალი გახლდათ 1918-1921 წლებში და მისი სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი იმ გზის ერთგულების მანიშნებელია, რომელსაც ჰქვია „დამოუკიდებლობიდან-თავისუფლებამდე“.

თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალური იყო და მშვიდობიანობის მხარდაჭერით გამოირჩეოდა, თანამედროვე ქართული სახელმწიფოც ზრუნავს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, რისი მაგალითიცაა 1999 წლიდან კოსოვოში ქართული სამშვიდობო ბატალიონის გაგზავნა, 2004 წლიდან ერაყის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა და 2009 წლიდან ავღანეთის ISAF-ის პროგრამა.

ნატოს პარტნიორი ქვეყნებიდან, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, საქართველოს ავღანეთში ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი ჰყავს გაგზავნილი. ვიდრე ამ პირველობას მოიპოვებდა, 1999 წლის შემდეგ, საქართველოს უკვე ჰქონდა კოსოვოსა და ერაყის სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის საკმაოდ დიდი გამოცდილება. პირველად 50-მა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ 2004 წელს მიიღო მონაწილეობა ISAF-ის ოპე-

რაციაში, სადაც მათი ამოცანა ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. მომდევნო ნაკადი,რომელსაც საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის ასეული წარმოადგენდა, ავღანეთში 2009 წლის 16 ნოემბერს გაემგზავრა. 172 სამხედროსგან შემდგარი ეს ნაკადი მისიას ქაბულში, ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში ასრულებდა.

მესამე და ყველაზე დიდი კონტინგენტი კი ავღანეთისკენ 2010 წლის აპრილში გაემართა. ქართული სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში თითქმის 1000 მებრძოლს მოიცავს და ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში მსახურობს ავღანეთის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში, ჰელმანდის პროვინციაში. საბრძოლო დროშის მიღებამდე ბატალიონები ინტენსიური მომზადების ექვსთვიანი კურსს გადიან შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითთა სასწავლო და საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელობით. ბატალიონები მომზადებულია დაცვის, ჩხრეკის, წმენდის, ესკორტის უსაფრთხოებისა და ასევე დაშავებულთა ევაკუაციის ოპერაციებისთვის.

სიმბოლურია, რომ 1918 წელს საქართველოში მყოფი გერმანული და ბრიტანული სამხედრო ელიტა გვირჩევდა, რომ არმიის რეფორმა განგვეხორციელებინა და სახალხო გვარდია არმიისთვის მიგვეერთებინა, დამოუკიდებელ საქართველოში კი ეს მჭიდრო თანამშრომლობა დასავლელ პარტნიორებთან კვლავაც გაგრძელდა და 2002 წლიდან აშშ-ის მხარდაჭერით დაიწყო „წვრთვნისა და აღჭურვის პროგრამა“, რომლის მიზანიც ქართული სამხედრო ბატალიონების დასავლურ სტანდარტებთან მიახლოება იყო. შემდგომ იყო უამრავი სამხედრო დახმარება აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა ევროპული სახელმწიფოების მხრიდან. ეს ყოველივე იმის მანიშნებელია, რომ საქართველო ევროპული ოჯახის ღირსეული წევრია.

გარდა ზემოთ ხსენებული სამხედრო მისიებისა ქართული მხარე აქტიურად მონაწილეობს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებში, რომელიც ევროკავშირის ეგიდით მიმდინარეობს. ამ პროცესებში საქართველო 2014 წლის ივნისიდან ჩაერთო. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გადასროლილ იქნა ერთი მსუბუქი ქვეითი ასეული შესაბამისი ტექნიკით, რომელიც 2014 წლის დეკემბერში ორმა ოცეულმა ჩაანაცვლა. ქართულმა ქვედანაყოფმა მისიაში მონაწილეობა 2015 წლის მარტში დაასრულა. 2016 წლის ივლისიდან, ევროკავშირის საბჭოს გადაწყ-

ვეტილებით, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელი მისია - EUTM RCA მიმდინარეობს, რომლის მიზანია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის თავდაცვის სექტორის რეფორმის ხელშეწყობა. EUTM RCA-ს ხანგრძლივობა 2 წლით, 2018 წლის 20 სექტემბრამდე განისაზღვრა. მასში ქართული ოცეული (35 სამხედრო მოსამსახურე) 2017 წლის თებერვლიდან ჩაერთო. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელი მისიის დასრულებამდე დარჩებიან.

ქართული მხარე აქტიურად მონაწილეობს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ წარმოებულ მალის სამხედრო მისიაშიც. საქართველოს შეიარაღებული ძალები მიმდინარე პროცესებში 2016 წლის იანვრიდან მეკავშირე ოფიცრის პოზიციაზეა წარმოდგენილი, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია მალის რესპუბლიკის მასშტაბით ევროკავშირის სხვა მისიებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაცია. ქართული მხარე მალიში მიმდინარე მისიაში მის დასრულებამდე იქნება ჩართული.

საინტერესოა რატომ გადაწყვიტა პატარა საქართველომ ასეთი დიდი ნაბიჯის გადადგმა?

საქართველოს, პირველ ყოვლისა, სჭირდება ბრძოლისუნარიანი ჯარი, რომელიც შეძლებს საქართველოს ინტერესების დაცვას, მეორე - ჩვენ გვჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა იმისათვის, რომ საქართველომ თავისი პოზიციები განიმტკიცოს და გათავისუფლდეს ყოველგვარი საოკუპაციო ჯარებისგან და გახდეს ნატოს წევრი. მესამე ჩვენი უმნიშვნელოვანესი ინტერესი არის ის, რომ მსოფლიოში ტერორიზმს არ ჰქონდეს გავრცელების შესაძლებლობა.

2018 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეა. დღეს საქართველო, ისევე როგორც 1918 წელს, ისწრაფვის დასავლური ღირებულებებისკენ, იცავს ადამიანის უფლებებს, სიტყვის თავისუფლებას, აღიარებს რწმენის თავისუფლებასა და თანაბარი განვითარების შესაძლებლობის საშუალებას იძლევა. როდესაც ვსაუბრობთ თანამედროვე საქართველოს მდგომარეობაზე უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორია საუკეთესო მასწავლებელია და დროა პირველი ქართული დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამართლებრივი, პოლიტიკური და სამხედრო

სისტემა ხელახლა გავიაზროთ, რადგან ეს რესპუბლიკა იმ დროისთვის ყველაზე პროგრესული სახელმწიფო იყო ევროპაში, ხოლო 1921 წლის კონსტიტუციას ჰქონდა ყველა ის ღირსება, რაც სამწუხაროდ, დღეს მიუღწევადად გვეჩვენება (სეკულარიზმი, შრომითი უფლებები, საგარეო ვექტორი და სხვ.).

ქართული სახელმწიფოს მშენებლობის რთულ გზაზე ყველაზე მეტად გვჭირდება ვიცოდეთ, რა არის თავისუფლება და საით უნდა მივდიოდეთ, ყველაფრის შეცნობისთვის კი აუცილებელია, რომ გავიაზროთ ის რთული გზა, რომელსაც ჰქვია „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ“.

გიორგი ჯავახიშვილი

თსუ, სტუდენტი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

ზუსტად ერთი საუკუნის წინ, 26 მაისს, 17 საათსა და 10 წუთზე, მაშინ, როდესაც გოლოვინის გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. 1801 წლიდან დაწყებული, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამეფო- სამთავროების ნაწილ-ნაწილ მიერთებას მრავალი წინააღმდეგობა და აჯანყება მოჰყვა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მრავალი ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე იყო ჩართული (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სოლომონ დოდაშვილი და სხვანი), რომელთა მთავარი მიზანი ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნება იყო.

ამ პერიოდში ცარისტულმა რეჟიმმა არაერთი ეროვნული აჯანყება ჩაახშო და აჯანყებულები სასტიკად დასაჯა, მაგრამ ბრძოლამ შედეგი გამოიღო და 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა. მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის საბჭოთა არმიის საქართველოში შემოჭრის შედეგად პირველმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა, როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა: „სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის 100 წელი“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხში გადამწყვეტი როლი ითამაშა საგარეო-პოლიტიკურმა ვითარებამ, კერძოდ: პირველ მსოფლიო ომში მეფის რუსეთის გადაბმულმა დამარცხებებმა. ამ მომენტისათვის რუსეთი სერიოზული ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, რაც ფასების მკვეთრი ზრდითა და წარმოების შემცირებით გამოიხატებოდა და რამაც, თავის მხრივ, რევოლუციური განწყობა წარმოქმნა. 1917 წლის ოქტომბერში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და დროებითი მთავრობა დაემხო, შეიქმნა საბჭოთა რუსეთის მთავრობა ლენინის მეთაურობით. ამ რევოლუციის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის კავშირები პრაქტიკულად გაწყდა, რაც ამიერკავკასიის სეიმის მიერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებაში გადაიზარდა. 26 მაისს კი საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ეროვნულმა საბჭომ საქართველოს პირველი მთავრობა

დაამტკიცა, რომელიც წარმოადგენდა სხვადასხვა პარტიების კოალიციას, საიდანაც თანამდებობების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ეკავათ.

დამოუკიდებლობა არ გულისხმობს მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონების არსებობას. მისთვის ბრძოლასაც კი არამხოლოდ სახელმწიფოებრივი, არამედ რეგიონული დატვირთვა ჰქონდა: იმავე პერიოდში, იმავე დარბაზში, ერთი დღის გამოტოვებით გამოცხადდა კიდევ ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს: სომხეთისა და აზერბაიჯანის შექმნა. რა თქმა უნდა, საკუთარ ტერიტორიაზე გადაწყვეტილების მიღების სუვერენული უფლება გადამწყვეტია სახელმწიფოებრივი მმართველობის საკითხში, მაგრამ თვით ის დატვირთვა, რაც ცნება დამოუკიდებლობასა და მისადმი ბრძოლას აქვს, საზოგადოებაში აღვივებს თვითუზრუნველყოფის, თვითგამორკვევის, ცვლილებების სურვილს, ეს ყველაფერი კი უკავშირდება მძლავრი სახელმწიფო აპარატის შექმნასა და მის ეფექტურ მართვას. სამწუხაროდ არსებული პერიოდისათვის საქართველოში ამგვარი აპარატი არ არსებობდა. სახელმწიფო ეკონომიკურად ურთულეს პირობებში იმყოფებოდა: ქვეყანაში არ არსებობდა ბიუჯეტის ცნება (რაც რუსეთის მოწყობითა და საგადასახადო სისტემით იყო განპირობებული), ხელისუფლებას სჭირდებოდა ხარჯების გაწევა თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად, სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რისი სახსრებიც არ მოიპოვებოდა.

საქართველო ნედლეულის ხარჯზე ცხოვრობდა: თამბაქოს ნედლეული, მარგანეცი (რომელსაც „შავი ქვის“ სახელით მოიხსენიებდნენ), აბრეშუმის პარკი, მატყლი და ნავთობი (მოიპოვებოდა შირაქის ველზე).

„1918-1921 წლებში გადადგმული ნაბიჯები, შესაძლოა, არაორდინალური იყო, მაგალითად, 1918 წელს დაწყებული მიწის რეფორმა. რეალურად, იმ პერიოდის მკვლევარები აღიარებენ, რომ ეს იყო 1861 წლის რეფორმის გაგრძელება, რომელიც იმ პერიოდში მხოლოდ დეკლარირებული იყო (რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II- ის დეკრეტით გატარებული რეფორმა, რომელიც „ბატონ-ყმობის გაუქმების” სახელითაა ცნობილი) (ხადური ნ. სტატია, 2016წ). ქართველ გლეხებს, რომლებიც მოსახლეობის 75% შეადგენდნენ, არ ჰქონდათ სამყოფი მიწა, მით უმეტეს, რომ მიწის დიდი ნაწილი მსხვილი მიწათმფლობელების ხელში იყო. გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც ჩამორთმეული მიწა განაწილდა გლეხებზე,

კაცზე დაახლოებით 10 ჰექტარი (ჰექტარების რაოდენობა რაიონების მიხედვით განსხვავდებოდა). დარჩენილი მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს გადაეცემოდა საკუთრებაში. არავის ჰქონდა მიწის გაყიდვის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი მიყიდვა სახელმწიფოსთვის ხდებოდა. ყველა ტყე გადაეცა საქართველოს მთავრობას, რომელიც გახდა პასუხისმგებელი მის ექსპლუატაციასა და აღდგენაზე. მიწის ფონდის გაზრდის მიზნით, მთავრობამ დაიწყო რამდენიმე საირიგაციო და შავი ზღვის გასწვრივ ჭაობიანი ადგილების დაშრობის ღონისძიებათა სერია. ასევე გადაწყდა ტყის მნიშვნელოვანი ფართობის გაკაფვა დამუშავების მიზნით. აღსანიშნავია ამ პერიოდისათვის განხორციელებული სოციალური და საგანმანათლებლო ცვლილებები. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონებისა და დებულებების პაკეტი, რომლებიც მიზნად ისახავდა მშრომელთა უფლებების დაცვას. სამუშაო დღე განისაზღვრა 8 საათით, კვირაში ერთი დღე გამოიყო დასვენებისთვის. დამატებით მუშაობა დაშვებული იყო მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და მისი ანაზღაურება ორმაგი განაკვეთით უნდა მომხდარიყო. აიკრძალა ბავშვთა შრომა და ქალების დაქირავება საღამოს ან ღამის ცვლაში. ყველა მშრომელს მიეცა წლიური შვებულებით სარგებლობის უფლება. შეიქმნა საგანგებო „სატარიფო პალატა“, რომელიც აწესებდა გასამრჯელოსა და ხელფასების განაკვეთებს. კანონით გარანტირებული იყო პროფესიული კავშირების და ასოციაციების შექმნის, ასევე გაფიცვის უფლება. საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის დროისთვის ქვეყანაში 116 პროფესიული კავშირი არსებობდა, რომლებიც ყველა იმ უფლებით სარგებლობდნენ, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოებში ამგვარ კავშირებს ენიჭებათ.

მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა განათლების საკითხს. გაიხსნა არაერთი ახალი სკოლა და დაიგეგმა კიდევ მრავლის დაარსება. უნივერსიტეტში, ყველა სხვა ინსტიტუტსა და სკოლაში სწავლების ენად ქართული გამოცხადდა. კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა. უნივერსიტეტის დაფუძნების ორგანიზატორი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი და მისი პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტერბურგში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა აქტიურად დაიწყო უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის მზადება. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელი-

ქიშვილი აირჩია, თავად ივანე ჯავახიშვილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში. პირველსავე წელს უნივერსიტეტში 3 000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობდა. მოგვიანებით გაიხსნა სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც.

უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო საქართველოს კონსტიტუციის შექმნა. მისი პირველი ვარიანტი 1920 წლის ივნისში მომზადდა. განხილვის პროცესის შესაბამისად, თითოეული ფრაქცია საკუთარ შესწორებებს აკეთებდა და წარუდგენდა დამფუძნებელ კრებას. განხილვები საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, ამასობაში კი პოლიტიკური ვითარება კვლავ ირეოდა. გეგმის მიხედვით, დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის მიღებას 12 მარტს, კრების გახსნის დღეს აპირებდა, თუმცა მოვლენები ისე განვითარდა, რომ კონსტიტუციის მიღება საერთოდ ეჭვის ქვეშ დადგა. საქართველოს რუსეთის წითელი არმია ესხმოდა თავს, რის გამოც კონსტიტუციის მიღების პროცესი დაჩქარდა. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუცია ერთხმად მიიღო. თუმცა გარეთ, სახალხო ზეიმის ნაცვლად, ზარბაზნების ხმა ისმოდა.

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ისეთი სიმბოლიკის შექმნა, რომელიც სახელმწიფოს ასოციაციას იწვევს. ეს კარგად ესმოდა დამფუძნებელ კრებასაც, რის შედეგადაც შეიქმნა საქართველოს სახელმწიფოს დროშა, გერბი და ჰიმნი.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დღის წესრიგში მყისიერად დადგა ეროვნული ფულის ნიშნის გამოშვების საკითხი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ მიმოქცევაში ერთდროულად სხვადასხვა ფულის ნიშანი ტრიალებდა: „1.) ნიკოლოზის დროინდელი ოქროსა და ვერცხლის მონეტები, სპილენძის ხურდა ფული; 2.) დროებითი მთავრობის ფული, რომელსაც ხალხი „კერენკებს“ უწოდებდა; 3.) ამიერკავკასიის კომისარიატის ბონი“ (ქისტაური 1993). დამოუკიდებლობის საწყის პერიოდში „ამიერკავკასიის ბონი“ იყო ძირითად სარგებლობაში. „ამიერკავკასიის ბონი მიმოქცევაში გაუშვეს 1918 წლის 5 თებერვლიდან, იგი თბილისში იბეჭდებოდა“ (ათანელიშვილი, 2006, გვ 76). რადგანაც ამ დროისათვის არ არსებობდა ოქროს რეზერვები, ბონი უზრუნველყოფილი იყო სახელმწიფო ქონებით.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში ეროვნული ბანკი ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, რაც ფულთან დაკავშირებულ ბიუროკრატიას ართულებდა.

სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღების მოსამზადებელი სამუშაოები 1918 წლიდან მიმდინარეობდა. ვალუტის ძირითად სახელად საქართველოში XVI საუკუნიდან გავრცელებული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი „მარჩილი“ შეირჩა – ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ მარჩილი, როგორც ფულის ერთეული, მიმოიქცეოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „სულთა მატიანეში“ მოხსენებულია ქართველი დიდგვაროვნების მიერ მონასტრისათვის შეწირული მარჩილის ნომინალები. ცნობილია ამ ფულის რამდენიმე საკონკურსო ესკიზიც. 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციამ ეს ემისია 74 წლით გადადო. 1993 წლის 20 აგვისტოდან გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებას კუპონი წარმოადგენდა. ახალი ქართული ეროვნული ვალუტა - ლარი - ბრუნვაში 1995 წლის 2 ოქტომბრიდან შევიდა და დღემდე აგრძელებს ქართული ფულის ისტორიას.

1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელთა კრების მიერ მიღებული იქნა კანონი „სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“. ამ დრომდე მის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომელსაც 1917 წლის ოქტომბრიდან არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა საიმპერიო ბანკთან. საქართველოს მაშინდელი ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ბანკი არ უნდა მოქცეულიყო კერძო აქციონერებისა და ფინანსთა მინისტრის გავლენის ქვეშ (როგორც ეს რუსეთის საბანკო პრაქტიკაში იყო მიღებული). ასეთ პირობებში საქართველოს სახელმწიფო ბანკის მოდელი შვედეთის სახელმწიფო ბანკის მაგალითზე აიგო, რომელიც საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობდა.

გარდა ამისა, 1918 წ. 15 ნოემბერს მიწათმოქმედების სამინისტროსთან შეიქმნა სტატისტიკის დროებითი ბიურო. საქართველოს სახელმწიფო ბანკის ამოქმედება 1920 წლის ივლისიდან გახდა შესაძლებელი. კანონის შესაბამისად, აღნიშნულ სტრუქტურას დაარსების პირველივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე, ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხების გაცემა.

1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ გენერალური ბანკის ფუნქციებს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკი“ ასრულებდა. თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი შეიქმნა 1991

წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა.

1994 წლის 12 აგვისტოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით - „საქართველოში საბანკო სისტემის სრულყოფის შესახებ" - დასრულდა ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. ამ დოკუმენტში ასევე მნიშვნელოვანი იყო ფულის მიწოდების უკეთ რეგულირებისათვის ფინანსთა სამინისტროს ანგარიშების გადატანა ეროვნულ ბანკში და კლიენტებთან უშუალო ანგარიშსწორების ფუნქციის ჩამორთმევა ეროვნული ბანკისათვის და მისი კომერციული ბანკებისათვის გადაცემა. დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. კონსტიტუციის 95-ე მუხლის შესაბამისად, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში.

ეროვნული ბანკის უფლება- მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით, რომელიც 1995 წლის 23 ივნისს იქნა მიღებული. უმნიშვნელოვანესი იყო მაშინდელი საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული კიდევ ერთი რეფორმა-საბაჟო სისტემის შესახებ. 1918 წლის 30 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „საბაჟო დაწესებულებათა მოწყობისა", რომლის საფუძველზეც საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა რუსეთის მიერ დაარსებული 14 საბაჟო და მის ნაცვლად დაარსდა 19 საბაჟო გამშვები პუნქტი, რომელთაც განაგებდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო მთავარი საბაჟოს მეშვეობით. „საქართველოს ხელისუფლებას მოუწია საბაჟო-გამშვები პუნქტების გახსნა იქ, სადაც 100 წლის განმავლობაში მსგავსი რამ არ ყოფილა. ეს იყო საქართველო-რუსეთის საზღვარზე, საქართველო-სომხეთსა და საქართველო- აზერბაიჯანს შორის" (ხადური ნ. 2016). „სულ, 1918 წელს საბაჟოების მიხედვით ექსპორტირებულია 1198,4 ათასი ფუთი პროდუქცია 83958,5 ათ. მანეთისა (მათ შორის ყველაზე მეტი ღირებულების თბილისის, სოხუმის და ფოთის საბაჟოებიდან), ხოლო იმპორტმა შეადგინა 1936,6 ათასი ფუთი 121 392,8 ათასი მანეთით" (ათანელიშვილი თ. 2006, გვ.146).

მაშინ, როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, თურქეთთან მოსაზღვრე მისი ტერიტორია საბჭოთა კავშირის

სახელმწიფო საზღვარი იყო და იქ მესაზღვრეებთან ერთად საბჭოელი მებაჟეები იდგნენ. თავად საქართველოს კი საბაჟო სამსახური, როგორც ასეთი, საერთოდ არ ჰქონია. საქართველოს საბაჟო სამსახური სათავეს სსრკ-ის დაშლის შემდეგ, 1990-იანი წლებიდან იღებს. საბაჟო დეპარტამენტი 1992 წელს დაარსდა. თავდაპირველად საბაჟო გადასახადები ქართულ ხაზინაში, პრაქტიკულად, არ შედიოდა. ექსპერტები და საბაჟო სამსახურის ყოფილი მუშაკები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ მაშინ ქვეყანაში ძალზე რთული ეკონომიკური მდგომარეობა იყო, ხალხი შიმშილობდა. ხელისუფლება ელოდებოდა, როდის დაიწყებდა ეკონომიკა ფეხზე დადგომას. ამ პერიოდისათვის გადასახადი იმპორტზე იყო 2%, ექსპორტზე კი 8%. რა თქმა უნდა, ეს მიდგომა საქართველოსათვის წამგებიანი იყო, რადგანაც ქვეყანა თავის წარმოების სტიმულირებას არ ახდენდა. ამასთან, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ბევრი აკრძალვა, კვოტა და ლიცენზირების მექანიზმი მოქმედებდა. აქედან გამომდინარე, მებაჟეებს მრავალი რამის შემოწმება უხდებოდათ. ასეთ პირობებში კორუფცია ყვაოდა.

1994 - 1995 წლებში დაისვა საკითხი, რომ მომხდარიყო საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ე.ი. თანდათან საერთოდ გაუქმებულიყო კვოტირება, ხოლო ლიცენზირება და აკრძალვები დასულიყო მინიმუმამდე. ამ ყოველივეს რეალიზაციას სამწლიანი შრომა დასჭირდა. შედეგად საბაჟო საქმიანობა მნიშვნელოვნად გამარტივდა. გარდა ამისა, ქვეყანამ შემოიღო ერთიანი საიმპორტო გადასახადი 12%- ის ოდენობით, ხოლო ექსპორტი გათავისუფლდა გადასახადების (დღგ ის და აქციზის) გადახდისაგან.

თანამედროვე ქართულმა საბაჟომ მსოფლიო აღიარებაც მოიპოვა. 2017 წლის ივნისში თბილისში პირველად გაიმართა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის კონფერენცია. სამდღიან კონფერენციას მსოფლიოს 180 ქვეყნიდან 600-მდე დელეგატი ესწრებოდა. ამჟამად საბაჟო დეპარტამენტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულია. კანონის დაცვას ტვირთების გადაადგილებისას 24-საათიან რეჟიმში თვალს ადევნებენ მებაჟე-ოფიცრები. მებაჟეები გადანაწილებული არიან 18 საკონტროლო-გამშვებ პუნქტსა და გაფორმების 5 ეკონომიკურ ზონაში. საქართველოს საკონტროლო–გამშვები პუნქტები განთავსებულია თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან და რუსეთთან საზღვრებზე. 2017 წლის მონაცემებით, გაფორმდა 277,969 სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია, მათ შორის 207,184 – იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში,

ხოლო 45,091 – ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში (შემოსავლების სამსახური, 2017 წლის ანგარიში).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - ეს იყო მცდელობა, ღარიბ და ნაკლებგანვითარებულ ქვეყანაში შექმნილიყო ახალი ტიპის სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო. მიუხედავად გარშემო მიმდინარე ომებით გამოწვეული ეკონომიკური ქაოსისა და საქართველოს ხელისუფალთა გამოუცდელობისა, ქვეყანას ჰქონდა მნიშვნელოვანი მიღწევები, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმია საქართველოში შემოვიდა. 1921 წლის მარტში დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო - დამფუძნებელთა კრება - დაითხოვეს. 1921 წლის მარტში, საბჭოთა რუსეთის მითითების თანახმად, აფხაზეთი გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. საქართველოს რევკომმა, ისევ მოსკოვის ნებით, 1921 წელს, შიდა ქართლის ტერიტორიაზე შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამავე წელს შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

20-30–იან წლებში დაიწყო საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა მოქალაქის მორალური სახის ფორმირება. კომუნისტური პროპაგანდა ახალგაზრდობას ზრდიდა საბჭოთა იდეოლოგიის საფუძველზე. ეს იდეოლოგია უპირველესად ემყარებოდა კომუნიზმს - ეროვნულის უარყოფისა და „საერთო საკაცობრიო ღირებულებების მქონე“ სოციალისტური იდეოლოგიისადმი ერთგულებას. საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე იწყება ეროვნული მოძრაობები: იწყება აჯანყებები სვანეთში, რაჭაში, კახეთსა და ხევსურეთში, მაგრამ საოკუპაციო ხელისუფლება მათ ახშობს. დამსჯელმა ექსპედიციებმა ააოხრეს გურია, კახეთი, სვანეთი და მთელი საქართველო. სიკვდილით დასაჯეს ადრე დაპატიმრებული პოლიტიკური მოღვაწეებიც. მოგვიანებით, 1924 წელს, აჯანყებები იწყება ჭიათურაში, გურიაში, სამეგრელოში, ქართლსა და კახეთში, მაგრამ წინააღმდეგობა აქაც სასტიკად ჩაახშეს.

საბჭოთა წყობილების მიერ სოფლად გატარებული რეფორმები ცნობილია „სოფლის კოლექტივიზაციის“ სახელით. 20-იანი წლების დამდეგს იწყება სოფლებში მემამულური და მსხვილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია. მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობისა, საბჭოთა ხელისუფლებამ 1932 წლისათვის დაასრულა სოფლების კოლექტივიზაციის პროცესი, რის შედეგადაც ბოლო მოეღო კერძო საკუთრებას. შემდეგ ეტაპზე იწყება ინდუსტრიალიზაციის პროცესი: ინტენსიურად ამუშავდა ჭიათურის

მარგანეცის ქარხანა, ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოება, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა (1933წ). ძველი სამრეწველო სიმძლავრეების ამოქმედებამ და ახალი საწარმოების მშენებლობამ შესაძლებელი გახადა მუშახელის დასაქმება. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, ქართველები აქტიურად ჩაერთვნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის თითქმის ყველა სამხედრო ოპერაციაში. ომში 300 000 ქართველი დაიღუპა. ყოველივე ამან ძალზე გააუარესა საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა. ომმა მძიმე დარტყმა მიაყენა ქართულ ეკონომიკას, გაიძარცვა წიაღისეულის საწარმოები. ომის დამთავრებისთანავე საქართველოში პოლიტიკური რეპრესიები დაიწყო. რეპრესიები შეეხო იმ ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც ომის მიმდინარეობისას, ტყვეობაში აღმოჩნდნენ. მათი დიდი ნაწილი სამშობლოს ღალატის ბრალდებით საქართველოდან გადაასახლეს. რეპრესიები შეეხო პარტიზანული და წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებსაც, მათ შორის იმ ადამიანებსაც რომლებმაც თავი გამოიჩინეს ნაცისტურ გერმანიასთან ბრძოლებში. მკაცრი იდეოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოექცა მწერლობა, ხელოვნების ყველა დარგი, გამკაცრდა ცენზურა.

1953 წელს გარდაიცვალა სტალინი, რის შემდეგაც სსრკ-ს სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვი მოექცა. ამავე პერიოდში იწყება საბჭოთა კრიზისი, რის პარალელურად გაძლიერებას იწყებს ეროვნული მოძრაობა. XX საუკუნის 70-იან წლების დასასრულისა და 80-იანი დამდეგისათვის კრიზისმა ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო. 1985 წელს საბჭოთა ხელისუფლებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. ხელისუფლებაში მოვიდა მიხეილ გორბაჩოვი, ახალმა ხელისუფლებამ აღიარა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი. აღიარებული იქნა ქვეყნის არადემოკრატიულობა და ქვეყანაში დამყარებული დიქტატურა. გორბაჩოვმა დაიწყო გარდაქმნები, მაგრამ მალევე ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირს ვერავითარი გარდაქმნა ვერ უშველიდა.

1988 წლიდან გაძლიერებას იწყებს ანტისაბჭოური მიტინგები და გამოსვლები, მათ შორის, აღსანიშნავია 9 აპრილის მოვლენები, როდესაც გამთენიისას, თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, რუსეთიდან ჩამოყვანილმა სპეცდანიშნულების რაზმმა, მომწამვლელი აირით და მესანგრეთა ალესილი ნიჩბების გამოყენებით დაარბია მომიტინგეები. ამ დარბევის

დროს დაიღუპა 20, ხოლო დასახიჩრდა ასეულობით ადამიანი. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ასევე მთელ მსოფლიოში. საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება იძულებული გახდა ეროვნული მოძრაობისთვის ანგარიში გაეწია. საქართველოს უზენაესმა საბჭომა 1921 წლის 25 თებერვლის გასაბჭოების აქტი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციად ცნო, ხოლო 1922 წლის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მხრიდან გაუქმებულად გამოაცხადა.

1991 წლის 31 მარტს მოეწყო რეფერენდუმი. რეფერენდუმის დროს საქართველოს ყოველ მოქალაქეს უნდა ეპასუხა კითხვაზე: თანახმა იყო თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა. რეფერენდუმის საფუძველზე უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 1991 წლის 26 მაისის პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნების საფუძველზე საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია.

მას შემდეგ საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა. ქვეყანაში გატარდა მრავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ ინფრასტრუქტურული ცვლილება. გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები სახელმწიფო კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით. რა თქმა უნდა, იყო სირთულეებიც, რომელთაგან ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი 2008 წლის აგვისტოს ომია. აღსანიშნავია, რომ რუსეთი კვალავაც ცდილობს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების მითვისებას, რაც მცოცავი ოკუპაციის სახით გამოიხატება. უკანასკნელ წლებში მიმდინარე მოვლენებს შორის აღსანიშნავია: ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დამყარება. არსებული მოვლენები საქართველოს წინაშე ახალ შესაძლებლობებს ქმნიან და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის საკითხში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი საქართველო არის შემდგარი სახელმწიფო, რომელმაც უზარმაზარი ბრძოლები გადაიტანა იმისათვის, რომ შეემცირებინა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის არსებული დისტანცია. დღეს ჩვენს ქვეყანას შეუძლია სუვერენული უფლებების გამოყენება ეკონომიკური კანონმდებლობის, ეკონომიკური

პოლიტიკის შემუშავებაში; გვაქვს დამოუკიდებელი საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, თავდაცვის, განათლების და სხვა სისტემები; გაგვაჩნია ჩვენი უნიკალური კულტურა, ტრადიციები და რაც მთავარია, ჩვენს სახელმწიფოში იზრდებიან თაობები, რომლებიც სწორი აღზრდისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების შემდეგ კვლავაც შექმნიან საქართველოს მართლზომიერი განვითარების ქვაკუთხედს.

სალომე კახიძე

თსუ, სტუდენტი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოს მხოლოდ თავისუფალი ინდივიდები ქმნიან. დამოუკიდებლობა არა ბოლო, არამედ უპირველესი ნაბიჯია. თვით დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ არ ხარ არავიზე დამოკიდებული. სახელმწიფო დამოუკიდებელია იმდენად, რამდენად თავისუფალი არიან მისი მოქალაქენი, რამეთუ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ქმნიან თავისუფალი ინდივიდები, თავის მხრივ კი, დამოუკიდებელი სახელმწიფო შობს თავისუფალ ინდივიდებს.

თითოეული ქვეყნის სუვერენიტეტი განისაზღვრება მისი მოქალაქეების ნებით, მხოლოდ მისი ხალხის თანამონაწილეობის პროცესში გამოვლენილი პოლიტიკური ნებით. მაშინ. როცა თითოეული ჩვენგანი თავისუფლების ყოვლისმომცველი იდეის განხორციელებას წარმოვადგენთ, შეუძლებელია თავისუფლების წყურვილმა არ იჩინოს თავი ერში, რადგან ამ დროს იმდენად ცალსახაა დამოუკიდებლობის აუცილებლობა, რომ მხოლოდ უგუნურთ არ ძალუძთ ამის დანახვა.

„ადამიანი მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავის უფალია, თავისუფლებაა ღვთიური ელემენტი ადამიანში“. მაინც რაა ადამიანი პირადი ავტონომიის გარეშე, ისევე, როგორც სახელმწიფო-დამოუკიდებლობისა. ადამიანის მონად ქცევა რომ უდიდესი ბოროტებაა, გამოცდილებამ არაერთხელ დაამტკიცა, თუმცა დამოკიდებული სახელმწიფოს შვილობა კიდევ უფრო რთული ყოფილა. როცა ადამიანი არაა საკუთარი თავის უფალი და ამასთანავე სახელმწიფო არათუ თავისუფალი, არამედ დამოკიდებულია, ყველაზე დიდი ბზარი ჩნდება ქვეყანაში. ურთიერთმიმართებაც თვალსაჩინოა. შეუძლებელია მონურ უღელში ჩამდგარი ადამიანები ქმნიდნენ დამოუკიდებელ ქვეყანას.

სწორედ მრავალწლოვანი დამოკიდებულების მარწუხებიდან გათავისუფლებას ეცადნენ ქართველები გასულ საუკუნეში და მთავარ მიზნად არა მარტო დამოუკიდებელი, არამედ თავისუფალი ქვეყნის შექმნა დაისახეს, რამეთუ ერთი მოიცავს მეორეს. გასული ორი საუკუნე მრავალი ფერით შეღებილ სურათს ჰგავს. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნიდან საქართველოში მრავალფეროვნება დასამარდა მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში გარეშე ძალების მიერ. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში

მრავალფეროვნების მძაფრმა სურვილმა იხეთქა საზოგადოებაში, რამეთუ ხსნას მხოლოდ დამოუკიდებელ ქვეყანაში ხედავდნენ. ერთფეროვნება მხოლოდ დაღუპვას უქადის ქვეყანას, რადგან სახელმწიფო არ არსებობს უზენაესი გრძნობის - თავისუფლების გარეშე.

რთულია მოვლენები შეაფასო დღევანდელობიდან, მაშინ, როცა შენ თავად არ ეკუთვნოდი გასულ საუკუნეს, თუმცა არც იმდენად, რომ ვერ ამოიკითხო ავ-კარგი, შეცდომები, წინსვლა, გამოწვევები. თითოეული ჩვენგანი მოვალე ვართ საკუთარი ქვეყნის წარსული ვიცოდეთ, რადგან თანამედროვეობას წარსულში შეუძლია აღმოაჩინოს ბევრი რამ საინტერესო და გამაფრთხილებელ-გამოსაფხიზლებელი.

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობას უმნიშვნელოვანესი ფაქტები უძღოდა წინ. 1917 წლის რევოლუციით მეფის რუსეთის დამხობამ შეცვალა პოლიტიკური ვითარება ქვეყნებში. ამ დროს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება, როგორც ამას აფასებდნენ, 1917 წლის 12 მარტი - ეს იყო დღე „სულიერი თავისუფლების მოპოვებისა“, თბილისში უნივერსიტეტის დაარსება კი - დღე „სიბრძნის სოლიდური დაფუძნებისა“. ვფიქრობ, 1918 წლამდე ამ ფაქტებს უდიდესი ძალა გააჩნდათ, რადგან რომ არა ისინი, რთული იქნებოდა გზის გაკვალვა. უმნიშვნელოვანესია 1917 წელი იმდენად, რამდენადაც 19 ნოემბერს გაიმართა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელსაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

საკანონმდებლო ორგანო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი შტოა და ეს შტო უდიდეს როლს თამაშობდა სამწლოვან დამოუკიდებელ რესპუბლიკაშიც, თუმცა ამაზე მოგვიანებით, რადგან უპირველეს ყოვლისა, საჭიროა წინა პერიოდზე საუბარი, სანამ 1918 წლის 26 მაისს ქვეყანას დამოუკიდებლობის ჩირაღდანი გაანათებდა. 1918 წლამდე უახლოეს წარსულს წარმოადგენდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა და სულ მალევე მისი დაშლა. მართალია სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მიზანს წარმოადგენდა გარეშე მტრისგან დამოუკიდებლობა, თუმცა რთულია განსხვავებული პოლიტიკური და კულტურული სოციუმის თანაარსებობა, რადგან ამ დროს ცხადია კულტურათა შეჯახება. ცალსახა იყო, რომ ამ ფედერაციას დიდი ხნით არსებობა არ ეწერა, რადგან როცა სხვა ქვეყნებში მწვავდებოდა სიტუაცია, გადარჩენის გზა მხოლოდ დამოუკიდებლობაში იყო. ქართველებმა ზუსტად განჭვრიტეს, რაოდენ დიდი იქნებოდა მნიშვნელობა დამოუკიდებლობისა, როცა 1918

წელს ფრეილინის ქუჩაზე გამართულ ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში სხდომაზე განიხილეს აკაკი ჩხენკელის წერილი, რომელშიც მოწოდება დამოუკიდებლობის სასწრაფო გამოცხადებაზე იყო.

1918 წლის 26 მაისი იყო დღე, როდესაც ხალხმა ერთხმად აღიარა, რომ არ ეშინოდათ სუსხიანი და გამთოშავი ზამთრის, რადგან მათ გაარღვიეს მპყრობელობის ბორკილები და წინსვლა მხოლოდ დამოუკიდებელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებაში დაინახეს. 26 მაისი იყო დღე გამარჯვებისა, როდესაც გოლოვინის პროსპექტზე კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციაში ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა და იმავე დღეს, იმავე რეზიდენციაში, იმავე დარბაზში გაიხსნა ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელმაც ერთხმად დაამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. დამტკიცდა სამინისტროსა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა. გადაწყდა, რომ ეროვნული საბჭო იყო ქვეყნის უმაღლესი წამომადგენლობითი ორგანო, რომელსაც გააჩნდა საკანონმდებლო ფუნქციები. შესაბამისად, კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენცია ასოცირდება დამოუკიდებელ საქართველოსთან, ზეიმთან და არა წარსულ მონობასთან. დღე, რომელსაც 117 წლის შემდეგ ნანატრი წამი უწოდეს, დამოუკიდებელ საქართველოს მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებდა.

ამ დღიდან დაიწყო საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობა და „ეს სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე საქართველოს მონობის წლები“. დამოუკიდებლობას ქვეყანაში ძალ-ღონე უნდა აღედგინა, რადგან დამოუკიდებელ რესპუბლიკად მხოლოდ აღიარება არ კმარა. ამას ნათლად ხედავდნენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკოსები, როცა ამბობდნენ, რომ სწორედ ახლა უნდა ემოქმედათ ყველაზე მიზანშეწონილად, როცა მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ აღარავინ მოელოდა ჭკვიანურ ქმედებებს. შესაბამისად, უმთავრესი იყო ბრძოლა შიდაპოლიტიკის გამაგრებისთვის, ზრუნვა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, ზრუნვა განათლებასა და კულტურულ ზრდაზე.

დამოუკიდებელი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი თარიღია 1919 წელი, როდესაც ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც ამომრჩეველთა 60% მონაწილეობდა და რომელმაც შეცვალა ეროვნული საბჭო. უმნიშვნელოვანესია დამფუძნებელი კრების მრავალპარტიულობა,

როგორც პლურალიზმის ცალსახა გამოვლინება. დამფუძნებელ კრებაში ერთიანდებოდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია და სხვანი. დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალურია ის, რომ დამფუძნებელი კრების 5 დეპუტატი ქალბატონი იყო, რადგან ამ დროის ევროპის ზოგიერთ ქვეყანაშიც კი ხმის მიცემის უფლება ქალებს არ გააჩნდათ. დამფუძნებელმა კრებამ სულ 97 სხდომა ჩაატარა. კრებებზე განიხილეს 400-ზე მეტი საკანონმდებლო აქტი. სწორედ ამ დროს შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა და გერბი.

1918-1921 წლების საქართველოს რესპუბლიკას რთული საშინაო და საგარეო ფონი ერთვოდა თან. სწორედ მაშინ, როცა ქვეყანა მრავალი შინა გამოწვევის წინაშე იდგა, გართულდა საგარეო ურთიერთობები. ამავე წელს, რუსეთის წითელი არმია შევიდა მეზობელ აზერბაიჯანში, ბაქოში და ფაქტობრივად საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ცხადია, ეს საქართველოსთვის მიმანიშნებელი იყო იმისა, რომ იგივე ბედის გაზიარება მასაც ელოდა. 1920 წლის 7 მაისის შეთანხმება იმის შესახებ, რომ რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და აიღო ვალდებულება, საშინაო საქმეებში არ ჩარეულიყო, მხოლოდ თვალის ახვევა და სიყალბე იყო. ვერაგული იყო მტრის ზრახვები მეთვრამეტე საუკუნის ტრაქტატისას და იგივე დამტკიცდა ამჯერადაც. მანამ, სანამ 1918 წლის მაისს 1921 წლის 25 თებერვალი დააღამებდა, ქვეყნის სამართლებრივ ისტორიაში უდიდესი როლი ითამაშა 1921 წლის 21 თებერვალმა, როცა თებერვლის სხდომაზე, ფაქტობრივი ბრძოლის ფონზე, როცა ქართველი იუნკრები რუსეთის არმიას თბილისის მისადგომებთან ებრძოდნენ, დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს პირველი კონსტიტუცია დაამტკიცა. კონსტიტუციის, როგორც სამართლებრივი აქტის მნიშვნელობა ისაა, რომ იგი ქვეყნის უზენაესი კანონია, რომელშიც განსაზღვრულია ქვეყნის სამართლებრივი გზა. საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობა 1918 წელს დაიწყო ეროვნული საბჭოს მიერ. რუსეთის შეტევებმა და აგრესიამ კი დააჩქარა პროექტის შემუშავება და მიღება. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციამ განსაზღვრა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ქვეყნის თავისუფლება, დამოუკიდებლობა, დემოკრატიის გზა, მოქალაქეობა, მოქალაქის უფლებები, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, განათლება, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევება და ნეიტრალიტეტი ყველა სარწმუნოების მიმართ და არც

ერთის პრივილეგირება. ეს დოკუმენტი უდიდესი როლის მატარებელია იმდროინდელი მსოფლიოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში წითლად შეღებილი უნდობარი ხანი დადგა. დემოკრატიულმა ხელისუფლებამ 24 თებერვალს საქართველო დატოვა და დამფუძნებელი კრებაც იმავე დღეებში დაშლილად გამოცხადდა. ამ დროიდან, დამოკრატიული მთავრობის დამხობის შემდეგ ძალაუფლება „რევოლუციური კომიტეტების“ ხელში გადავიდა. რაც წითელ ხაზად გასდევს ამ ეპოქას ისაა, რომ პროლეტარიატი მიმართული იყო ჩაეხშოთ რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალები, პოლიტიკა წარიმართა ინდივიდუალიზმის გაქრობისკენ, პიროვნებაში თავისუფლების ჩაკვლისა და მონური ფსიქოლოგიის განვითარებისაკენ (თუმცა ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც).

ჩემი აზრით, კერძო საკუთრების ჩამორთმევა ყველაზე მძიმე ტვირთია მონობაში მყოფთათვის, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია მათ ბუნებით უფლებებთან: სიცოცხლის უფლებასა და თავისუფლებასთან. ადამიანის დამონების მცდელობა არის მცდელობა მისი განადგურებისა, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, რადგან ამ დროს მონის სიცოცხლე დაუცველია. იგი უსუსურია იმდენად, რამდენადაც ტირანს ყოველთვის შეუძლია მისი სიცოცხლე ხელყოს. სიცოცხლის შენარჩუნება ამავდროულად შეუძლებელია, თუ არ გაგაჩნია საარსებო სარჩო, რომელსაც ვერ მოიპოვებ საკუთრების გარეშე. ამ ეპოქამ არა მხოლოდ საკუთრების ნაციონალიზაცია, არამედ ადამიანთა წარმოდგენა შეცვალა საკუთრებაზე, როცა ძირეულად მოსპო მათში განცდა პირადისა. ტოტალიტარიზმი ადამიანთა ფსიქიკაზე, მათ თავისუფალ ნებაზე ავბედით გავლენას ახდენს, აქრობს ღირსებას, აქრობს ყველაზე უმთავრესს, აზრს - თავისუფალი ნების პროდუქტს. ტოტალიტარიზმი სრულ წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიულ პლურალიზმთან, როცა განსხვავებულ აზრთა ჭიდილი განსაკუთრებული ფუნქციის მატარებელია. კულტურული რევოლუციის მიზანიც ახალი ადამიანის შექმნა იყო, რამეთუ მონური ფსიქოლოგიით ადამიანის მართვა ყველაზე მარტივია.

საბჭოთა პოლიტიკა ამ დროიდან საქართველოში წარიმართა დესტაბილიზაციისაკენ. ამის ცალსახა მაგალითია ის, რომ 1921 წლის 21 მაისს რევკომმა მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ; 16 ივლისს აჭარა გამოაცხადა დამოუკიდებელ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად, 20 აპრილს შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ასევე უდიდესი ხელ-

ყოფა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა იყო 1922 წლის 30 დეკემბერს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შესვლა საბჭოთა კავშირში. ცხადია, ეს არ იყო კონფედერაციულ პრინციპებზე დაფუძნებული კავშირი. ეს იყო ცალსახა უგულებელყოფა ქვეყნების უფლებებისა, რაც წარმოადგენდა ხელოვნურ და არა ბუნებრივ გაერთიანებას. 1922 წლის 25 თებერვლის საბჭოთა რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია და შემდგომი კონსტიტუციებიც წარმოადგენდნენ სამართლებრივი პრინციპების უგულებელყოფას, სამართლის ფალსიფიკაციას, რომლებშიც არ იყო გათვალისწინებული ადამიანის უფლებები ან თუ მოხდა დეკლარირება, ეს იყო მხოლოდ ილუზორული და არა ქმედითი. 1922 წლის კონსტიტუციით აფხაზეთი მოკავშირე რესპუბლიკად შევიდა საბჭოთა კავშირში, 1927 წლის კონსტიტუციით კი აფხაზეთი შედის საქართველოს შემადგენლობაში, როგორც ავტონომია.

მეორე კონსტიტუციაში კვლავ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების უარყოფაა. 1937 წლის კონსტიტუციაში უკვე დეკლარირებულია ადამიანის უფლებები, თუმცა მხოლოდ დეკლარირებული და ეს არაა მოქმედი სამართალი. აღნიშნული კონსტიტუცია ითვალისწინებდა ყველაზე არაჰუმანურ სასჯელს, სიკვდილით დასჯას, აღიარებდა სიტყვის, რელიგიის თავისუფლებას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფორმალურად. საქართველოს საბჭოთა ინტელიგენტები იყვნენ კონფორმისტები, კომუნისტური რეჟიმის ნაყოფი. საბჭოთა ინტელიგენციაში თანაარსებობდნენ კონფორმისტები და დისიდენტები. ამ მხრივ ყველაზე რთული და სისხლიანი საქართველოსთვის 1936-37 წლების რეპრესიებია. დისიდენტად შერაცხული ინტელიგენცია - მასწავლებლები, მწერლები, შემოქმედებითი მუშაკები არ დაინდო იმპერიის კლანჭებმა და იმსხვერპლა მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციანი, სანდრო ახმეტელი (რომელიც ასე ითხოვდა თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში, რადგან ხელოვნება სარკესავით გადმოგვცემს ცხოვრებას) და სხვა არაერთი საზოგადო მოღვაწე. ეს იყო ქართველი ინტელიგენტებისადმი ანგარიშსწორება, რომლებიც ვერ იტანდნენ ბორკილებს, თავისუფლების ასე მოტრფიალენი შეფარულად ამხელდნენ ტოტალიტარიზმს, აღიქვამდნენ რეჟიმის არაადამიანურ სახეს, აცოცხლებდნენ რეჟიმის მოთავეებსა და მონებს შემოქმედებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში დეკლარირებული იყო გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება, ეს მხოლოდ ფორმალობას წარმოადგენდა. ფაქტია, რომ მოქმედების არეალი ფართე არ იყო, მეტიც,

იმდენად იყო შეზღუდული, რომ ყოველგვარი სიტყვა წინააღმდეგ რეჟიმისა რეჟიმის მტრობად და დაუმორჩილებლობად ინათლებოდა. შესაბამისად, საბჭოთა სახელმწიფო არასოდეს თავს არ იკავებდა გამოხატვის თავისუფლებაში შეჭრისგან, პირიქით, გასაკვირი მხოლოდ ის იქნებოდა ამ ერთი უფლების რეალიზაცია მაინც რომ მოეხდინათ მოქალაქეებს, თუმცა ისიც ნათლად იცოდნენ, რომ გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება ყველაზე უფრო მტკიცე ბერკეტია საზოგადოებისთვის რეალობის დახატვისა. 1940-იანი წლებიდან საქართველოში, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში შეიცვალა პოლიტიკურ-სოციალური ვითარება. მანქანათმშენებელმა, დაზგათმშენებელმა და ლოთონდამამუშავებელმა ქარხნებმა დაიწყეს იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოშვება, სამხედრო მდგომარეობაში გადავიგა რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი,კვების მრეწველობა ემსახურებოდა ფრონტის სურსათით მომარაგებას. მრეწველობას რეალურად დააკლდა მუშახელი. მეორე მსოფლიო ომმა ცხადია,რომ ვითრება საქართველოშიც შეცვალა, მით უმეტეს მაშინ, როცა რამდენიმე ათასი ქართველი მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში და მათი ნაწილი ქვეყანაში საერთოდ ვერ დაბრუნდა და დაიღუპა.

ბელადის სიკვდილის შემდეგ, „პიროვნების კულტის კრიტიკა“ XX ყრილობაზე განსაკუთრებით განიცადეს ქართველებმა, რამეთუ იგი მიმართული იყო ქართველთა სიძულვილისკენ. სწორედ ამიტომ 1956 წელი ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი წელია საქართველოსთვის. 9 მარტს დემონსტრანტებისთვის „გამასპინძლებულმა“ ტყვიებმა არაერთი ქართველი ახალგაზრდა შეიწირა. ეს იყო ახალგაზრდების პროტესტი, რომლებიც ეროვნულ მისწრაფებათა გამოღვიძების მნიშვნელოვანი მაგალითია. ჩემი აზრით, ეროვნული მისწრაფებები განსაკუთრებით ძლიერდება 1978 წელს, როცა 60-იანი წლების შემდეგ წამოიწია სამართლებრივ ღირებულებათა სისტემამ ქართველ ახალგაზრდებში.

1978 წლის კონსტიტუციის პროექტში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი ამოღებული იყო. სწორედ ამ დროს გაიაზრეს ქართველებმა, რომ ენის წარხდომა ერისა და ტაძრის დაცემა იყო, სწორედ ამ დროს იცავდა ენას აკაკი ბაქრაძე და არა პირიქით, მკვდრის სუდარას არ აფარებდა. 12 აპრილს დაწყებულმა დემონსტრაციებმა და ეროვნულმა მოძრაობამ თავისი გაიტანა, ამჯერად საბჭოთა გოლიათმა უკან დაიხია და ეროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, ქართული სახელმწიფოებრივი ენა შენარჩუნდა.

1980-იანი წლებიდან ერთგვარი „გარდაქმნა“ იწყება საბჭოთა რესპუბლიკებში, თუმცა მხოლოდ „კომუნისტური სისტემის კოსმეტიკური რემონტის“ სახით (როგორც ამას უწოდებენ). თითქოს ტოტალური გაუცხოება ტოტალურმა ხელმისაწვდომობამ შეცვალა, თუმცა მზაობა წინ უნდა უსწრებდეს მოთხოვნილებას და არა პირიქით. აკრძალული ნაყოფი რომ ამჯერად ხელმისაწვდომი გახდა, დიდი ვერაფერი შვება იყო. გარდაქმნა მხოლოდ კულტურის მხრივ არ კმაროდა. ადამიანური სახე, რისი დეფიციტიც მთელი ეს დრო არსებობდა საქართველოში, ახლა იმდენად აუცილებელი იყო, როგორც არასდროს.

უდიდესი ტრაგედია მეოცე საუკუნისა - 9 აპრილი. დღე, რომელმაც ახალგაზრდა გულანთებული ქართველები შეიწირა. დღე, ომელზეც უამრავი შეიძლება ითქვას, თუმცა არასდროს იქნება საკმარისი. დღე, რომელმაც დაამტკიცა, რომ შეუძლებელია ეროვნული მისწრაფებები გაქრეს ქართველ ხალხში. დღე, რომელმაც ქართველები გააერთიანა. დღე, რომელმაც ქართველებში მიძინებული სულიერი მხედრობა გააღვიძა. დღე, რომელზეც ყველა ლაპარაკობს და დღე, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართველთა ისტორიაში. სადამსჯელო ოპერაციამ უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები, თუმცა გაჟღერდა, რომ ქართველი ერი მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში შეძლებს სრულფასოვან არსებობას, სადაც მთავარი ვართ ჩვენ, ხალხი, სადაც სახელმწიფო ხალხს ემსახურება და სადაც ინდივიდი უმთავრესი სოციალური ღირებულებაა და არა იქ, სადაც ქმედებები მიმართულია ადამიანში ინდივიდუალიზმის ჩაკვლისაკენ, გაქრობისაკენ, მტრობისაკენ.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და 1990-იანმა წლებმა საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებულმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა გეზი სამართლიანობისკენ აიღო, 1991 წლის 9 აპრილის რეფერენდუმმა დამოუკიდებლობის აღდგენის ახალი ტალღა მოიტანა მოსახლეობაში. თუკი 9 აპრილი ერთი მხრივ არის ტრაგედიის დღე, მეორე მხრივ, 1991 წლის 9 აპრილმა 1989 წლის 9 აპრილის ღირსეულ მონაწილეთა სურვილი აღასრულა და 1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.

1990-იანმა წლებმა ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, რომ ქვეყნისთვის მხოლოდ დამოუკიდებლობა საკმარისი არ არის, მაშინ, როცა ეს პირველი საფეხურია თვისუფლებისაკენ, რადგან ამ დროის საქართველო იყო და-

მოუკიდებელი, მაგრამ არა თავისუფალი. მაშინ, როცა ერთობა იყო საძირკველი თავისუფლებისა, დაიყო საზოგადოება, გამეფდა ანტაგონიზმი პოლიტიკურ ძალებს შორის, მკვეთრად დაუპირისპირდნენ იდეოლოგიებით, სულ მოირყა დამოუკიდებლობის საფუძველი და ერთმანეთის გვერდით დგომის ნაცვლად ერთმანეთს ვკოდავდით. მაშინ, როცა ავტორიტარიზმი უნდა დაგვესამარებინა, სწორედ ამ დროს დადგა საქართველოსთვის ბნელი ხანა. ქვეყანაში ყველაზე ძლიერი მთავარსარდალიც კი უსუსურია, როცა მისი შვილები ერთმანეთს ყელში წვდებიან, ზურგს უკან ერთმანეთს სამარეს უთხრიან. ლტოლვა თავისუფლებისაკენ სწორედ ამ ეპოქიდან იწყება.

დღეს არათუ მსუბუქი, არამედ კიდევ უფრო მწვავე პერიოდისა და გამოწვევების წინაშე ვდგავართ. ცალსახაა მხოლოდ ის, რომ წარსულმა შეცდომებმა უნდა განსაზღვროს მომავალი, თანამედროვეობის ძალისხმევა ერთი მხრივ იმას უნდა მოხმარდეს, რომ ისტორიაში ვეძებოთ დღევანდელობის ანარეკლი, ამოვიცნოთ ახლანდელი გამოწვევები და რაც მთავარია, უკან დახევის ნაცვლად სულიერი მხედრობით მხოლოდ წინსვლასა და თავისუფლებას ვეტრფიალოთ. გარემოებები დღეს განსხვავებულია საქართველოს უახლესი წარსულისაგან. თუკი გასულ საუკუნეში ოკუპაციას სრული ანექსია მოჰყვა, ამჟამად ბორდერიაზცია მიმდინარეობს, თუმცა წარსულთან შედარებით, თუკი საქართველომ ერთა ლიგაში გაწევრიანება ვერ მოახერხა გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ახლა გაცილებით მეტი პარტნიორი გვყავს, რომლებიც აღიარებენ ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახლებში დაბრუნების უფლების აღიარების შესახებ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით“. თანამედროვე სამყარო მხარს უჭერს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელსა და სუვერენული უფლებების სახელმწიფოს, ცხადია, არ გვაქვს უფლება, უარი ვთქვათ სისხლით მოპოვებულ დამოუკიდებლობაზე, რადგან ეს ერთი საფეხურია, რომლის დასასრულს თავისუფლება წარმოადგენს!

სოფიო დგებუაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ — პირველი რესპუბლიკის 100 წელი

1918 წლის 26 მაისის დღე საათებისა და წუთების მიხედვით უნდა განიზომოს და აღიწეროს. ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ჰქონდა თავისებური პრელუდია - 12 საათსა 40 წუთზე დაიწყო ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა. მასზე შეიკრიბნენ სეიმის აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი დეპუტატები: სოციალ-დემოკრატები, მუსავატელები, დაშნაკები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვა პარტიების წარმომადგენლები.

ამ სხდომაზე პირველად გაისმა ხმები, რომ ქართველები დამოუკიდებლობის გამოცხადებას აპირებდნენ. ჩვენი მეზობლები მიესალმნენ ამ გადაწყვეტილებას. აზერბაიჯანელმა რუსტამბეკოვმა გულთბილად უსურვა წარმატება ქართველებს. სომეხმა დეპუტატმა ხაჩატურიანმაც აღნიშნა: ეს ჩვენი მეზობლების გადაწყვეტილებაა და ჩვენს მეზობლებს წარმატებას ვუსურვებთო. ბოლოს, სეიმმა თვითდაშლილად გამოაცხადა თავი, რაც იმას ნიშნავდა რომ „ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა“ ამიერიდან წყვეტდა არსებობას და გზას უხსნიდა სამი კავკასიელი ერის დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას.

ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა 3 საათსა და 40 წუთზე დამთავრდა. ის, რაც მოხდა ერთი საათის შემდეგ, ქვეყანამ იცის: 3 საათსა და 50 წუთზე ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ და ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ისტორიამ ზუსტად დააფიქსირა ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომის დამთავრების დროც - 5 საათი და 55 წუთი. მაგრამ

26 მაისის დღის ისტორიული დინება ამით არ დასრულებულა. სხდომის შემდეგ მოვლენების ეპიცენტრმა ყოფილი მეფისნაცვლის სასახლიდან მის წინ და გოლოვინის პროსპექტზე გადაინაცვლა. აქ დილიდანვე უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი. ეროვნული საბჭოს სხდომის შემდეგაც ხალხი დაშლას არ პირებდა. ისინი მოითხოვდნენ მიტინგის გაგრძელებას, პოპულარული ლიდერების სიტყვით გამოსვლას და ყვიროდნენ: „წერეთელი“, „ლასხიშვილი“, „მესხიშვილი“...

მიტინგი განახლდა. ჯერ გამოვიდა ირაკლი წერეთელი - „რუსეთის რევოლუციის „ციცერონი“ და „ოქროპირი“. მისი ამაღელვებელი სიტყვის შემდეგ ტრიბუნა დაიკავა, აწ უკვე დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრმა შალვა მესხიშვილმა. მის შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა, 26 მაისის დღის პირველ ნახევარში აწ უკვე გაუქმებული ამიერკავკასიის სეიმის ყოფილი თავმჯდომარე და ასევე - დამარცხებული დემოკრატიული რუსეთის რესპუბლიკის აღიარებული ლიდერი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ სოციალ-დემოკრატი ივანე როსტომაშვილი, სოციალისტ-ფედერალისტი შალვა მიქელაძე, სხვანი. მიტინგის შემდეგ ხალხის ნაკადი გოლოვინიდან ვერის მიმართულებით დაიძრა, პროსპექტი გაიარა, ოლღას ქუჩაც და წყნეთის ქუჩას მიაღწია; შემდეგ ხალხის ტალღა უკან გამობრუნდა და იმავე ქუჩების გამოვლით კვლავ სასახლესთან დაბრუნდა. მრავალრიცხოვანი მსვლელობა მხოლოდ 8 საათზე დაიშალა და ამით დაასრულა 26 მაისის ისტორიული დღე. ალბათ ხალხის სიხარულისა და აღტაცების ამგვარმა საყოველთაო გამოხატვამ ათქმევინა პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვები: ვისაც თავისუფლების სიხარულის განცდა გსურდათ, უნდა, შეხვედროდით 26 მაისსო.

კიდევ ერთი დიდებული ეპიზოდი გათამაშდა ამ დღეს: სასახლის წინ გამართული ზემოაღნიშნული მიტინგის ორატორთა გამოსვლები დაასრულა ვინმე იაშვილმა. გაზეთ „სახალხო საქმის“ გადმოცემით, თავისი სიტყვის დასასრულს, იაშვილს თითქოს აკანონებსო, დაუყვირია: “დღეიდან გოლოვინის პროსპექტს „რუსთაველის ქუჩა“ ეწოდებაო“.

სიმბოლური და ნამდვილი სახალხო აქტია: აბა თანმიმდევრობის ძაფზე ავასხათ მოვლენები: ჯერ ცხადდება დამოუკიდებლობა, იკითხება „დამოუკიდებლობის აქტი“ და პუნქტების სახით ყალიბდება ახალი სახელმწიფოს პრიორიტეტები: სუვერენობა; დემოკრატიული რესპუბლიკა; ნეიტრალიტეტი; კეთილმეზობლობა; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები; ეროვნული უმცირესობების თავისუფალი განვითარება; შემდეგ სახელდება კოალიციური მთავრობის რვაკაციანი და ოთხპარტიული შემადგენლობა. ამ აქტებით მსოფლიოს ემცნო ახალი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს გამოცხადება და ეს დაფიქსირდა ოფიციალური დოკუმენტების სახით.

ხოლო იაშვილის ეპიზოდი იყო პირველი სახალხო აქტი. თითქოს, იაშვილის შეძახილმა სათავე დაუდო ეროვნულ საწყისებთან, ღირებულებებთან, ინსტიტუტებთან დაბრუნების დიად პროცესს, ოღონდ არაოფიციალურად, თვით საზოგადოებიდან, მოსახლეობიდან, ხალხიდან მხარდაჭერის გზით. ესეც პირველ დღეს მოხდა, 26 მაისს.

ასე დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს ხანმოკლე ისტორია. იგი არასრულ სამ წელიწადს გაგრძელდა, უფრო ზუსტად - 1028 დღეს. ასე გვაუწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ 2013 წელს გამოცემული პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე: „დამოუკიდებლობის 1028 დღე“. მაგრამ გასაოცარია, რამდენი რამ მოასწრო ამ მცირე დროში ქართველობამ, მთლიანად ქართველმა საზოგადოებამ. ამ მხრივ, თანამედროვე ქართველი საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის, პირველი რესპუბლიკა - ნამდვილი ისტორიული გაკვეთილია.

პირველი რესპუბლიკა - რეფორმატორული სახელმწიფო იყო. ჩამოვთვალოთ მხოლოდ უმთავრესი რეფორმები: განხორციელდა სკოლისა და განათლების გაეროვნულება; სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების საქმის წარმოება ქართულ ენაზე გადავიდა, ხოლო ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა; ქვეყნის გლეხობას კერძო საკუთრებაში გადაეცა 350 000-მდე დესეტინა მიწა; მოხდა ფულის რეფორმა; დაწესდა 8 საათიანი სამუშაო დღე; დაშვებული იქნა ერთდროულად კერძო, სახელმწიფო და კოოპერატიული საკუთრება და მათი თანაბარპროპორციული განვითარების პირობები; გატარდა სამსედრო, სასამართლო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა დემოკრატიული რეფორმები; ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების არჩევნები; მტკიცედ დამკვიდრდა მრავალპარტიული სისტემა; შეიქმნა იმდროინდელი ევროპისთვისაც კი ერთ-ერთი დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც ეყრდნობოდა ადრე მიღებულ არაერთ საკანონმდებლო აქტს - ქალთა საარჩევნო უფლებების, მოქალაქეთა უფლებების, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისა და სხვა დემოკრატიულ ნორმებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქვეყნის ძირითადი მმართველი ელიტა სოციალ-დემოკრატებისაგან შედგებოდა, რომელნიც გასაგები მიზეზების გამო არ უყვართ თანამედროვე საქართველოში. ქართველი სოციალ-დემოკრატების სახელი სამუდამოდ გადაეჯაჭვა - ეროვნულ ნიჰილიზმში

საშინელ ბრალდებას და ძნელი სათქმელია, როდის ჩამორეცხავს ამ ლაქას ისტორია. „მესამე დასელთა“ სარეაბილიტაციოდ მხოლოდ ორი გარემოების აღნიშვნა შემიძლია: პირველი - რომ ისინი ტიპური ევროსოციალისტები იყვნენ და მეორეც - რომ რესპუბლიკის წლებში მათ განიცადეს გაეროვნულების ფსიქოლოგიური ტრანსფორმაცია, ეროვნული ღირებულებებისაკენ ძლიერი ევოლუცია. ისინი - ჟორდანია, გეგეჭკორი, ჩხეიძე, ჩხენკელი, რამიშვილი, ძმანი მათნი - ლამის განაციონალისტდნენ, ისინი ბუნებრივ ეროვნულ ფესვებს დაუბრუნდნენ, თუ შეიძლება რომ ასე ითქვას.

ქართველი სოციალ-დემოკრატების განაციონალისტება ეროვნული ინტელიგენციისა და საზოგადოების გარემოცვამ და სიძლიერემ განაპირობა. მაშინდელი ქართული ინტელიგენცია მთლიანად დაეპატრონა ქვეყნის კულტურულ-სამეცნიერო და ინტელექტუალურ რეალობას და განსაზღვრა კიდეც მისი ორიენტაცია. ამ წლებში ეროვნულ-კულტურულმა რენესანსმა, რომელსაც ადრე ჩაეყარა საფუძველი - პიკს მიაღწია. 1917-1921 წლებში შეიქმნა არამარტო სახელმწიფო უნივერსიტეტი, არამედ არაერთი სხვა კულტურულ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულება და სასწავლებელი: კონსერვატორია, სამხატვრო გალერეა, საქართველოს მუზეუმი, ცენტრალური სამეცნიერო არქივი, მწერალთა კავშირი... თვით ქვეყნის დამოუკიდებლობას წინ უძღოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება.

გადაუჭარბებლად ისიც შეიძლება ითქვას, რომ მაშინდელი ქართველი სამეცნიერო-კულტურული ელიტა „მხარში ამოუდგა“ პოლიტიკურ ელიტას, სახელმწიფოს აღმშენებლობაში: დიდი ივანე ჯავახიშვილი მონაწილეობდა სახელმწიფო სიმბოლიკის შემუშავებაში; ექვთიმე თაყაიშვილი პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა; დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე და სხვები პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურობდნენ. ქართული ეკონომიკის ფეხზე დაყენებას ენერგიულად ცდილობდა ქართველი „თერგდალეულების“ პატრიარქი - ნიკო ნიკოლაძე.

პირველი რესპუბლიკის წლები ეროვნულ-კულტურული ცხოვრების ნამდვილი ბუმი იყო. თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სხვა ქალაქებში ინტენსიური თეატრალური ცხოვრება მიმდინარეობდა. პირველი ქართული ოპერების პრემიერები სწორედ დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელდა: „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „აბესალომ და ეთერი“, „ქეთო და კოტე“; დაიდგა პირველი ქართული ბალეტი „ვაკხის დღესასწაული“.

პირველი რესპუბლიკის წლებში ისეთი დიდი სახელების მქონე პიროვნებები მოღვაწეობდნენ, რომ თანამედროვე ქართველს ჟრუანტელი დაუვლის - მომღერალი ვანო სარაჯიშვილი; კომპოზიტორები: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ვიქტორ დოლიძე; მხატვარნი: 1918 წელს გარდაცვლილი ფიროსმანიშვილი, ახალგაზრდები: ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ზდანევიჩები, ქორიძე, ელენე ახვლედიანი; მეცნიერნი: პეტრე მელიქიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, ვინც დავასახელე იმათ აღარ გავიმეორებ; ისტორიკოსები: მოსე ჯანაშვილი, სარგის კაკაბაძე; ივანე ჯავახიშვილი და პავლე ინგოროყვა წერენ ნაშრომებს საქართველოს საზღვრების შესახებ, რასაც ითვალისწინებენ სახელმწიფო საზღვრების დადგენის დროს.

მწერლობა და პოეზია ცალკე სათქმელია. ვინ არ იყო მაშინდელ მწერლობაში: მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, დავით კლდიაშვილი, და აქ სჯობს თვით ამ დროის მოტრფიალე „რასსით“ ქართველს, გრიგოლ რობაქიძეს დავესესხოთ, მისივე „ფალესტრადან“ ამონარიდით: „ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი, კაფე „ინტერნაციონალში“ იგი კიდეც გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. კიდევ მეტი: გაიძახოდენ - პოეზია მარტო ტფილისშიაო. პაოლო იაშვილი სწორედ ამ ხანებში თავს დაეცა ტფილისს, როგორც არტურ რემბო პარიზს“.

„ცისფერყანწელებმა“ საბოლოოდ დაიპყრეს ტფილისი ლექსით და ბოჰემით: ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ტიციან ტაბიძე, რომელიც მხოლოდ ლექსებს კი არა, სანდრო შანშიაშვილივით პუბლიცისტურ წერილებსაც აქვეყნებდა იმდროინდელ გაზეთებში. პოეტური მიმართულებებიც მრავლობდა: სიმბოლისტები, ფუტურისტები, დადაისტები... მიუხედავად ამისა, მათ ყველამ, ერთ-ერთ თავყრილობაზე, აღიარეს და აირჩიეს, სწორედ იმ დროს, პოეტთა მეფედ - გალაკტიონ ტაბიძე.

ახლა ძნელი წარმოსადგენია, რა აძლევდა ძალას და იმპულსს, მაშინდელ მძლავრ კულტურულ-პოლიტიკურ აღმავლობას, იმ დროს, როცა გარშემოც, საზღვრებზე, ქვეყნის შიგნითაც, კონფლიქტები არ წყდებოდა: ცხადია - დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვებით შთაგონებული ეროვნული ენერგია.

ვერ ვიტყვით, რომ მაშინდელი პოლიტიკური პარტიები მეგობრულად იყვნენ ერთმანეთთან განწყობილნი. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მათ

შეძლეს „საერთო მოქმედების ნიადაგზე“ დადგომა, რასაც არჩილ ჯორჯაძე წინასწარმეტყველებდა. სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები აკრიტიკებდნენ, მაგრამ თანამშრომლობდნენ მმართველ სოციალ-დემოკრატებთან. თვით ევროპული ანარქიზმის ავტორიტეტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელსაც წესით ვითომ უნდა დაენგრია სახელმწიფო, თავგამოდებით იღწვოდა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს განმტკიცებისთვის. 1919 წელს ჩერქეზიშვილმა ფრანგულ ენაზე გამოსცა ბროშურა: „საქართველო - მისი ტრადიციები და პოლიტიკური უფლებები“, რათა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილენი უფრო კარგად გასცნობოდნენ ჩვენს ქვეყანას, მის ისტორიას და იმჟამინდელ მდგომარეობას.

დაბოლოს, პირველი რესპუბლიკის კიდევ ერთ დიდ დამსახურებას არ ეკუთვნის ყურადღების გარეშე დატოვება - ახალი დროის ქართულმა სახელმწიფომ, საქართველოს ტრადიციული ორიათასწლოვანი პროდასავლური საგარეო ორიენტაცია აღადგინა. დასავლურ ორიენტაციას ჯერ კიდევ ფარსმან პირველმა, ფარსმან მეორემ და მათ შორის მმართველმა მეფეებმა, I-II საუკუნეებში ჩაუყარეს მტკიცე საფუძველი, რომელიც ყველა მომდევნო ქართველი დიდი თუ მცირე მეფე - პოლიტიკოსისთვის შეუცვლელი გეზი გახდა, საქართველოს დაშლილობამდე. ამიტომ ამბობდა ნოე ჟორდანია - „ჩვენ მუდამ ვირჩევდით დასავლეთს“.

მეორე გამონათქვამიც აქვს ჟორდანიას, მაშინდელი და დღევანდელი დღისთვისაც ზუსტად ზედგამოჭრილი: 1920 წლის 12 იანვარს ხომ ანტანტის დიდმა ქვეყნებმა - საფრანგეთმა, ბრიტანეთმა, იტალიამ სცნეს საქართველოს დე-ფაქტო დამოუკიდებლობა. 14-ში შეიკრიბა და ჩატარდა დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომა. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ჯერ ცალ-ცალკე მიესალმა დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს: „დიდ ბრიტანიას - სამშობლოს კულტურის, დიდი წარმოების და თავისუფალი მმართველობის“; საფრანგეთს - „სამშობლოს დიდი რევოლუციისა და პირველი მოციქული ადამიანის უფლებებისა“; შეერთებულ შტატებს - დიდი დემოკრატიის სამშობლოს და იტალიას.

და ასე დააკონკრეტა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ: „როგორც ხედავთ საქართველოს და რუსეთის გზები აქაც გაიყარნენ: ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი აზიისაკენ. ვიცი მტრები აყვირდებიან - იმპერიალისტებს ემხრობითო. ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“.

ცხადია, პირველ რესპუბლიკაში შეცდომებიც არაერთი იქნა დაშვებული: სოციალ-დემოკრატების მიერ ერთპარტიული მთავრობის დანიშვნა; პარტიული სტილი სახელმწიფოს მართვაში; ჯარისა და თავდაცვის პრობლემებისადმი არასათანადო ყურადღება და სხვ. მაგრამ ის რაც პირველმა რესპუბლიკამ დღევანდელ ქართულ სახელმწიფოს გამოცდილება დაუტოვა - პოზიტიური უფრო ბევრად მეტი იყო, ვიდრე უარყოფითი.

გავიდა ძალიან ბევრი დრო და დამოუკიდებლობის სამწლიანი მცირე პერიოდი თითქმის ჩაიკარგა მომდევნო 70-წლიან საბჭოთა რეალობაში. საბჭოთა ტოტალიტარიზმმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პირველი რესპუბლიკის ისტორია თითქმის სრულიად ამოეგდო ქართველი ხალხის კოლექტიური მეხსიერებიდან, მაგრამ მან ეს ბოლომდე ვერ შეძლო. ეროვნული მოძრაობისათვის პირველი რესპუბლიკა იყო უმთავრესი შთაგონების წყარო - მისი აღდგენისათვის იბრძოდნენ 1924 წლის აჯანყებულები; პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის მუხლების მიხედვით ქმნიდნენ საკუთარ პროგრამულ დოკუმენტებს 1941 წლის შეთქმულები; 1940-იანი წლების ეროვნული წრეები; 1950-1960-იანი წლების ეროვნული ჯგუფები; 1970-1980-იანი წლების ეროვნულ-დისიდენტური მოძრაობის თავკაცები.

ამიტომაც სრულიად ლოგიკური და ისტორიულად სამართლიანი აქტი იყო ის, რომ 1991 წლის 9 აპრილს ახალმა ქართულმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა თავი. ეს მით უფრო ლოგიკური იყო, რომ პირველ და მესამე ქართულ რესპუბლიკებს მრავალი საერთო ისტორიულ-პოლიტიკური პარალელები და მსგავსებები გააჩნდათ და დღემდე გააჩნიათ.

სია ამ მსგავსება-პარალელებისა ვრცელია და მხოლოდ რამდენიმე უმთავრესს დავასახელებთ: ერთი და საერთო ყოფილი მეტროპოლია, რომელმაც პირველი რესპუბლიკა დაიპყრო და მესამე რესპუბლიკის ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა; პროდასავლური საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია; გეოპოლიტიკური გაურკვევლობა და დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტიების პრობლემა, რომელიც გადაუჭრელი დარჩა პირველი რესპუბლიკისათვის და ჯერჯერობით გადაუჭრელია სამწუხაროდ მესამე რესპუბლიკისათვისაც. პირველი რესპუბლიკა ვერ გახდა ერთა ლიგის წევრი-ქვეყანა და დღევანდელი საქართველო კი ნატო-ს კარს მიღმაა დარჩენილი, თუმცა, როგორც ამბობენ, ეს კარი ღიაა. და სხვა.

მაგრამ განსხვავებებიც ბევრია 1918-1921 წლების პერიოდსა და თანამედროვე საქართველოს შორის. დიდი დრო გავიდა და მსოფლიო შეიცვალა. მაინც რა შეიძლება უმთავრეს განსხვავებად ჩაითვალოს მაშინდელ და დღევანდელ დამოუკიდებელ საქართველოებს შორის?

ალბათ, თავისუფლების ღირებულება და ინსტიტუტი; თავისუფლების განსხვავებული გაგება; დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ურთიერთშესაბამისობა.

მაშინ, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა წამოაყენა თავისი ცნობილი „14 პუნქტი“ და მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნებს დაზავების პირობები შესთავაზა, სახელმწიფოების დამოუკიდებლობა და თავისუფლება თითქმის იდენტური ცნებები იყო. რუსეთის მონარქიის დამხობის შემდეგ, რუს, ქართველ და სხვა სოციალ-დემოკრატიულ და რევოლუციურ პარტიებს „თავისუფლება“ ესმოდათ, როგორც სოციალური თანასწორობის დამყარება.

მას შემდეგ ათეული წლები გავიდა და აღმოჩნდა, რომ მსოფლიოში მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავდა იმას, რომ ამ სახელმწიფოებში ყველგან თავისუფლება დამყარდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც, სამხრეთ ამერიკაში, აზიაში თუ აფრიკაში, მრავალ დამოუკიდებელ სახელმწფოში მძვინვარებდა დიქტატორული რეჟიმები. არც პოსტსაბჭოთა აღმოსავლურ-ევროპულ და ყოფილ საბჭოთა, აწ უკვე დამოუკიდებელ რესპუბლიკებში ყველგან არ ჩამოყალიბებულა თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოებები.

მოკლედ, მსოფლიომ, ყოველ შემთხვევაში, დემოკრატიულმა მსოფლიომ, საბოლოოდ დაადგინა და განმარტა, რომ დამოუკიდებლობა ყოველთვის არ ნიშნავს თავისუფლებას. თუ გავიხსენებთ, 1991 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჩამოსულმა ჯორჯ ბუშმა უფროსმა განმარტა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ურთიერთშესაბამისობა: „ყველაზე საიმედო კრიტერიუმი, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ისაა, თუ რამდენად თავისუფალია ქვეყანა, - ესაა რამდენად უშიშრად გრძნობენ იქ თავს უმცირესობები“.

ეს მოსკოვში თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა და მეორე-მესამე დღეს კიევში კიდევ უფრო დააკონკრეტა: „ნება მიბოძეთ განვმარტო, თუ რა

აქვთ ამერიკელებს მხედველობაში, როცა საუბრობენ თავისუფლების, დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლების შესახებ: თავისუფლება ესაა, ადამიანმა იცხოვროს მის საქმეში სახელმწიფოს მხრდან ჩარევის შიშის გარეშე; რომ როგორც ლორდი ეკტონი იტყოდა, ამა თუ იმ ქვეყნის თავისუფლება იმის მიხედვით იზომება, თუ რამდენად თავისუფალია მასში უმცირესობა“.

ჩვენ აღარ განვიხილავთ საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ამერიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დროის ცნობილ დეკლარაციებს, რომელსაც ეყრდნობა გაეროს საყოველთაო დეკლარაცია ადამიანის უფლებათა შესახებ; სხვადასხვა დროს მიღებულ კონვენციებს და ა. შ. ისევ ჩვენებურ სინამდვილეს დავუბრუნდებით. დღეს ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ათვალწუნებით უყურებს ევროპელთა მიერ დადგენილ სხვადასხვა უმცირესობების თავისუფლებებს. საზოგადოების ამ ნაწილს მიაჩნია, რომ სხვადასხვა უმცირესობების უფლებები აპრიორულად დაცულია საქართველოში და არსებული ვითარება და განთქმული ქართული ტოლერანტობა არავითარ კორექტივებს არ საჭიროებს. მერე მოიყვანენ ხოლმე ისტორიულ მაგალითებს, რომ თბილისის ერთ უბანში ფუნქციონირებდა მუდამ ქრისტიანული ეკლესია, მუსლიმური მეჩეთი და ებრაული სინაგოგა ან ქართველი მეფეები რომ მუსლიმურ მეჩეთებში დადიოდნენ და ა. შ..

არა, - საჭიროა დასავლური კონვენციების პირობების და ნორმების დაცვა, ადამიანის, უმცირესობათა უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. ეს უნდა გავაკეთოთ და არა ჩვენს გუნება-განწყობილებებზე ჩამოვკიდოთ - სხვადასხვა უფლებებთან და თავისუფლებებთან ჩვენი დამოკიდებულება.

მაგრამ მთლად არც ლიბერალურ ღირებულებებში დაეჭვებული სკეპტიკოსები ტყუიან. ჩვენი საზოგადოების მეორე ნაწილი, რა დავარქვათ მათ - რადიკალი მედასავლეთეები? ფსევდოლიბერალები? - კათოლიკეებზე ზედმეტ კათოლიკეობას იჩენენ დასავლური ღირებულებების მიმართ. ასეთი რამ ადრეც გვჭირდა. გავიხსენოთ, რომ ჩვენებური ზოგიერთი ხალხოსნები ან სოციალ-დემოკრატები იმაზე მეტად მენშევიკ-ბოლშევიკ-კომუნისტობდნენ, ვიდრე თვითონ რუსები. ეს ყველა დროის სახადია, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის. ჩვენებური არასამთავრობოების ზოგიერთი აქტორები, იმაზე მეტად „არასამთავრობოებენ“, ვიდრე მათი საქმიანობა ითხოვს.

მოკლედ ფსევდო პატრიოტებსაც და ფსევდოდემოკრატებსაც ერთმანეთი ფიზიოლოგიურად სძულთ და როგორც ილია იტყოდა, ვართ, ვჭყუმპალაობთ ამ გუბეში და ამას ცხოვრებას ვეძახით. როდემდის? რატი ამაღლობელს მოსწყინდა ამ გუბეში ჩვენებური პარლამენტარების ჭყუმპალაობა და გუშინ თუ გუშინწინ მოუწოდა, ძვირფასო დეპუტატებო, რაიმე საინტერესოთი დაკავდითო. საინტერესო კი ის იქნება, რომ ზემოაღნიშნული რადიკალური გადახრების მაგიერ ზომიერ საზოგადოებად ჩამოვყალიბდეთ, განვვითარდეთ, როგორც ძველი ბერძნები ამბობდნენ - ოქროს ზომიერებისაკენ (aurea mediocritas). აი, მაშინ კი შევძლებთ თავისუფალი საზოგადოების შექმნას, დავასკვნით, რომ არ არსებობს დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფო - თავისუფალი საზოგადოების გარეშე, ხოლო თავისუფლება კი ნიშნავს - ყველასათვის თავისუფლებას.

დაბოლოს, ჩვენმა საუკუნის წინანდელმა წინაპრებმა შეძლეს საფუძველი ჩაეყარათ თავიანთი იდეალის შესაბამისი ევროპული ტიპის სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. უხეშმა ძალამ დასცა ახალგაზრდა პერსპექტიული სახელმწიფო, მაგრამ ვერ მოსპო დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეალი ქართველ ხალხში. დღეს ამ იდეალის ასწლეულს ვდღესასწაულობთ. და მასთან ერთად, უნდა ახსოვდეს ქართველ საზოგადოებას, ხალხს, რომ მხოლოდ დამოუკიდებლობა აღარ კმარა. დამოუკიდებლობიდან დემოკრატიული თავისუფალი საზოგადოებისაკენ სვლაში ძევს დღევანდელი იდეალი.

დიმიტრი შველიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

დამოუკიდებლობიდან Exodus-ამდე: რესპუბლიკის 100 წელიწადი

სახელმწიფო - თანაცხოვრების უმაღლესი ფორმაა
არისტოტელე

1957 წელს კაცობრიობის ისტორიაში პირველად კოსმოსში გაუშვეს დედამიწის პირველი თანამგზავრი. საყოველთაო სიხარული, გამოხატული ამ მოვლენის მიმართ არ იყო ტრიუმფალური, მას არც ადამიანის დიდებით შთაგონებული სიამაყის განცდა ახლდა თან - დაუყოვნებელი რეაქცია იყო ადამიანის დედამიწის ტყვეობიდან გათავისუფლებისკენ გადადგმული ნაბიჯის გამო ტვირთის შემსუბუქების შეგრძნება (Arendt, 1998, გვ. 1). აქ დედამიწა გააზრებულია ციხის ტოლფას სივრცედ, რომელიც უნდა გადაილახოს.

აღნიშნულ მოვლენებამდე ოთხი დეკადით ადრე საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეიქმნა. მისი შექმნიდან საუკუნის გავლის შემდეგ, დღეს, როდესაც ვზეიმობთ საქართველოს ასწლიან გზას დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე, ისეთი სურათი იხატება, რომ მის მოქალაქეთა ფართო რიგებში საქართველო - გადასალახი სივრცეა. სივრცე, რომელიც უნდა დაძლიო თავისი მატერიალური თუ მენტალური კონსტრუქციებით, რომელთანაც მას, მოქალაქეს, კავშირი არ აქვს.

კონტრაპუნქტი

ისტორიული რეტროსპექტული აზროვნების წესი, მოვლენებისთვის ფორმალური საწყისი წერტილის და მისი დასასრულის მომენტის განსაზღვრა ახდენს ფენომენების რედუქციას კონკრეტულ შემთხვევამდე და, შესაბამისად, გვაქცევს ლიმიტირებულ სააზროვნო სივრცეში, შეზღუდული ცნებითი აპარატითა და გასააზრებელი საგნებით. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შელახვის სიმბოლიზაცია სხვადასხვა ისტორიული თარიღის გამოყოფით - მათი დაწყებისა და დასრულების აღნიშვნით - და მეხსიერების ადგილების შექმნით, რომელიც ტოტალიტარიზმის ფენომენს კონკრეტულ ისტორიულ გამოცდილებამდე თუ სახელმწიფომდე დაჰყავს, ქმნის არც თუ ისე ზუსტ ჩარჩოს იმის გასაანალიზებლად, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს

სახელმწიფოებრიობის მთავარ გამოწვევებს - დამოუკიდებლობის შელახვას და თავისუფლების უარყოფას. მსგავსი პრაქტიკები არა მხოლოდ ახდენენ ანტითავისუფლების წარსულის კატეგორიებში გააზრებას, არამედ დაჰყავთ ის მხოლოდ ისეთ განზომილებამდე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებულია პროტაგონისტი ქვეყნის, ამ შემთხვევაში, საქართველოს, ფარგლებს გარედან მომდინარე საფრთხეებთან. შესაბამისად, აფერხებენ დამოკიდებულებისა თუ თავისუფლების ფენომენის მრავალმხრივ ანალიზს. მაგალითად, ტოტალიტარიზმის, ანტიდამოუკიდებლობისა და ანტითავისუფლების გაიგივება მხოლოდ ისტორიულ და/ან არსებულ „უცხოსთან“/“სხვასთან“ (the Other), რომლის წინააღმდეგაც იქმნება ერის პოლიტიკური იდენტობა ან ნებისმიერ სხვა გარე ფაქტორთან მივყავართ იმავე შედეგამდე, სადამდეც შეიძლება მიგვიყვანოს ფაშიზმის მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრის იტალიასა თუ გერმანიასთან დაკავშირებამ: მხედველობიდან გვაცლის მათი გამოვლენის ალტერნატიულ წყაროებსა და მისი აღმოცენების მიზეზებს. ამიტომ მოცემულ ესსეში საუბარი იქნება საქართველოს იმ სახის თავისუფლებასა თუ ანტითავისუფლებაზე, რომელზეც შიგნიდან საზრდოობს.

დამოუკიდებლობის ასატანი სიმძიმე

საქართველოს მოქალაქის ცნობიერების ევოლუციამ მარადიული კვლავ დაბრუნების პროცესი შეიძლება მოგვაგონოს. მე-20 საუკუნის დასაწყისში ის გახდა იმ რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც წინ უძღოდა იმპერიული სახელმწიფოს ნაწილად ყოფნის პირობებში ქართული ნაციონალიზმის ნარატივისა და ერთიანი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი. საქართველოს რესპუბლიკის გასაბჭოების შემდგომი გამოცდილება იყო აღნიშნულის საწინააღმდეგო: კვლავაც იმპერიული სახელმწიფოს ნაწილად ყოფნის პირობებში სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმის უარყოფა და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების ახალი ათვლის წერტილი. დამოუკიდებლობის კვლავ მოპოვების შემდეგ - 70 წლის განმავლობაში შექმნილი წარმოდგენების, ჩამოყალიბებული აღქმებისა და ცოდნების კვლავ დაძლევა და ტოტალური, რევოლუციური უარყოფა. რევოლუციური აზროვნების წესი სწორედ ამგვარია - საგნის მისი განცობიერების გარეშე უარყოფა. ადამიანის ცნობიერებას, რომელიც ბინარული ოპოზიციებით არტიკულირებს, ემარტივება განსაზღვროს ის, რის წინააღმდეგ იბრძვის.

სირთულეს წარმოადგენს პასუხი კითხვაზე „ვინ ვარ(თ) მე/ჩვენ?“ ნეგატიური შედარებითი მეთოდის გამოყენების გარეშე.

საკუთარი თავისა შეცნობის პროცესიდან 70 წლის მანძილზე ამოვარდნილ სახელმწიფოსა და მოქალაქისთვის 1991 წელს მოპოვებულ დამოუკიდებლობას სირთულეები თან ახლავს. არავის უთქვამს, რომ ეს მარტივი იქნებოდა - ყოველდღიურ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის აღება და მასზე რეფლექსია. სწორედ აღნიშნულია ის, რასაც დამოუკიდებლობა, როგორც მოცემული პირობა, გვთავაზობს. ყოველი სუბიექტის, მათ შორის, სახელმწიფოს დანიშნულებაა საკუთარი არსის გააზრება, რისთვისაც დამოუკიდებლობა აუცილებელი პირობაა. თუმცა, შიშველი დამოუკიდებლობა შინაგანი დამოუკიდებლობისა და შინაგანი თვითგანსაზღვრულობის - თავისუფლების - გარეშე ცალკეული მოქალაქის ცხოვრებაზე ტრაგიკულად აისახება.

აღმოსავლეთის ფრონტი შეცვლილია

2000 წელს გამოცემულ ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში, სადაც საუბარია კავკასიის ქვეყნების რეგიონული უსაფრთხოების პერსპექტივებზე, ჩვენ ვკითხულობთ პასაჟს, სადაც საქართველო მოხსენიებულია, როგორც არა მხოლოდ სუსტი ძალა, არამედ სუსტი ქვეყანაც, რომელიც უფრო არშემდგარი სახელმწიფოა - კვაზი- სახელმწიფო მოწყვლადი სახელმწიფოებრიობით. მეტიც, მოხსენიებულია, როგორც პროტო-სახელმწიფო, რომელიც ხასიათდება საზოგადოებების პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების დემოკრატიული ტრადიციებისა და სამოქალაქო ელემენტების ნაკლებობით და ეკონომიკური კრიზისით (Rondeli, 2000, გვ. 48). დღევანდელი დომინანტური აკადემიური თუ არააკადემიური დისკურს- პრაქტიკები და სიმულაკრული ხატები გვარწმუნებენ, რომ ჩვენ სხვა რეალობაში ვცხოვრობთ, რაც მხოლოდ ნაწილობრივი სიმართლეა.

დღეს, მოცემულ რეალობაში საქართველო არ იმყოფება პერმანენტულ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში, მის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს აქტიური სამხედრო დაპირისპირება თუ სამოქალაქო ომი, გააჩნია მყარი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები - დამოუკიდებლობის აუცილებელი ატრიბუტები. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ლოგიკა, რომელიც ხელს

უშლის თავისუფლების წარმოების ავთენტურ პროცესს, დღესაც სახეზეა. ყოველივე ზემოხსენებული მახასიათებელი, რომელიც ფორმალური სტაბილურობის ცნებაზე შეიძლება დავიყვანოთ, შესაძლოა, აღმოჩნდეს არც თუ ისე მყარი მოცემულობა იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება არ აღმოჩნდება მათი უზრუნველყოფის გარანტი. ამისათვის კი აუცილებელია, რომ მოქალაქეებს გააჩნდეთ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის საშუალება და გრძნობდნენ მიკუთვნილობას სახელმწიფოში რეალობის შექმნის პროცესისადმი.

ორი თავისუფლების ერთი სახელი

პირველ რიგში, აუცილებელია იმის გააზრება, რომ თავისუფლება სახელმწიფოში არსებული შინაარსებით იქმნება, ვითარდება და მისი გადაფასებების შედეგად ახალ მნიშვნელობებს იძენს. სახელმწიფოს თავისუფლების წარმოება, დამოუკიდებლობისგან განსხვავებით, ქვეყნის შიგნიდან, მისი შინაგანი ძალისხმევიდან მომდინარეობს: თუ დამოუკიდებლობას გარეგანი აღიარება სჭირდება, თავისუფლებას - ადამიანური და საზოგადოებრივი ძალისხმევის აქტი. რასაკვირველია, დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ წარმოადგენენ ბინარულ ოპოზიციას, როგორც, მაგალითად, სიკეთე და ბოროტება, არამედ - ერთ ლოგიკურ კატეგორიაში მყოფ თვისობრივად განსხვავებულ ორ მდგომარეობას. დამოუკიდებლობისგან განსხვავებით, თავისუფლება არ წარმოადგენს გარკვეულ სტატიკურ მდგომარეობას, რომლის მიღწევის შემდეგ ის მოცემულობად მოგვევლინება - ის განვითარების და კვლავწარმოების საგანია. როდესაც ჩვენ გვგონია, რომ თავისუფლების არსი მოვიხელთეთ, კვლავ უნდა დავიწყოთ მისი გადაფასება და მოპოვება. პრობლემურ საკითხს სწორედ ის წარმოადგენს, რომ საქართველო ვერ აწარმოებს თავისუფლების შინაარსებს.

თავისუფლების წარმოებისთვის მნიშვნელოვან მოცემულობად საზოგადოებრივი სტრუქტურების და მათ შორის პასუხისმგებელი ურთიერთმიმართების არსებობა უნდა დასახელდეს. საზოგადოება საკუთარ თავში გულისხმობს იმის გააზრებას, რომ არ არსებობს ერთი ადამიანი მეორეს გარეშე. საზოგადოება ის ერთობაა, რომელთა წევრები თანხმდებიან

იცხოვრონ ერთად და აიღონ ერთობლივი პასუხისმგებლობა ერთმანეთსა და საერთო ბედზე. ის ვერ შედგება ცალკეული ატლანტების გაშლილ მხრებზე დაყრდნობით.

თუ სახელმწიფოებრივ თავისუფლებას სხვა სახის ამოსავალი წერტილი და ლოგიკა აქვს, გარდა სოციალური სტრუქტურების ერთმანეთის მიმართ სანდო ურთიერთმიმართების დამყარებისა, ის კონკრეტული ჯგუფის თავისუფლებაზე, ამ ჯგუფის ფარგლებს გარეთ არსებული სხვა აზროვნების წესის პერიფერიზაციასა და კერძოს უნივერსალიზაციაზეა ორიენტირებული. თუ ვთანხმდებით ზემოთ მოცემულ დებულებებზე, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მაგალითზე გვაქვს ანტი-საზოგადოება ან, სხვაგვარად, საზოგადოების იმიტაცია, რომელიც ფუნქციონირებს სამოქალაქო ურთიერთმიმართების ატროფირების პირობებში. დამოუკიდებელ საქართველოში არსებობს საზოგადოება, რომლის წევრები პოლიტიკური და სოციალური სივრცისგან და ერთმანეთისგან გაუცხოების პროცესში იმყოფებიან.

მე-შენ/მე-ის

გაუცხოების მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის, რომ მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს მნიშვნელობების, შინაარსებისა და ცოდნების წარმოებას, დანარჩენნი მხოლოდ მზა შინაარსების მიმღებლებად გვევლინებიან. ცრუ დიქოტომიის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ მსჯელობა იმაზე, რომ საზოგადოების მსგავსი დაყოფა - აზრის მწარმოებლებად და მიმღებებად - ბუნებრივია და მეტიც, აუცილებელია. აღწერილი ლოგიკა ემყარება საჯარო სივრცეში სხეულების და საგნების ადგილის, ფუნქციისა და დანიშნულების წინასწარ განსაზღვრულობას, რაც a priori ანტიპოლიტიკური და ანტიდემოკრატიული აზროვნებაა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოში არის მაგალითები საჯარო სივრცის ტრანსფორმაციის მცდელობებისა, რომელიც მიმართულია სწორედ არსებული ძალაუფლებრივი ასიმეტრიის, მნიშვნელობების წარმოების გამომრიცხველი ლოგიკისა და უთანასწორობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებისკენ. მნიშვნელოვან ტრანსფორმაციად უნდა მივიჩნიოთ მსგავსი აქტივიზმის ეთოსის რადიკალურიდან უფრო მეტად

სოლიდარულზე გადასვლა, რითაც სივრცის ტრანსფორმაციის მცდელობებმა დემოკრატიული ელფერი შეიძინა და შექმნა ალტერნატიული დისკურს-პრაქტიკები, რომელიც ეგალიტარიზმისა და ონტოლოგიური თანასწორობის იდეას დაეფუძნა. სამოქალაქო აქტივიზმი არ წარმოადგენს მხოლოდ ბრძოლას კონკრეტული ჯგუფის უფლებების დასაცავად, არამედ ის ცვლის მოქალაქეთა საზოგადოებრივ კონფიგურაციას, გამოდის იერარქიული ლოგიკის წინააღმდეგ და უშვებს დიალოგის შესაძლებლობას. სწორედ დიალოგის არარსებობა - არის ის ფენომენი, რომელიც ხელს უშლის დღეს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს და მის მოქალაქეებს თავისუფლების იდეის გააზრებასა და რეალიზებაში. დღეს დიალოგური ურთიერთმიმართების მიღმა იმყოფებიან მძიმე შრომით პირობებში დასაქმებული ადამიანები, შემოსავლის არმქონე და/ან დაბალი შემოსავლის მქონე პირები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანები, პირები, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნის გამო, უსახლკარო ადამიანები, ემიგრანტები - და მათი სახელი ლეგიონია.

Ergo Sum - უფლება სივრცეზე

ეს რეალობა კარგად გასააზრებელია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის დანახვა არ გვსურს. საქართველოს მოქალაქე დღეს ატარებს ტვირთს ვიწროდ განსაზღვრული იდენტობებისა, რომლის გადალახვა მას არ ძალუძს, რადგან საქართველო ვერ შედგა სახელმწიფოდ, რომელიც მოგვევლინებოდა თანაცხოვრების უმაღლეს ფორმად. რეალობას ლოგოსი ქმნის - ლეგიონი კი იმდენად უარყოფილია, რომ ის თავის ხმაურს ლოგოსში ვერ გარდაქმნის, და, შესაბამისად, ის რეალობის ნაწილად ვერ იქცა.

არსებული სოციალური ენა და ცოდნები მხოლოდ ხატებს და სიმბოლოებს აწარმოებენ, მაგრამ არ ქმნიან ცნებებსა და მნიშვნელობებს, რომლითაც მოხდებოდა ამ რეალობის არტიკულირება. ჩვენი სამოქალაქო რეცეპტორები საერთოდ არ არის მიმართული ცალკეული ადამიანის ბედზე, მაშინ, როცა განვითარების პროცესი და ისტორია თავისთავად არ არსებობს - არსებობს ცალკეული ბიოგრაფიები. დღეს საქართველოს მოქალაქეების ბიოგრაფიები თავისუფლების კალმით არ იწერება. ვიწროდ განსაზღვრული იდენტობები კიდევ უფრო ამყარებენ იმ მენტალურ, ყოფით თუ სოციალურ სტრუქტურებს, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყნის შინაგან ტრანსფორმაციას.

ამიტომ ის, რის გადალახვაზეც საქართველოს მოქალაქეები შეიძლება ფიქრობდნენ, არის თავად საქართველო - მისი მატერიალური თუ არა-მატერიალური კონსტრუქტებით, რომლებიც სხვებმა შექმნეს, რომელთანაც კავშირს ვერ პოულობენ, რომლებიც მათ არ ემსახურება. საქართველოს მოქალაქეებს, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნიათ ფორმალური უფლებები და დაკისრებული აქვთ პასუხისმგებლობები, აღნიშნულებით ვერ სარგებლობენ, შესაბამისად, მათი მოქალაქეობა მხოლოდ ფორმალურ სახეს ატარებს, რადგან მათი პოზიტიური გამოყენების შესაძლებლობა არ გააჩნიათ. მეტიც - ისინი მოკვეთილნი არიან მოქალაქეობას, საჯაროობას და სივრცეს. მკვეთრად იერარქიულად დაყოფილი საჯარო სივრცის ფონზე, სადაც ყველას თავისი ფუნქცია გააჩნია, მოქალაქეთა ფართო წრეებისთვის, როგორც დავინახეთ, ადგილი არ არსებობს. მათთვის განსაზღვრული ადგილი მხოლოდ როგორც სივრცითი, ასევე მენტალური პერიფერიაა.

ჩვენ: ყოველდღიური პლებისციტი

საქართველოში დღეს არ მიმდინარეობს ორგანიზებული ცხოვრების ახალი ფორმების შექმნა, რომელიც დაძლევდა საზოგადოების სრულ პოლარიზაციასა და გაუცხოებას. და არა, აქ ცხადია, არ არის საუბარი ბანალურ სოციალურ, კულტურულ თუ იდეოლოგიურ დაპირისპირებებზე, არამედ იმაზე, თუ რას წარმოადგენს ის ქვეყანა, რომელთა მოქალაქენიც ჩვენ ვართ და რა ადგილი გვიკავია თითოეულ ჩვენგანს მის შექმნაში. გაუცხოება აბრკოლებს პოლიტიკური სივრცის მნიშვნელობებით, შინაარსებით დატვირთვას და სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული სიმბოლოების ერთიან გა(და)აზრებას. ფრანგი ისტორიკოსის, ერნესტ რენანის მიერ საკუთარ ესსეში "რა არის ერი?" შემოთავაზებული განსაზღვრების მიხედვით, ერი არის ყოველდღიური პლებისციტი (Renan, 1992, გვ. 10). ყოველდღიური პლებისციტი საკუთარ თავში გულისხმობს არა ტექნოლოგიურ სრულყოფილებას მიღწეულ რეფერენდუმთა რიგს, არამედ რეალობის ყოველდღიური გააზრებისა და საერთო სამომავლო პროექციების შექმნის აქტს. ერი - არის თანხმობა და სურვილი საერთო თანაცხოვრებაზე, რომელიც დაფუძნებულია საერთო წარსულსა და, რაც მთავარია, საერთო მომავლის აღქმაზე. მომავლის პროეცირება და მისი განხორციელება არის ის, რაც ქმნის ერს, რომელიც იაზრებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მნიშვნელობებს. ყოველდღიური ღირებულებითი

ქმნადობა წარმოადგენს სახელმწიფოს თავისუფლების წინაპირობას და ასევე მის შედეგს. დღევანდელ საქართველოში ღირებულებათა შექმნის პროცესი და მომავლის პროეცირება წინასწარგანსაზღვრული ჩარჩოებით მიმდინარეობს. აღნიშნულ პროცესში არ მონაწილეობს მოქალაქეთა სიმრავლე - და არა ხალხი, რომლის აღნიშნულიც მოქალაქეთა მონოლითური პასიური ერთობაა. შესაბამისად, როგორც პრაქტიკულ, ისე იდეურ დონეებზე დღეს საქართველო დაფუძნებულია არალეგიტიმურ პოლიტიკურ ლოგიკაზე, რომელიც თავისუფლების შინაარსს ეწინააღმდეგება. უკანასკნელი ზემოდან იქმნება და გარეგანზეა ორიენტირებული, მაშინ როდესაც ის ქვეყნის თავისუფლების გარანტზე უნდა იყოს ორიენტირებული - მის მოქალაქეზე.

დამოუკიდებლობიდან Exodus-ამდე

საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის 100 წლისთავზე მის ფარგლებს გარეთ, სულ ცოტა, 1 607 744 საქართველოს მოქალაქე იმყოფება. საქართველოში მყოფი რამდენი თანამოქალაქე შეიძლება ყოველდღიურად ასაზრდოებდეს საკუთარ თავში საქართველოს - თავისი მატერიალური და არამატერიალური კონსტრუქციებით, რომელთანაც მას, მოქალაქეს, კავშირი არ აქვს - გადალახვის იდეას ან მენტალურ ემიგრაციაში იმყოფებოდეს? ლეგიონია მათი სახელი.

მარიამ ფიფია

თსუ, დოქტორანტურა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ — რესპუბლიკის 100 წელი

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი, შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“.

ილია ჭავჭავაძე

დამოუკიდებლობა არის თავისუფლების წინაპირობა, საშუალება თავისუფლების მოსაპოვებლად. დამოუკიდებლობა/თავისუფლება ეროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია, რომლებიც უზრუნველყოფენ (თვით)ცნობიერების არსებობას, შინაგან თუ ფორმალურ მიკუთვნებულობას ამა თუ იმ ერისადმი. ეროვნული ცნობიერება პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოს თავისუფლებას, რადგან ასეთ შემთხვევაში არსებობს ცალკეულ ერთან საკუთარი პიროვნების დაკავშირების შესაძლებლობა, ''ჩემად“ აღქმის კონცეფცია; ამ ქვეყნის თავისუფლებაც ბუნებრივია, საზოგადოების გაცნობიერებული არჩევანია.

მოცემულ ესეში შევეცდები გავაანალიზო საქართველოს უახლესი ისტორიის 100 წელი. მიმოვიხილავ ამ პერიოდში მომხდარ საკვანძო ისტორიულ-პოლიტიკურ საკითხებს, მათ არსს, მნიშვნელობას იმ ეპოქისა და დღეს არსებული რეალობისთვის.

დამოუკიდებლობასთან მიმართებით აღსანიშნავია 1918 წლის 26 მაისი და 1989 წლის 9 აპრილი. მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება და მისი თანმხლები გლობალური ცვლილებები საკმაოდ ლოკალურ პერიოდში; 70- წლიანი უკუსვლა და საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული, განმტკიცებული ნაციონალური ცნობიერების უგულებელყოფა, დაუფასებლობა, რაც გამოიხატა ქვეყნის არსებობის ყველა დონეზე. ამის წარმოსაჩენად გავიხსენებ 1918, 1921, 1937, 1978, 1989, 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისს... 2003, 2008, 2012 წლებსა და არსებულ რეალობას. შესაბამისად, შევეხები ქვეყნის/ინდივიდის ეროვნული მიკუთვნებულობისა და იდენტიფიკაციისათვის საყურადღებო საკითხებს: დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, მშობლიურ ენას, რელიგიას, რადგან სწორედ ამ კომპონენტების მოშლით, დავიწყებით

ცდილობდნენ ფასეულობების წაშლას მეხსიერებიდან, ღირებულებების მატერიალური კეთილდღეობით ჩანაცვლების მიზანმიმართული პოლიტიკით. ამრიგად, სახელმწიფოს ისტორიულ-პოლიტიკური გამოცდილება, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გადადგმული ნაბიჯები იქნება მოცემული ნაშრომის თემა საქართველოს უახლესი ისტორიის გადმოსახედიდან.

რა არის თავისუფლება/რის მიღწევას ვცდილობთ?

საქართველომ ბოლო ასწლეულების განმავლობაში რამდენჯერმე დაკარგა სახელმწიფოებრიობა, მაგრამ დღეს დამოუკიდებელ ქვეყანაში ვცხოვრობთ და მივიწევთ თავისუფლებისკენ. თავისუფლება ფორმალურზე მეტად შინაგანი მდგომარეობაა, ფილოსოფიურად - „თვითგანსაზღვრის შესაძლებლობა, იძულების არარსებობა“. სოკრატეს აზრით, თავისუფალი არის ის, ვინც გონივრულად და ზნეობრივად იქცევა (ძვ.წ.აღ.V); პლატონის მიხედვით თავისუფლება პასუხისმგებლობას გულისხმობს; არისტოტელეს შეხედულებით, ბრძენი თავისუფლების პრინციპით მოქმედებს და გარეგან მიზანდასახულობებს არ ემორჩილება; შარლ მონტესკიე და ჟან ჟაკ რუსო საუბრობდნენ თავისუფლების კანონისმიერად უზრუნველყოფაზე და ეს ცნება პირდაპირ დაუკავშირეს დემოკრატიულ სახელმწიფოსა და კონსტიტუციურად სამართლიანად განაწილებულ მმართველობის პრინციპებს. იმანუელ კანტის ფილოსოფიაში თავისუფლება პოლიტიკის, მორალისა და მოქმედების სფეროებშია შესაძლებელი, თავისუფლება ნების წინაპირობაა(XVIII). სახელმწიფოებრივი თავისუფლების, თანასწორობის იდეების განვითარებას უკავშირდება XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეების, „თერგდალეულთა“, საქმიანობა. მათთვის თავისუფლება საკუთარ თავთან დაბრუნებული სამყაროს ცნობიერების შედეგია. სიტყვაში ჟღერს უფალი - თავის უფალი; ის უფლისგან მომდინარეობს, ბუნებისმიერი კანონზომირებაა. ილია ჭავჭავაძე საუბრობდა დასაბამისეულ წესრიგზე, რომელიც აქტუალურია შოთა რუსთველის აზროვნებაშიც თანასწორობის, როგორც უფლისმიერი იდეის სახის: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“; „ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი“; „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს , თუნდა ხვადია“ - ამგვარად, ქართული ნარატივისთვის არაა უცხო ჰუმანისტური მოსაზრებები არსებობის პრინციპულ საფუძვლად.

ამრიგად, მოცემული შეხედულებები რომ გავაერთიანოთ, თავისუფლება არის უმაღლესი მორალურ-ზნეობრივი კონდიცია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს პასუხისმგებლობას, სამართლიანობას, თვითმყოფადობას, პრინციპულობას, სიყვარულს, არჩევანს, ნების არსებობას, გაცნობიერებულობას; ცნობიერების იმ მდგომარეობას, რომელშიც არსებობს საკუთარი თავის ფლობის შესაძლებლობა, „თავისუფალი ნება“ სასურველის მისაღწევად. ხშირად ამბობენ, რომ ქართული ცნობიერება ძველია, მაგრამ თანამედროვე, თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, ასეთი ძველი გამოცდილების სახელმწიფოც კი ვერ ახერხებდა მის შენარჩუნებას, განვითარებას.

უახლესი ისტორიის მიმოხილვას დავიწყებ 1918 წლის 26 მაისიდან. ამ დღიდან, დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებით, იწყება დამოუკიდებლობის ისტორიაც. დღეს, როდესაც დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენელი აუცილებელი ელემენტების (არჩევნები, ლიბერალიზმი) არსებობა და განხორციელება საკამათოა, 100 წლის წინ, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ისარგებლეს იმპერიაში არსებული არეულობით და შექმნეს დემოკრატიული რესპუბლიკა ქვეყანაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ბრძოლების, აჯანყებების, მიზანმიმართული რუსიფიკაციული პოლიტიკით იმართებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის მოვლენები არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ კრახს, არამედ ქართულ გამოცდილებასაც მნიშვნელოვნად უკავშირდება. ერთი მხრივ, მემკვიდრეობას, რომელიც სოციალ-დემოკრატებს დახვდათ, კერძოდ, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებულ ბრძოლას, ღია თუ ფარულ ომს სახელმწიფოს გადასარჩენად და მეორე მხრივ, იმპერიის დაშლას და არამხოლოდ, რადგან, რომ არა მოღვაწეთა გონიერება სამი წლის განმავლობაში ამდენი რეფორმა ვერ განხორციელდებოდა. მოცემულ წლებს უკავშირდება ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელთა კრების ჩამოყალიბება(1918-1919წლები), რომლებიც „პირველყოფილ“ საპარლამენტო წარმონაქმნებად მოგვევლინენ, რადგან რეალურად ვერ მოხერხდა საპარლამენტო მმართველობის ამოქმედება „დიდი ოჯახში გაერთიანების“, „საერთო ფერხულში“ ჩაბმის გამო. „სამწლიან მმართველობას“ გააჩნდა მნიშვნელოვანი მონაპოვარი დემოკრატიული მმართველობის გასავითარებლად.

• (უ)სულ)გულო სახელმწიფო

პარლამენტი, კონსტიტუცია, ავტოკეფალია, დამოუკიდებლობის აქტის მიღება, არჩევნები - ეს ყველაფერი XX საუკუნის დასაწყისში, 3-4 წლის განმავლობაში. აქვე ისმება შეკითხვა, როგორ გაგრძელდებოდა ამ ქვეყნის პოლიტიკური განვითარება, რომ არა საბჭოთა კავშირის შექმნა? პასუხი, ჩემი აზრით, რეალისტური და მარტივია - გაცნობიერებულად, დემოკრატიულად. ალბათ, არც 90-იანი წლებით დასრულდებოდა დამოუკიდებლობითა და არჩევნებით დაწყებული საუკუნე. საქართველოს ამგვარმა განვითარებამ შეაშფოთა რუსეთის სახელმწიფო და მრავალწლიანი, შეფარული დამორჩილების გზით მიმდინარე პოლიტიკა კანონისმიერად გამართული, ყველასათვის გაცხადებული მმართველობის ფორმით ჩაანაცვლა, რასაც ,,საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“ დაარქვა. ამით არსებობის მთავარ პრინციპებად დააწესა: სოციალიზმი, მეთაურად შეუცდომელი, უცოდველი ბელადი. ისტორიულ-პოლიტიკური პრინციპები ‘’საერთო კეთილდღეობას’’ დაეფუძნა; ეროვნული ცნობიერება გაერთიანდა საერთო სახეში, შესაბამისად, ზედმეტია იდენტობაზე საუბარი, რადგან ყველაფერი ქართული გახდა საყოველთაო. ამან მოშალა ზღვარი კოსმოპოლიტურ და პატრიოტულ მისწრაფებებს შორის, მეტიც, ეროვნულობა საერთოდ დაიკარგა და დაექვემდებარა ბელადის მორჩილებით შთაგონებულ საკავშირო მისწრაფებებს. სოციალისტური რეჟიმის სახის გასააზრებლად საყურადღებოა მათ მიერვე შექმნილი 4 ლიტერატურული მიმდინარეობა. „მოდერნის“ ეპოქაში მათ შემოგვთავაზეს „სოციალისტური რეალიზმი“ შემდეგი პოსტულატებით: „მწერალი კაპიტალიზმის მესაფლავე და სოციალიზმის ბებიაქალია“, „მწერლები ადამიანის სულის ინჟინრები არიან“ (სტალინი). ამ სიტყვებში ჩანს ღირებულებები, ხასიათი; ვინც ბებიაქალად და ინჟინრად არ გამოდგა, დეგრადირებულად და მოღალატედ გამოაცხადეს. „ტოტალიტარული სისტემა, პირველ რიგში, თავისუფლებას და თავისუფალ აზროვნებას უპირისპირდება“, - აღნიშნავდა მერამ მამარდაშვილი, სწორედ ამიტომ, ამ სისტემას ემსხვერპლნენ: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვები. მსგავსი რეჟიმისათვის არა მხოლოდ ინტელექტუალები წარმოადგენდნენ საფრთხეს, არამედ თავად უზენაესიც. მათ აშინებდათ სხვა რეალობა, რწმენა, ადამიანის შინაგანი მდგომარეობის არსებობა, რომელიც რეჟიმის გარდა სხვა ჭეშმარიტებას აღიარებდა. ეს შეხედულებები აისახა ქართული ეკლესიის ისტორიაზეც მრავალი დახვრეტილი სასულიერო პირის, გაუქმებული საეკლესიო ცხოვ-

რების სახით. გარდა ამისა, ებრძოდნენ ენას; ამ ბრძოლამ შემოგვინახა „დედაენის დღედ“ წოდებული 14 აპრილი. ისინი ცდილობდნენ „ენობრივი მსოფლხატის“ განადგურებას ქართველი ადამიანის ცხოვრებაში, რათა სამყაროს აღქმის თავისებური, ჩვენეული, ქართული ენისმიერი გაგება დაკარგულიყო. მაშასადამე, ამ ეპოქას არ გააჩნდა სული, ყველაფერი მატერიალიზებული იყო, შესაბამისად, არ არსებობდა სახელმწიფო და ინდივიდი თავისი ღირებულებებით, მიზნებით, იდეებით. 70-წლიანმა „საერთოობამ“ დაგვიტოვა იდენტობამოშლილი ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს და რთულად ახერხებენ სახელმწიფო ინტერესების საკუთარ თავში რეალიზებას.

დამოუკიდებლობის აქტიდან სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე

სამყაროში ყველაფერი იცვლება. ბუნებრივია, ეს სისტემაც აღმოჩნდა დასასრულის წინაშე, მაგრამ დაგვიტოვა 1989 წლის 9 აპრილი... აღსანიშნავია, რომ ამდენწლიანი სიბნელე მალევე ნათელი ფერებით ვერ შეიცვლებოდა და 90-იანი წლების ქაოსით მისი ჩანაცვლებაც შესაძლოა ლოგიკური იყო. მოცემული ეპოქის პოლიტიკოსებს, გამბედაობის მიუხედავად, არ აღმოაჩნდათ შესაბამისი პოლიტიკური გამოცდილება, პოლიტიკური ალღო პროცესების წარსამართად. სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდა დისიდენტი, მეცნიერი, ზვიად გამსახურდია, რომელმაც თავისი გულწრფელობით, პირდაპირობით ბევრი დააფრთხო და შეშინებულთა ხროვას თავად ემსხვერპლა. მან და მერაბ კოსტავამ დამოუკიდებლობისათვის დაწყებული ბრძოლა გააგრძელეს და დაასრულეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით 1991 წლის 9 აპრილს. 9 აპრილის ტრაგიკული ასოციაცია გამარჯვების ასოციაციით შეცვალა მათმა ძალისხმევამ. ამ ყველაფერმა წარმოშვა XX საუკუნის უდიდესი დანაშაული, პრეზიდენტის მკვლელობა. ეს პრეზიდენტის გაცნობიერებული არჩევანი იყო. მას ჰქონდა არჩევის შესაძლებლობა და მისთვის სასურველი სულაც არ იქნებოდა სიკვდილი, თუმცა ეს გზა უფრო იოლი აღმოჩნდა, რადგან, როგორც ცნობილია, მას სთხოვდნენ აფხაზეთის რუსეთის საზღვრებში აღიარებას და მიუხედავად გარდაუვალი მომავლისა, რაშიც მოიაზრება აფხაზეთთან დაკავშირებული შემდგომი მოვლენები, მან უარყო კეთილდღეობის მომტანი შეთავაზება. ამის

სანაცვლოდ კი, მის საქმეს ოფიციალურად დღემდე არ ჰქვია მკვლელობა და გამოუძიებელია. მოცემული საუკუნე დასრულდა ჩაუდენელი ცოდვების აღიარებითაც, რაც გამოიხატა „ქვეყნის მეოხად“ მოვლენილი მეორე პრეზიდენტის ჩამოყვანით, მისთვის მორჩილების აღთქმითა და წინ გაძღოლის მოთხოვნით. ,,შევარდნაძის ეპოქა“ - ასე ეძახიან პერიოდს, რომელიც მეორე პრეზიდენტის მმართველობას უკავშირდება და ასოცირდება, პირველ რიგში, სიბნელესთან. მეორე პრეზიდენტი ხელისუფლებაში მოვიდა პუტჩის შედეგად, „მხედრიონელ“ ჯაბა იოსელიანის დახმარებით. ალბათ, გასაგებია, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოსთვის ეს პერიოდი. 1992 წლიდან იყო პარლამენტის თავმჯდომარე, 1995 წლიდან - საქართველოს პრეზიდენტი; ამ წელსვე მიიღეს კონტიტუციაც. საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა მისი მმართველობა, 2003 წლამდე. დასრულდა „ვარდების რევოლუციით“.

როგორც ვხედავთ, საქართველოსთვის საპრეზიდენტო მმართველობა პირდაპირ უკავშირდება რევოლუციებს, ერთის „ჩამოგდებას“, მეორის „ამაღლებასა“ და ზარ-ზეიმით მოყვანას. ედუარდ შევარდნაძე, როგორც ამბობენ, აკაკუნებდა ევროპულ გაერთიანებათა კარებზე, მაგრამ, რამდენად გულწრფელი და ქმედითი იყო მისი ნაბიჯები, საკამათოა იმ ყველაფრის ფონზე,რაც უძღოდა მის გაპრეზიდენტებას, კერძოდ, აფხაზეთის ომი, აფხაზეთიდან გადმოყვანილი მოსახლეობის უკან დაბრუნება, შემდეგ ომის გაგრძელება და „გოლგოთის გზის“ გამოვლა, „მხედრიონელებთან“ კავშირი.

საზარლად მშვიდი, არაფრისმომტანი პერიოდი შეიცვალა 2003 წლის 23 ნოემბრის რევოლუციითა და მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებით, რომლის ძალამაც მალევე ამოიყვანა ქვეყანა ჭაობიდან, სიბნელიდან, ამოქმედდა სახელმწიფო სტრუქტურები, საქართველო გაჩნდა მსოფლიოს რუკაზე, თუმცა ქართული რეალობისთვის ნიშანდობლივი ძალადობა ამ პერიოდისათვისაც აქტუალური იყო. სახელმწიფოს მხრიდან ხშირად ირღვეოდა ადამიანთა უფლებები. მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყანა ისეთი კორუმპირებული და უმოქმედო არ იყო, როგორიც 2003 წლამდე. ამ პერიოდში ნათლად გამოიკვეთა საქართველოს ევროპული ხედვა, მის მისაღწევად სწრაფვა იქცა მთავარ მიზნად. ბუნებრივია, რომ რეფორმები, რომლებიც მაშინ განხორციელდა, ბევრს სამართლიანად შეეხო, ბევრი უსამართლოდ დაიჩაგრა. საშიში, ქურდული მენტალიტეტით გაჟღენთილი

ქუჩები ძალიან მალე დაცარიელდა წესრიგის დამრღვევთაგან, რამაც წარმოშვა პატიმართა კოლოსალური რაოდენობა. თითქმის აბსოლუტური მხარდაჭერით მოსულ მთავრობას კი გაუჭირდა მეორე ვადით ხელისუფლების შენარჩუნება და მმართველობის პირველი პერიოდი დაასრულა აქციებით, აქციების ძალისმიერი მეთოდებით დაშლით.

XXI საუკუნეში, 2008 წელს, მეზობელმა რუსეთმა შუასაუკუნეობრივი მეთოდებით გადაწყვიტა საქართველოს დამორჩილება. მათი მცდელობა მალევე დიდი ადამიანური და მატერიალური დანაკარგით დასრულდა. ამ პერიოდის მიღწევებთან ერთად იყო რამდენიმე სახელმწიფოსათვის სერიოზულად დამაზიანებელი მომენტი, ციხეებში პატიმართა წამების, სამართალდამცავი სტრუქტურების ძალადობრივი ქმედებების, აგვისტოს ომისა და სხვა საკითხების სახით, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, რომლებმაც ქვეყანა რეალურად აამოქმედა, განვითარების იმპულსი მიანიჭა.

დღეს...

2012 წელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია, რადგან ამ წელს შეიცვალა ხელისუფლება დემოკრატიულად, ყოველგვარი რევოლუციის გარეშე. გასაგებია ამ პოლიტიკური ნარატივის განმაპირობებელი ფაქტორებიც; პირველ რიგში, ხელისუფლება დაემორჩილა ხალხის ნებას; იცოდა, რა მოჰყვებოდა საზოგადოების უმრავლესობის ნების უგულებელყოფას და სამოქალაქო დაპირისპირებას მშვიდობიანი ცვლილება არჩია. მას შემდეგ დღემდე აღნიშნული ხელისუფლება მართავს სახელმწიფოს. რთულია ზუსტი დასკვნის გამოტანა არსებულ ვითარებაზე, თუმცა ერთი რამ ფაქტია, რთულია დემოკრატიული პრინციპების საქართველოში რეალიზება. პოლიტიკაც ვიღაცების წინ წამოწევას, გარკვეული ფაქტების გადაფარვას ემსახურება. ცხადია ისიც, რომ უკვე მერამდენე წელია გარდამავალი პერიოდი მიმდინარეობს ისტორიულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ქვეყანა ძალიან ნელა ვითარდება, ეს მაშინ, თუ ოპტიმისტურად შევხედავთ არსებულ ვითარებას; ობიექტური თვალიც საგანგაშოს ვერაფერს გვაუწყებს საერთო სიმშვიდისა თუ მოჩვენებითი კმაყოფილების ფონზეც. დღესაც არაა დაძლეული მნიშვნელოვანი მენტალური პრობლემა, საბჭოთა ინერციით არსებული, რუსეთის მიმართ დამოკიდებულება. არსებობენ ძალები,

რომლებიც არა თუ მტერს, არამედ გამოსავალს ხედავენ ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, რაც ძალიან სამწუხარო და საშიშია.

ამრიგად, საქართველომ სერიოზული ცვლილებები განიცადა ბოლო ასწლეულის განმავლობაში, რამაც გამოკვეთა ჩვენი ცხოვრების თანმდევი რამდენიმე ტენდენცია. ალბათ, ქართული პოლიტიკის და არამხოლოდ მისი, ზოგადად, ქართული რეალობის, უმთავრესი პრობლემა და ყველა უბედურების მიზეზი გაუნათლებლობა და ფარისევლობაა, რაც თვალსაჩინოა ნებისმიერი სფეროს ყველა საფეხურზე. სწორედ ფარისევლობა უშლის ხელს შეცდომების წარმოჩენას, ხოლო მათი აღიარების და მოგეხსენებათ, მომხდარის ობიექტურად გაანალიზების გარეშე შეუძლებელია მომავლის შექმნა. ამისათვის აუცილებელია ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და არა მკვლელობას - თვითმკვლელობა; სიყალბეს - დემოკრატია; თავაშვებულობასა და უზნეობას - ლიბერალიზმი... ჩემი აზრით, მუდმივად „სხვებისათვის“ გადაბრალებაც ქართული პოლიტიკის ნიშანდობლივი ელემენტია. ყველაფრის დაკარგვა, განადგურება, ყოველგვარი უზნეობა „სხვების“ ბრალია, უცხოეთიდან შემოდის. რატომღაც ჰგონიათ,რომ „გვრყვნიან'', გვართმევენ. რთულია ქართულ ნიადაგზე სიახლის ფორმირება მართებული კუთხით, რადგან ჭირს ზომიერების დაცვა. ბევრმა ევროპულმა ღირებულებამ დამახინჯებული ფორმა მიიღო, მაგალითად, ლიბერალიზმი სიახლეების მიმღებლობისა და თავისუფლების, ჯანსაღი ურთიერთობების ფორმირების ნაცვლად, ყველაფრისმკადრებლობაში გადაიზარდა; ხშირად გაიგებთ უზნეობის გასამართლებლად რეპლიკებს „ევროპაში ვართ!“, „ესაა შენი ევროპა, აბა რა გეგონა?!“ ...გამოცდილებისა და არსებული რეალობის გათვალისწინებით, ქართული სახელმწიფოს განვითარება მდგომარეობს თავისუფლების დამკვიდრებაში. XIX საუკუნის ჰუმანისტისა და განმანათლებლის, ილია ჭავჭავაძისათვის, ''თავისუფლება მშვიდობა და სიმართლეა, განმაღრთოვანებელი ძალაა“ (,,ქართვლის დედა“); მას მსგავსი შეხედულებებისათვის ბრძოლის გამო ,,ლიბერალი ბურთიც“ კი უწოდეს („ის ლიბერალი ბურთივით მრგვალი“,- გრიგოლ ორბელიანი). რაც შეეხება, საქართველოს ამგვარ მომავალს, მისასალმებელია ის, რომ გაცხადებული პოლიტიკა ევროპულ სამყაროში ინტეგრაციას უკავშირდება, რადგან ევროპა სივრცეა, რომელმაც დიდი და რთული გზა გაიარა იმის მისაღწევად, რაც დღეს აქვს. მათთან წარმოიშვა და განვითარდა ნაციზმი, ფაშიზმი, თუმცა დღეს წესრიგზე, პრინციპებზე, პასუხისმგებლობაზე, ლიბერალიზმზეა ორიენტირებული და მათი განვითარების საფუძველიც ღირებულებების

ერთგულებაში მდგომარეობს. მათ არ დაუკარგავთ ისტორია, კულტურა, მათ საფუძველზე შექმნეს თანამედროვე ცივილიზაცია. საქართველოსაც დიდი და რთული გზის გავლა უწევს თავისუფლებისათვის. ამ გზაზე ბევრი წინააღმდეგობაა საზოგადოების არასწორი აღქმის, ფსევდოპატრიოტების, ფსევდოლიბერალების თუ რადიკალური ჯგუფების სახით. დღესდღეობით უამრავი გამოწვევაა საქართველოს წინაშე, მათ შორისაა, განათლება, ოკუპირებული ტერიტორიები, ეკონომიკური, სოციალური, მენტალური განვითარება და ა.შ. თავისუფლების საფუძველია ცოდნა, აზროვნება, განათლება. თავისუფლება ორგანულად უკავშირდება ყველა მოცემულ საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საიმედო მომავლისათვის სწორედ განათლებაა, რადგან სხვა მიმართულებებში სტაგნაცია და ჩამორჩენა სწორედ მისი ნაკლებობითაა გამოწვეული. რაც შეეხება ამგვარი მომავლის შესაძლებლობას, ჩემი აზრით, დამოუკიდებლობის დღის არსებობა უკვე განსაზღვრავს პრიორიტეტს, სასურველ ნარატივს მომავლისათვის. სასურველი მომავალი კი გულისხმობს ერთიან, ძლიერ, განვითარებულ, თავისუფალ სახელმწიფოში თანაცხოვრებას. 26 მაისი და 9 აპრილი - ამ ორ თარიღს შორისაა განფენილი დამოუკიდებლობის იდეა, ამ იდეის უწყვეტობა, უცვლელობა, პრიორიტეტულობა, 1918 წლიდან 1989 წლამდე; ეს თარიღები იმედისმომცემია, დასაწყისია უფრო დიდის - „სხვა“ ძალისაგან გათავისუფლების, ეროვნული იდენტიფიკაციის, საკუთარ თავთან დაბრუნებისა და თავისუფლების.

მარიამ ღვინჯილია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრანტი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ – რესპუბლიკის 100 წელი

100 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს მოხდა 1918 წლის 26 მაისს, 16 საათსა და 50 წუთზე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში (დღევანდელი რუსთაველის გამზირზე). უნდა ითქვას, რომ საქართველოს თავისუფლებაში წვლილი მიუძღვის გერმანიის საელჩოს წარმომადგენელს ფონ ლოსოვს, რომელიც მედიატორის როლს ასრულებდა საქართველოსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკებებში. მაშინ „ვიგემეთ“ ალბათ თავისუფლება. ცუდია, როდესაც ეს სიტყვა თავის მნიშვნელობას კარგავს და საზოგადოება თავისუფლებას თვითნებობასთან აიგივებს. სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს დიდი ადამიანები თავისუფლებას ქადაგებდნენ. საქართველოსთვის თავისუფლება ისეთი რამეა, რასაც ყოველთვის კარგავდა, მაგრამ ყოველთვის ეძებდა, იბრძოდა მისთვის, რადგან მასზე ძვირფასი არაფერი ჰქონია.

ვაჟა-ფშაველა ამბობდა, რომ თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა, ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ თავისუფლება ადამიანის მდგომარეობაა, ჯონ ლოკი ფიქრობდა, რომ თავისუფლება შემოქმედისგან ნაბოძებია და არავის აქვს მისი წართმევის უფლება.

საქართველოსთვის თავისუფლება რთული მონაპოვარია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობიდან 100 წელი გავიდა, ჩვენ ამ 100 წლიდან 70 წელი რუსეთის ანუ საბჭოეთის ქვეშ გავატარეთ. საქართველოსთვის თავისუფლების იდეა აბსტრაქტული იყო, თუმცა იგი პრაქტიკული მას შემდეგ გახდა, რაც 1917 წლის რევოლუციამ საფუძვლები შეურყია რუსეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობას. თავისუფლების დროშები აღიმართა ფინეთში, პოლონეთში, უკრაინასა და ბალტიისპირეთში. ახლა საქართველოს პოლიტიკურ ელიტაზე იყო დამოკიდებული, შეძლებდნენ თუ არა დამოუკიდებლობის მოპოვებას.

საქართველოში ერთბაშად წარმოიშვა უამრავი დასახელების საბჭო, კომიტეტი, პროფესიული თუ შემოქმედებითი კავშირები. სიტუაცია იმას მოითხოვდა, რომ შექმნილიყო რამე მეთაური ორგანო, რომელიც აი, ამ უამრავი ორგანიზაციისა თუ კავშირის ორგანიზებას მოახდენდა. 1917 წლის მარტში სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკები), ფედერალისტური პარტიის,

ეროვნულ-დემოკრატების და ესერების წარმომადგენლებმა საფუძველი ჩაუყარეს პოლიტიკური შეთანხმების ორგანოს „ეროვნული კომიტეტის“ სახელწოდებით. მოგვიანებით კრებას „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ დაერქვა. მის მუშაობას აღმასრულებელი კომიტეტი წარმართავდა, აკაკი ჩხენკელის მეთაურობით. ეტაპობრივად ყალიბდებოდა სამხედრო, საფინანსო, საინფორმაციო, საგარეო და სხვა სექციები. 1917 წელს ინტერპარტიულმა საბჭომ დელეგაცია გაგზავნა პეტროგრადში, დემოკრატიულ თათბირზე, რომელშიც რუსეთის დროებითი მთავრობის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას. ქართველი ხალხის სახელით გამოსულმა აკაკი ჩხენკელმა განაცხადა, რომ საქართველო ესწრაფვის ეროვნულ-ტერიტორიულ, პოლიტიკურ ავტონომიას. კიევის ყრილობამ მხარი დაგვიჭირა, თუმცა კერენსკიმ ყველაფერი ეს დაგმო. რუსეთის დროებითი მთავრობა არ იყო ორგანიზებული და მათი არაორგანიზებულობის გამო ქვეყანაში იქმნებოდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც კიდევ უფრო ამწიფებდა სახელმწიფო გადატრიალებას, საბოლოოდ კი ასეც მოხდა, ოქტომბრის რევოლუციით რუსეთში პლორეტარიატის დიქტატურა დამყარდა. მარქსისტული უტოპიებით ნაკვები საზოგადოება, რომელსაც სურდა საერთოდ „სახელმწიფოს ცნება“ გაექრო. ისტორიას, წლებს, მოვლენებსა და სახელებს ბევრ დროს დავუთმობდი, თუმცა ალბათ 100 წლის ისტორიის მოყოლას ბევრად მეტი სიტყვა დაჭირდება, ვიდრე მოცემული მაქვს. საუბარს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე ვაპირებ და ერთერთი ასეთი მნიშნველოვანი მოვლენა, როგორც თავში ვახსენეთ, კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციაში შეკრებილი ეროვნული საბჭოს სხდომა გახლდათ.

ისტორიულ სხდომას საბჭოს 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა. ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ მუხლში ეწერა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა საქართველოს ისტორიაში, რადგან დამოუკიდებლობა სუვერენობის გარეშე არ არსებობს.

დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველომ დაიწყო საშინაო პოლიტიკის გატარება. 1919 წლის თებერვალში ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, დამ-

ფუძნებელი კრების საყოველთაო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა ქალებმაც მიიღეს. ამავე წელს ჩატარადა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, განხორციელდა სასამართლო რეფორმები, შეიქმნა დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით, შექმნეს იაკობ ნიკოლაძემ და იოსებ შარლემანმა. ამავე წლის ივლისში მთავრობამ საკუთარი დროებითი ფულადი ნიშნის-ბონის გამოშვება დაიწყო. მისი კურსი მეზობელი ქვეყნების ვალუტასთან შედარებით სიმყარით გამოირჩეოდა. აგრეთვე ჩამოყალიბდა სახელმწიფო ბანკი. ამავე წელს თბილისის უნივერსიტეტი გამოცხადდა სახელმწიფო უნივერსიტეტად (დაარსდა ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით), დაარსდა საქართველოს მუზეუმი.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიის ნგრევამ, საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა დაუტოვა, ქართველები მაინც ახერხებდნენ ვაჭრობას, თუმცა კი საქართველოს ეკონომიკის სწრაფ რეაბილიტიაციას ხელს ის უშლიდა, რომ ქვეყანა არ იყო საერთაშორისოდ აღიარებული, რადგან რუსეთს ერიდებოდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, გერმანია საქართველოს დაეხმარა დამოუკიდებლობის მოპოვებაში, თუმცა კი სანაცვლოდ მათ ეძლეოდათ საქართველოს რკინიგზისა და ნავსადგურების გამოყენების უფლება, მონოპოლია წიაღისეულისა და ნედლეულის ექსპორტზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რკინიგზისა და წიაღისეულის მმართველობაში ქართველებსა და გერმანელებს თანაბარი უფლებები ჰქონდათ, შესაბამისად, შემოსავალიც თანაბრად ნაწილდებოდა. გერმანიისგან ყველაზე დასაფასებელი ნაბიჯი ის გახლდათ, რომ მან უზრუნველყო ქართული და რუსული საფრთხეებისგან დაცვა, მაგრამ გერმანია ომში დამარცხდა 1918-ში, რის შემდგომაც, დატოვა კავკასია. პირველი მსოფლიო ომი დასრულდა, გერმანიამ, როგორც ისტორიკოსები იტყვიან, ვერ მოიპოვა „ადგილი მზის ქვეშ“.

მსოფლიო ლიდერები პარიზში შეირკიბნენ, რათა ახალი წესრიგი შეექმნათ. ეს იყო მსოფლიო ისტორიაში ყველაზე დიდი საერთაშორისო ფორუმი. ცხადი იყო ის, რომ რუსეთი ადრე თუ გვიან ცდილდა საქართველოს ხელახლა ანექსიას. საქართველო ცდილობდა მანდატის მოპოვებას, თუმცა კი ვერ შეძლო, რადგან არავის უღიდა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების რისკის ფასად, დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობა. იტალიამ მანდატზე უარი განაცხადა, დიდ ბრიტანეთში საბოლოო აზრი არ იყო ჩამოყალიბებული, თუმცა საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი, საქართ-

ველოს მხარდასაჭერად იყო განწყობილი. მან გამოგზავნა კომისრად ოლივერ უორდროპი („ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელის, მერჯორი უორდროპის ძმა, რომელიც საქართველოს მიმართ დადებითად იყო განწყობილი. სამხედრო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლობის მხარდაჭერის საჭიროებას ვერ ხედავდა. საბოლოოდ კი ლონდონმა რეგიონიდან ჯარები გაიყვანა. ვერც ერთა ლიგაში შესვლა მოვახერხეთ. ერთა ლიგაში მოსახვედრად 16 ხმა იყო საჭირო, ჩვენ კი 10 გქვონდა. ერთა ლიგაში ვერ მოხვედრაც ორი მიზეზით იყო განპირობებული. ჩემი აზრით, ერთი - რუსეთთან აგრესია შეიკავეს, ხოლო მე-2 ჩვენი მეზობლები უკვე გასაბჭოებულები გახლდნენ.

პოლიტიკას გულუბრყვილობა არ ახასიათებს, ცხადია რუსეთი, როგორც კი ძალების მოკრებას შეძლებდა ანექსიას განახორციელებდა და ასეც მოიქცა. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში რუსეთის წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ.

თუმცა, რა იყო დამოუკიდებლობა? მე იმ ეპოქაში გავჩნდი, როცა კრიტიკული აზროვნება დასაშვებია, დასაშვებია გქონდეს კითხვებ; პოლიტიკურ მოვლენებთან და ისტორიასთან. მათ თავდაპირველად დამოუკიდებლობა სურდათ და არა თავისუფლება. ქართველები თავდაპირველად უბრალოდ ავტონომიურობას ვითხოვდით, ხან პროტექტორატისკენ ვიხრებოდით, შემდეგ აჯანყებებს ვაწყობდით, ვგულისხმობ 1832 წლის აჯანყებას, მოკლედ ვცდილობდით, რომ რაღაც დამოუკიდებელობისმაგვარი გვეგრძნო. ვერც 1918-ში წარმოიდგენდნენ იმას, რაც მოხდა, მაგრამ პოლიტიკურმა მოვლენებმა განაპირობა ყველაფერი ეს.

ვეცადე ისტორიის ქრონოლოგიას მივყოლოდი და ვითარება მიმეყვანა საბჭოთა კავშირამდე. რა არის ეს საბჭოთა კავშირი? კლასიკური გაგებით ეს კარჩაკეტილობა, კონფორმულობა, რეჟიმი და „სიკეთის მოსასხამში“ გახვეული სახელმწიფოა, რომელიც ყოველთვის „მორალურია“. არიგებს თავის მოქალაქეებს და ზრუნავს მათ სიკეთეზე, თუმცა სინამდვილეში არასარკასტული გაგებით ეს უბრალოდ ბიუროკრატიული მონსტრია, რომელიც საკუთარ საცეცებს ზრდის, ანუ საკუთარ ბიუროკრატიას აფართოებს. ჩვენ ვიცით, რომ რაც უფრო დიდია მთავრობა, ეს იმას ნიშნავს, რომ პატარაა თავისუფლება, პატარაა ინდივიდუალობა, პატარაა ადამიანი, პატარაა სიკეთე, ასეთი იყო საბჭოთა კავშირიც დიდი მთავრობით და პატარა ადამიანით, სადაც ადამიანის სიცოცხლეს არანაირი ფასი არ აქვს.

იმ მწერლების სია ძალიან დიდია, რომლებიც ამ მონსტრს შეეწირნენ. ისინი უბრალოდ არ ცნობდნენ ხელოვნებას. ასე მაგალითად, როგორც ვიცით იოსებ ბროდსკიმ, დიდმა რუსმა (შემდეგში ამერიკელმა) პოეტმა ვერ დაამტკიცა სასამართლოზე ის, რომ მუშაობს და საქმიანობს. სასამართლო მას ცინიკურად ეკიდებოდა იმ ფაქტის, გამო რომ აქაოდა „პოეტობა რა საქმეაო“. ეს ალბათ ყველაზე მსუბუქი მაგალითია, ბევრად არაადამიანურებიც მომხდარა - პოეტების, მწერლების დახვრეტა, მოკლედ, ყველას დახვრეტა, ვინც „დიად მიზანს“ შეურაცხყოფდა. ლიტერატურამ მოახერხა ის, რომ დაახლოებით აეხსნა, რა საშინელება იყო საბჭოთა კავშირი, ის იმპერია, რომელსაც დაპყრობილი ჰყავდა საქართველო. ჯორჯ ორუელის „1984“ მიმაჩნია, რომ ალბათ პირველი წიგნია, რომელიც ზუსტად ხსნის, თუ რა იყო საბჭოთა კავშირი; ბევრი სამინისტრო, დიდი კონტროლის მექანიზმები, თვალყურის დევნებები და კლასიკური ფრაზა “Big brother is watching you”, კი, ეს “დიდი ძმა“ ყოველთვის აკონტროლებდა ადამიანების არამარტო ქცევას, არამედ ტვინებსაც, რომ მათ განსხვავებულად არ ეფიქრათ. აგრეთვე კარგად გვიხატავს ჩვენთვის, ყველასთვის საყვარელი, გურამ დოჩანაშვილი თუ როგორია საბჭოთა კავშირის მმართველების ტიპური მაგალითი. ვეცდები შეგახსენოთ, ჩვენთვის კარგად ნაცნობი, გამოკვეთილი ლიდერი მარშალი ბეტანკური, როდესაც გაიგებს, მისი ქვეშევრდომისგან, რომ ქალაქში სიწყნარეა და ხალხში შფოთვა, ინტრიგა არ არის, მაშინვე იწყებს ინტრიგების დათესვას ხელოვნურად.

ისეც მოხდა, რომ ბელადი იოსებიც გარდაიცვალა. მისმა შემცვლელებმა კი, იოსების კულტის დანგრევა განიზრახეს, თუმცა ამან ქართული საზოგადოება გააღიზიანა, რაც ჩემთვის პირადად ერთ ფაქტორზე მიუთეთებს: ადამიანები იმდენად იყვნენ დამონებულნი, რომ თავიანთი პატრონი, რომელიც სცემდა, ხვრეტდა, ვაჟა-ფშაველას იწუნებდა(ამაზე საუბრობს კანდიდ ჩარკვიანი, გელა ჩარკვიანის დოკუმენტურ ფილმში), კონსტანტინე გამსახურდიას მიუთითებდა, როგორი ტიპის რომანები ეწერა, ლიტერატურული (რომელიც იმდროინდელ რეალობას მიწასთან გაასწორებდა) თუ ისტორიული (რომელიც არსებითად, არანაირ საფრთხეს არ შეიცავდა), აი, ეს ბელადი ენატრებოდა და მის რეაბილიტაციას მოითხოვდა. მაგრამ ძალიან მალე დაიწყო არაფორმალური გაერთიანებების შექმნა. ასეთი იყო: „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელზე დაყრდნობითაც შემდგომში შეიქმნა მრავალი პოლიტიკური პარტია. საქართველოში ნელ-ნელა იბადებოდა თავისუფლების იდეა, თუმცა ჯერ ადრე იყო, რადგან ტრაგედიები წინ გვქონდა.

1989 წლის 4 აპრილს რუსთაველის გამზირზე დაიწყო ფართომასშტაბიანი უწყვეტი მიტინგი, სადაც ითხოვდნენ აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას, აკრიტიკებდნენ დამახინჯებულ ფაქტებს, რომლის მიხედვითაც ქართველები ჩაგრავდნენ აფხაზებს. როგორც აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ირაკლი ბათიაშვილი იხსენებს (თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმში „9 აპრილი“), ზვიადს გაუჩნდა იდეა, რომ ეს აქცია უფრო გაეზარდა, უფრო ფართომასშტაბიანი გაეხადა და საბოლოოდ დამოუკიდებლობის იდეამდე მიეყვანა. ამით მომიტინგეთა უპირველეს მოთხოვნად იქცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რითაც დაემუქრნენ იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობას. 9 აპრილს საბჭოთა შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების რაზმებმა ხელკეტებით, ალესილი ნიჩბებით და მომწამვლელი გაზით, მომიტინგეები დაშალეს (ოპერაციის ორგანიზატორი, როგორც ვიცით გენერალი როდიონოვი იყო). დაიღუპა 19 ადამიანი, მოგვიანებით კიდევ ორი. დოკუმენტურ ფილმში კარგად არის გადმოცემული, ადამიანების პათოსი. მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქმა მათ მოუწოდა, დაშლილიყვნენ და ელოცათ, მათ უარი განაცხადეს. პატრიარქი აფრთხილებდა, რომ საფრთხე ძალიან ახლოს იყო და კარგი იქნებოდა თუ წავიდოდნენ სალოცავად, რაზეც პასუხი იყო „არა“. ზვიადი ამ წამს დიდებულ წამს უწოდებდა.

ყველა ბრძოლა შეიძლება იყოს უსამართლო და დასრულდეს უსამართლოდ, მარცხით და ა.შ., თუმცა თავისუფლებისთვის ბრძოლა ყოველთვის იმარჯვებს, უსამართლობაზე, ეს ალბათ ადამიანის უმაღლესი მწვერვალია და როგორც ილია იტყოდა, „მდგომარეობაა ადამიანისა“ და ალბათ ამიტომაც ახსოვს ისტორიას თავისუფლებისთვის მებრძოლები დადებითად. მაგალითად, როდესაც აშშ-ში ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, მონობის გაუქმების გამო, სამხრეთი, რომელიც მონობის მომხრე იყო, გაცილებით დიდი ეკონომიკური რესურსით გამოირჩეოდა, ვიდრე ჩრდილოეთი, თუმცა კი მაინც ჩრდილოელებმა გაიმარჯვეს. ასე მოხდა აქაც, ალბათ არავის ჰქონდა თავისუფლების და დამოუკიდებლობის იმედი, მაგრამ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ამისთვის იბრძოდნენ. საქართველოს ისტორიას ბევრი ცუდი ფაქტი ახსოვს და ერთ-ერთი აქ, მაგალითად მოვიყვანე, როდესაც მომიტინგეები სტალინის რეაბილიტაციას ითხოვდნენ, თუმცა არ არსებობს ცუდი კარგის გარეშე და პირიქით, შესაბამისად, ჩვენს ისტორიას ახსოვს და ემახსოვრება თავისუფლებისთვის მებრძოლები.

რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, 1991 წლის 9 აპრილს, უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ქვეყნის პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია, რაც 1991 წლის 26 მაისის ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმაც დაადასტურა. თითქოს ყველაფერი უნდა დალაგებულიყო, მაგრამ ეს, ასე ვერ მოხდა, ვინაიდან თავისუფლებას თან პასუხისმგებლობაც ახლავს. არსებულმა ხელისუფლებამ ვერ გააკონტროლა რუსეთის ინტრიგები, რამაც ოპოზიციასა და მთავრობას შორის დაპირისპირებები შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზარდა. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ზვიად გამსახურდიამ ქვეყანა დატოვა. არსებული ინფორმაციით, ჯერ სომხეთში, შემდეგ კი ჩეჩნეთში გადავიდა. რამდენიმე ხანში ეს ადამიანი, რომელიც ნებისმიერი ქართველის ტვინში, არ აქვს მნიშვნელობა იგი ლიბერალია, კონსერვატორი, სოციალ-დემოკრატი, სოციალისტი, პატერნალისტი, თუ სხვა, ყველასთვის ეს ადამიანი ასოცირდება თავისუფლებათან. ეს ადამიანი დღემდე დაუდგენელ ვითარებაში დაიღუპა სამეგრელოში. ეს ის პერიოდია, როდესაც ქუჩური ცხოვრება მოდურად ითვლებოდა. ეს სუბკულტურა (თუ შეიძლება მას ასე, ეწოდოს) იდგა ანტისახელმწიფოებრივ იდეოლოგიაზე. მაგალითად მუშაობა არ შეიძლებოდა, არ შეიძლებოდა სახელმწიფო ჯარში მსახურება, რადგან „ტეხავდა“, მაგრამ ეს არამარტო 90-იანების პრობლემა იყო. ეს პრობლემა საქართველოში ახლაც დგას, 2018-ში. ქვეყანაში არეულობა იყო, ვინაიდან ძალაუფლება კრიმინალურ ბანდასა და „მხედრიონს“ ეკავა, რაც თავის მხრივ არაფერი იყო, თუ არა ბრძოლა თავისუფლების წინააღმდეგ. ნელ-ნელა დაიწყო კრიმინალური ბანდების განეიტრალება და წესრიგის დამყარება. ამავე წელს მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი; 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში დამყარდა საპრეზიდნტო მმართველობა, ქვეყნის ტერიტორია განისაზღვრა 21 დეკემბრის მდგომარეობით. აღიარებულ იქნა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ამავე პერიოდში საქართველომ პირველად „დააკაკუნა“ ნატოს კარებზე, აიღო პროევროპული ორიენტაცია, თუმცა მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ქვეყანაში იყო კორუფცია და რთული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. 2001 წლიდან დაიწყო საპროტესტო გამოსვლები, გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, რომელიც ოპიზიციაში გადავიდა. 2003 წელს კი საპარლამენტო არჩევნებს მოჰყვა „ვარდების რევოლუცია“.

არ აქვს მნიშვნელობა, რომელ პოლიტიკურ მმართველობას ემხრობა ადამიანი, როდესაც საქმე თავისუფლებას ეხება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ხანაში საქართველომ ბევრი ცუდი და ბევრი კარგი გამოსცადა. ჩვენ 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებულ თავისუფლებას, 26 მაისს აღვნიშნავთ, რადგან იმ 9 აპრილის ტრაგედიაც დავივიწყოთ და ისიც ვიგრძნოთ, თითქოს 100 წელია თავისუფლები ვართ.

მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, შემდეგ მე-2 კურსელ სტუნდეტს იმის უფლება, მაქვს შევაფასო თუ რა შეცდომებს უშვებდა სხვადასხვა დროს მთავრობა. შევარდნაძის დროს გამეფებული იყო კორუფცია, სტაგნაცია და ქვეყანა მიუხედავად პლუსებისა, გაჩერებული იყო.ახალი ენერგიის შემდეგ, ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას“, თითქოს ყველაფერი უნდა გამოსწორებულიყო, მაგრამ მათი შეცდომა იყო ძალის გადამეტება, ნარკოპოლიტიკა და მრავალი სხვა.თუმცა, ყველა ხელისუფლებას ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რადგან მოგვწონს თუ არა ადამიანებს, პოლიტიკურ გაერთიანებებს, ერთმანეთი ჩვენ ყველანი ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ალბათ ბოლოს იქამდე დავდივართ, რომ წარმატება მოვუტანოთ იმ ქვეყანას, რომლის სახელმწიფოებრიობაც 30 წლისაა. მიმაჩნია, რომ დამოუკიდებლობამ უნდა მოიტანოს ადამიანებში თავისუფლება, თუმცა კი ხელისუფლება, იმას უნდა ეცადოს, ნაკლებად ჩაყოს ცხვირი ადამიანების პირად ცხოვრებაში: რას დალევენ, რას წაიკითხავენ, რას შეჭამენ, რას მოწვენ და ა.შ.

არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი უკმაყოფილება ახლად შემუშავებული კანონპროექტის მიმართ, რომლის მიხედვითაც იკრძალება ის ნაწარმოებები, რომლებიც ქადაგებენ ომს, პროპაგანდას უწევენ პორნოგრაფიას და ლახავენ ადამიანების უფლებებს. ეს ის „მორალიები“ რომლებიც საბჭოთა კავშირს ახასიათბდა, მხოლოდ ამ კანონპროექტით შეუძლიათ აკრძალონ; „კაცია-ადამიანი“, „ჯაყოს ხიზნები“, „ვეფხისტყაოსანი“, არამარტო ქართული კლასიკა, არამედ ევროპული, კლასიკური ლიტერატურაც, მაგალითად, ნაბოკოვის „ლოლიტა“, ანატოლ ფრანსის „ანგელოზთა აჯანყება“, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ და ა.შ. შეგვიძლია უსასრულოდ გავყვეთ ლიტერატურის, თუ სხვა შემოქმედებით ჭრილს, იქნება ეს კინო, თეატრი, თუ სხვ. რა შეცდომებიც არ უნდა დაგვეშვა ისტორიულად, კანონპროექტებში თუ სხვა, ჩვენი მთავარი ღირსება დამოუკიდებლობის მოპოვებაა, შემდგომ კი თავისუფლებისაკენ სვლა, ევროპული კურსი, რაც ნიშნავს, რომ ადა-

მიანი ხდება პრივილეგია და მთავარი ღირებულება. საბჭოთა კავშირში ყველაფერი სახელმწიფოსთვის და ბელადისთვის ხდებოდა, ახლა ევროპულმა კურსმა, დამოუკიდებლობის მოპოვებამ უნდა მიგვაღწევინოს იმ იდეალებამდე, რასაც თავისუფლება ჰქვია, სადაც დაფასებულია ადამიანის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება. მიმაჩნია, რომ თუ საქართველო, ანუ ჩვენ ადამიანები, ვიბრძოლებთ თავისუფლებისთვის, აუცილებლად შევინარჩუნებთ და მოვიპოვებთ ტერიტორიულ მთლიანობასაც.

ვატო შოშიაშვილი
ჯიპა, სტუდენტი

დამოუკიდებლობა და თავისუფლება ალბათ შენი ქვეყნის წინაშე საკუთარი წილი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და ამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებაა

„დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი“ - მოულოდნელად ჩამესმის საკონკურსო ესეს სათაური. მაშინვე უკან ვიხევ და ვფიქრობ: - „მართალია სტუდენტებს კი იწვევენ საკონკურსოდ, მაგრამ მე ეს არ მეხება, მოდი სხვა სტუდენტმა შეასრულოს და წარადგინოს ნაშრომი“. და აქვე უცებ საკუთარი ფიქრები მთრგუნავს: -„ახალგაზრდავ, ადამიანებმა რომლებმაც საკუთარი გულით, მხრებით, ცოდნით, ოფლით, სისხლით, ცრემლით, ხშირად კი საკუთარი სიცოცხლის ფასად მოიტანეს შენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა, შენი ქვეყნის კეთილდღეობა, შენი თავის „უფლება“, შენი არჩევანის დამოუკიდებლობა, ის რომ შენი თავი შენადვე „გეყუდვნის“, ის რომ ახლა შენს მშობლიურ ენაზე იღებ განათლებას და ამაყად დააბიჯებ იმ მუზეუმში, რომელში დაცული ექსპონატებიც არ გაყიდეს, არ დათმეს და არ გაცვალეს უკიდურეს სიდუხჭირეშიც კი, წამიერად უკან იხევ, იმის გამო, რომ „არ გეხება“, იმის გამო, რომ გეშინია სათანადო სიტყვებით ვერ შეაფასო განვლილი საუკუნე. საუკუნე, რომელშიც საქართველომ ორჯერ მოიპოვა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, საუკუნე, რომელმაც ქვეყანა დააბრუნა დასავლური განვითარების და ცივილიზაციის ბუნებრივ წიაღში. წიაღს, რომელმაც საუკუნეების წინ უდიდესი ქართველი დიპლომატი და მწერალი შორეული ვერსალის კარზე მეთხუთმეტე კაცად მიიყვანა.

და უცებ საკუთარ თავსვე ვუსვამ შეკითხვას: - „მაშინ რა არის შენი მოვალეობა ამ ქვეყნისადმი, როგორც საქართველოს მოქალაქის?! რატომ აკისრებ შენს წილ სამოქალაქო პასუხისმგებლობას სხვას?! რატომ ცდილობ შენი გასაკეთებელი საქმე სხვამ გააკეთოს?! რატომ გაურბიხარ ამ პასუხისმგებლობას? გაქვს კი შენ ამ შემთხვევაში მორალური უფლება გულისფანცქალით ელოდებოდე დამოუკიდებლობის მოპოვების აღსანიშნავი 100 წლის იუბილეს?! მალევე გამოვდივარ ფიქრების ბურუსიდან, საკუთარ თავს გულშივე ვტუქსავ და საბოლოოდ ერთ ჩემეულ განმარტებას ვაკეთებ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე:- „დამოუკიდებლობა და თავისუფლება ალბათ შენი ქვეყნის წინაშე საკუთარი წილი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და ამ პასუხისმგებლობის საკუ-

თარ თავზე აღებაა. დამოუკიდებლობა არ არის შენი საქმის სხვაზე გადაკისრება“. საბედნიეროდ საუკუნეების განმავლობაში არაერთი მაგალითი გვახსოვს ან გვისწავლია, როგორ იღებდნენ საკუთარ თავზე ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანები ამ პასუხისმგებლობას და აღნიშნული პასუხისმგებლობის უდიდესი გამოხატულებაა ზუსტად 1918 წლის 26 მაისს გოლოვინის პროსპექტზე, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში 16:50 წუთზე წაკითხული და გამოცხადებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ (ახლაც კი, ამ უკანასკნელის ხსენებაზე, ისევე ვცემ სიხარულის ბოლთას, როგორც მე-8 კლასში, 13 წლის ასაკში ისტორიის გაკვეთილზე). აღნიშნული აქტის მიღება არ იყო შემთხვევითი მოვლენა, ის იყო სამართლიანი დაგვირგვინება იმ შეუპოვარი ბრძოლისა, რომელიც 117 წლის განმავლობაში არ შეუწყვეტია ქართველ ხალხს. ამ აქტით ქართველი ხალხი სამართლიანად, არგუმენტირებულად, დამსახურებულად აცხადებდა პრეტენზიას თვითმყოფადობაზე, თავისუფლებაზე, სახელმწიფოებრიობაზე, იმაზე, რომ დამოუკიდებლად შეეძლო ქვეყნის მართვა-გამგებლობა, სამართლის უზენაესობის აღიარება და პატივისცემა, საფინანსო-ეკონომიკური და კულტურული ძვრების განხორციელება, ქვეყნის საგარეო კურსის დამოუკიდებლად არჩევა, საშინაო რეფორმების გატარება და დანერგვა, ქართული ჯარის ჩამოყალიბება.

და მაინც... დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე გასავლელი გზა არ აღმოჩნდა ადვილი ქართველი ერისათვის. კაცობრიობის ისტორიაში ბევრი სუვერენული სახელმწიფოსთვის და ასევე საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისთვის, დამოუკიდებლობის მოპოვებაზე რთული მისი შენარჩუნება აღმოჩნდა, რომლის მიზეზებიც იმ დროს განვითარებულ საერთაშორისო მოვლენებში უნდა ვეძებოთ.

ახლა კი მინდა პირველი შეკითხვა დაგისვა ჩემო მკითხველო: - რა გიტივტივდებათ პირველად გონებაში დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ მიმავალ ეკლიან გზაზე?! ამ კითხვაზე პასუხი ჩემთვის - 1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაშია, რადგანაც გზა თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე მუდამ საგანმანათლებლო კერებზე გადიოდა და გადის საბედნიეროდ დღემდე, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. განათლება ხომ თავისუფლებას შობს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ჩაუქრობელი კერა დაანთეს ქართველი ხალ-

ხისთვის. მათ საკუთარ თავზე აიღეს ერის იდეოლოგიური და ფიზიკური წინამძღოლობა და მედროშეობა თავისუფლებისაკენ.

იმის გაცნობიერება, რომ ახლად დაფუძნებულმა პირველმა დემოკრატიულმა და სუვერენულმა რესპუბლიკამ თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე, ისეთ მაღალ დემოკრატიულ ფასეულობებს გაუხსნა გზა, როგორებიცაა: მოქალაქეთა თანასწორობა, არჩევნებში ქალთა ხმის უფლებები, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა, წოდებრივი თანასწორობა, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები და ა.შ. სიამაყის გრძნობით გვავსებს, მაშინ, როდესაც აქ ჩამოთვლილი დემოკრატიული ღირებულებები XXI საუკუნეშიც კი გამოწვევად რჩება არაერთი სუვერენული სახელმწიფოსთვის და ნაწილობრივ ჩვენი ქვეყნისათვისაც. და ახლა როდესაც ვაცნობიერებთ, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ასეთმა მაღალდემოკრატიულმა კონსტიტუციამ, რომელმაც მხოლოდ 4 დღე იარსება, რაოდენი კვალი დატოვა ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში, რიტორიკულ კითხვას დავუსვამდი მკითხველს: - რა მოხდებოდა, რომ აღნიშნულ კონსტიტუციას უწყვეტად 30, 40 ან თუნდაც 50 წლის განმავლობაში ემოქმედა შეუფერხებლად?! რამხელა სიმაღლეს მიაღწევდა ქართული საზოგადოება?! საზოგადოება, რომელიც ტოლერანტობას, ჰუმანიზმს, ქალისა და მამაკაცის თანასწორობას პოემებს უძღვნიდა ჯერ კიდევ XII საუკუნეში, ან საზოგადოება, რომელიც წერდა „კოსმოპოლიტზმსა და პატრიოტიზმს“, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა თქვენთვის მომინდია ჩემო ძვირფასო მკითხველო, ვგონებ არ გაგიძნელდებათ.

და მერე იყო „სიკვდილის ცელი“, რომელმაც პირველ ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკას არ მისცა ფრთების გაშლის საშუალება, ცელი, რომელმაც ვერაფრით დაათმობინა თავისუფლების წყურვილი ახალგაზრდა იუნკრებს, მაყაშვილსა და ჩოლოყაშვილს და „ჩაკლული სული“, რომელმაც საძირკველი გამოაცალა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ მიმავალ გზას, სულმა, რომელმაც ბრწყინვალე თაობები ფიზიკურად გაანადგურა და სული ჩაუკლა ქართულ მწერლობას, მხატვრობას, მუსიკას, ხელოვნებას, ლიტერატურას, კინოს, და ა.შ. სულმა, რომელმაც მიგვიყვანა ,,ფსევდო'' თავისუფლებამდე. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლიანმა დაპირისპირებამ და ომმა, ომმა, რომელმაც ასობით ათასი ქართველი - ათასობით კილომეტრით შორს გადაისროლა საკუთარი სახლებიდან საბრძოლველად, დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ გზაზე არ წყვეტს ბრძოლას.

ჩემო მკითხველო, მინდა გითხრათ, რომ ქართველთა მიზანი ამ ომში არ ყოფილა, ძალაუფლების მოპოვება საერთაშორისო ასპარეზზე ან რომელიმე ერის და ეთნიკური ჯგუფის დევნა და ჩაგვრა, ქართველთა მიზანი თავისუფლების წყურვილი იყო, მათი მიზანი გაუგონარი სისასტიკის და ბოროტების დამარცხება გახლდათ. (ვაი, რომ ერთი ბოროტება მეორეს ებრძოდა). ახლა კვლავ შეგეკითხებით: - „რა მოხდებოდა ჩემო ძვირფასო მკითხველო, რომ არ აეღოთ საკუთარ თავზე სამოქალაქო პასუხისმგებლობა ქართველი ერის წინაშე უწვერულ ჭაბუკებს?!

თავისუფლებისკენ მიმავალი გზა დაგრძელდა, გაჭიანურდა, გზამ მოითხოვა, მსხვერპლად შეწირვოდა 16 წლის სკოლის მოსწავლე ქვეყნის სუვერენიტეტის და სახელმწიფოებრიობის აღდგენას, სისხლით შეიღება მთელი საქართველო, მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენას შეეძლო ოდნავ დაეშუშებინა 1989 წლის 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტით გამოწვეული ტკივილი (დღემდე, რომ „ფსევდო“ უცხოური საინფორმაციო წყაროები „9 აპრილის მოვლენებად“ მოიხსენიებენ, თითქოს ამით ცდილობენ მათთვის სამარცხვინო ისტორიის დამალვასა და წაშლას). ქართველთა თავგანწირული სულისკვეთება თავისუფლებისაკენ 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე“ არანაკლები მნიშვნელობის რეფერენდუმით - 1991 წლის 31 მარტით დაგვირგვინდა, დღე, როდესაც საქართველოს მოსახლეობის 98% დადებითი პასუხი გასცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და რომლის ჩანასახშიც აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს.

და ისევ რიტორიკული შეკითხვა: - რა მოხდებოდა ჩემო ძვირფასო მკითხველო, რომ არ აეღოთ საკუთარ თავზე სამოქალაქო პასუხისმგებლობა საქართველოს უდიდეს მოქალაქეებს?! საბედნიეროდ, ქართული საზოგადოება მკვდარი თევზების მსგავსად არა დინების მიმართულებით, არამედ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა და ეს ცურვა არ იყო ადვილი ახლად აღორძინებული დემოკრატიული ქვეყნისათვის.

ნაბიჯ-ნაბიჯ საერთაშორისო ასპარეზზე მოიხვეჭა სახელი ქართულმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, მალევე მისი სუვერენიტეტი აღიარა დასავლეთის უდიდესი დემოკრატიული ღირებულებების და ისტორიის მატარებელმა ქვეყნებმა, ნულიდან მოუწია ქვეყანას ფეხზე დადგომა, რომელიც პერიოდულად ტორტმანებდა ძმათამკვლელი ომებისა და დაპირისპირებების ფონზე, მაგრამ ისტორიულ სიღრმეებში აღარ შევიჭრები,

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ვგონებ ჩემზე უკეთაც იცოდე წარსულის შთამბეჭდავი მოვლენები და შეფასებაც შენთვის და მომავალი თაობებისთვის მომინდია. მომავალ თაობას მივანდობ იმ კითხვებზე პასუხის გაცემას, რომელიც, ვფიქრობ, პასუხს საჭიროებს და ვთვლი, რომ დროის დინება ყველაზე კარგად დაგვანახებს შორეული პრიზმიდან ჭეშმარიტ პასუხს.

მე დავიბადე 20 აგვისტოს, 1993 წელს - დამოუკიდებელ საქართველოში. მიუხედავად ამისა რატომღაც ჩემს დაბადების მოწმობას არ ეწერა გარეკანზე ქართულ ენაზე „დაბადების მოწმობა“ და ჩემთვის - ბავშვისთვის გაუგებარი სიმბოლიკები იყო გამოსახული. მერე გავიზარდე და ყველაფერს ნათელი მოეფინა. ჩემი თაობა ვიცი კარგად მიმიხვდება სათქმელს (ნუ ღელავ ჩემო მეგობარო, მე უკვე სპეციალურად შევცვალე ის და ახლა მეც ისეთივე დაბადების მოწმობა მაქვს ლამაზი თეთრი გარეყდითა და ნატიფი ქართული წარწერით, როგორიც ექნება 2018 წლის 26 მაისს დაბადებულ საქართველოს მოქალაქეს).

მერე 1999 წლის 1-ელ სექტემბერს მეც მივირბინე დაბნეულმა და შეშინებულმა ჩვენი სოფლის სკოლის დირექტორთან, მაგრად ჩამოვართვი ხელი და გულზე ავიხუტე წიგნი, რომელიც შემდგომში იაკობ გოგებაშვილის ,,დედა ენა'' აღმოჩნდა და ისევ რიტორიკული შეკითხვა მინდა დაგისვათ:-,,რა მოხდებოდა ჩემო ძვირფასო მკითხველო, რომ არ აეღოთ საკუთარ თავზე სამოქალაქო პასუხისმგებლობა ქართველ პროფესორებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ექიმებს, ინჟინრებს, მწერლებს, მსახიობებს, მხატვრებს, პუბლიცისტებს 1978 წლის 14 აპრილს?!“.

დაიბადო დამოუკიდებელ ქვეყანაში, როგორც თავისუფალი, პროგრესულად მოაზროვნე მოქალაქე, არის უდიდესი პასუხისმგებლობა იმ ადამიანების წინაშე, რომლებმაც თავის დროზე გაიაზრეს თავიანთი წილი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და რომლებმაც მემკვიდრეობად დაგვიტოვეს ამ პასუხისმგებლობის მონაპოვარი 1918 წლის 26 მაისს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თაობისათვის XX საუკუნე მეტნაკლებად ქარტეხილებით იყო სავსე, მიმაჩნია, რომ XXI საუკუნე ახდენს გავლილი წლების კომპენსირებას, რადგანაც იგი არის მეტად შესაძლებლობების ეპოქა, რომელიც წინ მრავალ საინტერესო შესაძლებლობას გვთავაზობს მეცნიერებაში, ტექნოლოგიაში, ხელოვნებაში, მედიცინაში, ბუნებისმეტყველებაში და ა.შ. ჩემი თაობა, რომელიც თავისუფალ, დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოში დაიბადა, კარგად იაზრებს ამ თავისუფლების

გემოს და მისი დათმობა, მჯერა, რომ არანაირ ფასად არ უღირს და არ ეღირება მომავალში. მიუხედავად, იმისა რომ ზოგჯერ სკეპტიციზმის ბინოკლითაც ახდენენ დაკვირვებას დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში დაბადებულ ახალგაზრდებზე. ეს არის თაობა, რომელიც პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს, ადამიანის საყოველთაო უფლებებს, ადამიანის ღირსებას, როგორც ყველაზე ხელშეუხებელ საგანძურს, ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, დემოკრატიული არჩევნების მნიშვნელობას, შრომის უფლებებს, ეთნიკური და სხვა უმცირესობების თანასწორობას და ა.შ. ეს არის თაობა, რომელიც საკუთარ ხელში იღებს ახალ ინიციატივებსა და საკუთარ თავზე იღებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის სიმძიმესა და სიმსუბუქეს.

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავზე ერთგვარად მეამაყება საუბარი საქართველოს მიერ დაუღალავ განვლილ გზაზე დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ, მაგრამ ვფიქრობ ბრძოლა ახლაც მიმდინარეობს ფიზიკური თავისუფლებიდან გონებრივი, შინაგანი და იდეური თავისუფლებისაკენ. ეს არის კეთილშობილური ბრძოლა, მშვიდობიანი ბრძოლა, უიარაღო ბრძოლა, რომელშიც როგორც ყოველი საქართველოს მოქალაქე - მეც ვიბრძვი. ჩემი ბრძოლა არის საგანმანათლებლო ველზე, ჩემი და მასწავლებელია, ჩემი საუკეთესო მეგობარი კი ბიოლოგი და იმუნოლოგი. ჩვენ ავიღეთ ჩვენი წილი სამოქალაქო პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე ჩვენი დაუღალავი შრომით და საქმიანობით. ჩვენ ყველას ასეთივე პასუხისმგებელობა გვაკისრია ერთმანეთის და საზოგადოების წინაშე.

მხოლოდ დაუღალავი მოქმედებით და მაღალი სამოქალაქო თვითშეგნებით შეგვიძლია გავუმკლავდეთ იმ გამოწვევებს, რომელიც საქართველოს დღეს უდგას დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 100 წლის თავზე. გამოწვევები კი მრავალია: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, შრომითი უფლებების წინ წამოწევა, სოციალ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევა, განათლების დონის ამაღლება, ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის, ჰიბრიდული ომის, ეკოლოგიური პრობლემების წინააღმდეგ და ა.შ.

ჩვენი, როგორც საქართველოს მოქალაქეების ვალია ამ გამოწვევებზე მუშაობა და შრომა. ჩვენი მშობლების და წინაპრების დაუღალავი შრომის წყალობით ჩვენ ვიღებთ განათლებას, ვვითარდებით პროფესიულად, მათაც

თავის დროზე უპასუხეს თავისუფლების გზაზე მდგარ არაერთ გამოწვევას და ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩვენი მომავალი ერთი ნაბიჯით უკეთესობისკენ წინ ყოფილიყო. ახლა კი ჩვენც უნდა ვიფიქროთ და ვიშრომოთ იმ იღბლიანი თაობისთვის, რომელიც 2018 წლის 26 მაისს მოევლინება ამ სამყაროს. ავიღოთ საკუთარ თავზე - საკუთარი წილი სამოქალაქო პასუხისმგებლობა. ნუ დაველოდებით, რომ ჩვენს ნაცვლად ამას ჩვენი მეგობარი, ამხანაგი, ნათესავი ან მეზობელი გააკეთებს.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, იმედი მაქვს არც იმას მიწყენ, თუ სიამაყით გეტყვი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების 100 წლისთავზე - 2018 წელს, დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებულ თაობას ყველაზე მაღალ დონეზე აქვს აყვანილი ის უდიდესი გამოწვევები, რომლებიც ახლა უდგას ჩვენ ქვეყანას - განათლების გაძლიერების და სამოქალაქო თვითშეგნების გამყარების კუთხით და რომელმაც უნდა წაგვიყვანოს ზუსტად იმ გზაზე, რომლისკენაც ისწრაფოდნენ 100 წლის წინ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ უდიდესი ავტორები და შემოქმედები. და მაინც: ,,დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ალბათ შენი ქვეყნის წინაშე საკუთარი წილი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და ამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებაა. დამოუკიდებლობა არ არის შენი საქმის სხვაზე გადაკისრება''.

ხატია ლაბაძე

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სტუდენტი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

ისტორია წარუშლელ კვალს ტოვებს საზოგადოების განვითარებაზე. ის ადამიანებს აჩვენებებს იმას, რაც მის გარეშე დაუნახავი იქნებოდა - გზას მომავლისკენ. თითოეული პერიოდი, შეიძლება ითქვას, პატარა ნაკადულია, რომელიც ან დაშრება - მარცხს განიცდის, ან მძლავრად მოიკიდებს ფეხს და მდინარედ გადაიქცევა, რაც თავის მხრივ გამარჯვების საწინდარია. 100 წლის წინ, ზუსტად 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით პატარა ნაკადულის დინებას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც არ დამშრალა და დღეს ახალი გამოწვევების წინაშე დგას. საუკუნე, რომელიც ისტორიისთვის არც თუ ისე დიდ მონაკვეთს წარმოადგენს, საქართველოსთვის ბევრი წარმატებისა თუ წარუმატებლობის მომტანი გახდა.

საუბარია დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაზე, რომელიც გამოეყო რუსულ იმპერიას და დიდი სურვილი ჰქონდა, დამოუკიდებლად გაეკვალა გზა და თავისუფლების ის ხარისხი ჰქონოდა, რაც უკვე არსებობდა სხვა სახელმწიფოებში. დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე გზა იყო ძალიან რთული, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოებისთვის. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. მათ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა ბრიტანეთთან ბრძოლის საფასურად დაუჯდათ და 1787 წელს "დამფუძნებელი მამების" მიერ კონსტიტუცია იქნა მიღებული. პირველი რესპუბლიკა, თავისი დამოუკიდებლობის აქტით, მაგალითი იყო ამიერკავკასიის ქვეყნებისთვის, რომ მათაც ებრძოლათ დამოუკიდებლობისათვის, რაც მომავალში თავისუფლების გარანტი იყო.

შეუძლებელია, რომ სიტყვები "დამოუკიდებლობა" და "თავისუფლება" ერთმანეთის გარეშე არსებობდეს, რაც საქართველოს მაგალითზე კარგად გამოჩნდება. დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ, რომელიც განამტკიცებდა პოლიტიკური მოწყობის ფორმას, უზრუნველყოფდა მოქალაქეების პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს, პირველ რესპუბლიკას არ გააჩნია კონსტიტუცია - დოკუმენტი, რომელიც ასახავდა საზოგადოების კულტურულ, ისტორიულ, პოლიტიკურ და ა.შ. მისწრაფებებს. ამ უკანასკნელის მთავარი მიზანია შეზღუდოს ხელისუფლება კანონიერ ფარგლებში და მას არ მისცეს საშუალება განახორციელოს ის მოქმედებები, რაც მისთვის იქნება

მისაღები და დანარჩენი საზოგადებისათვის - არა. პირველ რესპუბლიკას სჭირდებოდა დოკუმენტი, რომელიც განამტკიცებდა ხალხის უფლებებს საკანონმდებლო დონეზე, დაწერილი ფორმით.

რა თქმა უნდა, არსებობს კითხვა, სჯობდა თუ არა დაუწერელი კონსტიტუცია, რომლითაც დიდი ბრიტანეთი "ხელმძღვანელობს", მაგრამ ჩემი აზრით, დაუწერელი კონსტიტუციის შესისხლხორცებას საზოგადეობაში სჭირდება დრო და გამოცდილება, რაც დიდმა ბრიტანეთმა საუკუნეების მანძილზე გამოიარა. რაც შეეხება პირველ რესპუბლიკას, მას არ ჰქონდა ამგვარი გამოცდილება, რაც სასწორის პინას დაწერილი კონსტიტუციის შექმნისაკენ სწევდა. კონსტიტუციის ავტორებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ამ დოკუმენტის მნიშვნელობა ქვეყნის მომავალი დემოკრატიული განვითარებისათვის, რაც კარგადაა ასახული ნოე ჟორდანიას სიტყვებში: "კონსტიტუცია არის ერთიანი ძირითადი უფლებები, ნორმა, რომლის ფარგლებში ყოველი სახელმწიფო მუშაობს და მისი ორგანოები მოღვაწეობენ. ის არის, ასე ვთქვათ, ერთნაირი საერთო დიპლომი, სახალხო ხარატი, რომელზედაც არის დაბჯენილი სახელმწიფოს მთელი წესწყობილება და თითოეულმა მოქალაქემ იცის, რა უფლებანი აქვს ამ ხარატის მიხედვით და მოვალეობანი აწევს მას სახელმწიფოს მიმართ". შესაბამისად, იმდროინდელ ქართველ "დამფუძნებელ მამებს" ჰქონდათ სწორი ხედვა, თუ რომელი ნაბიჯებით შეიძლებოდა თავისუფლებისკენ სწრაფვა. პირველი კონსტიტუციის შექმნა არ იყო ადვილი პროცესი, რადგან მთავარ დოკუმენტზე მუშაობის დროს, გარკვეული მიზეზების გამო, ხდებოდა სხდომების გადადება. შესაბამისად, შეხვედრები დროში იწელებოდა და იყო ისეთი ნაყოფიერი, რისი მოლოდინიც ჰქონდათ კომისიის წევრებს. აუცილებელი გახდა, რომ ჩატარებულიყო დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის 14 - 16 თებერვალს, რომელშიც გამარჯვებული პარტია საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ არასრულ კონსტიტუციას სრულყოფდა და მისცემდა საბოლოო სახეს. გამარჯვებულ პარტიას, რომელიც სოციალ - დემოკრატების სახელით იყო ცნობილი, რთული მოვალეობა დაეკისრა. კერძოდ, მას არა მხოლოდ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობა, არამედ მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ტენდენციები უნდა გაეთვალისწინებინა. კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, კვლავაც არ იყო სიტუაცია დასტაბილურებული, რაც ქვეყნების სახელმწიფოებრიობასა და თვითმყოფადობის გამორკვევას ეხებოდა. ამ პერიოდში წყდებოდა ბევრი

სახელმწიფოს ბედი, რომელთაც უნდა აერჩიათ გზა დემოკრატიისაკენ ან გაჰყოლოდნენ იმ მანკიერ იდეოლოგიას, რომელიც დიქტატურას ემხრობოდა და კაპიტალისტური მოწყობის წინააღმდეგი იყო. შეიძლება ითქვას, რომ აქ წყდებოდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ბედი ბევრი სახელმწიფოსი, მათ შორის - საქართველოსიც. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის მიერ პირველ კონსტიტუციაზე მუშაობა ფერხდებოდა, საბოლოოდ შეიქმნა პროდუქტი, რომელიც მსოფლიოში სხვა კონსტიტუციებს ტოლს არ უდებდა. კერძოდ, მასში გათვალისწინებული ქალისა და მამაკაცის საარჩევნო უფლებები (აღნიშნული უფრო აქტუალურია, რადგან ევროპის წამყვან ქვეყნებში, როგორებიცაა, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთი, ქალებს ხმის უფლება სრულფასოვნად 1918 წლის მერე მიეცათ), სოციალური სახელმწიფოს იდეა, სიკვდილით დასჯის გაუქმება და ა. შ. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია, რომელმაც მხოლოდ 4 დღე იარსება საბჭოთა ხელისუფლების იმპერიული ზრახვების გამო, ქართველთა უდიდესი მონაპოვარია, რადგან ამ დოკუმენტით ხაზი გაესვა საქართველოს სახელმწიფოებრიობას და იმ ფაქტს, რომ დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე გზა მხოლოდ საქართველოს გასავლელი იყო. პირველი კონსტიტუცია, მისი 144-ე მუხლი, სეკულარული სახელმწიფოს პრინციპს აწესებდა. ასევე, უმნიშვნელოვანესია 32-ე (სიტყვის თავისუფლება) და 33-ე (მშვიდობიანი შეკრების უფლება) მუხლების გამოყოფა, რადგან ამ უფლების შეზღუდვით თავისუფლებისაკენ სწრაფვა შეუძლებელია, რომლის ნათელი მაგალითებიც დღევანდელ სამყაროშიც არის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სოციალური უფლებების ნაკლებობას არ განიცდიდა პირველი კონსტიტუცია. მეტიც, იყო ისეთი მუხლებიც, რომელთა შესრულება გარკვეულ კითხვებს ბადებდა. მაგალითად, 119-ე მუხლი, რომელიც ყველა უმუშევარს დახმარებას ჰპირდებოდა სამუშაოს აღმოჩენით. აღნიშნული მუხლები არ იყო ლოგიკას მოკლებული, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებაში სოციალური სახელმწიფოს იდეით განმსჭვალული ადამიანები იყვნენ. რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, აქაც სოციალ-დემოკრატების სიმრავლემ იმარჯვა და ფორმად საპარლამენტო მმართველობა დასახელდა. საპრეზიდენტო კი უარყოფილ იქნა, რადგან ამ შემთხვევაში საშიშროება იყო ერთი პირის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების, რაც სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი იქნებოდა. ასევე, საჭიროა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე საუბარი, რომელიც პირველი კონსტიტუციით არც თუ ისე მკაფიოდ იყო გამოკვეთილი. შეჯამების სახით

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პირველი კონსტიტუცია იყო პროგრესული ნაბიჯი და ხმამაღალი სიტყვა საერთაშორისო ასპარეზზე.

როგორც ითქვა, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციას არ უმოქმედია სრულფასოვნად, რაც გამოწვეული იყო რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსიით. ისევ დაკარგა ქვეყანამ დამოუკიდებლობა და თავისუფლების ის პატარა ნაწილიც, რომელიც უნდა გაღვივებულიყო დროთა განმავლობაში. ამის შემდგომ არსებობდა კონსტიტუციები 1922, 1927, 1937 და 1978 წლებში, თუმცა მათი ფასი არაფერს წარმოადგენდა ერთი მარტივი მიზეზის გამო - ეს კონსტიტუციები კომუნისტური პარტიის გეგმის შემსრულებელი დოკუმენტი იყო. საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, თუმცა ქართველი ხალხის შეუგუებლობა გამოიხატებოდა იმ ანტისაბჭოთა აჯანყებებში, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ეწყობოდა. რუსულ იმპერიასთან ბრძოლა დაუძლურებულ საქართველოს არ შეეძლო, თუმცა სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ შეუქცევადი პროცესი იყო, რომელიც აუცილებლად დადგებოდა.

ერთ - ერთი მთავარი ისტორიული მოვლენა, რომელმაც გავლენა იქონია საქართველოს დამოუკიდებლობაზე, იყო საბჭოთა კავშირის დაშლა 1991 წელს. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, თუ რა ბედი ელის იმპერიას, რომელიც "აშენებულია" არა თავისუფლების, არამედ დაშინების, ძალის გამოყენების იდეაზე. თუმცა, მანამდე, საქართველოს სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ კვლავ შეჩერდა იმ სისხლიანი ღამით, რომელსაც 1989 წლის 9 აპრილი ჰქვია. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ რუსეთი (იმ დროს კი საბჭოთა კავშირი) არ იყო კეთილი განზრახვით მეზობელი ქვეყნის - საქართველოს მიმართ. გარდა ამისა, აღსანიშნავია ბაქოსა (1990 წლის 20 იანვარი) და ვილნიუსის (1991 წლის 13 იანვარი) ტრაგედიები, სადაც თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი შეეწირა საბჭოთა კავშირის რეპრესიულ პოლიტიკას. საქართველო მაგალითი იყო სხვა ქვეყნებისათვის, რომ არ შეგუებოდნენ მორჩილებას და ებრძოლათ იმ მიზნისათვის, რასაც დამოუკიდებლობა ჰქვია.

საქართველოს ისტორიაში წითელ ლაქად დარჩება 1992-1993 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომი, რომელიც ტრაგიკული შედეგებით დასრულდა და ისედაც დაუძლურებული საქართველო უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვით. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პასუხი 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე, რომლის მიხედვითაც, საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა, საბჭოთა იმპერია ისევ მტრუ-

ლად ხვდებოდა მეზობელი ქვეყნის გადაწყვეტილებებს, თუმცა 1991 წლის დასასრულს საბჭოთა კავშირი დაიშალა...

პირველი კონსტიტუციის შექმნიდან, დამოუკიდებლობის ხელმეორედ აღდგენამდე, გასული იყო ნახევარ საუკუნეზე მეტი, რაც ნიშნავდა იმას, რომ კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრების ჩარჩოებში ჩასმას კონსტიტუციის ახალი, მოდერნიზებული ვერსია სჭირდებოდა. კონსტიტუციაზე მომუშავე კომისიას რთული ამოცანა ელოდა, რადგან მას უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ საქართველო, დაახლოებით, 5 წლის გამოსული იყო საბჭოთა კავშირიდან და საჭირო იყო ღირსეული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ხელისუფლების მნიშვნელობის ხალხამდე მიტანა და რაც მთავარია, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რაც მოსახლეობას აგრძნობინებდა, რომ ის არის მთავარი შემოქმედი სახელმწიფოს შენებისა. კონსტიტუციის პროექტის შემუშავება დროში გაიწელა და იყო აზრთა სხვადასხვაობა, მწვავე კამათი, თუმცა 1995 წელს საქართველომ მიიღო ქვეყნის ყველაზე მთავარი დოკუმენტი, რომელიც 1921 წლის კონსტიტუციის სამართალმემკვიდრე იყო და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრობდა, როგორებიცაა ხელისუფლების დანაწილების, სახალხო სუვერენიტეტისა თუ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები.

შეიძლება ითქვას, რომ მიღებული კონსტიტუციის ამოსავალი წერტილი იყო ადამიანი და დაწერილი დოკუმენტის ახალ ეპოქაზე მორგებას სჭირდებოდა სტაბილური მდგომარეობა, რათა საზოგადოებას გაეთავისებინა, თუ რას წარმოადგენდა იმ დროს შექმნილი უზენაესი კანონი. პრეამბულა, რომელიც აღნიშნულ კონსტიტუციას წინ უძღოდა, ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის მცირე დასტურია. დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო - ეს და სხვა ფასეულობები წარმოადგენენ დემოკრატიის მამოძრავებელ ძალას. რა თქმა უნდა, დემოკრატიასთან არის დაკავშირებული თავისუფლებაც და დამოუკიდებლობაც, მაგრამ 1995 წელს და მის შემდეგაც, 2003 წლამდე, საქართველოსთან მიმართებით ამ ტერმინის გაფიქრებაც კი ოცნება იყო. ქვეყანა დამოუკიდებელი იყო, მაგრამ არ ჰქონდა თავისუფლება, რაც გამოიხატებოდა კანონის მხოლოდ ფურცელზე ასახვაში, კორუფციის მაღალ დონეში, სამოქალაქო საზოგადოების არარსებობაში. შესაბამისად, ქვეყანას სჭირდებოდა მძლავრი ბიძგი, რაც გამოიწვევდა პროგრესულ გზაზე სწრაფი ნაბიჯებით სიარულს.

ერთ - ერთი ყველაზე მთავარი მომენტი საქართველოს ისტორიაში იწყება "ვარდების რევოლუციით", როდესაც საქართველომ 2003 წლიდან, მსოფლიო საზოგადოებას აჩვენა, რომ შესაძლებელია ქვეყნის ჭაობიდან ამოყვანა, თუ იქნება შესაბამისი ნება. უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წელს გატარებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ პრეზიდენტს მიანიჭა დიდი ძალაუფლება, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ კონტროლდებოდა სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებების მიერ. ქვეყნის მართვის სადავეები პრეზიდენტს ჰქონდა, რაც ბადებს ლეგიტიმურ კითხვას: ხომ არ იყო ამ სახის მმართველობა ავტორიტარიზმის დასაწყისი? პასუხი ნათელია, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მდგომარეობას, რომელიც განიცდიდა კრიზისს ყველა სფეროში, არ გააჩნდა საერთაშორისო მხარდაჭერა მისი პოლიტიკის გამო და ა.შ. შესაბამისად, სააკაშვილისათვის მინიჭებული უფლებამოსილება იყო გადადგმული ქმედითი ნაბიჯი, რაც ნიშნავდა პირველი პირის ეფექტურობას ნებისმიერი რეფორმის განხორციელებისას. საქართველოს სჭირდებოდა სწრაფი აღმასვლა და აღნიშნული მიიღწეოდა მხოლოდ დროის შეფერხებისა და ბიუროკრატიული პროცესების გარეშე.

იმისათვის, რომ ქვეყანას მზარდი ტემპით პროგრესი განეცადა, საჭირო იყო ახალი სისხლი ყველა მიმართულებით. საპატრულო პოლიციის რეფორმა, კორუფციის წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლა, ბიზნესის დერეგულაცია, საგანმანათლებლო სისტემაში არსებული კორუფციული სისტემის გაწმენდა, ჯანდაცვისა თუ თავდაცვის საკითხების მიმართულებით აქტიური მუშაობა - ეს ის არასრული საკითხებია, რომლითაც ქვეყანამ მოახერხა მსოფლიოს გაოცება. მთავარი იყო ის, რომ ხალხს, რომელიც ხელისუფლების წყარო და კონსტიტუციის გარანტია, გაეცნობიერებინა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ხალხს რწმენა გაუჩნდებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ყოველი ახალგადადგმული ნაბიჯის, სიახლისა თუ რეფორმის შემდეგ ხალხის ცნობიერება იზრდებოდა და იმატებდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც პროდასავლურ მიმართულებას მიიჩნევდა საქართველოს ორიენტირად. შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლებისაკენ გზა იმ ფასეულობებზე გადის, რომლებსაც დღეს ევროპა გვთავაზობს და არავითარ შემთხვევაში, რუსეთი. ევროპისაკენ აღებული კურსი, რაც შეიძლება თავისუფლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას შევადაროთ, იყო შეუქცევადი პროცესი, რომლის შეფერხებასაც 2008 წელს, რუსეთი შეეცადა ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციით, რაც საქართველოსთვის მძიმე შედეგებით

დასრულდა და დღემდე ქვეყნის 20%-ზე მეტი ოკუპირებულია. აღნიშნული სამხედრო კონფლიქტი, რუსეთის მხრიდან, იყო მიზანმიმართული ქმედება საქართველოს წინააღმდეგ, რათა შეჩერებულიყო დემოკრატიული ფასეულობებისკენ სწრაფვა. ნათლად ჩანს, რომ ჩრდილოელი მეზობელი სხვადასხვა ხერხით ცდილობს საქართველოსთვის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შეზღუდვას, თანაც ეს არ არის პირველი ფაქტი. ეს მიანიშნებს, თუ რამდენად დიდია დამოუკიდებლობისა და თავისუფლების საფასური, რომელიც საქართველოს დროთა განმავლობაში გადაუხდია.

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იყო ბევრი აღმავალი თუ დაღმავალი პერიოდი, მაგრამ გამოსარჩევია 2012 წელი, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ და ძალაუფლების გადაცემა მოხდა ყოველგვარი არეულობის გარეშე, მშვიდობიანი გზით. ეს იყო ტესტი, რომელიც საქართველომ ჩააბარა და შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე ერთი თამამი ნაბიჯი გადაიდგა.

ის ფაქტი, რომ საქართველო პროგრესირებდა, დადასტურდა ასოცირების შეთანხმების გაფორმებით, რომელიც ძალაში 2016 წელს შევიდა. აღნიშნული ხელშეკრულება დასტურია იმისა, რომ საქართველო დროთა განმავლობაში ასრულებდა მასზე ნაკისრ ვალდებულებებს და აღნიშნული აისახა ევროპულ სავაჭრო - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტში.

თუ გადავხედავთ ისტორიას პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მომენტიდან დღემდე, დავინახავთ, რომ საქართველო სრულფასოვნად არ იყო დამოუკიდებელი. მეტიც, 100 წლის განმავლობაში სრული დამოუკიდებლობა, დაახლოებით, 3 ათეულ წელს ითვლის. არ იქნება საფუძველს მოკლებული ის ვარაუდი, რომ სრული დამოუკიდებლობის შემთხვევაში, საქართველო ბევრად განვითარებული ქვეყანა იქნებოდა, ვიდრე არის ახლა.

სახელმწიფოს წინაშე არსებული პრობლემები პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია თავისუფლებისა და/ან დამოუკიდებლობის ხარისხთან. ავტორიტეტული გამოკვლევა “Freedom House” საქართველოს მიიჩნევს ნაწილობრივ თავისუფლად, რისი აღმოფხვრაც სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს.

ერთ - ერთი ყველაზე მთავარი გამოწვევა სახელმწიფოს წინაშე არის რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხზე მუშაობა. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ სიტუაციაში ფერხდება საქართველოს განვითარება და აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს დევნილი მოსახლეობა, რომელზედაც პასუხისმგებლობის აღება სახელმწიფოს ეკისრება.

კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის მთავარი პოლიტიკურ - სამართლებრივი დოკუმენტია, არ უნდა იქცეს ბუტაფორიად, რომლის ნორმებიც მოკლებული იქნება პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას. სახელმწიფო ხელისუფლების მიზანია, უფლებები, რომლებსაც კონსტიტუცია ანიჭებს ხალხს, როგორც ხელისუფლების წყაროს, რეალურად სრულდებოდეს და არ დარჩეს მხოლოდ ფურცელზე დაწერილად. ამისათვის მნიშვნელოვანია სასამართლოს, როგორც ინსტიტუციის გაძლიერება და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რათა იგი არ იქცეს იარაღად მმართველი ძალის ხელში და არ ემსახურებოდეს ვიწრო პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველთვის იდგება ცდუნების წინაშე, გამოიყენოს სასამართლო ხელისუფლება, როგორც იარაღი პოლიტიკური ოპონენტებისა თუ სხვა მოწინააღმდეგე ჯგუფების წინააღმდეგ. ამასთან, საზოგადოების მხრიდან სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის ხარისხი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ - ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმია.

დემოკრატიული განვითარების გზაზე კიდევ ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება. ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ნიშნავს განათლების ხელშეწყობას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, პლურალიზმს, ტოლერანტობას, საზოგადოებრივ კომპრომისს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. ყოველივე ზემოაღნიშნული, მართალია, დიდი დაბრკოლებების გადალახვის შედეგად, მაგრამ მაინც იკიდებს ფეხს ჩვენს საზოგადოებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავი გვაკისრებს მეტ პასუხისმგებლობას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კუთხით. ჯერ მხოლოდ 26 წელი გავიდა, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა იმპერიის შემადგენლობაში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ. ეს არც ისე დიდი დროა, თუმცა საკმარისი - სახელმწიფო ინსტიტუტების შესაქმნელად და ადამიანის უფლებების

საფუძვლების დამკვიდრებისთვის. აღნიშნული ნაბიჯი უკვე გადადგმულია, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება ჩვენი სწრაფვა, რათა თამამად დავდგეთ დემოკრატიული სახელმწიფოების გვერდით.

ნიკა გელაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ — რესპუბლიკის 100 წელი

26 მაისი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ეროვნული დღეა-სასწაულია, რომელიც სათავეს 1918 წლიდან იღებს. ეს თარიღი ასოცირდება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან რუსეთის იმპერიისა და სსრკ-სგან.

დამოუკიდებლობის დღე საამაყოა თითოეული ქართველისათვის, რომელმაც იცის და უყვარს საკუთარი ქვეყნის ისტორია. ყოველდღიურ ყოფაში ჩაბმულნი ჩვენ იშვიათად ვუფიქრდებით, რაოდენ ეკლიანი გზა განვლო ჩვენმა სახელმწიფომ, რომ უზრუნველეყო იმ თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების ფორმირება, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ. უკეთესობისაკენ სწრაფვა – ეს არის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ბიძგს აძლევდა ქართულ საზოგადოებას, თავი დაეღწია რუსეთის იმპერიის „კლანჭებიდან'', გათავისუფლებულიყო 70–წლიანი ტყვეობიდან და თავი დაემკვირდებინა, როგორც დამოუკიდებლად მდგარი სახელმწიფო. „თავისუფლება ხომ ისეთი რამაა, რასაც მუდამ ვკარგავთ, მაგრამ ყოველთვის ვეძებთ, ვიბრძვით მისთვის, რადგან მასზე უკეთესი მართლა არაფერი გაგვაჩნია'', – შორენა სიხარულიძე.

ჩვენი რეალობა წარმოუდგენელია თავისუფალი აზროვნების, არჩევანისა და ქმედების გარეშე. კოლექტივისტური ცხოვრების წესიდან გადავერთეთ ინდივიდუალისტურზე, რომელმაც გააძლიერა პირადი და საზოგადოებრივი თავისუფლების შეგრძნება და ღირებულება. „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტში'' ვკითხულობთ, რომ: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო''. მაშ, რა გახდა დამოუკიდებლობის დათმობისა და რუსეთის ქვეშევრდომობის მთავარი მიზეზი? ჩვენი ქვეყნის ბედი რუსეთს გადაეჯაჭვა 1783 წლიდან, როდესაც ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიდო ''სამეგობრო შეთანხმება'' გეორგიევსკის ციხესიმაგრეში. ოსმალეთისა და ირანის მხრიდან არსებული საშიშროება საფრთხის ქვეშ აყენებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობას. ამ ისტორიულ– პოლიტიკურმა მიზეზებმა უბიძგა ქართლ–კახეთის მეფეს, ერეკლე II-ს, ეძებნა მოკავშირე რუსეთის სახით. რუსული ისტორიოგრაფიის მტკიცებით, გეორგიევსკის ტრაქტატის წყალობით ''ქართველი ხალხი

გადაურჩა სპარსეთის და ოსმალეთის მხრიდან გარდაუვალ აგრესიასა და სრულ გადაშენებას“. ამ მოსაზრებას იზიარებდა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიაც, ვინაიდან მაჰმადიან მტერს მეტად საშიშად აღიქვამდნენ, ვიდრე ჩვენს ‘’ჩრდილოელს’’, ერთმორწმუნე მეზობელს – რუსეთს, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც გარანტი ჩვენი ქვეყნის გადარჩენისა და წინსვლისა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით თავისი განცდები გამოხატა დიდებულმა მწერალმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოემაში ‘’ბედი ქართლისა’’. ნაწარმოებში მეფესა და მსაჯულს შორის მიმდინარეობს კამათი, რომელიც დღესაც გრძელდება და, ალბათ, არასდროს დასრულდება. ერეკლე II–ს საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად მოჰყავს მეტი არგუმენტი, ვიდრე სოლომონს. ასეთი შემთხვევის რელევანტურად მახსენდება ანტიკური პოეზიის წამომწყები არქილოქე პაროსელი, რომელსაც ეკუთვნის ლექსი „მელია და ზღარბი’’. მელიას ბევრი ცბიერება აქვს, ზღარბს კი – ერთი, მაგრამ მაგარი. იგულისხმება ის, რომ მელია თავისი მიზნების მისაღწევად ბევრ სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავს, ხოლო ზღარბი იკუმშება და ვერავინ ერევა, ეს მისი ერთადერთი იარაღია. მსგავსად, ნიკოლოზ ბარათაშვილმა წარმოგვიდგინა „მელიისა“ და „ზღარბის“ შერკინება, ვინაიდან მეფე ერეკლეს აქვს ბევრი არგუმენტი რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ: ‘’დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა, მტკიცე კავშირი, – სარწმუნოება’’, ხოლო მსაჯულს – ერთადერთი : „ქართველებს არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება“. ნიკოლოზ ბარათაშვილი ტრაგიკულად განიცდიდა თვითმპყრობელობისგან ქართველი ხალხის დამონებას. იგი ოცნებობდა სამშობლოს თავისუფლებაზე... მოვლენები სხვაგვარად განვითარდა : რატიფიცირებული „გეორგიევსკის ტრაქტატი“ რუსებმა მალევე დაარღვიეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ საფუძვლები შეურყია რუსეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობას. საქართველოს თავისუფლების შორეული მიზანი უკვე პრაქტიკულ ამოცანად იქცა. თვითმპყრობელობის დამხობამ დააჩქარა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება : წარმოიშვა მრავალი დასახელების საბჭო, კორპორაცია და გაერთიანება. ამავე წლის მარტში საფუძველი ჩაეყარა ‘’ეროვნულ კომიტეტს’’, მოგვიანებით შეიქმნა ‘’საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო’’, რომელსაც სათავეში აკაკი ჩხენკელი ედგა. ინტერპარტიულმა საბჭომ მიზნად დაისახა ზრუნვა საქართველოს ეროვნულ უფლებათა დასაცავად. ისინი ესწრაფოდნენ საქართველოს ეროვნულ–ტერიტორიულ და პოლიტიკურ ავტონომიას. 1917 წლის 19–22 ნოემბერს მოწვეულ იქნა საქართველოს

ეროვნული ყრილობა. უმთავრეს საკითხზე ‘’დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა’’ მოხსენებით ნოე ჟორდანია გამოვიდა, რომლის აზრითაც საქართველო ისევ რუსული ორიენტაციის ერთგული უნდა დარჩენილიყო, ოღონდ არა საბჭოურ–ბოლშევიკურის, არამედ დემოკრატიული რუსეთისა. შედეგად, საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გახდა. ამ დღიდან დაიწყო ახალი, განსხვავებული ეტაპი – ჩამოყალიბდა ქართული ხელისუფლება, რომელიც უფრო მტკიცედ შეუდგა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

1917 წლის 15 ნოემბერს თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც შეძლო ოსმალეთთან დროებითი საზავო შეთანხმების მიღწევა. პარალელურად, ლენინმა შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება და პოზიცია გერმანიასთან ზავით განამტკიცა. ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ამიერკავკასიის სახელმწიფოს ოსმალეთთან გამკლავების ძალა არ ჰქონდა. ოსმალეთის მოსალოდნელი ოკუპაციისაგან საქართველოს ხსნა იმხანად მხოლოდ გერმანიას ძალუძდა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა და შეამზადა მისი გამოცხადების საფუძვლები. 1918 წლის 26 მაისს ნოე ჟორდანიამ წაიკითხა ‘’საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი’’, რომლის I მუხლი აცხადებდა: ‘’ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა’’. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში – ქართველი ერის თავდაუზოგავი ბრძოლა თავისუფლებისათვის 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, დაიწყო მუშაობა კონსტიტუციის შექმნისათვის, მაგრამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას კონსტიტუციის მიღება რთულ პირობებში მოუწია. კონსტიტუციის მიღების პროცესი დაჩქარდა, ვინაიდან საქართველოს რუსეთის წითელი არმია ესხმოდა თავს. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კონსტიტუცია, თუმცა სახალხო ზეიმის ნაცვლად გარეთ ქვემეხების ხმა ისმოდა. საქართველოს კონსტიტუციაში ასახული იყო პირველი მთავრობის მიზნები, რომ შეექმნათ განვითარებული, თანასწორ უფლებებზე ორიენტირებული ევროპული კონსტიტუცია, რომელიც მთელ მსოფლიოში გამორჩეული იქნებოდა. სამწუხაროდ, ქართველებისთვის ისტორია ერთსა და იმავე ადგილზე ბრუნავდა და ყველაფერი ახლიდან

იწყებოდა. 1920 წელს საბჭოთა ძალამ ძალაუფლება მოიპოვა აზერბაიჯანში, შემდეგ კი სომხეთში. საქართველო კავკასიის რეგიონის ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო რჩებოდა. ყველაფერი საქართველოს გასაბჭოებისკენ მიდიოდა. ერთადერთი პრობლემა იყო ის, რომ ქართველებს დამოუკიდებლობის დაკარგვა არ სურდათ. ისინი მზად იყვნენ გადაედგათ ნებისმიერი ნაბიჯი, ოღონდ შეენარჩუნებინათ დიდი ბრძოლის შედეგად მოპოვებული თავისუფლება. მე-11 წითელი არმია საქართველოში სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან შემოიჭრა. იმავდროულად, საბჭოთა რუსეთის მსროლელთა 98–ე ბრიგადა თერგის ცხენოსან დივიზიასთან ერთად ამზადებდა საქართველოზე შეტევას როკისა და მამისონის უღელტეხილებიდან, ხოლო მე–9 არმიას სოჭიდან ან აფხაზეთიდან უნდა შეეტია და შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ წაწეულიყო. საქართველო მზად არ იყო მოულოდნელი თავდასხმებისთვის და მტერს ძლიერი მეტოქეობა ვერ გაუწია, რის შედეგადაც 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმია საქართველოში შემოვიდა. საბოლოოდ, საქართველოსა და რუსეთს შორის ბრძოლა 18 მარტს დასრულდა. საქართველო „გაწითლდა“. საქართველომ კვლავ დაკარგა სუვერენიტეტი და მეორედ იქნა დაპყრობილი რუსეთის მიერ.

საქართველოს პირველი მთავრობა ბოლომდე ცდილობდა საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას, თუმცა საერთაშორისო საზოგადოება, დღევანდელის მსგავსად, შეშფოთებას გამოთქვამდა, მაგრამ პრობლემის გადაჭრაში საქართველოს ვერ ეხმარებოდა. მას შემდეგ, რაც საქართველო გასაბჭოვდა, საქართველოში ცხოვრება ნელ–ნელა რთულდებოდა. კომუნისტური პროპაგანდა ახალგაზრდობას ზრდიდა საბჭოთა იდეოლოგიის საფუძველზე – უნერგავდა მათ ეროვნულის უარყოფისა და ვითომდა საერთო საკაცობრიო ღირებულებების მქონე სოციალისტური იდეოლოგიისადმი ერთგულებას. საბჭოთა მორალი მიმართული იყო ეროვნულობის დათრგუნვაზე. ვინც მათ წინააღმდეგობას უწევდა, საქართველოდან ასახლებდნენ, ხვრეტდნენ. დაიწყო ყველასათვის კარგად ცნობილი 1937 წლის რეპრესიები, რომელთა მსხვერპლიც გახდნენ გამოჩენილი ქართველები: მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და სხვები. გამკაცრდა ცენზურა. საბჭოთა საქართველოში იკრძალებოდა ეკლესიებში სიარული და წირვა–ლოცვის ჩატარება. საბჭოთა კავშირი აშენებდა ათეისტურ სახელმწიფოს და ცხადია, ქართველთა მართლმადიდებლობა არ აწყობდათ. საფრთხის ქვეშ იყო ქართული ენაც, რომლის ჩანაცვლება სურდათ რუსულით. 1978 წლის 14 აპრილს, ერთ მუშტად შეკრულმა ერმა მტკიცედ დაიცვა ქართული ენის, როგორც

სახელმწიფო ენის სტატუსი. საკვირველია, როგორ ახერხებდა ჩვენისთანა პატარა სახელმწიფო თვითმყოფადობის შენარჩუნებას, საიდან მოდიოდა ძალა წინააღმდეგობის გაწევისა. ''საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას'' – ვაჟა–ფშაველა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა დაერწმუნებინა ადამიანები ამ „თანამეგობრობის“ იდეალურობაში, ანტისაბჭოთა მიტინგები და დემონსტრაციები გაძლიერდა 1988 წლიდან. ეს გამოსვლები მიმართული იყო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ და იყო მოთხოვნები საქართველოს გამოსვლის საბჭოთა კავშირიდან. 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას თბილისში მთავრობის სასახლის წინ რუსეთიდან ჩამოყვანილმა სპეცდანიშნულების რაზმმა, მომწამვლელი აირით და მეხანგრეთა ალესილი ნიჩბების გამოყენებით დაარბია მომიტინგეები. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში შეიქმნა რამდენიმე პოლიტიკური პარტია. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა მოსკოვმა ვერ შეაჩერა. საბოლოოდ, 1991 წლის 8 დეკემბერს საბჭოთა კავშირის დაშლა გადაწყდა. ხოლო 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებულმა რეფერენდუმმა აჩვენა, რომ მოსახლეობის 98,9% პროცენტს სურდა დამოუკიდებლობის აღდგენა. რეფერენდუმის საფუძველზე უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

უსასრულოდ შეგვიძლია დეტალურად განვიხილოთ ისტორიული მოვლენები, პრეზიდენტთა მონაცვლეობა და სხვადასხვა რეჟიმი, თუმცა ვთვლი, რომ უფრო მნიშვნელოვანი არის ჩვენი განვლილი გზის ანალიზი.

საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაიწყო სახელმწიფოს მშენებლობის რთული პროცესი. სასტარტო პოზიცია იმდენად არახელსაყრელი იყო, რომ ბევრს არ სჯეროდა საქართველოს სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის. ამიტომაც აოცებს საქართველო ყველას, ვინც კი მას ეცნობა. როგორ შეძლო ამ პატარა ქვეყანამ გადაელახა ყველა დაბრკოლება, მაინც არ დავმარცხდით, მაინც შევძელით ''ჭაობიდან'' ამოსვლა, მაინც გავიმართეთ წელში და არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც ვაგრძელებთ წინსვლას. დღევანდელი საქართველო საამაყოა. ჩვენ შევძელით უკან მოგვეტოვა შიმშილი, ხვალინდელი დღის შიში, კრიზისი, კორუფციის მაღალი დონე, კრიმინალის აღმავლობა. შევიცვალეთ. გავხდით უფრო ლმობიერნი, ერთმანეთის გამტანნი, ჯანსაღად

კრიტიკულნი ყველა იმ მოვლენის მიმართ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხდება. აღარ მივუყვებით სხვების სურვილებს, ვფიქრობთ პირველ რიგში ჩვენი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობაზე, თუმცა სიხარულით ვხვდებით უცხოეთიდან შემოსულ ინოვაციებსაც. ჩვენ მივდევთ ვაჟას რჩევას: „გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს''.

საქართველოს დღესაც აქვს მრავალი გამოწვევა, მაგრამ ბალანსი მაინც დადებითია: საქართველო დღეს არის შემდგარი სახელმწიფო საკმაოდ გამართული ინსტიტუტებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოებით, ეკონომიკის ზრდითა და მჭიდრო საგარეო კავშირებით რიგ საერთაშორისო აქტორებთან, ევროკავშირისა და ნატოს ჩათვლით. საქართველომ სახელი გაითქვა თავისი ნიჭიერი ახალგაზრდებით: სპორტსმენებით, მომღერლებით, მწერლებითა თუ კომპოზიტორებით მთელ მსოფლიოში. დღეს მსოფლიომ იცის, რომ აშშ–ს შტატ Georgia-ს გარდა, არსებობს მსგავსი დასახელების ქვეყანა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელიც სულ უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება გარე სამყაროსთვის თავისი უნიკალური კულტურისა და ტრადიციების გამო. შეიცვალა, ასევე, მოსახლეობის აზროვნება. მიმართულება გვაქვს ევროპული ღირებულებებისკენ, ვიცავთ საკუთარ და საზოგადოებრივ უფლებებსა და თავისუფლებებს, ვამკვიდრებთ თანასწორობას, მეტ ყურადღებასა და რესურსებს ვანიჭებთ განათლებას და გასაქანს ვაძლევთ მოტივირებულ ახალგაზრდებს. „ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით და ამ რბევა-ძარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართნა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შაგვეძინა ძალა“, – გვესაუბრება ვაჟა. მიუხედავად ამდენი ცვლილებისა, ქართველი ერი ინარჩუნებს „ენა, მამულსა და სარწმუნოებას“, პატივს მიაგებს წინაპრების დანატოვარს. მნიშვნელობა არ აქვს იმ პოლიტიკურ პარტიასა თუ კონკრეტულ ადამიანს, რომელიც ქვეყნის სათავეში იდგება. მთავარ მამოძრავებელ ძალას უნდა წარმოადგენდეს არა ქვეყნის შიგნით ლიდერობის ამბიცია, არამედ დაუოკებელი სურვილი ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების. „რანი ვიყავით? რანი ვართ? რანი ვიქნებით?“, – პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად უკვე განვიხილეთ საქართველოში მომხდარი ისტორიული მოვლენები. „რანი ვართ?“ – ჩვენ ვართ ერი, რომელიც არ ეგუება დამცირებას, მონობას და მუდამ იბრძვის თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისათვის. „რანი ვიქნებით?“ – ვფიქრობ, რომ მომავალი ჩვენი ქვეყნისათვის ნათელი, მშვიდობიანი და

წარმატებულია. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა მოგვილოცა სხვადასხვა ქვეყანამ და საქართველოში ჩამოსულმა სტუმრებმა, რაც მიგვანიშნებს ჩვენი სამშობლოს მეგობრულ ურთიერთობებზე მსოფლიოს განსხვავებულ სახელმწიფოებთან.

დაბოლოს, იმედით სავსე ვასრულებ ჩემს ნაშრომს, რომ ქართველი ერი აღარ იქნება შემზარავი ამბების მომსწრე, იცხოვრებს გალაღებულ, მშვიდობიან და განვითარებულ საქართველოში, სადაც „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ და არასდროს დათმობს წვალებითა და წინაპართა სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას.

„დიდება თავისუფლებას, თავისუფლებას დიდება“!

მარიამ ბლიაძე

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სტუდენტი

საჭიროა გამბედაობა გამოწვევებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც საქართველო დგას

100 წლის წინ 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ შეძლო და მოიპოვა დამოუკიდებლობა, ღირებულება, რომელიც ყველა სახელმწიფოსათვის ღირსეულ მონაპოვარს წარმოადგენს, ეს მონაპოვარი კი გახდა წინამორბედი ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრიობის, ასევე პოლიტიკურ და სამართლებრივ გარანტთა განვითარების საწინდარისა. მიუხედავად საქართველოს პირველი რესპუბლიკის მცირე ხნით არსებობისა (1028 დღე), მან დაგვიტოვა, ისეთი საკითხები, რომელიც აქტუალურია დღესაც. მათი შესწავლა და გაანალიზება საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის სამაყოა, ასევე, უამრავი მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის განვითარებისთვის.

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა არსებობდა სამი წლის განმავლობაში. მიუხედავად პირველი რესპუბლიკის არსებობის დროის სიმცირისა, იმ ეპოქის რეალობისათვის საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე, მისი სამართლებრივი წყობილებით ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფოდა ევროპულ თავისუფლებებსა და ღირებულებებს, აქედან გამომდინარე სრულიად საპირისპირო მმართველობითი მოდელი შექმნა და წინ აღუდგა საბჭოთა მმართველობის ხელისუფლების მოდელს. დამოუკიდებლობის მოპოვებას წინ უძღოდა საერთო სახალხო მზაობა, რაც დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას გულისხმობს.

1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობა მზადდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დიდი ენთუზიაზმით, რუსეთის ცარისტული მმართველობის მიუხედავად, მოხდა საზოგადოების თვითმყოფადობის შენარჩუნება. მათ შეძლეს და საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ნიადაგი შეამზადეს, რათა საბოლოოდ შეგვექმნა დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო. საზოგადო მოღვაწეთა მხრიდან არაერთი პროექტი იქნა წამოწყებული, რათა მომხდარიყო ეროვნული კონსოლიდაციისა და საზოგადოების თვითშეგნების ამაღლება. სწორედ 1860 წელს საქართველოში

ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, ძალა, რომელიც ქართული კულტურის შექმნასა და შენარჩუნებას ცდილობდა. ქართული საზოგადოება ამ ახალგაზდათა გაერთიანებას „თერგდალეულებს“ უწოდებს. მათი როლი დამოუკიდებლობის მოპოვებაში არის უდიდესი. ამ თაობამ შეძლო და რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა და აქტიური ბრძოლა დაიწყო. „თერგდალეულების“ მთავარ საბრძოლო საშუალებას არა იარაღი, არამედ კალამი წარმოადგენდა. ლიტერატურული ნაშრომებითა და პულიცისტურ წერილთა მეშვეობით, ასევე დასავლური ლიტერატურის თარგმნით, ისინი ცდილობდნენ საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებასა და მყარი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. პერმანენტულად სხვადასხვა ჟურნალებში იბეჭდებოდა მათი ნაშრომები,. სწორედ ამ მოღვაწეობამ შეუწყო ხელი ეროვნული კონსოლიდაციის პროცესთა დაჩქარებას. ასევე, მათ მთავარ ამოცანას დამოუკიდებლობის მოპოვება და რუსეთის მმართველობიდან გამოყოფა წარმოადგენდა. ისინი შეურიგებელი პოლიტიკით იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. „თერგდალეულთა“ აქტიური ქმედებით მოხდა შენარჩუნება ერის თვითმყოფადობისა და ქართული კულტურისა. ამ გაერთიანების წევრები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი და სხვები. სწორედ ამ მოღვაწეთა თითოეული ნაშრომი წარმოადგენდა ერთგვარ წინაპირობას, შენარჩუნებულიყო ქართული კულტურა და მასზე დაფუძნებული ღირებულებები.

საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებითად მნიშვნელოვანი და საამაყო კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში. გამოცდილება, რომელიც ამ მმართველობის პერიდოში იქნა მიღებული, თანამედროვე ქართული სახელმწიფოსათვის უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს. ქვეყანა, რომლის მთავარ გამოწვევად სახელდებოდა დამოუკიდებლობა და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, სრულად წინააღმდეგობაში მოდიოდა თავისი პოლიტიკური ხედვითა და მისწრაფებებით იმდროინდელი საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის მოდელთან, ვინაიდან საქართველომ პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკაში შეძლო და განავითარა დასავლური ღირებულებები და თავისუფლებები.

აღსანიშნავია, რომ დღევანდელი ქართული სახელმწიფო წარმოადგენს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეს. შედარებით ჭრილში აღსანიშნავია გარემოებანი, რომელიც ღირსეულად შეგვიძლია დავასახელოთ. ასე მაგალითად, საქართველოს

პირველ რესპუბლიკაში ბევრ განვითარებულ სახელმწიფოზე ადრე ჩატარდა არჩევნები, სადაც მონაწილეობას ორივე სქესის წარმომადგენლები იღებდნენ, მიუხედავად მათი ქონებრივი ცენზისა. ამდენად ქალები სარგებლობდნენ როგორც პასიური, ისე აქტიური საარჩევნო უფლებით. ასევე, 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც აქტიურად იცავდა სამართლებრივ ჭრილში ეროვნულ თუ რელიგიურ უმცირესობებს, კანონმდებლობის დონეზე ხდებოდა ქალთა უფლებების რეალიზაცია და მათი დაცვა. შეიქმნა მრავალპარტიული მმართველობითი სისტემა, ჩამოყალიბდა პოლიტიკური დებატებისა და აზრის გამოხატვის კულტურა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დონეზე საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა აღიარებულ იქნა, როგორც ერთ-ერთი გამორჩეულად სტაბილური სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. საგარეო პოლიტიკის ჭრილში საქართველოს წარმომადგენლები აქტიურად მართავდნენ შეხვედრებს უცხო ქვეყნის კოლეგებთან. ზურაბ ავალიშვილის, დავით ღამბაშიძისა და კონსტანტინე გვარჯალაძის შემადგენლობით საქართველოს პირველმა დელეგაციამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დააფიქსირა პოზიცია, რომ საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საერთაშორისო სამართლის დონეზე. აქედან გამომდინარე ქართველი ხალხი არ წარმოადგენს რუსეთის შემადგენლობაში მყოფ მოქალაქეებს, ანუ ისინი არ არიან რუსი ხალხი და შესაბამისად საქართველოს თემა განხილული უნდა იყოს განცალკევებით რუსეთისგან, ამიტომ საქართველომ უარი განაცხადა მოწვევაზე, რომელიც უმაღლესმა საბჭომ წარუდგინა და მონაწილეობა არ მიიღო პრინკიპოს საერთო რუსულ კონფერენციაში. საქართველომ პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პირობებში შეძლო და განავითარა იმდროინდელი ქართული კულტურა, ასევე, გაამყარა თავისუფალი პრესის როლი ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩამოაყალიბა მყარი საგანმანათლებლო სისტემა, დაამყარა მჭიდრო საგარეო ურთიერთობები და შეძლო უცხო ქვეყნის ხელისუფალთა მხარდაჭერის მოპოვება.

აღსანიშნავია ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს პირველი ლობისტის, კონგრესმენ უოლტერ მარიონ ჩენდლერის გამოსვლა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო სხდომაზე გამართულ შეხვედრაზე. მოცემულ კრებაზე ჩენდლერმა მოითხოვა საქართველოს დამოუკიდებლობის სრულად აღიარება და მისი ფინანსური მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა. ეს მოხდა 1920 წლის 19 იანვარს ამერიკის შეერთებულ

შტატებში, ვაშინგტონში და გვამცნობს იმის შესახებ, თუ რაოდენ მკაფიოდ იყო აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი სამართლებრივი საფუძვლები ისეთი დიდი სახელმწიფოს მხრიდან, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია.

1970-იან წლებში საბჭოთა კავშირის მმართველობის დროს ფიქსირდებოდა პრეცედენტები, როდესაც გარკვეული ჯგუფები ცდილობდნენ საკუთარი შეხედულება დაეფიქსირებინათ, რომ იმდროინდელ პოლიტიკურ სისტემას ეწინააღმდეგებოდნენ, თუმცა მათი ეროვნული გამოხატულების და სურვილების რეალიზაცია, რა თქმა უნდა, მაშინდელი ტოტალური სახელმწიფო კონტროლის ქვეშ ძალზედ რთული იყო. მიუხედავად ამისა, ცალკეული დამოუკიდებელი ჯგუფების მხრიდან ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც ისინი ეროვნული ლოზუნგებით ცდილობდნენ გაემართათ მასობრივი სახალხო მანიფესტაციები. 1978 წლის 14 აპრილს საქართველოში გაიმართა მასობრივი სახალხო გამოსვლა, რომლის მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციაში არსებული მუხლის შენარჩუნება, რომელიც სახელმწიფო ენად ქართულ ენას აღიარებდა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დაფიქსირდა ერთ-ერთი უნიკალური შემთხვევა, რომლის დროსაც მანიფესტანტთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა ხელისუფლების მიერ. ამ გადაწყვეტილებამ ერთგვარად რწმენა შემატა იმ თაობის ახალგაზრდებს და დამოუკიდებლობის იდეა მეტად გაღვივდა მათში. შემდგომ წლებში (1987-1990) საბჭოთა კავშირის ეპოქის მიერ მოხსენიებული ე.წ. დისიდენტური ჯგუფების არსებობის პირობებში ეროვნულ იდეაზე დაფუძნებულ მანიფესტაციათა გამართვა გრძელდებოდა. ასევე ამ პერიოდში 1987 წელს ჩამოყალიბდა პირველი საზოგადოებრივი მოძრაობები და ორგანიზაციები, რომელთა მხრიდან მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღდგენაზე ზრუნვის დღის წესრიგში დაყენება. ერთ-ერთი ასეთ მოძრაობა იყო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“. მათ ერთ-ერთ პირველ გამოხმაურებას წარმოადგენდა ტრანსკავკასიური სარკინიგზო გზის გაყვანა, ასევე დავით გარეჯზე სამხედრო პოლიგონის განთავსება, რელიგიური ძეგლების დაზიანება და იქ განხორციელებულ სროლები. 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით იმართებოდა მანიფესტაცია. საბჭოთა არმიის მხრიდან მოხდა მშვიდობიან დემონსტრანტთა დარბევა, რასაც მშვიდობიანი აქციის 21 მონაწილე ემსხვერპლა. ამ მოვლენამ ერთგვარად გადამწყვეტი როლი ითამაშა ეროვნული მოძრაობის გააქტიურების კუთხით. ქვეყანაში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, ჩამოყალიბდა ერთიანი

ხედვა და საერთო ეროვნული კონსენსუსი იქნა მიღწეული. გაძლიერდა რადიკალური ფრთა და საბოლოოდ მოხდა კომუნისტური რეჟიმის დელეგიტიმაცია, რაც გამოიხატა მმართველობით საკითხებში. 1989 წლის აპრილიდან არჩევნებამდე, რომელიც 1990 წლის ოქტომბერში გაიმართა, საქართველო ორხელისუფებიანობის პირობებში იმართებოდა. საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ხორციელდებოდა მმართველობის განხორციელება რუტინულად. მათ რჩებოდათ მხოლოდ პასუხისმგებლობა, ხოლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღება, რომელიც არსებითი დატვირთვის იყო, ძირითადად ხდებოდა ეროვნული მოძრაობის თანხმობის ხარჯზე. ეროვნულ მოძრაობას არ ჰქონდათ პასუხისმგებლობები, თუმცაღა მათ გააჩნდათ ძალაუფლება, რაც აღარ ჰქონდა კომუნისტურ პარტიას. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მოძრაობის მხრიდან დემოკრატიული მმართველობის აღიარება ხდებოდა, ამ მიმართულებით კი მისი წარმომადგენლების მხრიდან გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, რაც გამოიხატა საქართველოში თავისუფალი არჩევნების ჩატარებაში, მაინც იკვეთება ქვეყანაში კრიზისული ეტაპები. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პროცესები სამოქალაქო დაპირისპირების პარალელურად მიმდინარეობდა, რაც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას ამძიმებდა. საზოგადოების ნაწილში დამკვიდრდა მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც ეროვნული მოძრაობის გარშემო ყველა ერთიანად უნდა შეკრებილიყო, ხოლო ვინც ამ მოსაზრებას არ იზიარებდა, „ერის მტრის“ სტატუსის ქვეშ ჩნდებოდა. მერაბ კოსტავა წარმოადგენდა ამ მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, ხოლო ავტოკატასტროფაში მისი გარდაცვალების შემდგომ, ამ სტატუსქვეშ ზვიად გამსახურდია მოექცია. რომ არა ეს უბედური შემთხვევა, მათ, როგორც თანამოაზრეებსა და თანამებრძოლებს, შესაძლოა, ქვეყნის განვითარებაში ბევრად მეტი წვლილი შეეტანათ.

გამსახურდია ხელისუფლების მმართველობის პირობებში ავტორიტარულობის ბრალდებით დაამხეს. უმცირესობათა გარიცხვა და მათი ეთნიკური პოპულიზმი ეროვნულ განმათავისუფლებელთა თითქმის ყველა მოძრაობისთვისაა დამახასიათებელი. ეროვნული მოძრაობის მხრიდან არ მოხდა კონსენსუსი უმცირესობებთან ურთიერთობაში, რაც ესოდენ დიდ გამოწვევას წარმოადგენდა იმ დროისთვის. რადიკალური პოლიტიკის რეალიზაციის შედეგად, ჩამოყალიბდა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, რამაც ქვეყანაში არასტაბულური გარემოს არსებობას შეუწყო ხელი. აღსანიშნავია ამ კუთხით საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცდილება. მიუხედავად დროის მცირე მონაკვეთისა 1918-

1921 წლებში საქართველოს პირველმა დემოკრატიულ რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი გამოცდილება და კვალი დაგვიტოვა. მიღებულ იქნა საქართველოს პირველი კონსტიტუცია. ამ მოვლენამ უდიდესი წინსვლა მოუტანა ქვეყნის სამართლებრივ განვითარებას, კონსტიტუციის მე-14 თავში დაცული იყო ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პირველი კონსტიტუცია პირველი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირობებში წარმოადგენდა იმ დროისათვის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ კონსტიტუციას მისი შინაარსიდან გამომდინარე. კონსტიტუციის მესამე თავი ეთმობოდა მთლიანად ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივ უზრუნველყოფას. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში აღიარებული და გარანტირებული იქნა ადამიანთა ისეთი ფუნდამენტური და ძირითადი უფლებები, როგორიც არის: მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობა, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, რწმენისა და გამოხატვის თავისუფლება, გენდერული თანასწორობა, რელიგიის თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, ანუ პირის დაკავების დაუშვებლობა, სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების გარეშე. ასევე, იმ ეპოქის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩამოყალიბება და მისი რეალიზაცია. აღსანიშნავია, რომ 1921 წლის კონსტიტუციით გაუქმდა სიკვდილით დასჯა, რაც ბევრ მოწინავე დასავლურ ქვეყანაში ჯერ კიდევ წარმოუდგენელ პრეცედენტად მიიჩნეოდა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ არსებობა შეწყვიტა, ვინაიდან წითელი არმია შემოიჭრა თბილისში და რუსეთის მხრიდან მოხდა საქართველოს ოკუპაცია. საბჭოთა ხელისუფლების მართვის პირობებში საქართველოში სხვადასხვა დროს მოქმედებდა კონსტიტუციები, რომელთა სამართლებრივი ჭრილი მორგებული იყო საბჭოთა პოლიტიკაზე, ხოლო ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ აღნიშნული კონსტიტუციები ერთგვარ ფიქციას წარმოადგენდა. ამჟამად საქართველოში მოქმედ უზენაეს კანონს წარმოადგენს 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია. ეს კონსტიტუცია სწორედ რომ სამართალმემკვიდრეა პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პირობებში შექმნილი 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციისა. მოქმედი კონსტიტუციის პრეამბულა გვამცნობს, რომ ქვეყანაში მოქალაქეთა ურყევი ნების საფუძველზე დამყარებული არის დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წესწყობილება, უზრუნველყოფილია ადამიანთა საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ასევე ჩვენი ვა-

ლია სხვა ხალხთან მშვიდობიანი ურთიერთობა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება. „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“, - გვამცნობს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია. ამით ყველაფერი ნათქვამია - ქართული სახელმწიფო არის დამოუკიდებელი და მისი საშინაო პოლიტიკა მართული უნდა იყოს ქყვეყნის ინტერესებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მმართველობის დროს მთავარ ამოსავალ წერტილს.

საქართველოს განვლილი ისტორია მრავალფეროვანი და ღირებულებებით აღსავსეა. იგი საშუალებას გვაძლევს სახელმწიფო ვმართოთ დამოუკიდებლად. თანამედროვე საქართველო არის სამართალმემკვიდრე 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებელი ქვეყნისა. საჭიროა გამბედაობა გამოწვევებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც საქართველო დგას. როგორც თავის დროზე, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტისადმი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადების მიღების შესახებ აკაკი ჩხენკელის მოწოდებაშია ნათქვამი: „ურისკოდ არაფერი კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოდ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!”. ჩვენი მონაპოვარია დამოუკიდებლობა და მისი შენარჩუნება თითოეული მოქალაქის ვალს წარმოადგენს, რათა ვიცხოვროთ თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოში.

ანუკი ლუაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი

ასწლოვანი წარწერა და ასი წლის შემდეგ წასაკითხი ბარათი

აი, სადაცაა ჩაიწვერება ვარდობისთვის მზე. დასალიერს გავცქერი. შედედებული სისხლის ნაფლეთებივით ატყვია ძოწისფერი ღრუბლები ცას. ცოტაც და დაისის ღამე შემოგოგმანდება, ბინდი ჩამოწვება. მთას გავცქერი და ვესაუბრები. ღამის მოლოდინში გარინდებულა ქოჩორა მთა, თითქოს ძილი მორევია. სიჩუმის და მდუმარების ლუკმად ქცეულა. მეჩვენება, რომ ხანდახან უღიმღამოდ გაახელს თვალს, ფერდობზე ისე ჩამოიხედება, როგორც ჯვალოსკაბიანი მოხუცი ჩამობერტყილ კალთებზე. დამწვარ, გადაბუგულ სოფელს დასცქერის. რა ხმაური იყო ერთ დროს, რა ჟრიამული. იტყვი, რომ დღეუკანასკნელის უბედურებამ გადაუარა და წალეკა ყველაფერი. ძეხორციელის ხმა არ ისმის. დილა უმამლოდ თენდება. წამლად რომ გინდოდეს, ერთი მამლის ყივილს ვერ გაიგონებ. ერთი საშინელი ზამთარი კიდევ გადაიარა. თოვლი უხაროდა ხოლმე, თეთრად შემოსილი მთა უხდებოდა სოფელს, მაგრამ აღარც თოვლს ჰქონდა ფასი. დაჰყურებდა მდუმარების და სიჩუმისაგან გამოხრულ სახურავჩაქცეულ სახლებს, იქნებ სადღაც მაინც მოეკრა თვალი ერდოდან ამოზლაზნილი კვამლისთვის, მაგრამ უცნაურად დადუმებულიყვნენ.

„აი, ეგ არის ომი! აი, ეგ არის აყრილი ადამიანები! აი, ეგ არის დაცარიელებული სოფელი! რა ფასი აქვს ასეთ სიცოცხლეს?", - ფიქრობს მთა, რომლის ძირში, გადაბუგული სოფლის ბოლოში, მავთულხრლართი გაავლეს. შებოჭილივით არის, ეს უცნაური ეკლები ესობა და ენით აუტანელ ტკივილს გვრის. უნდა, რომ შეტორტმანდეს, მავთულხლართი მიწყვიტ-მოწყვიტოს, მაგრამ სხეულს ვერ იმორჩილებს. დატყვევებულია მთა და ვერ აუხსნია, რისთვის დასჭირდათ ეს ყველაფერი. ამ მდუმარებაში, უნდა, რომ ის ხმები გაიხსენოს, რომელი ხმებიც ყოველ წუთს, ყოველ წამს ჩაესმოდა და სიცოცხლის წყურვილით ავსებდა:

„-წავიდნენ ბიჭები ტყეში?
- წავიდნენ.
- საით წავიდნენ?
- თლიაყანაზე წავიდნენ.
-კატოოო, გამორეკე საქონელი, ქალოო!
- ვის მიჰყავ ნახირი,
- ვაჟიას ბიჭს მიჰყავ.

ვაჟიას ბიჭი მაგას და... წინა ჯერზე დეკეული დამიკარგა...“

ცდილობს მთა, სულ მისხალ მისხალ აღიდგინოს აქედან აყრილი და სადღაც გადაკარგული ადამიანების ხმები. თითქოს მთას დაუტოვეს თავიანთი ბედნიერი ცხოვრების წლები, მთას შეატოვეს მოგონებები და წავიდნენ. მხოლოდ გადაბუგული სოფელი, ეკლიანი მავთულხლართი და გაჯადავებული სასაფლაო დარჩა.

„მე მაინც შემეძლოს მიცვალებულთა გაპატიოსნება, სათითაოდ დავივლიდი მიტოვებულ საფლავებს. მიცვალებულებიც დაატყვევეს ჩემსავით, ისინიც ამ ეკლიანი მავთულხართის აქეთ არიან მოქცეულები და სხვა მიცვალებულთაგან განსხვავებით, მარტო მეორედ მოსვლას არ ელოდებიან, მათ ორჯერ მეორედ მოსვლის მოლოდინი აქვთ. პირველი მეორედ მოსვლა მათი პატრონების შემოსვლაა და მონატრებული ხმის გაგონება, გაბალახებულ საფლავებს რომ დააკვდებიან და ცრემლად დაეღვრებიან დამიწებულ ოჯახის წევრებს. მეორე მეორედ მოსვლა ის იქნება, ყველა რო გასამართლდება: დიდიც და პატარაც, მთაც და ტყეც, ისინიც გასამართლდებიან, ვინც ეს მავთულხლართი გაავლო, მთა დაატყვევა, სოფლები გადაბუგა, ხალხი აყარა, სასაფლაოს ჭირისუფალი მოანატრა. არავის არაფერი შერჩება!“.

წვანან და ელიან მიცვალებულები. იქნებ ბოლო დღეა მონატრების. მთა ხან სალოცავებს დახედავს. სამრეკლო დადუმებულ სალოცავებს. ზარის ხმა გადაურბენდა ხოლმე ფერდობს და ნეტარებისგან გაიყურსებოდა. ზარის გუგუნი ღმერთის ხმად ჩაესმოდა. უხაროდა, სხვა მთებიც ხომ არსებობდნენ, მაგრამ ყველა მთა როდი ამოირჩია გამჩენმა, თავისი სახლი რომ აეგო. ღვთის სახლები იდგა მის კალთებზე: ბერის საყდარი, მცხეთისჯვარი, წმინდა გიორგი. ისევ ცდილობდა, რამდენიმე წლის წინანდელი ხმები აღედგინა და სულისთვის შვება მიეცა. “მცხეთისჯვარო, შენი სახელის ჭირიმე შენ მოუმართე ჩემს ოჯახს ხელი, შენ შეეწიე ჩემს შვილებს.” მოდიოდა მლოცველთა ნაკადი. გუგუნებდა ზარი. მზე ჩადის, მდუმარებაში ჩაძირულა მთა და ხმებს იხსენებს. ცდილობს, ყველა ხმა აღიდგინოს, ვისი ხმაც კი გაუგია, ყველა საგულდაგულოდ შეუნახავს.

* * *

ხო გიხაროდათ დამოუკიდებლობა?! გეგონათ, ფოჩიანი კანფეტებით მოიფინებოდა ქვეყანა? მონები ვიყავითო, ვიჩაგრებოდითო, რა მაგრა ვიჩაგრებოდით?! კუჭი რო სავსე გქონდათ და ადამიანებად იგრძენით თავი, ეგ იყო მონობა? მართლა მზიური ქვეყანა იყო, თავისუფლება ეგ იყო, თუ იყო! - თავს აქნევს ვალიკო. აი, აი, აი, რა ქვეყანა დაანგრიეთ, რა ქვეყანა! რა იცის კაცმა, ბედნიერების ფასი. და რა მიიღეთ მერე? - დანგრეული ქვეყანა, ამდენი გაჭირვებული ხალხი, ამდენი ვაება და უბედურება. ამდენი დაპირისპირება, სამოქალაქო ომები და დაკარგული მიწები. ვინ კარგავს, თუ იცი? - ვინც არ იცის იმის ფასი, რასაც კარგავს.

- კი არ დაგვიკარგავს, წაგგვლიჯეს, დაკარგვასა და წაგლეჯვას შორის განსხვავება არ არის?!–ვალიკომ შვილს ამრეზად შეხედა.

- როცა არ შეგიძლია მარტო ცხოვრება, უფრო სწორად, ერთი ადგილი როცა არ გაქვს დამოუკიდებლად ცხოვრების, უნდა დაატიო... ჩვენ არ შეგვიძლია დამოუკიდებლად ცხოვრება. არ შეგვიძლია და მორჩა!

- ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ. დამოუკიდებლობის გამოცხადება როგორ მოხდა? - დამოუკიდებლობის?! - დაიჯღანა ვალიკო.-აფერისტები იყვნენ ისინი, თვითონაც არ ეჯერათ იმ დამოუკიდებლობის.

ბიჭს ჩაეღიმა

- ბედნიერები იყვნენ ისინი... ჩვენც ბედნიერები ვართ!

* * *

ვუყურებ, როგორ ღაპა-ღუპით ჩამოსდის ცრემლი ნაოჭებით დაღარულ სახეზე. თითქოს ვერც მხედავდეს. გაივლის და გამოივლის ეკლიანი მავთულების გვერდით. ხანდახან ფეხის წვერებზე დადგება, თითქოს აფრენას ლამობდეს. მეც იქვე ვდგავარ, ჩემი ყოველი დილა აქედან იწყება. ამოვალ, შამბირეთის მთაზე გადმოცურებულ მნათობს აქ ვეგებები. აქ უფრო ვგრძნობ სიცოცხლეს. მავთულხლართს იქით დარჩენილა გადაბუგული ნასოფლარები, რომლებიც კარგად უკვე აღარც ჩანს. აქ ქართველი სპეცრაზმელები მხვდებიან ყოველდღე. ერთმანეთს არ ვცნობთ, მაგრამ ხელის აწევით ვესალმებით. ერთი პერიოდი უკვირდათ, ალბათ, რას დადის ეს კაცი ამ

„საზღვარზე” ყოველ დილაუთენია, რას დაბორიალობსო, - ფიქრობდნენ. მერე „დაასკვნეს”, რომ ვვარჯიშობ. სხვა ადგილი არც მაქვს. სად ვირბინო? დავრბივარ ყოველდღე, თითქოს მავთულხლართი მიხმობდეს. მივალ, ქაქანით, სულს მოვითქვამ. კარგა ხანს ვჩერდები. მზის ამოსვლა აქედან ყველაზე უფრო კარგი დასანახია. მზის უცოდველ სხივებში როგორ ეხვევა შენი ქვეყანა. მზისთვის მავთულხლართი არ არსებობს. ის კაცი პირველად ვნახე, წეღან რომ ვახსენე. იქნებოდა სამოცდაათს გადაცილებული. ტირილით დაოსებოდა სახე. ხომ ვთქვი, თითქოს ვერც დამინახა. თავის თავს რაღაცას ებუტბუტებოდა. მერე შეგინება ჩამესმა, თითქოს ვიღაცას დაემუქრა. ვინ არის ეს კაცი - მეთქი, ვკითხე სპეცრაზმელს, ოცდააათიოდე წლის ჩაფხუტიან კაცს. არ ვიცი, წეღან ამოვიდა, „საზღვართან“ ახლოს მისვლა დავუშალეთ, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა. ეგრე გასცქერის იქით და ტირის. მგონი, დიდი ლიახვის ხეობელიაო. ათიოდე წუთს ვაკვირდებოდი. ისევ საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, მერე ვეღარ მოვითმინე, ახლოს მივედი და ვკითხე, სადაური ბრძანდებით - მეთქი. შემომხედა, ხმა არ გამცა, თითქოს დაუბრებული იყო. თავი ჩაეღუნა. მიწას ჩაშტერებოდა. მერე ისევ მავთულხართს იქით მოქცეულ მთებს და ნასოფლარებს გახედა და თავისთვის თქვა: აიქაური ვარ, აი, თითი გაიშვირა. ჩემი სახლი იმ მთის იქით არი, უფრო სწორად იყო. დაუნგრევიათ. ისეთი ამოიოხრა, მეგონა, გულს ამოატანდა. რაღას ანგრევდნენ, მაგათ ადამიანის გული არა აქვთ, არა! ჯერ დაწვეს და მერე დაანგრიეს. სულ მოუსწორებიათ ჩემი სახლი. რა ვთქვა აბა? სპეცრაზმის ბიჭებს გახედა, დაქოქილი მანქანა ეყენათ და ღამენათევები ამთქნარებდნენ. სახლი კიდევ აშენდება, თავი დააქნია ხეობელმა. აშენდება, აშენდება! - მეტი დამაჯერებლობისთვის დაამატა. მიწას რას უზამენ? მაგნაირები ახსოვს იმ მიწას? სახლებიც უნგრევიათ და ყველაფერი, მაგრამ... სახეზე შერჩენილი კურცხალი შეიწმინდა. ისეთი თვალები ჰქონდა. თითქოს დილის ახლად ამოსული მნათობი ამ კაცის თვალებში ჩადგა, მზერა გაუმზიანდა. აშენდება, აშენდება! აბა, ვნახოთ, თუ არ აშენდება!

* * *

უცნაური ხმით ავსებულა დედაქალაქის შუაგული. დიდი და პატარა გარეთ არის. ხომ შეიძლებოდა, ისე დასრულებულიყო წუთისოფელი, რომ ამ დღეს ვერ მოსწრებოდნენ. ზოგი ვერც ხვდება, რატომ არის ხალხი ასე აღტკინებული. „თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება! - ვიღაც გაჰკივის,-გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!”.

დიდება შენდა, ღმერთო, დიდება შენდა ღმერთო! - ვეუბნებოდი ცხონებულ მამაჩემს და არ სჯეროდა, - მოხუცი კაცი პირჯვრის წერით გასცქერის ქაშუეთს. - რუსებმა ისე დააჯერეს, ისე, სულ ვეუბნებოდი, მალე მოვა ეგ დღე, მალე დადგება ეგ წუთები - მეთქი. დამცინოდა. აი, თუ არ ვიყავი მართალი. საფლავში ჩამოგძახებ, საფლავში. დიდება შენდა, ღმერთო!

„გაუმალჯოს დამოუკიდებელ საქალთელოს", - ვიღაც მხარბეჭიანი კაცის ხელში აყვანილი ბავშვი ტიტინებს.

- შენ კი გენაცვალე, კიდევ გაიმეორე!

„გაუმალჯოს დამოუკიდებელ საქალთელოს!".

თითქოს დიდი ხნის დაგუბებული ხმა გამოვარდა ბნელი გვირაბიდან. სიცილი, ხარხარი, შეძახილები. სულ რამდენიმე წუთი დარჩა და ნოე ჟორდანია მიმართავს ხალხს. დამოუკიდებლობა გამოცხადდება. ხალხი პირველად დაინახავს, როგორია თავისუფალი საქართველოს მზე, რა გემო აქვს დამოუკიდებელი ქვეყნის ჰაერს. გამოცხადებამდეც ულოცავენ. ეხვევიან, კოცნიან ერთმანეთს. ქაშუეთის სამრეკლოზე შემძვრალა თვალცრემლიანი ბებერი მნათე და ხელებაკანკალებული რეკავს ზარებს. პირველად მას ერგო ეს ბედნიერება, რომ დამოუკიდელ საქართველოში მას ჩამოერეკა ქაშუეთის დალოცვილი ტაძრის დედოზარი.

* * *

„მარტო იმისთვის ღირდა შენი ამქვეყნად მოსვლა, რომ ამდენი ხალხი გააერთიანე. თურმე ვის ვზრდიდი და არ ვიცოდი. ხანდახან როგორ გტუქსავდი, ვფიქრობდი, რამე არ დავაკლო, კაცად უნდა გაიზარდოს - მეთქი. იმ დალოცვილ ქსნის პირზე სულ გმირი ქართველები იზრდებოდნენ. ბიძინას და შალვას, ქსნის ერისთავებს რისთვის დააყრევინა თავები შაჰმა. იკორთაშიც ხომ მყავდი ერთხელ, მათი საფლავები გაჩვენე. მახსოვს, როგორ აკვირდებოდი, თვალს არ აშორებდი, აჩი! სულ ეს ორი გმირი მყავდა აკვიატებული, ბიძინა და შალვა. რა ვიცოდი, რა ჯანდაბა მომაფიქრებდა, რომ შენც მათ ბედს გაიზიარებდი. „ჯარისკაცის მამის" ცქერისას ბევრჯერ მიტირია, იმ კაცის ცოდვით მიტირია, შვილის ცხედარზე რომ არის დამხობილი. რა ვიცოდი, მეც თუ იმ კაცის ბედს გავიზიარებდი. შვილმკვდარი მამის ცხოვრებას რაღა ფასი აქვს, მაგრამ ეს დალოცვილი მიწა სხვანაირად

რომ ვერ იარსებებს. გუშინ ის დალოცვილი გმირები ჰყავდა, დღეს შენ მოგიყვანა, ხვალ სხვას მოიყვანს, ეგრეა. გამჩენმა უკეთ იცის. თავისუფლებას, მიწა-წყლის დაცვას მსხვერპლი უნდა. ჩვენი ბედი ეგეთი ყოფილა. კიდევ ერთხელ ხომ შეახსენე ქვეყანას მივიწყებულ-მიყუჩებული ტკივილები. აი, მე გადმომცეს ეს დროშა, შენ რომ ფეხი ვერ დაგაბიჯებინეს. გულში ჩაიხუტა დაკეცილი დროშა არჩილ ტატუნაშვილის მამამ.

* * *

თითქმის დაცარიელდა ჩემი უბანი. ჩემი სახლის წინ ალუბლის ქვეშ ვზივარ, ორიოდე მეზობელთან ერთად. ბინდი წამოგვეპარა. მიდის ახალ-გაზრდობა. თითებზე ვითვლი, რამდენი კომლიღა დავრჩით და წარმოდგენაც არ მინდა, რა იქნება რამდენიმე წლის შემდეგ. თვალები დავხუჭე. ისეთი მდუმარებაა, ისეთი... ყოველდღე აქედან დავდივარ გორში. გათენდება, ჩამოვალ ეზოში, პირველი რაც უნდა დავინახო, რუსების მიერ დისევის მაღლა ქსნის ხეობაში გადასასვლელი გზაა. თითქოს მთა გაუფატრავთ. ვეება გზა მოჩანს. ამ გადასასვლელით სარგებლობენ ჩვენი ერთმორწმუნე მეზობლები, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი დასასრული აქვს. ასეა, ასე დაუწეს-კანონებია უფალს. ესეც გაივლის. მე კი, სიმართლე გითხრათ, მომწყინდა ეს გაუთავებელი ქება, თუ სადღეგრძელოები. თანაგრძნობას ვხედავ, ჩემდამი გამოხატულ დიდ სიყვარულს, ვიცი, რომ გული ეწვით ამ უბედურებით. იმის გააზრებით, რომ დიცში ვცხოვრობ, ჩემი სახლი განაპირა უბანშია, ერთი ხელის გაწვდენაზეა აქედან ის დაწყევლილი მავთულხართი. ძალიან მალე სრულდება გზა დიციდან გორამდე. მგონია, რომ სულ რამდენიმე წუთი და გორის უნივერსიტეტში ვარ. "იცით, ეს კაცი ოჯახთან ერთად სოფელ დიცში ცხოვრობს, მის სახლთან სულ რამდენიმე მეტრში გადის მავთულხლართი". აბა, სად უნდა ვიცხოვრო?! როცა დამოუკიდებელი ქვეყნის შვილი ხდები, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. ჩიტი სადაც დაიბადა, იმის ბაღდადი იქ არისო, ხომ გვაქვს ასეთი ანდაზა. სად წავიდე? „საზღვართან" ახლოს ბაღი გავაშენე. ჩემს კარმიდამოში უამრავი ვაზი ვახარე. მიხარია, რომ აქ ვარ. იმას კი არ ვფიქრობ, რა ცოდო ვარ, აქ რომ დავრჩი, ამ თითქმის გამოცარიელებულ უბანში, ცოდო კი არა, ბედნიერი ვარ! ეს არის ჩემთვის ბედნიერება. ამიტომ სადღეგრძელოში კი არ შემაქოთ, ვითომ ამ ჩემი „გმირობის" გამო, ჩემი ბედნიერება დამილოცეთ!

* * *

სულ ერთი დღე... ერთი დღეც რომ ეცოცხლა! ამ დღის ნატვრაში ამოხდა სული ცხონებულ მამაჩემს, ცრემლი შეიწმინდა თვალზე აძვისელმა სულიკომ. კვდებოდა ენას ვეღარ იმორჩილებდა, მაგრამ თვალებით რაღაცას ეუბნებოდა თავს წამომდგარ შვილებს ხაშურის რაიონის სოფელ აძვისში მცხოვრები დავით კაპანაძე, რომელმაც 1918 წლის 25 მაისს მიაბარა სული უფალს. თავისუფლების ნატვრაში დახუჭა თვალები. მისი ცხედარი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამი დღის შემდეგ მიაბარეს დამოუკიდებელი ქვეყნის მრავალტანჯულ მიწას. პირველი ის იყო! ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა ყოფილიყო მისთვის. საფლავის ქვაზე დღემდეა შემორჩენილი წარწერა, რომელიც შვილებმა ამოკვეთეს „გიხაროდეს, საყვარელო მამავ, აღსრულდა შენი ოცნება, საქართველო განთავისუფლდა".

* * *

თითქოს, რაღაც უნდა მეპოვა. გული მკარნახობდა. აღდგომის ღამეს ნიქოზის ტაძარშივე ვგრძნობდი, რომ რაღაც უჩვეულო ამბავი მელოდა. "ქრისტე აღსდგა მკვდრეთიით"... გალობდა ნიქოზის მრევლი, მეუფე ისაიაც გალობდა. მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის ნეტარებას განიცდიდა სული. აღდგომის ღამე ნიქოზის ტაძარში დამათენდა. მშობლიურ სოფელში გადმოვედით მე და ჩემი და. დიცის ღვთისმშობლის ტაძარიც მოვილოცეთ. სწორედ იქ მელოდა უჩვეულო ამბავი. მავთულხლართებით დაკაწრულ სულს სალბუნად დაედო ღვთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ნალესის ქვეშ აღმოჩენილი ასომთავრული წარწერა, რომელიც სამი ძმის მიერ დიცის ღვთისმშობლის ტაძრის აგების შესახებ გვამცნობდა: "ესე ეკლესიაი აღვაშენეთ სამთა ძმათა გოდერძმან ჯარიდმან და ბეშქენმან ვინცა წაიკითხოს ლოცვასა მოგვიხსენეთ". ნალესი ჩამოვყარე და საქტიტორო ქვას შევყურებდი ხელებგაშლილი: - დიდება შენდა, ღმერთო! დავიყვირე, მომეჩვენა, რომ ჩემმა ხმამ მთელ სამყაროს გადაუარა. მავთულხლართით გადაღობილ სოფელში ღვთისმშობლის ტაძარზე ამოკვეთილი წარწერა აღდგომა დღეს მაპოვნინა უფალმა. გადაღობილი ქვეყნის შვილი ვარ, დაჩაგრული, მაგრამ დამოუკიდებელი ერის შვილი და ვგრძნობ, როგორ ბორგავს ბედნიერებისგან სული. თავს დამყურებენ ტაძრის ამგები ჩემი წინაპრები. თერთმეტი საუკუნე გასულა მას შემდეგ ათას წელზე მეტი გალეწილა დროის კალოზე. თვალები დავხუჭე...

* * *

- კიდევ, კიდევ რა დავწერო... ახალგაზრდა ოსტატმა ოფლი შეიწმინდა შუბლზე და ტაძრის ამგებთაგან ერთ-ერთს, უფროს ძმას, გოდერძის მიაჩერდა, თან საჭრეთელს სალესავი აუსვა. გოდერძი ერედვიდან ჩამოტანილ კოხტად გათლილ ღვინისფერ ქვას კმაყოფილებით დასცქეროდა.

- ოქროს ხელი გაქვს ხო იცი, საბა! - ოსტატი შეაქო. ეს ტაძარი არასოდეს დაინგრევა. ხელი შეახო ტაძრის ღვინისფერი ქვებით ამოყვანილ კუთხეს. რამდენი წელი წავა, რამდენი წყალი ჩაივლის. დავიწყებას მიეცემა ადამიანთა სახელები, მაგრამ ამ ტაძარს დრო ვერაფერს დააკლებს. გოდერძის შუათანა ძმა წამოადგა ხელგაწაფულ ოსტატს და წარწერა ხმამაღლა წაიკითხა: ესე ეკლესია აღვაშენეთ სამთა ძმათა გოდერძმან, ჯარიდმან და ბეშქენმან, ვინ წაიკითხოს, ლოცვასა მოგვიხსენეთ. ნეტა ვინ იყო ის სამი ძმა, ვინც ეს ტაძარი ააგოო, რა დრო იქნება, გამვლელები რომ გაჩერდებიან და ამ წარწერას წაიკითხავენ, -...ნაღვლიანად ჩაილაპარაკა უმცროსმა ძმამ ჯარიდმა. თევდორე გამოჩნდა, ცხენი პანტაზე მიაბა, ხურჯინი მოხსნა, საჭმელ-სასმელი ამოალაგა. მოდი საბა, ბიჭებსაც დაუძახე, - მიმართა ჯარიდმა. საბა ისევ ამოკვეთილ წარწერას შესცქეროდა, მერე თავის თანასოფლელებს გასძახა. თევდორემ უცბად გააწყო სუფრა. გოდერძი წითელი ღვინით გაპილთუმებულ ყანწს ჩასცქეროდა. მერე კეთილად ჩაეღიმა და წაიბუტბუტა: ესე ეკლესია აღვაშენეთ სამთა ძმათა...ვინცა წაიკითხოს, ლოცვასა მოგვიხსენეთ. მწვანეზე მოკეცილ ძმებს, ოსტატს და თანასოფლელ დიცელებს შეხედა. მრავალი საუკუნის შემდეგ ამ ტაძარში რომ ადამიანები ილოცებენ, ჩვენი შთამომავლები სამშობლოს რომ მიეფერებიან და ჩვენ კი შენდობის ჭიქას წაგვიქცევენ, მათი გამარჯვებისა იყოს!

* * *

რა მოაფიქრებდა ან გოდერძის, ან ჯარიდს, ან ბეშქენს, ან ამ დალოცვილი ტაძრის აგებაში ოფლად დაღვრილ ბიჭებს, რომ ათ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ მათ მიერ ნახელავ ღვთისმშობლის სალოცავთან საზღვარს გაგვივლებდნენ. მავთულხლართს იქით გადაბუგული სოფლები და დადუმებული სალოცავები დარჩებოდა. შევცქერი წარწერას, თან ქოჩორა მთისკენ გამირბის თვალი. შემონაზვნდა დღე. ღამე მოადგა ღვთისმშობლის ტაძარს. მოვდივარ, ერთი-ორგან ტყემლის ბუჩქს წამოვკარი ფეხი, თავი ძლივს შევიკავე.

„საით მიილტვი, სულო დაიცა, სულო მბორგავო შესდექ, ცხრა კარ-თაგენი თუნდაც დაეცეს, უნდა ელოდო შემდეგს...წმინდა ლაჟვარდიც უნდა გაიცრას, რომ მიემთხვიოს ედემს". - თითქოს ვიღაცამ წამჩურჩულა. თავი ავწიე. უმთვარო ცას ავხედე, აქა-იქ აენთო ვარსკვლავები უზენაესს. სულმნათი მერაბ კოსტავას სიტყვები თითქოს ვარსკვლავეთიდან მოფრინდა უცნაურ ბგერებად. ჩავფიქრდი, თითებზე გადავითვალე. სულ მალე მერაბ კოსტავას დაბადების დღეც დადგება, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი. რომელიც აღდგომასავით არის ქართველობისთვის. მერე როგორი 26 მაისი, ასი წელი რომ გვაშორებს იმ 26 მაისიდან, როცა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. თითქოს ასი წლის წინათ იქ ვიდექი, ის ყიჟინა, ის ხმები, ის სიცილ-კისკისი ყურში ჩამესმის. წინ მავთულხლართია... გადაღობილი ქართული სოფლები, საკუთარი სახლებიდან აყრილი ადამიანები თავიანთ მტანჯველ სიზმრებში გამოკეტილი, მაგრამ... რა მაგრამ? თითქოს ვიღაც უჩინარმა მკითხა. ის, რომ მაინც დამოუკიდებელი ქვეყნის შვილი ვარ. მაინც თავისუფალი ვარ და იმ ყველაფრის მიუხედავად, რაც გადავიტანეთ, მაინც არ ვარ უბედური, პირიქით!

* * *

იმ სამი ძმის მსგავსად, მე ტაძარს ვერ ავაშენებ. მათ სხვა ძალა და მადლი ჰქონდათ. ვერც წარწერას ამოვკვეთ, დაახლოებით ასე რომ დაიწყებოდა: „ესე ეკლესია აღვაშენე..." მაგრამ მე შემიძლია პატარა ბარათი დავტოვო, ოთხად დავკეცო და სადღაც შევინახო, რომელიღაც წიგნის თაროზე, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე საუკუნის შემდეგ თუ არა, რამდენიმე ათეული წლის მერე მაინც ნახავს ამ წერილს ჩემი შთამომავალი და წაიკითხავს:

„გამარჯობა, შენ გამარჯვებული ქვეყნის შვილი ხარ. ბევრი ვიფიქრე, რა დამეწერა, დაახლოებით წარმომიდგენია, როგორი აღნაგობის იქნები, როგორი სახე გექნება. სახელი აბა, საიდან მეცოდინება, მაგრამ რას დაგარქმევენ? ან გიორგის, ან დავითს, ან თორნიკეს, ან მერაბს, ან ზვიადს... ერთ-ერთი მაინც გერქმევა. შენ არ იცი, ჩვენმა თაობამ რა უბედურება გადაიარა, კი არ გეწუწუნები, წუწუნი ქართველებს არ სჩვევიათ. ჩაკრულო ხომ გესმის კოსმოსიდან? „ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში მაგრამ არ დამიკვნესიაო". ჩვენი გაჭირვება რა მოსატანია იმ ხალხის გასაჭირთან,

ჩვენს წინაპრებს ვგულისხმობ, რომლებსაც სისხლის წვიმები აწვიმდათ. ღმერთმა არ გაჩვენოთ თქვენ ის უბედურება. სადაც არ უნდა დადგა ფეხი, ყველგან შენი წინაპარი მარხია, ყველგან მათი სისხლია. მოვდივარ და მოვტირივარო, ხომ გაგიგია, თქვენს დროსაც იქნება ეგ გამოთქმა, ანდაზები და ხალხური სიბრძნე არ ძველდება, არასოდეს ძველდება. ხალხური სიბრძნე დალოცვილი ვაზის ნაყურივით არის, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ფასი ედება, ღვთის სიტყვამდე მაღლდება. ჩვენი თქმაც არ გინდათ, თქვენ ისედაც მოუვლით და უპატრონებთ ქვეყანას. ჩვენ ახლა დამოუკიდებლობის ასი წელი ვიზეიმეთ. თქვენ ორას წელს აღნიშნავთ. წარმოიდგინე, ორასი წლის წინათ რა ამბავი იქნებოდა ჩვენს დალოცვილ დედაქალაქში. მთავარი მოპოვება კი არა, შენარჩუნებაა. ვერ წარმოიდგენთ და აქ ერთ დროს, აი, იმ დროს, მე რომ ვცხოვრობდი და გულგატეხილი გავცქეროდი ერთმორწმუნე მეზობლისაგან წართმეულ მიწებს, მავთულხართი იყო გავლებული. სოფლები ნასოფლარებად იქცა. ვერც აღგიწერთ იმ საშინელებას. ახლა ხომ ხედავთ რაც ხდება, დრონი მეფობენ და არა მეფენიო. არ უნდა ექნათ ეგეთი ამბავი და ამ დღეში არ ჩაცვივდებოდნენ. ეგ სოფლები, ახლა რომ სიცოცხლე დუღს, ხომ გითხარი, ნასოფლარებად იყო ქცეული - მეთქი. გადმოცემით კი იცი, მაგრამ ძნელად იჯერებ, რადგან აღარც ეტყობა ომის კვალი. ახლა რომ თავს იწონებ ევროპელობით, ეგ ამბავი ჯერ კიდევ ჩვენმა წინაპრებმა დაიწყეს, მერე ჩვენს დროში გაგვეხსნა კარიბჭე ევროპისკენ და ის, რაც ახლა თქვენთვის ჩვეულებრივი ამბავია, ევროპის დიდი ოჯახის წევრობას და ბედნიერ ცხოვრებას ვგულისხმობ, ჩვენი ოცნება იყო. მინდა, რომ მოგეფერო, მოგესიყვარულო, მოგილოცო დამოუკიდებლობის დღე. ღმერთმა სულ გამარჯვებით გატაროთ. რა ვიცი, კიდევ რა დავწერო. ჭიქას ხომ წააქცევთ? შენდობის თქმას რაღა უნდა. ღმერთს ებარებოდეთ!”.

გიორგი სოსიაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

თანამედროვე ქართული სახელმწიფო, როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე (წარსული და თანამედროვე გამოწვევები)

2018 წლის 26 მაისს ქართველი ერი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. ფასდაუდებელია საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტისა (სინამდვილეში, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტმა ლეგიტიმურობა ქართველი ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე - 1919 წლის 12 მარტს შეიძინა) და საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მნიშვნელობა.

26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი პირველი კონსტიტუციის შესავალი - მისი პრეამბულა იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული სახელმწიფო პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეა. ეს აღიარებულია საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულაში. სწორედ დღევანდელი კონსტიტუცია განაპირობებს უწყვეტ მემკვიდრეობით კავშირს პირველ რესპუბლიკასა და თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს შორის. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გვირგვინი, ქართული კონსტიტუციონალიზმის თავფურცელი - 1921 წლის კონსტიტუციაა.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო დღესაც იგივე გამოწვევების წინაშეა, რომელშიც ქართული სახელმწიფო 100 წლის წინ იდგა. 1918-1921 წლების საკონსტიტუციო კომისიების წინაშე დასმულ აქცენტებს მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს. ვფიქრობთ, მომავალი კანონმდებლისათვის ეს აქცენტები უნდა იყოს გზის მაჩვენებელი.

ევროპული სახელმწიფოს იდეა

საქართველო ქრისტიანობის შეთვისებიდან დღემდე მიზანმიმართულად ცდილობს ევროპული სახელმწიფო-სამართლებრივი ღირებულებების დამკვიდრებას. ქართული სახელმწიფოებრიობა ისტორიულად, ქრისტიანობის ეპოქაში, საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის დასავლური იდეა-

ლებისკენ მიისწრაფოდა. ასეთი კურსი ნათლად გამოიკვეთა XX საუკუნის ათიან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე. აღსანიშნავია ის გარემოება, თუ როგორი გულმოდგინებით შეისწავლიდნენ იმდროინდელ საქართველოში სახელმწიფო მმართველობის ევროპულ მონაპოვარს, როგორ ხდებოდა უცხოური გამოცდილების გააზრება, გაზიარება და ასახვა ქვეყნის პირველ ძირითად კანონში. 1918 წლის პირველ დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს საზეიმო სხდომაზე ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „დღეს ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ და უშუალოდ შევიდეთ ევროპაში. ჩვენ უკვე ამ გზაზე ვართ და მას არ გადაუხვევთ. და ჩვენ ვამბობთ, რომ ვართ ხალხი ევროპიული და დემოკრატიული“.

კონსტიტუციის ლეგიტიმაციის პრობლემა

საქართველომ აღმშენებლობის პროცესში უნდა გამოიყენოს პირველი კონსტიტუციის არსებითი ღირებულებები. პირველ რესპუბლიკაში აცნობიერებდნენ რა კონსტიტუციის მნიშვნელობას. დამოუკიდებლობის აღდგენიდან რამდენიმე დღეში საკონსტიტუციო კომისია ჩამოყალიბდა. დამფუძნებელ კრებას კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა უნდა დაესრულებინა. განსაკუთრებულ ყურადღებას კონსტიტუციის ლეგიტიმაციას უთმობდნენ, რაც, ასევე, თანამედროვე ქართული კონსტიტუციური რეფორმების ერთერთი მთავარი პრობლემაა. დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუციას ლეგიტიმაცია შესძინა.

კონსტიტუციონალიზმის პრინციპები

საკონსტიტუციო კომისიაზე გამოიკვეთა პრიორიტეტები. კონსტიტუციას უნდა განესაზღვრა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ურთიერთობის ეფექტური მექანიზმები. პირველი კონსტიტუციის ტექსტი დაეფუძნა ევროპული კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს. ესენია: ხელისუფლების ფუნქციონალური განაწილების, მმართველობის ფორმის უცვლელობის, პარლამენტის უზენაესობისა და სუვერენობის, პარლამენტის უწყვეტობის, სახალხო სუვერენიტეტის, რესპუბლიკანიზმის, უშუალო დემოკრატიის, კოლეგიალური მართვა-გამგეობის, მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის, მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლის პრინციპები.

რესპუბლიკური ფორმის უცვლელობის საკითხი

ერთ-ერთი პრობლემა მმართველობის ფორმის უცვლელობის საკითხი იყო. საქართველო პირველად გადავიდა მონარქიული წყობილებიდან რესპუბლიკურზე. კომისიაზე დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთისა (1884) და პორტუგალიის (1911) საკონსტიტუციო დოქტრინამ რესპუბლიკური მართვა-გამგეობის გადასინჯვის დაუშვებლობის შესახებ. მათი იდეალი დემოკრატიული რესპუბლიკა იყო. ჩვენმა წინაპრებმა რესპუბლიკური მმართველობის მუდმივობა მემკვიდრეობით გვიანდერძეს. საქართველოში მონარქიის აღდგენის იდეა კვლავ ძალაშია და მას მომხრეები ჰყავს.

კონსტიტუციური მოდელები

შესწავლილ იქნა რესპუბლიკური მართველობის სამი ფორმა: ამერიკული, ფრანგული და შვეიცარიული. მთავარი მიზანი „შერეული ფორმის“ ჩამოყალიბება იყო - ეროვნული ტრადიციებისა და პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი გამოცდილების გათვალისწინებით. 1918 წლის 1-ელ დეკემბერს ნოე ჟორდანია აცხადებდა: „ჩვენ გვსურს გვქონდეს ჩვენებური წეს-წყობილება“. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული კონსტიტუციური რეფორმები საქართველოში კონსტიტუციონალიზმის ევროპული მოდელების ანალიზის გარეშე არ განხორციელებულა.

პირდაპირი დემოკრატია

კომისიაში მსჯელობა პირდაპირი დემოკრატიის თაობაზე დაიწყო. საბოლოოდ, შვეიცარიული სისტემა უარყვეს. გეოპოლიტიკური სივრციდან გამომდინარე, საქართველო საჭიროებდა ძლიერ მთავრობას. პირდაპირი დემოკრატიის ფორმებიდან უპირატესობა რეფერენდუმს მიანიჭეს, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა XVIII საუკუნიდან მოყოლებული საფრანგეთსა და შვეიცარიაში, შემდგომ კი - ამერიკის შეერთებულ შტატებში. რეფერენდუმი აღქმული იყო, როგორც პარლამენტზე ხალხის კონტროლის ფორმა. კონსტიტუციაში უარყოფილია კონტროლის სახელისუფლებო ბერკეტები - ვეტო, ზედა პალატა, საკონსტიტუციო ზედამხედველობა. რეფერენდუმის შემოღებით განხორციელდა „უშუალო და წარმომადგენლობითი დემო-

კრატიის“ სინთეზირება. საბოლოოდ კი მივიღეთ „ნახევრად პირდაპირი დემოკრატიის“ კონსტიტუციური მოდელი. რეფერენდუმის დამკვიდრებას ხელი შეუწყო პარლამენტის უზენაესობის იდეამ: არ არსებობს სხვა ძალა, გარდა ხალხისა, რომელიც პარლამენტზე მაღლა დგას.

პრეზიდენტის თანამდებობის საკითხი

კომისიაში პრეზიდენტის საკითხის ირგვლივ კონცეპტუალური ხედვა ორი მიმართულებით ჩამოყალიბდა: ეროვნულ-დემოკრატები ემხრობოდნენ, ხოლო სოციალ-დემოკრატები ეწინააღმდეგებოდნენ მას. თუმცა სოციალ-დემოკრატებში პრეზიდენტის თანამდებობას მომხრეები გამოუჩნდნენ - ნოე ჟორდანია და პავლე საყვარელიძე. სოციალ-დემოკრატებისთვის მთავარი მმართველობაში კოლეგიალიზმი იყო და ამას შვეიცარიის მაგალითზე ასაბუთებდნენ. ეროვნულ-დემოკრატების აზრით, პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება გამოიწვევდა ძალაუფლების გამიჯვნას, ხელისუფლების ორგანოებს შორის ურთიერთჩაურევლობის პრინციპის განხორციელებას. საპარლამენტო მმართველობა პრეზიდენტთან ერთად აღქმული ჰქონდათ, როგორც ძლიერი ხელისუფლების არსებობის გარანტი. პრეზიდენტის ინსტიტუტის უარყოფით უარი ეთქვა ხელისუფლების უზურპაციის მოსალოდნელ საფრთხეს. პრეზიდენტი მოახდენდა გადატრიალებას და ხალხს მონარქად მოევლინებოდა - ეს იყო ძირითადი არგუმენტი. თუმცა საკონსტიტუციო კომისიაში აცნობიერებდნენ, რომ სახელმწიფოს მეთაურის გარეშე სახელმწიფოს ნორმალური არსებობა შეუძლებელი იქნებოდა და პრეზიდენტის ინსტიტუტის უარყოფით არ უნდა ყოფილიყო მისი ფუნქციები უარყოფილი. ვინ უნდა უპატრონოს ქვეყანას, როცა მთავრობა დათხოვნილია? - რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა. დაიწყო მსჯელობა მისი ფუნქციების დელეგირების შესახებ. უარი ეთქვა ავსტრიულ მოდელს, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე, იმავდროულად, პრეზიდენტის თანამდებობასაც ითავსებდა და უპირატესობა მიენიჭა შვეიცარიულ სისტემას: მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც განსაკუთრებული პრეროგატივებით სარგებლობდა, კოლეგიური მთავრობის წევრი იყო.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

ძალაუფლების გამიჯვნის თვალსაზრისით, 1921 წლის კონსტიტუცია იზიარებს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ გამოცდილებას. ამ პერიოდში უფლებამოსილებათა გამიჯვნა არ ყოფილა მიღებული, ვინაიდან მთავრობის თავმჯდომარე ითავსებდა სახელმწიფოს მეთაურის გარკვეულ ფუნქციას, ხელისუფლების სისტემაში დომინირებდა პარლამენტი, მთავრობას ირჩევდა საკანონმდებლო ორგანო და იგი სწორედ პარლამენტის წინაშე იყო პასუხისმგებელი. თუმცა კონსტიტუცია გულგრილი არ დარჩენილა მონტესკიესეული ძალაუფლების გამიჯვნის, როგორც კონსტიტუციონალიზმის ძირითადი დოქტრინის მიმართ. კანონმდებლობა ეკუთვნოდა პარლამენტს, ხოლო უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება - მთავრობას. პარლამენტმა მაინც შეინარჩუნა დომინირებული მდგომარეობა: მთავრობა პარლამენტს ემორჩილება და მისგან გამომდინარეობს. ხელისუფლების დანაწილების ხორცშესხმის იდეა ეროვნულ-დემოკრატებს ეკუთვნის, რომლებიც პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებას მოითხოვდნენ. პრეზიდენტი დანიშნავდა მინისტრებს და პოლიტიკური კრიზისების დროს არბიტრის როლს შეასრულებდა. კონსტიტუციაში ნაკლებია შეკავებისა და წონასწორობის მექანიზმები, რაც, უმეტესად, პარლამენტისკენ იხრება. ეს გამოიხატებოდა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის უფლებამოსილებაში, მთავრობის წევრისადმი უნდობლობის გამოცხადებაში, ინტერპელაციაში და სხვ. მთავრობას კი, თავის მხრივ, არ ჰქონდა პარლამენტის დათხოვნის უფლება. ძალაუფლების გამიჯვნის წინააღმდეგ ძირითადი არგუმენტი მაინც საკანონმდებლო ორგანოსათვის მთავრობის დამორჩილებაში მდგომარეობდა, თუმცა ჩვენ ვიცით მაგალითები ევროპული საპარლამენტო რეჟიმებიდან, სადაც მთავრობა პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე, ხოლო პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება ჰქონდა (საფრანგეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია).

პარლამენტის უზენაესობის პრინციპი

პარლამენტის უზენაესობის იდეა ძალაუფლების გამიჯვნის უარყოფის ერთ-ერთი მიზეზი იყო. პარლამენტი ხელისუფლების კონსტიტუციურ სისტემაში სუვერენული ინსტიტუტია, რომლის ძალაუფლება განსხვავდება ხელისუფლების დანარჩენი შტოების ძალაუფლებისგან. ხელისუფლების

რომელიმე შტოს დომინირების პრინციპი კი მიუღებელია ძალაუფლების გამიჯვნისთვის. პარლამენტის უზენასობიდან გამომდინარეობს მისი უწყვეტობის პრინციპი. საკონსტიტუციო კომისია XVIII-XIX საუკუნეებში გაბატონებული იდეის გავლენის ქვეშ მოექცა, რომლის თანახმად, დაუშვებელია ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის დათხოვნა: იგი არც თავის თავს ითხოვს და არც სხვას აქვს მისი დათხოვნის უფლება.

საკონსტიტუციო კონტროლი

კომისიის წევრთა აზრით, კონსტიტუციური ზედამხედველობის იდეა პარლამენტის უზენაესობის პრინციპს ეწინააღმდეგება. კონსტიტუციის მე-8 მუხლის მიხედვით, მართალია, არ შეიძლება კონსტიტუციასთან შეუთავსებელი სამართლებრივი აქტების მიღება, თუმცა, ამავდროულად, არაფერია ნათქვამი კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმებზე. კონსტიტუციური ზედამხედველობის იდეა უარყოფილ იქნა: პარლამენტზე მაღლა არც ერთი ორგანო არ დგას და მას არ სჭირდება კონტროლიორი.

კონტრასიგნაცია

კონტრასიგნაცია პარლამენტის უზენაესობის პრინციპს ეწინააღმდეგება. კომისია იმ იდეით ხელმძღვანელობდა, რომ მთავრობამ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი უნდა განახორციელოს, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მას. შესაბამისად, მთავრობის მხრიდან კანონისათვის კონტრასიგნება სრულიად ზედმეტია, ვინაიდან მთავრობამ იგი, უნდა შეასრულოს. კონტრასიგნაციის შემოღებას მხარს უჭერდნენ ეროვნულ-დემოკრატები. მათი არგუმენტაციით, კონტრასიგნაცია პრეზიდენტის ხელისუფლების შებოჭვას უზრუნველყოფს. პრეზიდენტის არც ერთი აქტი არ უნდა შესულიყო ძალაში მინისტრის თანახელმოწერის გარეშე.

პროპორციული საარჩევნო სისტემა

კონსტიტუციამ მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემა გაითვალისწინა და უარყო რესპუბლიკის საარჩევნო ოლქებად დაყოფის კონ-

ცეფცია. კომისია დასავლეთში გავრცელებული იდეის გავლენის ქვეშ მოექცა: საარჩევნო ოლქების სისტემა ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ნების გამოხატვას. გამოითქვა მოსაზრება, რომ საარჩევნო ოლქები გამოიწვევს „პროვინციული პატრიოტიზმის“ გაღვივებას.

ბიკამერალიზმის საკითხი

ბიკამერალიზმი თანამედროვე პოლიტიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია. ეს პრობლემა მწვავედ იდგა საკონსტიტუციო კომისიის წინაშე. საბოლოოდ, კომისიამ ორპალატიან სისტემას უარი უთხრა შემდეგი არგუმენტაციით: იგი არ გამოხატავს ხალხის ინტერესებს. ზედა პალატა კლასობრივ ნებას ემსახურება. ორპალატიან პარლამენტს ზედ ემატება კანონმდებლობის ბიუროკრატიული სამსაფეხუროვანი მექანიზმი - პრეზიდენტის ინსტიტუტი; ორპალატიანი სისტემა მხოლოდ ფედერაციულ სახელმწიფოებში მოქმედებს, როდესაც ზედა პალატა ტერიტორიული ერთეულების ინტერესებს გამოხატავს, ხოლო უნიტარულ სახელმწიფოში იგი სრულიად ზედმეტია; პარლამენტში ორი სტრუქტურის არსებობა გამოიწვევს დეპუტატების რაოდენობის გაზრდას, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ბიუჯეტზე.

პარლამენტარიზმი და მთავრობის სტატუსი

კონსტიტუციონალიზმის დოქტრინაში პარლამენტარიზმის ცნების გარკვევას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. კომისიის აზრით, პარლამენტარიზმი მმართველობის სისტემაა, რომლისთვისაც პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობაა დამახასიათებელი. დირექტორიის რეჟიმი, რომელიც შვეიცარიაში იყო მიღებული, კომისიას საქმიან მთავრობას სთავაზობდა: მას ირჩევდა პარლამენტი, რომელიც მის წინაშე არ იყო პასუხისმგებელი. ასეთი სისტემა საქართველოსათვის მიუღებელი იყო. უპასუხისმგებლობის პირობებში საქმიანი მთავრობა სუსტია, იგი ყურად არ იღებს პარლამენტის დადგენილებებს, ამან კი შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური კრიზისები, უცხო ჯარის შემოსვლა და ქვეყნის დაპყრობა. რთული გეოპოლიტიკური ვითარება საქართველოს

არ აძლევდა საშუალებას, უარი ეთქვა პოლიტიკურ მთავრობაზე. კომისია აღმასრულებელი ხელისუფლების შერეული ფორმის ძიებას შეუდგა. გამოითქვა მოსაზრება, ფრანგული და შვეიცარიული მოდელების სინთეზირების თაობაზე: ფრანგულიდან უნდა აეღოთ მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ხოლო შვეიცარიულიდან - უპრეზიდენტობა. კონსტიტუციაში უპირატესობა მთავრობის წევრების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას მიენიჭა. ამგვარი გადაწყვეტილების ძირითადი მოტივი, ერთი მხრივ, ის იყო, რომ მთავრობის მთლიანი გადაყენების შემთხვევაში პოლიტიკურ კრიზისებს არ მიეღო ხანგრძლივი ხასიათი და ქვეყანა არ დარჩენილიყო უმთავრობოდ; მეორე მხრივ, თავიდან იქნა აცილებული პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება, ვინაიდან მთავრობის გადაყენება მოითხოვდა სახელმწიფოს მეთაურის არსებობას, რათა მას კრიზისების დროს მთავრობის ფუნქციები შეესრულებინა. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შემოღებით უზრუნველყოფილ იქნა მთავრობის დარჩენა ხელისუფლებაში, ვინაიდან ერთი მინისტრის ცუდ საქციელს არ უნდა გამოეწვია მთლიანად კაბინეტის გადადგომა. შეიძლება ითქვას, რომ რაციონალიზებული პარლამენტარიზმის იდეა გაცილებით უფრო ადრე არსებობდა საქართველოში, ვიდრე დასავლეთში.

მმართველობის ფორმის თავისებურება

პირველი კონსტიტუციით განსაზღვრული მმართველობის მოდელი არ შეიძლება ჩაითვალოს კლასიკურ საპარლამენტო რეჟიმად. რა თავისებურებით ხასიათდება მართვის ეს მოდელი წმინდა საპარლამენტო სისტემებთან შედარებით?

პირველ ყოვლისა:

- კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ნეიტრალურ ფიგურას - სახელმწიფოს მეთაურს.
- კონსტიტუციამ უარი უთხრა მთავრობის სოლიდარულ პასუხისმგებლობას და შემოიფარგლა მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობით.
- ასევე გათვალისწინებული არაა პარლამენტის დათხოვნა.

- ძირითადმა კანონმა უარი უთხრა შეკავებისა და წონასწორობის მექანიზმებს.

- კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის საფუძველია არა ხელისუფლების მკაცრი გამიჯვნის კონსტიტუციური პრინციპი (მონტესკიეს კლასიკური დოქტრინა), არამედ პარლამენტარიზმი - პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და პარლამენტის უზენაესობის პრინციპი. მმართველობის ფორმის თავისებურების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო რამოდენიმე ფაქტორმა:

- კონცეპტუალურმა იდეებმა განაპირობეს კონსტიტუციონალიზმის პრინციპების გაგება-გააზრება;

- პირველი კონსტიტუცია დაეფუძნა იმ პერიოდის მსოფლიოში გავრცელებული კონსტიტუციური ინსტიტუტების რეცეფციას;

- გაითვალისწინეს პირველი რესპუბლიკის სამწლიანი სახელმწიფოებრივი გამოცდილებაც.

პირველი კონსტიტუციის სახელმწიფო მმართველობის მოდელი საპარლამენტო მმართველობის დამოუკიდებელი, უპრეცედენტო და თავისებური მოვლენაა მსოფლიო კონსტიტუციონალიზმში.

1921 წლის კონსტიტუცია, როგორც თანამედროვე ქართული კონსტიტუციონალიზმის ეგზისტენცია

1921 წლის კონსტიტუციის ბევრი ნორმა თუ პრინციპი სიცოცხლისუნარიანობას საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში ინარჩუნებს. 1921 წლის კონსტიტუცია ქართული კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს ყველა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს 1921 წლის კონსტიტუციის „სული“ წითელ ზოლად გასდევს. ყველა ხელისუფლებას ჰქონდა 7 მცდელობა, რომ საკუთარი თავი პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ გამოეცხადებინა:

- საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს საკონსტიტუციო კომისიას დაავალა საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავება 1921 წლის კონსტიტუციის დებულებათა საფუძველზე.

- 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში მნიშვნელოვანი ჩანაწერია - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია დღესაც მოქმედია და იურიდიული ძალმოსილებისაა.

- 1992 წლის 21 თებერვალს ე.წ. „სამხედრო საბჭომ“ „აღადგინა“ 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედება და ცნო მისი უზენაესობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

- „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ 1992 წლის 6 ნოემბრის კანონის (მცირე კონსტიტუცია) პრეამბულის მიხედვით, საქართველოს ახალი კონსტიტუცია დაეფუძნებოდა 1921 წლის კონსტიტუციის მემკვიდრეობითობას.

- 1993 წელს პარლამენტმა საკონსტიტუციო კომისიას დაავალა 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის ჩამოყალიბება, რაც შემდგომ უარყვეს.

- 1993-1995 წლებში საკონსტიტუციო კომისიის მიერ პროექტზე მუშაობის პარალელურად, წარმოდგენილი იყო პოლიტიკური პარტიებიდან კონსტიტუციის პროექტები, რომლებიც იმეორებდნენ 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად დებულებებს. მაგალითად, 1993 წელს „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ კომისიას წარუდგინა ძირითადი კანონის პროექტი, რომელიც 1921 წლის კონსტიტუციის გავლენით სარგებლობდა.

- 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულაში ჩაიწერა, რომ კონსტიტუცია ეფუძნება 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებს.

- საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის პრეამბულაში 2010 წლის 15 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებების თანახმად, კონსტიტუცია ეყრდნობა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას.

- 1921 და 1995 წლების კონსტიტუციებს შორის მსგავსებას, პირველ რიგში, ტექსტის სტრუქტურა და ადამიანის ძირითადი უფლებები განაპირობებს. თვალსაჩინოებისთვის რამოდენიმე მუხლი შევარჩიეთ ორივე კონსტიტუციიდან:

- მუხლი მე-8: „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ

შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის წინააღმდეგია“. მუხლი მე-6: „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“.

- მუხლი 40-ე: „ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“. მუხლი 36-ე, 1-ელი ქვეპუნქტი: „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“.

- მუხლი 45-ე: „კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან“. მუხლი 39-ე: „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან“.

- მუხლი 114-ე: „საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული“. მუხლი 21-ე, მე-3 ქვეპუნქტი: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან“.

- მუხლი 138-ე: „საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს“. მუხლი 29-ე, 1-ელი ქვეპუნქტი: „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“.

კონსტიტუციის მოქმედების შესაძლო შედეგები

იქნებოდა თუ არა კონსტიტუციით დადგენილი მმართველობის სისტემა ქმედითი? ჩვენ ამთავითვე მივუთითებთ, რომ კონსტიტუცია, მიუხედავად ხარვეზებისა, შეასრულებდა პოლიტიკური ცხოვრების რეგულატორის როლს, ვინაიდან, პირველ კონსტიტუციაში ასახულია კონსტიტუციონალიზმის პრინციპებთან ერთად რესპუბლიკის სამწლიანი სახელმწიფოებრივი გამოცდილებაც. ესენია: პარლამენტის უზენაესობა და უწყვეტობა, მისი დათხოვნის დაუშვებლობა, მთავრობის ფორმირება საპარლამენტო გზით, პარლამენტისადმი მთავრობის მორჩილების პრინციპი, წონასწორობისა და ურთიერთშეკავების მექანიზმების, პრეზიდენტის ინსტიტუტის არარსებობა და ა.შ. სახელმწიფოებრივი წყობილების ეს სისტემა, რომელიც შემდგომ პირველ კონსტიტუციაში აისახა, ძირითადად ევროპული კონსტიტუციონალიზმის საფუძველზე ჩამოყალიბდა. თუ სახელმწიფო მმართველობის აღნიშნული სისტემა პირველ რესპუბლიკაში ქმედითი იყო, ჯერ კიდევ, კონსტიტუციის არარსებობის პირობებში, მაშინ მათ, რომლებიც შემდგომ პირველი კონსტიტუციის ფუძემდებლური პრინციპები გახდნენ, რატომ არ უნდა ემოქმედათ კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგაც? აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი მმართველობის ეს სისტემა დიდი ხანი იქნებოდა სიცოცხლისუნარიანი. რასაკვირველია, ჩვენს კანონმდებლებს რომ დასცლოდათ, მასში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანდნენ, რომლებიც საჭირო იქნებოდა კონსტიტუციაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

1921 წლის კონსტიტუციის „აღდგენა“

იანვარ-დეკემბრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, პრესაში და პოლიტიკურ ორგანიზაციებში პირველი კონსტიტუციის აღდგენის იდეა გაჩნდა, ვინაიდან, მას სახელმწიფოში არსებული ქაოტური მდგომარეობისთვის ბოლო უნდა მოეღო. 1992 წლის 7 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ერთ-ერთი სტატიის ავტორი მიუთითებდა, რომ „ვინაიდან საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის იურიდიული ძალმოსილება ახლა უკვე ეჭვს არ იწვევს, დროა განვმარტოთ ისიც, რომ თუ არსებობს იურიდიული ძალმოსილების კანონი, მაშინ მას მხოლოდ აღსრულება სჭირდება“. „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის“ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „დამოუკიდებლობის აღდგენა ნიშ-

ნავს 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედებას“. 1992 წლის 21 თებერვალს არალეგიტიმურმა „სამხედრო საბჭომ“ დეკლარაციით აღადგინა პირველი კონსტიტუცია. იმავე წლის 24 თებერვალს მანვე დადგენილებით მიზნად დაისახა კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების გატარება. დროებით მთავრობას დაევალა მოქმედი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა. 1992 წლის 29 თებერვალს საქართველოს სამოქალაქო სახალხო შეკრებაზე აღინიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მოქმედების გაგრძელება ნიშნავს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას“. თუმცა, სამწუხაროდ, ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ კონსტიტუცია რეალურად ამოქმედებულიყო. 1992 წლის 8 აპრილს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა სტატია: „კონსტიტუციის ამოქმედებისათვის დეკლარაციის მიღება არ კმარა“. იმავე გაზეთის 29 აპრილის ნომერში პროფ. თამაზ შავგულიძის საინტერესო სტატიაა გამოქვეყნებული კონსტიტუციის აღდგენის იურიდიულ ასპექტებზე.

1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის პერსპექტივა.

არაერთ უახლოეს სამეცნიერო კონფერენციაზე გაჟღერდა პირველი კონსტიტუციის მოქმედების შესაძლო აღდგენის იდეის თაობაზე. საქართველოში საპარლამენტო მმართველობის დამკვიდრების ფონზე ამ საკითხის წინ წამოწევა მნიშვნელოვანია. პირველი კონსტიტუციის აღდგენის იდეა ბოლო საკონსტიტუციო რეფორმების დროს რამდენჯერმე იყო წამოყენებული. ჩვენ ამ ინიციატივას მხარს დავუჭერთ იმ შემთხვევაში, თუ პირველი კონსტიტუციის ახალი რედაქცია მომზადდება. პირვანდელი სახით კონსტიტუციის აღდგენა დაუშვებელია. პირველ რიგში სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი უნდა დადასტურდეს კონსტიტუციაში, გარდა ამისა, მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს სახელისუფლებო შტოების უფლებამოსილება და ჩამოყალიბდეს შეკავებისა და წონასწორობის კონსტიტუციური მექანიზმები. 1921 წლის პირველი კონსტიტუციის აღდგენა ხელს შეუწყობს ქართული კონსტიტუციონალიზმის 100-წლოვანი ისტორიის წარმოჩენას. დღემდე არსებობს მოსაზრება, რომ 1921 წლის 17 მარტს დამფუძნებელმა კრებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე კონსტიტუციის მოქმედება დროებით შეაჩერა და ამიტომ იგი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია (მსგავსი ჩანაწერია 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტში). შეიძლება ითქვას,

რომ მისი ძალმოსილება 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღებით დასრულდა. აქედან გამომდინარე, იგი იურიდიულ ძალას მოკლებულია.

კონსტიტუციის დღე

მსოფლიოში სამართლებრივი აქტებიდან ყველაზე მეტ პატივს კონსტიტუციას მიაგებენ: აღნიშნება კონსტიტუციის მიღების დღეები, ქალაქებში ქუჩები მის სახელს ატარებს, საინფორმაციო დაფებია გაკრული იმ შენობებზე, სადაც კონსტიტუციებია მიღებული. კონსტიტუციური იდეა, როგორც კანტი იტყოდა, წმინდა და ხელშეუხებელია. ამ იდეის პოპულარიზაცია თანამედროვე სახელმწიფოების ერთ-ერთი გამოწვევაა. საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში წამოაყენა წინადადება, რომ 24 აგვისტო კონსტიტუციის დღედ გამოცხადებულიყო. მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციის დღის აღნიშვნა უნდა მოხდეს 21 თებერვალს, ვინაიდან პირველი კონსტიტუციის მიღების დღე სიმბოლური თარიღია. კონსტიტუცია არაა მარადიული დოკუმენტი, კონსტიტუციები იცვლება ან შეიძლება გაუქმდეს. ასეთ შემთხვევაში 24 აგვისტო დაკარგავს თავის მნიშვნელობას, ხოლო 21 თებერვალი საქართველოს ისტორიაში დარჩება, როგორც პირველი კონსტიტუციის მიღების სიმბოლური თარიღი - ქართული კონსტიტუციონალიზმის ათვლის წერტილი.

ბექა ქანთარია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, აფელირებული პროფესორი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ — საქართველოს რესპუბლიკის 100 წელი

ამ ესეს კონკურსში გამარჯვების მოტივით არ ვწერ, არამედ იმის გამო, რომ იდეა კრეატიულია და როგორც ქართველს სურვილი გიჩნდება დააფიქსირო შენი შეხედულებები საკუთრი ერის ისტორიის ამ ურთულესი პერიოდის შესახებ. თუმცა მიმაჩნია, რომ ამჟამად უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ მომავალზე, ვიდრე წარსულზე და იტორიის ეს პერიოდი უნდა განვიხილოთ, როგორც გაკვეთილი, როგორც სწავლება ჩვენი ქვეყნის მომავლის უკეთ გააზრებისა და შესაბამისი მოქმედებებისთვის.

ვფიქრობ, თანამედროვე საქართველოს დამოუკიდებლობის სათავეებთან სოლომონ დოდაშვილი დგას, თუმცა მის ძირითად შემოქმედად ილია ჭავჭავაძე უნდა მივიჩნიოთ, იმ უდიდესი ღვაწლის გამო, რომელიც მან გასწია ჩვენს ერში ამ იდეის აღორძინებისთვის. მისი ცნობილი ფრაზა: 'შენი თავი შენადვე უნდა გეყუდნოდესო" ფაქტობრივად აერთიანებს როგორც დამოუკიდებლობის, ასევე თავისუფლების იდეას, ხოლო დევიზი: „ენა, მამული, სარწმუნოება" წარმოადგენს ერის სამოქმედო გეგმას. ისტორიული პარადოქსია, მაგრამ ტრაგიკული რეალობაა, რომ ილია მოკლეს მათ, ვინც მალევე საქართველოს მართვის სადავეებთან მოვიდნენ. სამწუხაროდ, ილიას ეპოქის შემდეგ ერმა ვერა და ვერ ჩამოაყალიბა განვითარების და კეთილდღეობის ისეთი მდგრადი სტრატეგია, რომელიც ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციასავით მუდმივი ცვლილებების რეჟიმში არ იქნებოდა და რომელიც ჩვენი ერის განვითარების პარადიგმა გახდებოდა.

სამწუხარო რეალობა ისაა, რომ ჩვენ ვერ ავაშენებთ შვეიცარიის მსგავს ქვეყანას, ვინაიდან იგი შუაგულ ევროპაშია, ხოლო საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზეა და თანაც ჩვენი მეზობელი „დიდი" რუსეთია და არა მარტო რუსეთი. თუმცა, ამ რეალობიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ უნიკალური ქვეყანა, რაც შესაძლებელია მხოლოდ ფილიგრანულ, დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის შემთხვევაში. როცა ჩვენი ქვეყნის სამეზობლოზე ვფიქრობ, უნებურად შოტლანდიური თქმულება მახსენდება, რომლის მიხედვითაც, როცა ღმერთმა დედამიწაზე მიწები გაანაწილა, შოტლანდიელებმა, აღფრთოვანებულმა თავიანთი წილით, ღმერთს ჰკითხეს: ღმერთო, რა დამსახურებისთვის მივიღეთ ასეთი საუკეთესო მიწები? ღმერთმა კი უპასუხა, რომ მიწები მართლაც კარგია, თუმცა თქვენ არ იცით,

ვინ არიან თქვენი მეზობლებიო (მეზობლებში ინგლისელებს გულისხმობდა). ჩვენც ზუსტად ამ დღეში ვართ, თუმცა შოტლანდიელებისგან განსხვავებით ჩვენთან საქმე გაცილებით რთულადაა და ცალსახა პასუხი არ არსებობს. აღნიშნულის გამო ჩვენ დიპლომატიური შეცდომების უფლება არ გვაქვს, ვინაიდან ყოველი შეცდომა ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვის ფასად გვიჯდება.

ახლა განვიხილოთ, თუ რას მივაღწიეთ ამ 100 წლის განმავლობაში, რა წარმატებები გაგვაჩნდა და რა ჩავარდნები, ამჟამად რა არის ჩვენი ერის ფუნდამენტური გამოწვევები და როგორ გვესახება მათთან გამკლავების გზები. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ამ 100 წლის განმავლოაში საქართველო, როგორც სახელმწიფო შედგა და ამ პროცესში ქართულმა ენამ, როგორც ჩვენმა უდიდესმა ინტელექტუალურმა ფასეულობამ, გადამწყვეტი როლი შეასრულა. უდავოა, რომ ქართული ენა განსაზღვრავს ჩვენს ეროვნულ იდენტობას და იგი ჩვენი სულიერი სამშობლოა.

მე-20 საუკუნეში ჩვენი ერის ყველზე დიდ წარმატებად უდავოდ უნდა განვიხილოთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და პირველი რესპუბლიკის შექმნა, რომელიც იურიდიულად 1918 წლის 26 მაისს გაფორმდა, თუმცა ამ დღისთვის მზადება დაიწყო მას შემდეგ, რაც იგი დაკარგა ქვეყანამ. ამ მოვლენამ დიდი ისტორიული შანსი მოგცვა დამოუკიდებლობისა და თავისუფალ ერად განვითარებისა, თუმცა ჩვენი ბედი ისევ სხვა ქვეყანაში დატრიალებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა გადაწყვიტა.

ჩვენი სულიერი და მენტალური გამარჯვების უდიდესი მოვლენად 1978 წლის 14 აპრილი მიმაჩნია, როდესაც პირველად საბჭოთა საქართველოს ისტორიაში ახალგაზრდობა ორგანიზებულად, ერთიანი საპროტესტო აქციით გამოვიდა თბილისი ქუჩებში ქართული ენის სახელმწიფოებრიობის დასაცავად და გაიმარჯვა. ფაქტობრივად ამ მოვლენამ გაააქტიურა საქართველოს ეროვნული მოძრაობა და დააჩქარა დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი.

მე-20 საუკუნეში ჩვენი ერის მესამე დიდი ისტორიული გამარჯვება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი იყო, რომელიც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო. სამწუხაროდ, ეს შესანიშნავი ისტორიული შანსი სათანადოდ ვერ გამოვიყენეთ, ისევ და ისევ ჩვენი ხასიათისა და გაუტანლობის გამო, თუმცა მიზეზებს ყოველთვის სხვაგან და სხვებში ვეძებთ.

21-ე საუკუნეში საქართველოს ყველაზე დიდი ისტორიული წარმატება ჯერჯერობით ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებაა, რომელმაც საშუალება მოგცა ამ კავშირის სულიერი თუ მატერიალური ღირებულების გაზიარებისა და თანასწორობის განცდისა. ამ აქტით გამოჩნდა ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, თუმცა ამის მისაღწევად ქვეყანას ესაჭიროება მნიშვნელოვანი ეკონომიკური განვითარება და მენტალური ცვლილებები.

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ბოლო ასწლიანი ისტორიის ტრაგედიებს. მე-20 საუკუნეში ჩვენი ქვეყნის უდიდეს ტრაგედიად უნდა განვიხილოდ საქართველოში რუსული ოკუპაციური წითელი არმიის შემოჭრა, რომელსაც მოჰყვა უამრავი მსხვერპლი და დამოუკიდებლობის დაკარგავა 1921 წლის თებერვალში. თუმცა ეს ოკუპაცია ამ ტრაგედიით არ დამთავრდა. ჯერ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობა, ხოლო შემდეგ 30-იანი წლების ტერორი, რომელმაც ქართველი თავად-აზნაურებისა და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი შეიწირა. ზოგადად საბჭოთა კავშირში ყოფნამ, საქართველო ჩამოაცილა პროგრესული, ევროპული განვითარების გზას მთელი 70 წლის განმავლობაში, რომლის აღმოფხვრას ამჟამად უდიდესი ძალისხმევა ესაჭიროება. აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა ადამიანთა მთელი კასტა ე. წ. „ჰომო სოვეტუს“, რომლებიც ემსახურებოდნენ იმ იდეალებს, როლებიც მათ არ სწამდათ და სიცრუეზე დაფუძნებულმა იდეოლოგიამ უდიდესი დაღი დაასვა იმ პერიოდის ქართველი ახალგაზრდობის სულიერებას.

საქართველოს უმძიმესი ისტორიის დასასრულის დასაწყისი 9 აპრილის ხოცვა-ჯლეტით დაიწყო, როცა თავისუფლების მოთხოვნით რუსთაველის გამზირზე გამოსული ახალგაზრდობა რუსულმა სპეცნაწილებმა უმოწყალოდ აჩეხეს სამხედრო ნიჩბებით. ამ ტრაგედიამ სულიერი კათარზისის როლი შეასრულა და საბედნიეროდ ერი გააერთიანა ერთი დიადი მიზნისთვის - დამოუკიდებლობისთვის, თუმცა მცირე ხნით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან ერთ წელიწადში თბილისიში ე. წ. სამოქალაქო ომი დაიწყო, რომელიც საქართველოდან კანონიერი პრეზიდენტის, ზვიად გამსახუდიას განდევნით დამთავრდა. ეს ფაქტობრივად სამხედრო გადატრიალება იყო, რომელიც საქართველოში ბაზირებულმა რუსულმა სამხედრო ნაწილებმა განახორციელეს და რომელშიც რუსი ჯარისკაცის ფუნქციებს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ქართველი გვარდიელები ასრულებდნენ.

საქართველოს სამოქალაქო ომის შემდეგ მალევე დაიწყო კონფლიქტი აფხაზეთში, რასაც რეალურად ხელი შეუწყო თბილისის სამოქალაქო ომმა. ამ კონფლიქტის შედეგად, რომელიც ისევ რუსების მიერ იყო პროვოცირებული და ფაქტობრივად რუსეთ-საქართველოს ომს წარმოადგენდა, დაიღუპა დაახლოებით 25 000 ეთნიკურად ქართველი, ხოლო 250 000 -ზე მეტი ადამიანი კი დევნილად იქცა. შედეგად დავკარგეთ აფხაზეთი, ხოლო მოგვიანებით ცხინვალის რეგიონიც.

21-ე საუკუნეში საქართველოს უდიდეს ტრაგედიად უნდა განვიხილოდ რუსეთ-საქართველოს ომი და მასში დამარცხება. შედეგად ოკუპირებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიული ტერიტორიების 20%-ზე მეტი. აფხაზეთიდან 250 000 ლტოლვილს დაემატა კოდორის ხეობის მთელი მოსახლეობა და შიდა ქართლიდან 27 სოფელი აიყარა და გორის, ხაშურისა და და კასპის რაიონებში გადმოსახლდა, ხოლო მათი სახლკარი ბარბაროსულად განადგურდა ოსი სეპარატისტების მიერ. ეს მარცხი კიდევ ერთი დასტურია ჩვენი არარაციონალური, იმპულსური საგარეო პოლიტიკის. მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი უდიდესი ისტორიული ტრაგედიაა, რომლის უარყოფითი შედეგები მომავალში უფრო მკვეთრად გამოჩნდება. ამ ომით ფაქტობრივად ხელი შევუწყვეთ რუსეთს გაეკეთებინა ის, რასაც იგი ორ საუკუნეზე მეტია გეგმავდა.

ახლა ამ ტრაგედიის მიზეზების ძიება არაფრის მომტანია, თუმცა ვფიქრობ, ჩვენ რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დიპლომატიური შორსმჭვრეტელობა გამოგვეჩინა და დსთ-ში შევსულიყავით, თავს ავარიდებდით სამოქალაქო ომსაც და არ დავკარგავდით აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. ახლა უნდა ვიმოქმედოთ სწრაფად ამ ტრაგედიის შედეგების აღმოფხვრისათვის.

ცალკე მინდა შევეხო ჩვენი ქვეყნის საბჭოთა კავშირში ყოფნის 70-წლიან ზოგად ისტორიას. მიუხედავად ჩვენი განვითარების მკვეთრი დამუხრუჭებისა, უამრავი მსხვერლისა და პროპაგანდული მანქანის გაუგონარი სიცრუისა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო მაინც განვითარდა. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ ურთულეს პერიოდში, როცა ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხის წინაშე ვიდექით, ერმა თავისი ინტელექტუალური თუ ფიზიკური შესაძლებლობების რეალიზაცია მეცნიერებაში, განათლებაში, სპორტსა და ხელოვნებაში მოახდინა.

ამ პერიოდში საქართველოში განათლების დონე ყველა საფეხურზე უფასო და შედარებით მაღალხარისხიანიც იყო.ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე-

ობდნენ მსოფლიო დონის მეცნიერები, რომელთა შრომებმაც მნიშვნელოვანი ღვაწლი შეიტანა მათი დარგების განვითარებაში. შეიქმნა წარმატებული ქართული სამეცნიერო სკოლები მათემატიკაში, ფიზიოლოგიაში, ფილოსოფიაში, გეოლოგიაში და სხვა დარგებში. საქართველოში მოღვაწეობდნენ მსოფლიო დონის ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ნიკო მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი და სხვები.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქვეყანამ სპორტშიც. მიუხედავად საკავშირო სტრუქტურების დიდი წნეხისა, ქალთა ჭადრაკში ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი გახადა, ვიქტორ სანეევი - სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ლევან თედიაშვილი - ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი. ნაშრომის შეზღუდული მოცულობის გამო შეუძლებელი აქ ამ თემის გაშლა, თუმცა მაინც უნდა აღვნიშნო, რომ თბილისის „დინამომ“ ფეხბურთში ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვა, რაც ერმა საკუთარი სიძლიერის გამოხატულებად მიიჩნია და დაუვიწყარი ზეიმით აღნიშნა ეს წარმატება.

ქართულმა ეროვნულმა ხელოვნებამ არნახული აღიარება მოიპოვა თითქმის მთელს მსოფლიოში. ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ქართული ეროვნული ცეკვების სახელმწიფო ანსამბლმა მთელს მსოფლიოში საუკეთესოდ წარმოაჩინა ქართული გენის უნიკალურობა და ფილოსოფია: შეუპოვრობა, ენერგიულობა, დახვეწილობა და ქალისადმი კდემამოსილი დამოკიდებულება. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ქართულმა ხალხურმა უნიკალურმა მრავალხმიანმა სიმღერამაც. ქართული ხალხური სიმღერის გამორჩეულმა სოლისტმა ჰამლეტ გონაშვილმა საყოველთაო სიყვარული და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ როცა 1977 წელს ამერიკულმა საპლანეტათშორისო სადგურმა ვოიაჯერ-1-მა კოსმოსში დედამიწის ხმები 60 ენაზე გაიტანა, მათ შორის შეირჩა სიმღერა “ჩაკრულო“, რაც ქართული ფოლკლორის უდავო საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წ) სამოქალაქო ომისა და დაშვებული დიპლომატიური შეცდომების გამო ამჟამად საქართველო რამოდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგანაც უპირველესია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დევნილების თავიანთ ისტორიულ მიწებზე დაბრუნება; ჩვენი ქვეყნის გამოწვევებიდან მეორე ადგილზე დავაყენებდი: ეკონომიკურ სიდუხჭირეს და ამის გამო

საქართველოდან ყველაზე აქტიური, შრომისუნარიანი ახალგაზრდობის მიგრაციას საზღვარგარეთ. ეკონომიკური სიდუხჭირე შეიძლება აღმოვფხვრათ, მაგრამ ამ პროცესის გამო ჩვენ ვკარგავთ შემოქმედ თაობას და გენოფონდს, რაც უახლოეს მომავალში მკვეთრად უარყოფითად აისახება ჩვენს ქვეყანაზე.

როგორ უნდა გავუმკლავდეთ ამ ისტრიულ ტრაგედიებს და გამოწვევებს, რა უნდა მოვიმოქმედოთ. ამ შემთხვევაში საერთაშორისო პოლიტიკურ მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია; ამ პროცესში, უდავოა, ჩვენი ქვეყნის ხსნა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაშია, თუმცა, არანაკლები მნიშვნელობა გააჩნია თავად ქვეყნის განვითარებას. გარდაქმნები, რომლებიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის და რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა, შესაძლებელია სამ დიდ ჯგუფად დავყოთ, კერძოდ: 1. განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმა, 2. ეკონომიკური გარდაქმნები და 3. ნეპოტიზმის და არაპროფესიონალიზმის აღმოფხვრა.

1. განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმა. ფაქტობრივად ამ სისტემის პროდუქტიულობის ხარისხზეა დამოკიდებული ქვეყნის წარმატება, ვინაიდან ეს სისტემა ამზადებს კადრებს სახელმწიფოს ფუნქციონირების ყველა მიმართულებისთვის. როცა ამ სისტემას ვაანალზებთ, იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მე, როგორც უნივერსიტეტის პროფესორს, უშუალოდ გამაჩნია კონტაქტი საშუალო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებთან და ჩვენი ქვეყნის სავალალოდ მათ უმეტესობას პრაქტიკულად არ გააჩნია ელემენტარული ცოდნა. მიზეზი - სკოლებში დაბალი ანაზღაურება და, შესაბამისად, დაბალპროფესიულ მასწავლებელთა კადრები. თუმცა, საშუალო სკოლის მასწავლებელი ყველაზე დაფასებული და შესაბამისად ყველაზე მაღალანაზღაურებადი კადრი უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების, ვინაიდან იგი პრაქტიკულად ქმნის ქვეყნის მომავალ მოქალაქეს და მის შემოქმედს. სკოლის მასწავლებლის წვლილი ჩვენი საზოგადოების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია, თუმცა არა დაფასებული და შესაბამისად არაპრესტიჟულია.

აღარაფერს ვამბობ მეცნიერებაზე, რომელიც სახელმწიფომ პრაქტიკულად დაივიწყა და იქ სრული გაუგებრობაა. სამეცნიერო ინსტიტუტებში პრაქტიკულად შეჩერებულია დემოკრატიული მმართველობა (რომელიც საბჭოთა პერიოდში რეალურად არსებობდა) და მათ ისევ 2006 წელს

დანიშნული დირექტორები მართავენ, რამაც მეცნიერება სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა.

რაც შეეხება მეცნიერების დაფინანსებას, ჩვენს ქვეყანაში მის დასაფინანსებლად წლიური ბიუჯეტის მხოლოდ 0.30-0.35% გამოიყოფა, რაც მეცნიერების განვითარებისთვის მიზერული თანხებია. შედარებისთვის აღვნიშნავ, რომ ევროკავშირის ქვეყნებში მეცნიერებისთვის ბიუჯეტის 3-4% გამოიყოფა, ხოლო იაპონიაში - 7-8%. ეს მაჩვებელი პროცენტულად დაახლოებით 10-ჯერ მეტია და თუმცა რეალურად 100-ჯერ და გაცილებით მეტს შეადგენს. ტრივიალური ჭეშმარიტებაა, რომ მეცნიერება პროგრესის ძირითადი საფუძველია. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მეცნიერება არა მარტო მეცნიერებისთვის უნდა დავაფინანსოთ, არამედ ესაა ჩვენი საზოგადოების აზროვნების საერთო მაღალი დონის და პრაქტიკული აზროვნების ჩამოყალიბების საუკეთესო გზა და სხვა მრავალი სიკეთე.

2. ეკონომიკური განვითარება. ამ გამოწვევის მოგვარებას ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან გარდა მოსახლეობაზე მისი პირდაპირი ეფექტისა, იგი ირიბადაა დაკავშირებული ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან და ქვეყნიდან შრომისუნარიანი კადრების გადენის შეჩერებასთან. ეს პრობლემა იმდენად დიდია, რომ ამ ესეში მისი საფუძვლიანი განხილვა შეუძლებელია. მოკლედ აღვნიშნავ, რომ გარდა ეკონომიკური ბერკეტებისა (სახელმწიფოში მცირეპროცენტიანი ან უფასო კრედიტების არსებობა), აქ ვაწყდებით ორ დიდ პრობლემას: გარკვეული ეკონომიკური ჯგუფების ინტერესებს და კადრების არაპროფესიონალიზმს, შესაბამისად, დაბალ ეკონომიკურ ეფექტიანობას.

უფრო დეტალურად სამთო-მოპვებით მრეწველობაზე მინდა ვისაუბრო, ვინაიდან იგი ჩემს პირდაპირ სფეროს წარმოადგენს. ბოლო წლებში ამ სფეროში გადაულახავ ბარიერად იქცა მინერალურ რესურსებზე ტენდერების გამოცხადება და ლიცენზიების გაცემა. ეს დიდწილად განპირობებულია ჩინოვნიკების არაპროფესიონალიზმით და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მცდელობით. არავინ იღებს ინიციატივას თავის თავზე, ვინაიდან ყველას ეშინია შეცდომის დაშვების, რაც მას შეიძლება სამსახურის დაკარგვის ფასად დაუჯდეს. აღნიშნულის გამო, თვეობით ვერ იღებენ კომპანიები ლიცენზიებს, რაც მნიშვნელოვან ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას. არადა ჩვენი ქვეყნის ექსპორტის საერთო წილიურ ბალანსში უკანასკნელ წლებში მინერალურ

რესურსებს (მარგანეცი, სპილენძის კონცეტრატი, ოქრო) 68-73% უკავია. ეს რიცხვი თავისთავად მეტყველებს თუ რა დიდი მნიშვნელობა გააჩნია მინერალური რესურსების მოპოვებასა და დამუშავებას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის და, შესაბამისად, ამ რესურსებზე ლიცენზიის მიღებაზე ბიუროკრატიული ბარიერების შესუსტებას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ქვეყანაში რეალურად არსებობს კვალიფიციური საინჟინრო კადრების დეფიციტი, არადა საინჟინრო კადრები წყვეტენ ტექნოლოგიური დარგების განვითარების ბედს. სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოში სტუდენტთა შორის 1 ინჟინერზე დაახლოებით 50 ეკონომისტი, იურისტი და ჰუმანიტარი მოდის. თუმცა არავინ კითხულობს, ესაჭიროება კი ჩვენს სახელმწიფოს ასეთი პროფილის ამდენი კადრი. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში თუ არ განვავითარეთ მაღალტექნოლოგიური მრეწველობის დარგები, ყოვლთვის ჩამორჩენილ და ფინანსურად გაჭირვებული ქვეყნების რიგში ვიქნებით.

3. მესამე გამოეწვევა ნეპოტიზმი და არაპროფესიონალიზმი სამივე ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევის რეალური მტერია და მისი აღმოფხვრა ჩვენი საზოგადოების უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს. უდავოა ეს მნიშვნელოვნად აფერხებს მის განვითარებას და ამავე დროს დიდ როლს თამაშობს სოციალური უსამართლობის დამკვიდრებაში. თუ უფრო ჩაუღრმავდებით პრობლემას, მაშინ ნეპოტიზმი არაპროფესიონალიზმის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება განვიხილოთ, ვინაიდან თუ ახალგაზრდამ იცის, რომ თუ არ „ჩააწყო'', ის სამსახურში ვერ მოხვდება, ამიტომაც არ გააჩნია მოტივაცია პროფესინალიზმის ამაღლების. თუ გავაანალიზებთ ამ ტრივიალურ ჭეშმარიტებას, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში პროფესიონალიზმის ზრდის და შესაბამისად ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა - ნეპოტიზმის დამარცხებაა.

ჩემი აზრით, სახელმწიფო ნეპოტიზმის გარკვეულ ფორმად უნდა განვიხილოთ ქვეყნის ბიუჯეტით პოლიტიკური პარტიების დაფინანსება. ჩემთვის ყოვლად გაუგებარი და აუხსნელია სახელმწიფოს ეს ქმედება. რატომ უნდა მოხდეს გადამხდელების მიერ შეგროვილი ფულით გარკვეული ჯგუფების დაფინანსება? პარტიები უნდა ერთიანდებოდნენ იდეოლოგიების მიხედვით და არა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფულის ირგვლივ. საინტერესოა როგორია პარტიების დაფინანსება დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში. წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ მაგალითად აშშ-ში რესპუბლიკური ან დემოკრატიული პარტია ფინანსებოდეს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან.

აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებელმა მე-12 საუკუნის დასაწყისში (1103 წ.) რუის-ურბინსის ისტორიული კრება ფაქტობრივად ნეპოტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მოიწვია. აქ მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ სახელმწიფოს სტრუქტურებში ადამიანებს თვიანთი შესაძლებლობების მიხედვით აწინაურებდნენ და არა გვარიშვილობის მიხედვით. გავიმეროებ, ეს რეფორმა დიდმა დავით აღმაშენებელმა მე-12 საუკუნის დასაწყისში განახორციელა და მისი შედეგები რომ წარმატებული აღმოჩნდა, ამას იმ პერიოდში ქვეყნის არნახული გაძლიერება, თბილისის გათავისუფლება და საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ადასტურებს.

დასასრულ ორიოდე სიტყვით მიდა შევჩერდე ჩვენს შეიაღებულ ძალებზე, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვა. დიდი მოაზროვნე სენეკა ამბობდა: „თუ შენს თავისუფლებას სხვა იცავს, მაშინ შენ არა ხარ თავისუფალიო“. სრულიად ვიზიარებ ამ მოსაზრებას და მიმაჩნია, რომ ჩვენ ვერ შევდგებით ღირსეულ და თავისუფალ ერად, ვიდრე ჩვენს თავისუფლებას დაიცავს სხვა. ამისათვის კი გვესაჭიროება ისეთი სიძლიერის არმია, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებულ ყველა გამოწვევას წარმატებით გაუმკლავდებოდა. თუმცა, ვფიქრობ ასეთ არმიას ვერ შევქმნით, ვიდრე საქართველოში არ გვექნება ძლიერი ეკონომიკა და შეიაღარებულ ძალებში სამსახური არ იქნება ყველაზე პრესტიჟული და საამაყო საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში. ვფიქრობ, სწორედ ამ მიზნებისკენ უნდა იყოს მიმართული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა.

უდავოა, რომ პატრიოტიზმი ყველაზე ძლიერ ქვეყნის თავდაცვისთვის გაწეულ სამსახურში ვლინდება და ამ საიუბილეო დღეებში არ შეიძლება პატივი არ მივაგოთ საქართველოს თავისუფლებისთვის დაღუპულ ყველა გმირს, ვინც ყველზე ძვირფასი -თავისი სიცოცხლე ანაცვალა სამშობლოს. სამწუხაროდ, სამშობლოსთვის თავგანწირულებიდან გასახსენებელი და საამაყო ძალზედ ბევრი გვაქვს, თუნდაც შინდისელი ვაჟკაცებისა და გიორგი ანწუხელიძის გმირობებიც საკმარისია, რომ ცხადად წარმოვიდგინოთ მათი დამსახურება ერის წინაშე. მათ ხომ კათარზისის მისია შეასრულეს ქართველი ერის ამ უდიდესი სულიერი და ფიზიკური ტრაგედიის დროს.

რეზიუმის სახით ვიტყოდი, რომ ქართველი ერი თავისი აზროვნებით, ცხოვრების წესით და კულტურით ანტიკური და ევროპული ცივილიზაციის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან

100 წლის შემდეგ იგი ისევ ამ წიაღში დაბრუნების, შესაბამისად, თავისუფლების ურთულეს გზას ადგას. მიუხედავად ჩვენი ერის წინაშე არსებული უმწვავესი გამოწვევებისა, დარწმუნებული ვარ, მას გააჩნია ის ფიზიკური, ინტელექტუალური თუ სულიერი რესურსები, რომ ეს გზა წარმატებით დაძლიოს. ბუნებრივ შეკითხვაზე - თუ როგორ უნდა განვახორციელოთ ეს, ვუპასუხებდი: მეტი პროფესიონალიზმით, დაუღალავი შრომით, ნაკლები ემოციით და დაბალანსებული საერთაშორისო პოლიტიკით.

ავთანდილ ოქროსცვარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეოცის საუკუნისა

„ერთი მხრით, ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, ძველთა გმირთა მოგონებით გატაცებული, ოცნებობს წარსულის ცხოვრების შესახებ და თვალებ დახუჭვილს, არა ჰსურს დაინახოს რთული პირობები თანამედროვე ცროვრებისა, თავს არ იტკივებსაწინდელის წესწყობილების უთანხმოების ასაცილებლად, და ასე კი შეუძლებელია ნორმალური წარმატება ჩვენის ერისა. მეორეს მხრით კი, ჩვენი ახალ-დაბადებული ეგრედწოდებული „მესამე დასი“ საქართველოს ორ კლასად ჰყოფს და ამბობს, ამ კლასთა შორის ეკონომიური განხეთქილება არსებობს, რის გამოც მათ არავითარი საერთო ინტერესები არა აქვთო. ეს დასი იმის ცდაშია იდეოლოგიურად შექმნას განკერძოვებული კლასები, და ეს მისი ცდა ეწინააღმდეგება ხშირად ქართველი ერის ნამდვილ ინტერესებს.

საჭიროა, ამ ორმა მოკამათე მხარემ კარგად გაითვალისწინოს, თუ რა აშორებს მათ ერთმანეთს და რომელ შემთხვევაში შეუძლიანთ ხელი ხელს მისცენ“ (არჩილ ჯორჯაძე, „ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები“, 1901 წ. ციტირებულია: ქართული მწერლობა, ტ. 34 (2010), თბ. გამომცემლობა ნაკადული, გვ. 5-6).

ამ მონაკვეთში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მაშინდელი და თანამედროვე ქართველი საზოგადოების მიერ რეალობის აღქმა და განცდა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან: წარსულის მოტრფიალეთა უუნარობა შეუძლებელს ხდის აწმყოს გაანალიზებას და აწმყოს გაანალიზების მსურველთ კი თანხმობის ნაცვლად განხეთქილება შე(მო)აქვთ საზოგადოებაში და მის ორ ნაწილად/კლასებად გაყოფას/დაყოფას ცდილობენ, რაც მაშინაც და ახლაც ცალსახად ეწინააღმდეგებოდა და ეწინააღმდეგება ქართველი ერის ინტერესებს. „ხელი ხელს მისაცემი შემთხვევა“, ანუ გარკვეულ მოსაზრებებზე შეჯერება განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებსა თუ ადამიანთა ჯგუფებს შორის, მხოლოდ საუკუნის წინ გაჩენილი აუცილებლობა არ ყოფილა. გარკვეული მოვლენების სწორად შეფასების სურვილი და მცდელობა ცალსახად შეიძლება ჩაითვალოს ამის მიღწევის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად.

მეოცე საუკუნეში საქართველოს ბედი ორჯერ დაუკავშირდა ერთსა და იმავე სახელმწიფოს. საუკუნის დასაწყისს ცარისტული რუსეთის შემადგენელ

ნაწილად „მიეგება“, ხოლო ორი ათწლეულის შემდგომ უკვე იმავე პოლიტიკური სუბიექტის ოდნავ სახეცვლილ მემკვიდრეს, ბოლშევიკურ რუსეთს „დაუკავშირდა“. ამ ეტაპზე არ გავაანალიზებ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დეტალებს. არც ამ ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვა და წინა საუკუნეში დაშვებული შეცდომების ანალიზია ჩემი მიზანი. მინდა ერთ ისეთ დეტალზე გავამახვილო ყურადღება, რომელიც წინა საუკუნის ორ რუსეთს (ცარისტულსა და ბოლშევიკურს) თვისობრივად აახლოებს ერთმანეთთან. ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური აპარატის მოქნილობასა და მასშტაბებს ვერც ერთი სხვა რეჟიმის შესაბამისი სამსახური ვერ გაუწევს კონკურენციას. სახელმწიფო პროპაგანდა ბევრი მიმართულებით მუშაობდა და არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ აბსოლუტური წარმატებით. ამ მიმართულების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ჭორების/მითების/ცილისწამების/არარსებული ამბების შეთხზვა და გავრცელება. მართალია, ეს მექანიზმი ძალიან ეფექტური იყო ცარისტულ რუსეთშიც, მაგრამ საბჭოთა ეპოქაში დაიხვეწა და განსაკუთრებულად განვითარდა. უცნაური ის არის, რომ საუკუნეების განმავლობაში გამოცდილი „ჭორების მანქანა/მანქანება“ აქტიურად განაგრძობს მუშაობას თანამედროვე საქართველოშიც: მოყოლებული ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდიდან დღემდე; მან თავისი „საპატიო მისია“ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე წლებში შესაშური წარმატებით შეასრულა. უამრავი ჭორი, მითი, გადაუმოწმებელი ინფორმაცია, ცილისწამება რაღაც სასწაულებრივი მექანიზმით თუ მანქანებით გამხდარა არნახულად დამაჯერებელი და ასევე, არნახული სისწრაფით გავრცელებულა. როგორც ისტორიკოსს, ამ მექანიზმის მუშაობის თავისებურებათა დადგენა და განსაზღვრა მიჭირს, მაგრამ მისი სავალალო შედეგები თვალში საცემია და არაერთხელ შემინიშნავს არამხოლოდ გასული ათწლეულების განმავლობაში, არამედ უახლოეს პერიოდშიც. ვერ ვიტყვი, რომ ესაა მთავარი მიზეზი ზოგადად ჩვენი შეჭირვების, მაგრამ სხვა მრავალთან ერთად, სწორედ შეთხზული ამბების/ვერსიების გავრცელების ეს საოცარი მანქანა მგონია ჩვენი ქვეყნის ზოგ საკითხებში წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი.

მარტო ილია ჭავჭავაძის მაგალითის მოხმობა და გახსენება რად ღირს; მისი სიცოცხლე ხომ რეალურად უამრავ ცილისწამებას აყოლილი ადამიანების ერთი მხრივ გულგრილობამ, ხოლო მეორე მხრივ, დაუნდობლობამ შეიწირა (სხვათა შორის, ჭორების გავრცელების ეს „საოცარი“ მეთოდი

კარგად აქვს გააზრებული და წარმოჩენილი ჭაბუა ამირეჯიბს „დათა თუთაშხიაში“; ყველაზე მეტად ამ რომანში სწორედ ამ პროცესის ასეთი ოსტატობით გადმოცემა მხიბლავს).

საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაში რთულია რაიმე ახლის თქმა, ან განსაკუთრებულის გამოყოფა და წარმოჩენა. ოფიციალური ჩარჩოების მიუხედავად, პირველი რესპუბლიკის წინარე და შემგომი ეტაპი რამდენიმე ათწლეულს მოიცავს. ამ პერიოდში ქვეყანა თავდადებული და ნიჭიერი ადამიანების სიმწირეს ნამდვილად არ უჩიოდა. მათგან ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით თუნდაც ათეულის დასახელება მარტივი არ არის. XIX-XX საუკუნეების მოღვაწეთაგან რჩეულთა ჩამონათვალი ჩემთვის დროდადრო იცვლება. რაღაც ეტაპზე ერთის როლი და დამსახურება მგონია გამორჩეული, და გარკვეული დროის შემდგომ - მეორის. თუცაღა, ეს „გადაფასება“ არავის დაკნინებას არ ისახავს მიზნად. ეს არის ერთგვარი ემოციური დამოკიდებულება, რომელიც ხან ერთის მიმართ მიმძაფრდება, ხან - მეორის. ამ ეტაპზე ჩემი რჩეული ორია, რომელთა მოღვაწეობის სხვადასხვა დეტალი განსაკუთრებით მიჩუყებს გულს.

კათალიკოსი ამბროსი ხელაია საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი ყველაზე რთულ პერიოდში, გასაბჭოებიდან სულ რამდენსამე თვეში გახდა. ეს იმ თითზე ჩამოსათვლელ შემთხვევათაგანი იყო, როცა შეიძლება ითქვას, ქვეყანას გაუმართლა. მასზე უკეთ ვერავინ შეძლებდა ეკისრა ის ისტორიული მისია, რაც ამბროსი ხელაიას ერგო წილად. მის ცხოვრებაში რამდენიმე ეტაპის გამოყოფა შეიძლება. ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო 1908 წელს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა, რომელშიც ის ეჭვმიტანილი აღმოჩნდა სხვა მღვდელმთავრებთან ერთად (მათ შორის იყო კირიონ საძაგლიშვილი, შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი). მართალია, სამი წლის შემდეგ მაშინ არქიმანდრიტი ამბროსი გაამართლეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მაინც აყოვნებდა. ამას ისიც დაერთო, რომ საქართველოში ჭორები გავრცელდა, ვითომ მას დიდი ქონება მოეპოვებინოს და თვითონ ეთქვას უარი დაბრუნებაზე. მისი წერილებიდან აშკარაა, როგორ ატკინა მას გული ამ ცილისწამებამ. ამ ფაქტიდანაც ნათელია, თუ რაოდენ „სასწაულმოქმედია“ ცილისწამებების შეთხზვა-გავრცელების ცარისტული მანქანა.

კათალიკოს ამბროსის მიმართვა გენუის კონფერენციისადმი („კულტურულ კაცობრიობას, გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს“, 07.11.1922

წ.) არაერთხელ წამიკითხავს. მიმაჩნია, რომ ამ პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტია უზუსტესი აქცენტებით და არსებული მდგომარეობის ძალიან კარგი ანალიზით. კათალიკოს ამბროსის იმ პერიოდისთვის საუკეთესო განათლება ჰქონდა მიღებული და საქართველოს ისტორიის დეტალებში საკმაოდ კარგად იყო გარკვეული. ამ ფონზე განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა რეჟიმს ის მიიჩნევს „ისეთ მძიმე და სამარცხვინო მონობის უღლად, რომლის მსგავსი მას [ქართველ ხალხს] არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში“ (ციტირებულია: ჟურნალი მნათობი, N9 (1989), გვ. 111-112). ამ მიმართვიდან ისიც იკვეთება, რომ მას ზუსტად ჰქონდა გააზრებული თავისი ისტორიული მისია: „რამდენათ ბედნიერად ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთად-ერთმა ნამდვილმა მოძღვარმა... რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება“ (სტილი დაცულია. იქვე, გვ. 112). სწორედ ამ მისიის გააზრების შედეგი იყო ის ფაქტი, რომ მაშინდელმა კათალიკოსმა კარგად უწყოდა, რომ მისი ეს მიმართვა კონკრეტულ შედეგს არ ან ვერ გამოიღებდა, თავად მას კი ბევრ თავსატეხს გაუჩენდა (მისი დაკითხვის ოქმებიდან იკვეთება, რომ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი ეს ტექსტი წაყენებული ბრალდების მთავარი ნაწილი იყო). ამის მიუხედავად, ამბროსი ხელაია მაინც არ გაექცა ამ კონკრეტულ ქმედებას (როგორც თვითონ ამბობს „მწყემსმთავრულ მოვალეობას“). თავისი მოთხოვნები კათალიკოსმა ამბროსიმ მხოლოდ საოკუპაციო ჯარების გაყვანით არ ამოწურა. მეორე პუნქტად მან მოითხოვა სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ისეთი ფორმების შემუშავების საშუალების მიცემა, რომელიც ქართველი ხალხის „ფსიქიკას, სულის კვეთებას, ზნეჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება“ (იქვე, გვ. 112). ის, რაც ჩემთვის კათალიკოს ამბროსის გამოარჩევს, არის ნებისმიერი სიტუაციის გააზრების უნარი, ყოველთვის რაღაცის გაუმჯობესების სურვილი და კონკრეტული ქმედება, თუნდაც ის განწირული იყოს მარცხისთვის. ამბროსი ხელაიასთან მიმართებაში გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ მისი ქუჩა, რამდენადაც ვიცი, თბილისში არ არსებობს. საერთოდ თუ არის საქართველოს რომელსამე რეგიონში, ამაზე ინფორმაცია არ მაქვს (შესაძლოა იყოს მარტვილში, სადაც ის დაიბადა; თუ არც იქ არის, ალბათ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ ეს ხარვეზი სასწრაფოდ არის გამოსასწორებელი).

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონტექსტში განსაკუთრებული როლი და ადგილი აქვთ პირველ მსოფლიო ომში მონაწილე და შემდგომ

უკვე სამშბლოში დაბრუნებულ გენერლებს. არცთუ მცირე იყო სხვა მაღალი რანგის სამხედროების რაოდენობაც. ძნელია რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება, ამიტომ ჩემი არჩევანის კრიტერიუმი ისტორიულთან ერთად, ამ შემთხვევაშიც, ემოციური იქნება. აჭარის დაბრუნება XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდ პოლიტიკურ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მისი შენარჩუნება უკვე გასაბჭოების პირობებში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ძნელი მისახვედრი არაა ჩემი რჩეულის ვინაობა. გიორგი მაზნიაშვილმა აჭარა ჯერ კიდევ დემოკრატიული რესპუბლიკის პირველსავე დღეებში შეუნარჩუნა საქართველოს (1918 წლის გაზაფხულზე ის ოსმალებმა დაიკავეს). მაზნიაშვილმა შეძლო რეგიონის ოსმალური სამხედრო შენაერთებისგან გაწმენდა. ასევე, დიდია მისი წვლილი აფხაზეთის შენარჩუნების საქმეში. მისადმი ოფიციალური მთავრობის დამოკიდებულება ყოველთვის არ იყო მადლიერებით გამსჭვალული. იგი არაერთხელ გამხდარა გაუგებრობის მსხვერპლი და სასამართლოშიც კი იყო მიცემული, მაგრამ ამ დეტალებზე აქ ყურადღების გამახვილებას არ ვაპირებ. 1921 წლის გაზაფხულზე, თბილისის წითელი არმიის მიერ აღებიდან ერთ თვეში, ოსმალებმა ისევ დაიკავეს ბათუმი. მაზნიაშვილმა ქართული ჯარის ნარჩენებით შეძლო ბათუმის და მთლიანად რეგიონის თურქებისგან გათავისუფლება და ის უკვე საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას გადასცა. ამ მოვლენების ანალიზს, ცხადია, აქ არ შევუდგები, მაგრამ აქ ორი რამ არის საგულისხმო: ერთი - ფსიქოლოგიური ფაქტორი და მეორე - კონკრეტული მოვლენის პოლიტიკური მნიშვნელობა. აბა, წარმოვიდგინოთ გასაბჭოების პირველი დღეები და დამარცხებული ქართული ჯარის განწყობა. ამის ფონზე, ალბათ, ძნელი გასააზრებელი არ უნდა იყოს მხედართმთავრის განუზომელი ნიჭი, შინაგანი შემართება და სულიერი სიმტკიცე, რომ ასეთი მორალურად განადგურებული ჯარისკაცებით შეძლო ბრძოლის მოგება. პოლიტიკურ ასპექტში მნიშვნელოვანია მაზნიაშვილის გადაწყვეტილება: აჭარა დარჩენილიყო თუმცა გასაბჭოებული, მაგრამ საქართველოს საზღვრებში და არ დაეშვა მისი ხელახლა მოქცევა თურქეთის შემადგენლობაში.

გასაბჭოების შემდგომ მთელ საქართველოში ისეთმა ტოტალურმა განუკითხაობამ და ძალადობამ დაისადგურა, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა რაიმე სახის ცვლილებები. თუმცაღა, ამ ფონზე 1924 წლის აჯანყება თავისი სპონტანურობით, არაორგანიზებულობით და კიდევ მრავალი ხარვეზით მაინც იყო მნიშვნელოვანი გზავნილი ყველასთვის:

ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო დამთავრებული! ის (ქართული ეროვნული ცნობიერება) მაინც „ბრუნავდა“.

შემდგომი ათწლეულებისთვის თვალის გადავლება განსაკუთრებული ოპტიმიზმის შესაძლებლობას უკვე აღარ იძლევა. საქართველო გადაეშვა სამჭოური მითების მორევში და დამოუკიდებლობის იდეა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის გულსა და გონებაში თუ ბედავდა ბუნებასა და არსებობისთვის ბრძოლას. დაგროვებულმა პროტესტმა 1956 წელს ამოხეთქა, მაგრამ საბაბი იყო დამოუკიდებლობის იდეასთან სრულიად შეუსაბამო. სამოციან წლებში უცნაური სიჩუმეა ჩამოწოლილი. ეს იმ ფონზე, როცა აღმოსავლეთ ევროპაში გამოღვიძების სერიოზული ნიშნები ცხადზე უცხადესია და ქართული „დუმილი“ განსაკუთრებით გულდასაწყვეტია. ამას მოჰყვა ჰელსინკის 1975 წლის დეკლარაცია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ეროვნული თვითშეგნების განვითარების თვალსაზრისით. ჩემი მოკრძალებული აზრით, ჰელსინკის ამ დოკუმენტმა რეალურად ბიძგი მისცა საქართველოში დამოუკიდიბლობის იდეის ისეთ დონეზე „ამოტივტივებას“, რომლის მსგავსი ამ ქვეყანას 1924 წლის შემდეგ აღარ ახსოვდა.

ოთხმოციანი წლების მნიშვნელოვანი მოვლენების თუნდაც ქვესათაურებად ჩამოყალიბებას ერთი ესე ნამდვილად არ ეყოფა. ჩემთვის ეს პერიოდი იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ განსაკუთრებით 1988 წლის ნოემბრის შიმშილობის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ სრულწლოვნებამდე ბევრი მაკლდა, აქტიურად ვახერხებდი სხვადასხვა მოვლენებში მონაწილეობის მიღებას. ვწერდი დღიურებს და ბევრი დეტალი საკმაოდ კარგად მახსოვს. პირადად დავესწარი მერაბ კოსტავას გამოსვლას სტადიონ შევარდენში (საავიაციო ქარხანასთან) 1988 წელს. ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი მოგონებაა, რომლის გააზრებას მძაფრი ემოციის გარეშე ვერასდროს ვახერხებ.

რამდენჯერმე ვიყავი მერაბ კოსტავას სამძიმარზე და ძალიან დეტალურად შემიძლია გავიხსენო მისი ორმოცი: ფეხით მსვლელობა მთაწმინდის პანთეონისკენ. ასევე, კარგად მახსოვს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები და მანამდე განვითარებული მოვლენები; 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს მთავრობის სახლთან განცდილ ემოციას, ალბათ, როდესმე ერთ ცალკე ესეს მივუძღვნი. შემდგომ განვითარებულ მოვლენებს აღარ ჩამოვთვლი.

ამასობაში სკოლაც დავამთავრე და ივანე ჯავახიშილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ჩავაბარე. არც დღიურების წერა შემიწყვეტია და არც განვითარებული მოვლენებისთვის თვალ-ყურის დევნება და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მათში მონაწილეობის მიღებაც. რამდენი ტრაგედია, გასაჭირი, შეჭირვება, მარცხი, იმედგაცრუება, სასოწარკვეთა, დამცირება და კიდევ ვინ მოთვლის ყველა იმ უბედურებას, რაც იმ პერიოდიდან გადაგვხდა ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე. ერთადერთი კითხვა, რომელიც მთელი ამ განვლილი ათწლეულების განმავლობაში „აწვალებს“, აფიქრებს და აფორიაქებს ქართველ საზოგადოებას, ასე ჟღერს: გვეშველება რამე? (კითხვის ერთგვარი ვარიაციაა: როდის გვეშველება? ან ვინ გვიშველის?). დროდადრო ამ კითხვაზე არცთუ დამაიმედებელი, მაგრამ ერთობ კატეგორიული პასუხი ჟღერს: არაფერიც არ გვეშველება! კითხვა, ცხადია, არასწორად არის დასმული და მასზე პასუხის გაცემაც ადვილი არაა, მაგრამ ამ ეტაპზე კითხვის მართებულობას არ განვსჯი. კითხვაზე პასუხი ცალსახად არსებობს და სხვათა შორის, ლამის ორი საუკუნის წინაა მიგნებული. განათლება არის ნებისმიერი სახელმწიფოს ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი საყრდენი და ასაშენებელი „მასალა“. შემთხვევითი არ არის, რომ ერთადერთი იდეა, რომლის ირგვლივაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაერთიანდა აბსოლუტურად ყველა ქართველი, სწორედ განათლების აუცილებლობაზე შეთანხმება იყო (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ვგულისხმობ). ამ იდეამ გააერთიანა დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, მდიდარი თუ ღარიბი, პროგრესულად მოაზროვნე თუ კონსერვატორი, პოლიტიკური მოსაზრებებისა თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, ეს იყო ყველას მიერ მოწონებული და მხარდაჭერილი საქმე. თავად ეს საზოგადოება დღემდე იძლევა იმის იმედს, რომ იდეის ირგვლივ გაერთიანება შესაძლებელია და თან ამ იდეის პრაქტიკული შედეგები და სარგებელი ძალიან მოკლე ხანში შეიძლება გახდეს თვალსაჩინო. შემთხვევითი არც ის არის, რომ მცირეხნიანი არსებობის მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ განსაკუთრებული წარმატებით სწორედ განათლების რეფორმა განახორციელა და სახალხო განათლების სისტემის მოწყობას ენერგია არ მოაკლო, რისი შედეგიც იყო ათასზე მეტი ახალი სკოლა, მთლიანად გაქართულებული სახელმძღვანელოები და საზღვარგარეთ გაგზავნილი ასზე მეტი ახალგაზრდა.

განათლების აუცილებლობასა და მნიშნელობაზე არაერთი ციტატის მოხმობა შეიძლება თუნდაც ილიას შემოქმედებიდან (შორს რომ არ წა-

ვიდეთ), მაგრამ ესე მინდა ისეთი ადამიანის სიტყვებით დავასრულო, რომლის ღვაწლი თავის თანამედროვეთაგან დაფასებული იყო, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მას დღეს მკითხველთა ფართო წრე ჰყავს. ეს არის იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე (1825-1896). აი, ნაწყვეტი მისი ერთი ქადაგებიდან: ქრისტე შენგან ანუ მორწმუნისგან ითხოვს „სწავლასა, განათლებასა ჭკუისასა ანუ აზრისასა და მერმე გიბრძანებს შრომასა, მუშაობასა... მაცხოვარი მოითხოვს შენგან სწავლასა, ჭკუის განათლებასა. კიდევ გაგიმეორებ, თუ ჭკუა არ გაანათლე, ვერ დააფასებ მაცხოვრის სწავლასა. მაშასადამე, ეცადე, ძმაო, რაც შეგიძლია გაანათლო სული შენი სწავლითა. პირველი და საღმრთო მოვალეობა კაცისა ის არის, რომ ჭკუა და გონება განათლებული ჰქონდეს სწავლითა. უსაშინლესი მტერი კაცისა, მისი დამღუპველი და წამხდენი არის უმეცრება და უსწავლელობა. ეს ჩვენი ქვეყანა იღუპება უმეცრებითა და უსწავლელობითა. ნახევარი, ნახევარზე მეტიც, რაც მოხდება ამ ჩვენს ქვეყანაში ბოროტი საქმე, ჩხუბი, კაცის კვლა, ქურდობა, სიცრუე, ფიცის-გატეხა წარმომდინარეობს უსწავლელობისგან. უმეცარსა და უჭკუოსა კაცსა არასოდეს არ შეუძლია ქრისტეს-თანა ყოფნა“ (გაბრიელ ქიქოძე, იმერეთის ეპისკოპოსი, ქადაგებანი, ტ. 1, ქუთაისი, 1913, გვ. 456, „მოძღვრება, ვინ არს იესო ქრისტეს მტერი და მოყვარე“ (სტილი დაცულია).

რადგან გაბრიელ ეპისკოპოსი სხვა ქადაგებებში განათლებასთან ერთად შრომის აუცილებლობაზეც ამახვილებს ყურადღებას, აქვე მოვიყვან მის საგულისხმო შეგონებას: „ხორციელსაცა და სულიერსაცა წარმატებასა და ბედნიერებასა აქვთ ერთი და იგივე საფუძველი - შეურყეველი მხნეობა და დაუძინებელი შრომა სულიერი და ხორციელი. შეიძინე ესენი თუ გსურს ბედნიერება. ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, განამტკიცე ჩვენს გულში ეს მხნეობა, განაღვიძე ჩვენს შორის შრომის მოყვარება, გვყავ სულიერადაც და ხორციელადაც წარმატებულნი და გაბედნიერებულნი“ (გაბრიელ ქიქოძე, ქადაგებანი, ტ. 1, ქუთაისი, 1913, გვ. 454, „მოკლე მოძღვრება ბედნიერებასა ზედა“).

ეკა ჭყოიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მავთულხლართებით შემოღობილი ეროვნული დღესასწაული

26 მაისი ჩემს ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულია - დამოუკიდებლობის დღე, რომელსაც ჩრდილავს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის შემდეგ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია. საოკუპაციო მავთულხლართები აქეთ-აქეთ მოიწევს, რუსული მცოცავი ოკუპაცია თავის შავ საქმეებს აღასრულებს, მაგრამ ვერ კლავს ჩვენს თავისუფლებისმოყვარე ჟინს. ძილშიც გვახსოვს, რომ 1918 წლის 26 მაისს აღსრულდა ქართველის ოცნება - საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. ჩვენმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ სამი წლით ამოისუნთქა, არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ, არსებობა შეწყვიტა, რაც კოლაუ ნადირაძემ შთამბეჭდავად გადმოსძახა თაობებს ლექსით „25 თებერვალი“:

„სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი,-
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!“

ლექსი 1969 წელს დაიწერა / tinfo.ge/2016/02/შემოდიოდა-სიკვდილი-ცელი/ „ცისფერყანწელის” კალმით, დაიწერა საბჭოთა საქართველოში, „გაშლილი სოციალისტური მშენებლობის” დროს და ასე მოხერხებულად გამოექცა საბჭოურ ცენზურას, რაც ცალკე გაკვირვებად ღირს. თურმე, „ამერიკის ხმამ“ გადმოსცა ეს ლექსი და მას შემდეგ საყოველთაოდ ცნობილი გახდა საბჭოური ცენზურის სიბრმავე.

საბჭოთა სკოლებში სახელმძღვანელოში იყო შეტანილი ეს ლექსი და დაწყებითი კლასებიდანვე ასე წამლავდნენ ბავშვებს:

„ოცდახუთი თებერვალი გათენდება ხვალ,
თებერვალო, საქართველოს გაზაფხული ხარ!..“

ქართველობამ დამოუკიდებლობის აღდგენა მხოლოდ 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო. 2008 წლიდან საქართველოს სუვერენიტეტს კვლავ ჩრდილი ეფინება. რუსეთი საერთაშორისო პრინციპებს ხელყოფს, ჩვენს ორ რეგიონს სათავისოდ შემოღობავს და სუნთქვას აძნელებს.

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,

მკვდარსაც კი გაეცინება,“- ეს სიტყვები მაშინ იწერება /1904 წ./, როდესაც სამშობლო უკვე წართმეულია, მაგრამ ვაჟამ იცოდა, რომ ერის გულში ცოცხლობდა და ლავასავით თუხთუხებდა ნება თავისუფლებისა და სანამ ეს მაგიური ძალა არსებობდა, ქვეყანა ჯერ კიდევ არ ჩაითვლებოდა წართმეულად.

ჩრდილო მეზობელი, რომელიც ბედისწერად ექცა საქართველოს, ვერა და ვერ ივიწყებს იმპერიულ ზრახვებს. თანაბრობის პრინციპი მიუღწეველი ფუფუნებაა მისთვის, უფროსის, ხელმღვანლის, გზის მიმთითებლის, დიქტატორის როლია ბუნებრივი.

„ჯერსაქართველო!“- რომ დავწეროთ ეს კომპოზიტი, როგორ გაიგებს მკითხველი?.. ჯერ ქვეყნის ინტერესები და შემდეგ - ჩვენი, ჯერ ქვეყანას რაც მოუხდება და შემდეგ - ჩვენ. თუ სულ სხვა თვალსაზრისია ამ კომპოზიტში? იქნება იმას გვეუბნებოდეს ეგ სიტყვა, რომ ჯერაც ისევ საქართველოა ჩვენი ქვეყანა! თუ ასე გაგრძელდა მცოცავი ოკუპაცია და ლუკმა-ლუკმა წაგვართვეს წინაპრების მიერ საბედისწეროდ დასისხლული მიწა, მისხალ-მისხალ წაგვგვარეს მამა-პაპათა მიერ ნაბრძოლ-შენარჩუნებული მიწა-წყალი, რაღა დარჩება საქართველოსგან? .. ჯერჯერობით კია საქართველო, მაგრამ თუ ასე გაგრძელდება მცოცავი ოკუპაციით საზღვრების შევიწროება, სულ მალე სად იქნება საქართველო?.. ხომ დაილევა, აორთქლდება ჩვენი ქვეყანა და ამაოდ დავუწყებთ ძებნას რუკაზე თუ გეოგრაფიულ ატლასებში?..

ჯერსაქართველო!- თუ დავიჩემებთ მტკიცედ და ურყევად, ხომ არასოდეს არ დავდგებით ყოფნა-არყოფნის საშიშროების წინაშე და შიშით არ ამოხანძარდება ბაგეთაგან სულაც საპირისპირო მნიშვნელობით ნათქვამი „ჯერსაქართველო!“ ანუ არ დავდგებით გაქრობის საშიშროების წინაშე და არ მოგვეჩვენება, რომ, თუმცა, ჯერაც კიდევ საქართველოა ჩვენი სამემკვიდრო, შეიძლება სულ მალე არც იყოს!..

ევროპული არჩევანი ჩემმა ქვეყანამ მაშინ განამტკიცა, როდესაც სიკვიდილით დასჯა გააუქმა, მაგრამ განა უფრო ადრინდელი მონაცემებიც არა გვაქვს ჩვენი ევროპელობის დასტურად? ხომ სიმართლეა, რომ პირველი ევროპელების თავის ქალები დმანისში აღმოაჩინეს? გამოდის, ჩვენს ევროპულ ორიენტაციას უშორეს წარსულში აქვს ფესვები. ჩვენს წელთაღრიცხვამდე იმპერატორმა ანტონიუსმა, თურმე, ფარსმან ქველი დიდი პატივით მიიღო, უმასპინძლა და მისი ბიუსტი რომის ცენტრში დადგა, როგორც იბერიელთა სიძლიერის სიმბოლო. ეს ინფორმაცია ინტერნეტში ხეტიალის დროს შემომეფეთა. სულხან-საბას მიზანიც ხომ ევროპული ურთიერთობების გამყარება გახლდათ?

დღეს საით მიდის საქართველო? ენერგეტიკული რესურსით რუსეთზე ხომ არა ვართ დამოკიდებული? ჩვენი ელექტროენერგია გვაქვს. გაზის ძირითადი მომწოდებელი მოძმე აზერბაიჯანია. ასე რომ, დღეს ევროინტეგრაციას ჩვენთან მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უჭერს მხარს. ნინო ბურჯანაძის პრორუსული პარტია ევროპულ ორიენტაციას ვერ უქმნის საფრთხეს. პრორუსულმა ძალებმა მხოლოდ ათპროცენტიანი მაჩვენებლით გამოიარეს ბოლო არჩევნები, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ჩრდილო მეზობელი საიმედო პოლიტიკურ პარტნიორად აღარ განიხილება.

კიდევ რა ბარიერი არსებობს? ეკლესია არ არის ერთსულოვანი ამ თემასთან დაკავშირებით. საპატრიარქოს ოფიციალური პოზიცია კარგად არის გამოკვეთილი და იგი არ ეწინააღმდეგება ევროპულ გეზს, მაგრამ სასულიერო სფეროს ნაწილი მხარს არ უჭერს ევროპასთან ინტეგრაციას და ჯოჯოხეთის უბედურებად წარმოუდგენია ევროპული მიმართულებით სვლა.

რა არის ის ღირებულებები, რომლებიც შეიძლება გვხიბლავდეს ევროპულ სინამდვილეში? სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება უპირველესი ევროპული ღირებულებაა. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ევროპული კულტურის განუყოფელი ნიშანია. დემოკრატიულ ატმოსფეროში მაღალი შეგნების თავისუფალ მოქალაქეს შეუძლია ხელისუფლებას დანაშაულებრივი გადაცდომების საშუალება არ მისცეს.

რატომ ვითხოვთ ვიზალიბერალიზაციას? იმიტომ, რომ შესაძლებლობა გვქონდეს ვიმგზავროთ ევროპის ქვეყნებში, ჩვენი თვალით ვნახოთ იქაური სინამდვილე, ვიგრძნოთ იქაური ცხოვრების წესი, ვნახოთ თანამედროვე ქალაქები, დამშვენებულები მწვანე საფარითა და გამორჩეულები საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგებული მოძრაობით, შურის თვალი

გავაყოლოთ თავიანთ ზოლებში მოძრავ ველოსიპედისტებს, საკუთარ თავზე გამოვცადოთ, რამხელა ბედნიერებაა ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტი, გავიცნოთ, ცოტა არ იყოს, სხვა მენტალობის ადამიანები... ევროპელობა პრინციპებისა და ფასეულობების ერთობლიობაა, რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, თანასწორობაზე. თუ ჩვენ გვსურს დემოკრატია, ადამიანთა უფლებებზე აგებული სახელმწიფო სისტემა, ეს არის ის მაღალი ღირებულება, რომელსაც მოჰყვება კეთილდღეობა. ჩვენში რაც უფრო მალე მორჩება საუბრები საბჭოთა კავშირის ხელახლა აღდგენის შესაძლებლობებზე, მით უკეთესი ჩვენი ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანისათვის.

ჩვენი სულიერი კულტურა თავისი ბუნებით ევროპული ყაიდისაა. ამის დასტურად მართებულია რუსთველის „ვეფხისტყაოსნისა“ და ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალის“ შედარება. ამას წინათ მოვისმინე მწერალ რატი ამაღლობელის საუბარი ამ ორ ნაწარმოებზე კომპარატივისტულ განასერში. იმავე ეპოქაში შეიქმნა გერმანიაში ეშენბახის ნაწარმოები, რა დროებაშიც დაიწერა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. მართებულად მიმაჩნია რატი ამაღლობელის თვალთახედვა იმის შესახებ, რომ გრაალის რაინდთა ერთობა ახალი სიბრძნის, სამყაროს ახლებური აღქმის შემოტანაა ევროპაში და ეს დაკავშირებულია ქრისტიანობასთან. ქრისტიანული თვალთახედვა – ეს ევროპული იდენტობის დადასტურებაა. მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გზაზე დადგომის მოვლენას, გზის არჩევის ფაქტს და ეს მიაჩნია ინიციაციის გამოხატულებად. მისივე თვალთახედვით, ნადირობა - ეს შინაგანი სპირიტუალური შემეცნების აქტია. ამ ასპექტებით ეს ორი ნაწარმოები ენათესავება ერთიმეორეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს „ვეფხისტყაოსანში“ ისევეა ევროპული სული, როგორც ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“.

ევროპა ცივილიზაციის აღიარებული კერაა და ჩვენი ევროპული არჩევანიც უალტერნატივოა.

ადამიანი დემოკრატიულ საზოგადოებაში უმაღლესი ღირებულებაა. სახელმწიფო მთელი თავისი სტრუქტურებით ემსახურება მას და არა პირიქით, პიროვნება - სახელმწიფოს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითოეული მოქალაქე არ ზრუნავდეს თავის ქვეყანაზე. ყოველგვარი სახელისუფლებო ზრუნვის საგანი არის პიროვნება, ადამიანი. საქართველო არის ის ქვეყანა, რომლისთვის უპირველესი სწორედ ევროპული ღირებულებების აღიარებაა.

თითოეული სუბიექტი განუმეორებელი ინდივიდუალობაა, რაც ჩათვლილია ევროპულ ფასეულობად.

დღეს ჩვენი სამართალი ევროპეიზაციის რადიუსით იმართება. ეს უდიდესი გამოწვევაა ქვეყნისთვის. ჩვენს ქვეყანაში ყალიბდება ახალი სამართლებრივი კულტურა. საქართველო თანამშრომლობს ევროპულ ქვეყნებთან, მათ უპირველეს მკვლევარ-მეცნიერებთან. ქართული სამართალი რეფორმირდება გერმანული სამართლის კვალდაკვალ. ეს განსაკუთრებით აისახა კერძო სამართალზე.

პიროვნება, ინდივიდი ქართული სამართლის ცენტრში მოექცა. პიროვნება ინდივიდუალური ნიშნებისა და თვისებების უნიკალური სინთეზია. ეს მახასიათებლები ქმნის სწორედ განსაკუთრებულ იერსახეს, სულიერ წყობას, ფსიქოლოგიურ აღნაგობას, განუმეორებელ ფსიქოტიპს. პიროვნებად ყოფნა - ეს არის თავისუფალი ნების გამოვლენა და ეს თავისუფლება პასუხისმგებლობასაც მოიცავს. თითოეული პიროვნება, იმავდროულად, თვითმყოფადობაა. სწორედ ასეთი მაღალი ზნეობის ადამიანებისგან უნდა შედგებოდეს სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც განიხილება, როგორც ევროპული სახელმწიფოს კვაკუთხედი.

თითოეული ადამიანი თანასწორია. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპულ ატმოსფეროში არც ერთი მაღალი შეგნების ადამიანი არ მოიწადინებს დაუმსახურებლად დაწინაურებას რომელიმე სფეროში და რომც ისურვოს, სტრუქტურული ბარიერები შეხვდება იმგვარი, რომ მისი უნიადაგო ზრახვები ვერ განხორციელდება. ჩვენს ქვეყანას კარგა მანძილი აქვს გასავლელი იქამდე, რომ ძირფესვიანად აღმოფხვრას ნეპოტიზმისა და ანგარების მავნე ჩვევები.

ჩვენს ქვეყანას ევროპული თანამეგობრობის დიდი მხარდაჭერა აქვს. ეს იმის გარანტიას იძლევა, რომ რუსეთი თავის იმპერიულ ზრახვებს მოთოკავს და თვითონაც შეეცდება, შეუერთდეს ევროპულ სივრცეს. სხვა პერსპექტივა, არა მგონია, სერიოზული ქვეყნის წინაშე არსებობდეს.

ჩემი შვილი სამი წლის განმავლობაში სწავლობდა გერმანიაში და მიიღო მოწინავე განათლება ეკონომიკის სფეროში. ეს სულაც არ არის გამონაკლისი შემთხვევა. დღეს საქართველოში ყოველი მეორე ოჯახიდან ახალგაზრდა ჩართულია გაცვლით პროგრამებში და ღებულობს ევროპულ განათლებას. მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ პრაქტიკული უნარების დეფიციტს განიცდიდა ევროპაში სწავლის დროს. ეს გარემოება ახალი გამოწვევების

წინაშე ამყოფებს ჩვენს განათლების სისტემას. საჭიროა სწავლება ისე წარიმართოს, რომ თეორიული ცოდნა არ მოსწყდეს პრაქტიკას და არ აღმოჩნდეს, რომ ახალგაზრდას უსარგებლო ცოდნა მიუღია, რომელსაც ცხოვრებაში ვერ იყენებს.

მთელი ეს ხარვეზებით სავსე ყოფა ევროპასთან კონტაქტმა დაგვანახა. რასაკვირველია, ჩვენს ქვეყანას აქვს პოტენცია, მიიღოს მოწინავე გამოცდილება და გარდაქმნას მუშაობა მთელ რიგ სფეროებში. ვოცნებობ ისეთ ვითარებაზე, როდესაც ქართველი ექიმი წავა უცხოეთში და მის დიპლომს აღიარებენ ნებისმიერი ქალაქის ცნობილ კლინიკაში; როდესაც ქართველი პედაგოგი წავა საზღვარგარეთ და თავისი პროფესიით დაკავდება იქაურ სკოლაში... მინდა, რომ კანონზომიერ მოვლენად იქცეს ასეთი რამ, თორემ ცალკეული გამონაკლისები ხომ ვიცით, რომ დღესაც არსებობენ. მაგალითად, ბერლინში ონკოლოგიურ კლინიკაში მთავარ ექიმად მუშაობს ქართველი ქირურგი პაატა სარია და საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს, მაგრამ ამგვარი ერთეული შემთხვევები საერთო ამინდს ვერ ქმნის.

ჩემი ქალაქიდან პარიზში გაემგზავრა ახალგაზრდა შემოქმედი ზაალ ჯალაღონია. მას ბეხტერევის ავადმყოფობა სჭირს და აქ ვერანაირი თანხა ვერ მოინახა მის სამკურნალოდ. ავადმყოფობა პროგრესირებდა, ზაალიც პარიზში ჩაფრინდა, თავშესაფარი ითხოვა და მეორე დღესვე მიიღო კვების ტალონი, ექიმთან სავიზიტო ბარათი... იმედი გვაქვს, რომ მკურნალობა სათანადოდ წარიმართება და ავადმყოფობაც შედგება, შეჩერდება მტანჯველი ტკივილები.

ევროინტეგრაციის სასიკეთოდ ბევრი რამ შეიძლება ითქვას და ეგ საკამათო თემად არც ითვლება.

ევროპა არის კანონის უზენაესობა. მისი უდიდებულესობა კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

ევროპა ხარისხიანი განათლებაა და მისწრაფება ნამდვილი ცოდნისაკენ.

ვერ წარმომიდგენია, რომ იქ ადამიანმა სცადოს იოლად გავიდეს ფონს და უცოდინრად აიღოს დიპლომი. უვიცი, ალბათ, იქ დიპლომს ვერ ეღირსება და თუ ეღირსა, რაში გამოიყენებს?..

შეიძლება უღარიბეს უბნებში გაიზარდოს ახალგაზრდა, მაგრამ თუ ნიჭიერია, ეძლევა შესაძლებლობა, სრულად გამოავლინოს თავისი მონაცემები და დაიკავოს კუთვნილი ადგილი საზოგადოებაში.

რამდენი რამ უნდა ვისწავლოთ ევროპისაგან!..

ჩვენი დამოუკიდებლობის 100 წელი – ეს არის ახლებურად გაცნობიერება ევროპული გამოწვევებისა.

ღმერთო, ნუ ამყოფებ ჩემს ქვეყანას გემდამსხვრეული მეზღვაურის როლში!..

ის მოდის ევროპულ თანამეგობრობაში თავისი „ვეფხისტყაოსნითა“ და „ჩაკრულოთი,“ სვეტიცხოვლითა და გელათით, უნატიფესი ქართული ცეკვითა და გალაკტიონის პოეზიით..

აქვს საქართველოს ის განუმეორებელი ინდივიდუალობა, რითაც ევროპა დააფასებს მას. ეს არის მისი სული, ათასწლეულთა ლაბირინთებში სასწაულებრივად გამოღწეული და დღევანდლამდე შეუმღვრევლად მოსული, სული კამკამა, კელაპტრად ქცეული, გადანაწილებული ამდენ თანამედროვე ქართველში.

შეუძლებელია ევროპამ ვერ იგრძნოს ჩემი ხალხის, ჩემი ერის ენტელექია!..შეუძლებელია, კარები არ გაუღოს მას და გულში არ ჩაიკრას ამდენი ხნის ნატანჯი და ნაწვალები!..

...და ნუთუ პათეტიკაში ჩამეთვლება, თუ ჩემს ქვეყანას ასე მივმართავ:

საქართველოვ, ევროპის ჭერქვეშ, უკეთესი მომავლისაკენ!..

ზეინაბ სარია

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

დემოკრატიზაციის პროცესი კანონშემოქმედებით პრიზმაში:
Rule of Law vs. Rule by Law

დემოკრატიული ტრანსფორმაციის სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია კანონშემოქმედებითი პროცესის მწყობრი ინსტიტუციონალური სისტემის ჩამოყალიბება. ძლიერი საკანონმდებლო ხელისუფლების ფორმირება გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცევს აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესებს, მათ გეგმაზომიერ განვითარებას, საზოგადოების მხრიდან პროცესების რეგულირებისა და ობიექტური კონტროლის განხორციელებას. სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხის განსაზღვრისას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს/ინდიკატორს წარმოადგენს ქვეყნის კანონშემოქმედებითი პროცესის ანალიზი: რამდენად ემსახურება კანონშემოქმედებითი პროცესი საყოველთაო კეთილდღეობის ინტერესს, რამდენად ითვალისწინებს კანონშემოქმედებითი პროცესი „ქვემოდან დემოკრატიას“ (პირდაპირი თუ ირიბი გზით), რამდენად ემყარება „Rule of Law”-ს და არა “Rule by Law” -ს პრინციპებს.

კანონშემოქმედებითი პროცესი პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოებრივ კულტურას, აზროვნებას, რადგან კანონთან დამოკიდებულება და მისი გააზრება ნიშნავს სახელმწიფოს გააზრებას. საქართველოში ისტორიულად ამ მხრივ განსხვავებული სიტუაცია იყო. 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს პირველი პარლამენტი თითქმის ყველა კანონპროექტს აქვეყნებდა, თუმცა მეორე საკითხია, რამდენად ხდებოდა ეს საჯარო მსჯელობის საგანი. ეს პროცედურა მეტ-ნაკლებად დაცული იყო იქიდან გამომდინარე თუ რა მნიშვნელობის იყო თვითონ კანონი, მაგრამ ფაქტია, რომ კანონპროექტები ქვეყნდებოდა პრესაში, იყო განხილვები ტელევიზიაში. გადატრიალების შემდგომ პერიოდში - სამხედრო საბჭოს მმართველობის დროს ქვეყნდებოდა მიღებული დეკრეტები. შევარდნაძის პერიოდში ეს ტრადიცია ნელ-ნელა იკარგება და პრაქტიკულად განსახილველად აღარაფერი გამოდის, ანუ არც პრესაში იბეჭდება პროექტები, რაც შეეხება „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდს აქ საჯაროობის საკითხი ისევ დადგა.

ბოლო ხანებში ნაკლებად მიმდინარეობდა კანონების განხილვა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ხელისუფლებისგან იყო ზეწოლა მოკლე ხანში დიდი რაოდენობით კანონების მიღების. ეს რა თქმა უნდა ამცირებს განხილვის ხარისხს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემაა. პირველი საკონსტიტუციო ცვლილებები როდესაც მიიღეს, მას პრაქტიკულად არ ახლდა განხილვები. ხელისუფლება დაეყრდნო იმას, რომ ეს ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს იყო გამოტანილი განსახილველად. მართალია ამასთან დაკავშირებით ექსპერტებს განსხვავებული შეხედულებების ჰქონდათ, ცვლილებები მაინც მიიღეს. მეორე მხრივ დამკვიდრდა სხვა ქვეყნების კანონმდებლობის საქართველოს საკანონმდებლო სივრცისათვის მორგების ტრადიცია. ეს ხდება ადგილობრივი ფაქტორების, არსებული ვითარების სერიოზული შესწავლის გარეშე. ამასობაში ხდებოდა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებიდან ამოგლეჯა კანონების, დებულებების (ჩვენ გვაქვს გერმანული სამოქალაქო სამართალი, გვაქვს სახელმწიფოს მოწყობის პრინციპები ამერიკიდან გადმოტანილი), ეს ყველაფერი მთლიანობაში კარგად არ იყო შეთანხმებული.

საქართველოს შემთხვევაში ძალიან ბევრი დარღვევაა თვითონ პროცედურაში. ფორმალურად ყველა კომპონენტი არსებობს, ანუ საქართველოში არ არის პრინციპულად განსხვავებული ვითარება. შეიძლება ითქვას, რომ ხარისხობრივი განსხვავებაა საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებულ აქტივობაში და საზოგადოების აქტივობა უფრო მცირეა. საკანონმდებლო ინიციატივა უფრო ხშირად მოდიოდა ხელისუფლებისგან. კანონი არ გადის განსჯის და დისკუსიის იმ ეტაპს, რომელსაც ჯანსაღი ოპოზიცია წარმოშობს. ამის გამო შეიძლება ითქვას, რომ კანონი უკვე ხარვეზიანია. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ პარლამენტარების დიდი ნაწილის კვალიფიკაცია არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კანონები სათანადოდ იყოს განხილული.

ოპოზიცია სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. იდეალურ შემთხვევაში ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ოპონირებას უწევს ხელისუფლებას. თუ არ იქნება ეს დაპირისპირება, ხელისუფლება მოდუნდება. პოზიცია და ოპოზიცია არის ერთი სისტემის ორი ნაწილი, ამიტომ დემოკრატიის ერთ-ერთი საზომი პარამეტრი ოპოზიციის სიძლიერეა. საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იყო ოპოზიცია ძალიან სუსტი, როგორც საპარლამენტო, ისე პარლამენტს გარეთა.

ამდენად მას სახელმწიფოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ზეგავლენის მოხდენის საშუალება არ ჰქონდა.

გლობალიზაციის პროცესი დიდ გავლენას ახდენს ახალ ურთიერთობათა ნორმების დამკვიდრებაზე საქართველოში. გლობალიზაციას თან ახლავს საერთაშორისო სამართლის სისტემების გაჩენა, უფრო სწორად სისტემები ზემოქმედებენ სახელმწიფოს შიდა პროცესებზე და კანონმდებლობაზე. იცვლება განწყობა კანონისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციები რიგ შემთხვევებში აჩქარებენ ამ ცვლილებებს ისე, რომ არ ითვალისწინებენ რეალურად ადგილობრივ ვითარებას და, შესაბამისად, მექანიზმები, რომლითაც ეს ცვლილებები უნდა განხორციელდეს, არაეფექტურია. ნაკლებად არის გათვალისწინებული ის, რომ კანონმდებლობაში ბევრად უფრო ადვილია ცვლილებების შეტანა, ვიდრე მათი პრაქტიკაში დანერგვა. რეალობის გათვალისწინების მოთხოვნაში კანონშემოქმედებით პროცესში იგულისხმება ის, რომ კანონის მიღებას თან უნდა სდევდეს გარკვეული სახელმწიფოებრივი პროგრამა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ცვლილებები მენტალიტეტში, რომელიც მისცემს კანონს ფუნქციონირების საშუალებას. დემოკრატიული კანონშემოქმედებითი პროცესის განხორციელების მექანიზმები, კანონშემოქმედება დემოკრატიულ სისტემაში მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ კანონშემოქმედებისგან, რომელიც ზოგადად არსებობდა კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ეს გამომდინარეობს პირველ რიგში კანონის არსის გაანალიზებიდან, გააზრებიდან მოცემულ საზოგადოებაში. ლიბერალური დემოკრატია კანონს განიხილავს, როგორც ინდივიდის, ადამიანის, მოქალაქის, პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების მექანიზმს, გარანტს, დამცავ საშუალებას, დამცავს როგორც სხვა ინდივიდების არამართლზომიერი ჩარევისაგან და განსაკუთრებით სახელმწიფოს არასასურველი ჩარევისაგან. არადემოკრატიულ რეჟიმებში, არადემოკრატიულ საზოგადოებებში კანონის გაგება სრულიად სხვაგვარია. იქ კანონი არის მართვის ინსტრუმენტი ანუ ძალაუფლების მპყრობელი სუვერენის ხელში მიზნების მიღწევის საშუალება, ანუ სახელმწიფოს ხელში იარაღია ინდივიდის წინააღმდეგ.

დემოკრატიული საზოგადება არის კანონმორჩილი საზოგადოება, მაგრამ არა იმ გაგებით, რომ კანონისადმი არის დაქვემდებარებული დამოკიდებულება, ანუ კანონი აღიარებულია და გაფეტიშებულია, ბოძებულია

ვიღაცის მიერ, არამედ დემოკრატიულ საზოგადოებაში არის მუდმივი ჯანყი კანონის წინააღმდეგ, კონკრეტული ქცევის წესი, დადგენილი სახელმწიფოს მიერ, არის მუდმივი კრიტიკის ობიექტი. რაც არ უნდა კარგი იყოს კანონი და საზოგადოებას ის მოსწონდეს, იმ წუთიდან, რა წუთიდანაც მოცემული ნორმა კანონად იქცევა, საზოგადოება ერთის მხრივ ემორჩილება მას უპირობოდ და მეორეს მხრივ, აკრიტიკებს მას ასევე უპირობოდ. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება მუდმივად ფიქრობს რაღაც გააუმჯობესოს თავის სასარგებლოდ. ამ გაგებიდან გამომდინარე დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონშემოქმედება ნიშნავს საზოგადოების ძალიან აქტიურ მონაწილეობას მის ყველა ეტაპზე. კანონი არის ინსტრუმენტი, ანუ ჯერ უნდა იცოდე რა გინდა და შემდეგ შეიძლება მიზნის მისაღწევად საჭირო გახდეს გარკვეული საკითხების კანონით რეგულირება, მარტო კანონი საკმარისი არ არის. კანონი საჭიროა მინიმალურ დონეზე, მაშინ, როდესაც ჩნდება მისი უკიდურესი აუცილებლობა, ანუ როდესაც ვერ ხდება გარკვეული პრობლემის სხვა გზით რეგულირება. დანაშაულად რაღაცის გამოცხადებას აზრი აქვს მაშინ, როდესაც სხვა დონეზე, მაგალითად ზნეობრივ, ეთიკურ, მენტალურ დონეზე ეს ქმედება შერაცხულია უარყოფითად, მაგრამ თუ ეს ასე არ არის, არავითარი აზრი არ აქვს მის კანონში ჩაწერას. კანონშემოქმედებითი პროცესი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ერთ-ერთი ნაწილია. იმისათვის, რომ ეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი იყოს ეფექტური, ე.ი. იყოს მონაწილეობითი, რეალობის ადეკვატური, სტრატეგიულად სწორი, ის ინსტიტუტები, რომლებიც იღებენ კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობას, უნდა არსებობდნენ და იყვნენ განვითარებულები. ამავე დროს ეს ინსტიტუტები უნდა იყვნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლები, უნდა ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ გარკვეული უფლება-მოვალეობები და ამავე დროს ერთმანეთზე გარკვეული სანქციების განხორციელების საშუალებები. ეს სანქციები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი. საუბარია ძალაუფლების გაყოფის სამ შტოზე, რომლის ძირითადი არსია ბალანსისა და კონტროლის პრინციპზე აგებული სისტემა. ამავე დროს ხელისუფლება ახლოს უნდა იყოს ხალხთან, ან უნდა იყოს ძლიერი თვითმმართველობა. ასეთ გარემოში მიღებული გადაწყვეტილებები ეფექტურია და თუ რამე დაირღვა, სისტემა იმდენად ბალანსირებულია, რომ ურთიერთქმედებიდან გამომდინარე ის ბალანსი თავისთავად აღდგება.

ამ კონსტიტუციური ინსტრუმენტების გარდა არსებობს მასმედია, სამოქალაქო საზოგადოება, რომლებიც იმ თვალსაზრისით ფლობენ ძალა-

უფლებას, რომ ისინი გარკვეულ კონტროლის მექანიზმებს ახორციელებენ. ეს სისტემა ეფუძნება "ქვემოდან დემოკრატიულ" პარადიგმას და პროცესს, რომელიც აღწერილი აქვს ტოკვილს ნაშრომში "დემოკრატია ამერიკაში" როგორ უკავშირდება "საკუთარი ინტერესის გააზრება" იმ პოლიტიკურ სტრუქტურებს, რომლებიც კანონებს და სხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ, თუ ეს კავშირი არ არსებობს, დემოკრატიული პარადიგმა არ მუშაობს. თუ საზოგადოება არ არის კანონის წყარო და კანონი არის მხოლოდ მაიძულებელი ინსტრუმენტი, რა საკვირველია საზოგადოებას მასთან ნომინალური ურთიერთობა აქვს, ანუ იქ, სადაც არ არსებობს კავშირი სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის, იქ არ არსებობს კავშირი მოქალაქესა და კანონს შორის, ამიტომ კანონის უზენაესობის პრინციპი ძალას კარგავს. ინსტიტუციურად კარგად განვითარებული სისტემა არ ტოვებს იმის ალტერნატივას, რომ არ იქნას გათვალისწინებული სხვადასხვა დაინტერესებული პირების, აქტორების ინტერესები. დემოკრატიულ რეჟიმებში კანონის მიღება ხდება გარკვეული პროცედურის შედეგად, ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ამ პროცესს გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს. კანონშემოქმედებითობა არის გარკვეული პროცედურა და განსაზღვრულია იმ კანონმდებლობით, რომელიც იმ ქვეყანაში არის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ხდება წარმომადგენლობა, რამდენად წარმომადგენლობითია დემოკრატია. პრობლემა ის არის, როდესაც წარმომადგენლობა ფორმალურია, ანუ პარლამენტარიზმი, როდესაც არ არსებობს ბმა წარმომადგენელსა და ამომრჩეველს შორის. როდესაც არ არსებობს ეს კავშირი, ორივე მხარის პასუხისმგებლობა მცირდება.

დემოკრატიული წყობისათვის დამახასიათებელი კანონშემოქმედებითი პროცესის პროცედურული ფორმები ბევრნაირია. შეიძლება გამოვყოთ ამ პროცედურის სამი ეტაპი. პირველ ეტაპზე ხდება იდეის მომწიფება, ვთქვათ პოლიტიკურ პარტიებში, სამოქალაქო საზოგადოებაში, ინტერესთა ჯგუფებში და ა.შ. შემდეგ ხდება იდეის მომზადება, იდეის შემუშავება. მაგალითად როდესაც ბრიტანეთში სურთ შეიტანონ ცვლილებები თუნდაც რაიმე უმნიშვნელო კანონში, სახელმწიფო პირველ ეტაპზე სთხოვს სამეცნიერო წრეებს განსახილველ საკითხზე ყოვლისმომცველი კვლევის ჩატარებას, შემდეგ ხდება ამ გამოკვლევის შედეგების შეჯამება ექსპერტთა წრეში, შემდეგი ეტაპი გულისხმობს მიღებული შედეგების შესახებ პოლიტიკურ წრეებში მსჯელობას, ბოლოს საკითხის შესწავლაში ერთვებიან სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტები, გამოიყოფა სამიზ-

ნე ჯგუფები და ტარდება გამოკითხვები. ეს წინმსწრები ეტაპები იძლევა კანონპროექტზე მუშაობის დაწყების საშუალებას. მეორე ეტაპი გულისხმობს კანონპროექტის ინიცირებას. ფორმალურად საკანონმდებლო ინიციატივის უფლება სხვადასხვა რეჟიმში სხვადასხვა აქტორებს აქვთ. საკანონმდებლო იდეა შეიძლება მოდიოდეს პრეზიდენტისგან, პარლამენტის, ხელისუფლების წევრებისგან., გარდა ამისა არსებობს ლობიზმის ინსტიტუტი, რომელიც საშუალებას აძლევს გარე აქტორებს, ზემოქმედება მოახდინონ პარლამენტის გადაწყვეტილებაზე, უშუალოდ კონკრეტული პარლამენტარის გადაწყვეტილებაზე და ამის მეშვეობით მთლიანად ამ პროცესზე. ზოგჯერ მოქალაქეს ან ინტერესთა ჯგუფს შეუძლია ინიცირება ან წინააღმდეგობის გაწევა კანონშემოქმედებით პროცესში, ასევე ზემოქმედება პროფესიონალებზე, მაგალითად პროფესიონალ იურისტებზე, პოლიტოლოგებზე ან სოციოლოგებზე, რათა ისინი გარკვეულ საკითხებზე მეტად დაფიქრდნენ. ძირითადად საკანონმდებლო ინიციატივა მოდის საკანონმდებლო ხელისუფლებისგან. ამ შტოს ფარგლებში არსებული სტრუქტურებში ხდება კანონების დამუშავება. შემდეგ ეტაპზე ხდება ამ იდეის განხილვა როგორც პარლამენტში, პარლამენტის დარგობრივ კომიტეტებში კანონპროექტები გადიან მოსმენებსა და განხილვებს, ისე საზოგადოების იმ ნაწილში, რომელსაც აინტერესებს ეს საკითხი. იდეალური ტიპი გულისხმობს, რომ კანონპროექტი უნდა იყოს განხილული ყურადღებით, არ უნდა იყოს ფორსაჟი, უნდა იყოს განხილული პრესაში. არის კანონები, რომლებიც მოითხოვს საჯარო განხილვას, არის კანონპროექტები, რომლებიც მიიღება უშუალოდ პარლამენტის მიერ, პარლამენტისათვის დადგენილი პროცედურების დაცვით.

აბრაამ ლინკოლნი დემოკრატიული მთავრობის და დემოკრატიული მმართველობის სამ ძირითად პოსტულატს აყალიბებს. ლინკოლნი დემოკრატიულს უწოდებს მთავრობას, რომელიც ხალხისგან შედგება, ხალხის მიერვეა შექმნილი და ხალხისთვის იღწვის. დემოკრატიული მთავრობის ფორმირება დემოკრატიული ტრანსფორმაციის ქვეყნებში არაერთ სირთულეს აწყდება, ფერხდება თანამედროვე დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება და ხდება დემოკრატიული მართვის იდეის ინსტიტუციონალიზაციის გზიდან გადახვევა. დემოკრატიზაციის, ტრანზიციის პროცესის თანმდევი პრობლემების იდენტიფიცირება და სამეცნიერო დისკურსში ანალიზი დროული და ეფექტური რეაგირების ერთ-ერთი წინაპირობაა. დემოკრატიზაციის სირთულეები არაერთი მეც-

ნიერის დაკვირვების საგანია. ტრანზიციის პროცესის პრობლემებზე რეფლექსია აღნიშნული ფენომენისთვის დამახასიათებელი სირთულეების ზოგად კანონზომიერებებს ავლენს. ერთ-ერთი სირთულე უკავშირდება დემოკრატიზაციის მესამე ტალღას, რომელმაც მსოფლიოში ახალი ფენომენი, ახალი ტიპის რეჟიმი წარმოქმნა, რომელსაც არალიბერალური დემოკრატიის სახელი ეწოდა. ცნობილი ანალიტიკოსი ფარიდ ზაქარია წერდა, რომ მსოფლიოს სულ უფრო და უფრო მეტ ქვეყანაში „დემოკრატიულად არჩეული რეჟიმები... უგულვებელყოფენ მათი ძალაუფლების კონსტიტუციურ ფარგლებს და საკუთარ მოქალაქეებს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ართმევენ" (ზაქარია, 2000).

საყოველთაოდ არჩეული, პოპულარული მმართველები არ ერიდებიან პარლამენტებსა და კონსტიტუციის ჩარჩოებს გვერდი აუარონ, ქვეყანა საპრეზიდენტო ბრძანებულებებით მართონ, სახელმწიფო აპარატი ოპოზიციისა და თავისუფალი პრესის წინააღმდეგ გამოიყენონ და ადამიანის კონსტიტუციური უფლებები შელახონ. ეს მოვლენები მრავალ ქვეყანაშია დაფიქსირებული, როგორც ლათინურ ამერიკაში, ისე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. რეგულარული და საყოველთაო არჩევნების ჩატარება ამ ქვეყნებში ვერ უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, კორუფციის შეზღუდვასა და კარგ მმართველობას ძალაუფლების კონსტიტუციურ ჩარჩოებში. ყოველივე ეს ზღუდავს სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიულ ფუნქციონირებას და აქცევს მათ სახელმწიფოს მმართველი პირების გავლენის ქვეშ. ასეთი ქვეყნების რიცხვს საქართველოც უნდა მივაკუთვნოთ. დემოკრატიულ-პლურალისტური მართვისთვის დამახასიათებელი მართვის პრინციპები და კანონშემოქმედებითი მოდელი პოლიტიკის წარმოების პროცესში ორ ძირითად პოსტულატს ემყარება: „ზევიდან ქვევით" (Top-down) და „ქვევიდან ზევით" (Bottom-up). კანონშემოქმედებითი პროცესის და პოლიტიკის შემუშავების ტრადიციული მოდელი აღნიშნულ პროცესს განიხილავს, როგორც მთელ რიგ ქმედებათა ერთობლიობას: პრობლემის იდენტიფიკაცია, დღის წესრიგის შემუშავება, ფორმულირება, დამტკიცება, განხორციელება და შეფასება - რასაც, ძირითადად, ახორციელებს მთავრობა და საკანონმდებლო ხელისუფლება. სწორედ ამიტომ, თომას დაი წიგნში „პოლიტიკის წარმოება ზევიდან ქვევით", საჯარო პოლიტიკის წარმოების პროცესის შეფასებისას, ხაზს უსვამს, რომ პოლიტიკის წარმოება აშშ-ში, ისევე როგორც ყველა ქვეყანაში, ასახავს მმართველი ელიტის ღირებულებებს, ინტერესებს და პრეფერენციებს (Dye, 2001). დემ-

ოკრატიული ტრანზიციის, ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში თომას დაის თანახმად, საჯარო პოლიტიკაში „საზოგადოების მოთხოვნების“ ასახვა დემოკრატიის მითად უფრო შეიძლება მივიჩნიოთ, ვიდრე რეალობად და მიუხედავად საზოგადოებასა და მკვლევრებს შორის ფართოდ გავრცელებული მითისა, საჯარო პოლიტიკის წარმოება, სინამდვილეში, ხდება ზევიდან ქვევით, ვიდრე, პირიქით. პოლიტიკის წარმოების შემდგომში განსაზღვრული „დემოკრატიულ-პლურალისტული“ მოდელი მოქალაქეების მიერაა მართული, გადაწყვეტილების მიღების „ქვევიდან-ზევით“ მოდელი, გულისხმობს, რომ ღია საზოგადოებაში ნებისმიერი პრობლემა შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს ინდივიდებისა და ჯგუფების მიერ და გარე აქტორებს აქვთ უნარი ჩაერთონ პოლიტიკის პროცესში დისკუსიის, დებატებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მიჩნეულია, რომ სხვადასხვა დემოკრატიული ინსტიტუტი ხელს უწყობს მოქალაქეთა გავლენის „ქვევიდან-ზევით“ მიმართულებას (Dye, 2001)2 . დემოკრატიული, „ქვემოდან ზემოთ“ მართვის მოდელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდგენელი და ინდიკატორი დემოკრატიული კანონშემოქმედებითი პროცესია. საქართველოში დემოკრატიული საკანონმდებლო საქმიანობის და კანონშემოქმედებითი პროცესის ინსტიტუციონალიზაცია დგას გამოწვევის წინაშე - დემოკრატიული მართვის კონტექსტში კანონშემოქმედებითი პროცესის დემოკრატიულობა, „ქვემოდან ზემოთ“ პრინციპის დაცვა ხშირად ე.წ. „ფასადური დემოკრატიის“ ნიშნებს შეიცავს. როგორც წესი ჰიბრიდულ რეჟიმს არ შეუძლია შექმნას მექანიზმი, რომელიც მოახერხებდა სისტემის შიგნით „ზევიდან ქვევით“ (Top-down) და „ქვევიდან ზევით“ (Bottom-up) ძალების ბალანსირებას. თუ ამოვალთ პლურალიზმისა და პოლიარქიის კონცეპტიდან, დემოკრატიის მიღწევის საქმეში, გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებას უჭირავს. მაშინ სახეზე გვაქვს დემოკრატია – არა იდეალური, არამედ რეალური. პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის ანუ უახლოეს წლებში ჰიბრიდული რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასვლა გულისხმობს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის პლურალიზაციასა და „პოლიარქიზაციას” (Dahl, 1953). დასავლელი მეცნიერები ევროპასა და აშშ-ში არსებულ პოლიტიკურ სისტემას ხშირად არა როგორც დემოკრატიას, არამედ როგორც პოლიარქიას მოიხსენიებენ. პოლიარქია პლურალიზმს ნიშნავს, როდესაც ძალაუფლება ერთ ცენტრში არაა კონცენტრირებული. აქ საუბარია დემოკრატიის რეალისტურ თეორიაზე - „რეალ დემოკრატიაზე“ (‘Real Democracy’). 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების შემდგომ საქართველოში განვითარებული

მოვლენების და სახელმწიფოს საქმიანობის ეფექტურობის შეფასების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, საქართველოს პარლამენტის ფუნქციონირების მექანიზმების ანალიზი, რადგან საპარლამენტო პარტიათა და პოლიტიკურ ძალთა დისბალანსი აშკარად გამოკვეთილია, რაც თავისთავად აისახება კანონშემოქმედებით პროცესზე. საზოგადოების ყველა ჯგუფი დაინტერესებულია, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტი უფრო ეფექტური, ქმედითი და გამჭვირვალე გახდეს. მიუხედავად 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში დეკლარირებული ცვლილებისა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ფორმითა და არსით ჯერ კიდევ ინარჩუნებენ „საბჭოური" სტრუქტურებისთვის დამახასიათებელ ავტოკრატიული მმართველობის თვისებებს. ეს კი მეტად საზიანოა, განსაკუთრებით დღევანდელ ვითარებაში, როცა ყალიბდება სახელმწიფო ინსტიტუტები და საჭიროა თანამედროვე სტრუქტურების შექმნა, არა შაბლონური მმართველობითი მეთოდების გამოყენება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. 2012-2016 წლების შემდეგ არაერთი საკანონმდებლო ცვლილება გახდა საქართველოს პრეზიდენტის (არაერთგზის გამოყენებული ვეტო), პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების (მათ შორის ვენეციის კომისიის), აკადემიური წრეების კრიტიკის საგანი. საუბარია ისეთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებზე, როგორებიც არის: საქართველოს კონსტიტუცია (პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესი), ე.წ. მოსმენების შესახებ კანონი, საარჩევნო სისტემის ცვლილება (მაჟორიტარული მანდატების გაუქმება) და ა.შ. არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი აქტორი ცვლილებებში დემოკრატიზაციის თვალსაზრისით ხარვეზებს/ნაკლოვანებებს ხედავს და საუბრობენ „ძალაუფლების უზურპაციის", „ძალაუფლების მითვისების", „ძალაუფლების ბოროტად გამოყენების" შესახებ. ექსპერტთა ნაწილის მოსაზრებით: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს „სხეული" სახელმწიფო ინსტიტუტების სახით ჩამოყალიბდა, პრობლემად რჩება ის, თუ როგორ აღიქვამენ საკუთარ თავს სახელმწიფო სტრუქტურები. საქართველოს მმართველობის სისტემის ნაკლოვანება საკანონმდებლო ორგანოს შეუზღუდაობაა, რაც გამოიხატება სასამართლო და აღმასრულებელ ინსტიტუტებს შორის „კონტროლისა და ბალანსის" სისტემის გაუწონასწორობაში" (The World Bank, 1999-2013). „სამართლებრივი სახელმწიფოს" კონცეფცია ჩამოყალიბდა გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში XIX საუკუნის პირველ მესამედში (კ. ტ. ვეკერის, რ. ფონ მოლის და სხვების შრომებში). მომავალში,

ამ ტერმინმა უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა. ინგლისურ ლიტერატურაში მოცემული ტერმინი არ გამოიყენება, მის ეკვივალენტს გარკვეულწილად წარმოადგენს „სამართლის ბატონობა" ანუ „კანონის უზენაესობა", Rule of Law4. ალბერტ ვენ დისი (Albert Venn Dicey) ნაშრომში „Introduction to the Study of the Law of the Constitution" წერდა, რომ Rule of Law, პირველ რიგში, ნიშნავს საერთო სამართლის აბსოლუტურ ბატონობას თვითნებური ძალის ზეგავლენაზე, მეორე მხრივ, კანონის წინაშე თანასწორობას. კანონის უზენაესობა არის წესების ერთობლიობა, რომლებიც ყველასთვის საერთო (ერთნაირი) და მისაღებია, კანონით უზენაესობა ანუ Rule by Law არის მდგომარეობა, როდესაც მმართველები ქმნიან კონსტიტუციას, კანონებს, რეგულაციებს, რომლებიც ემსახურება უპირატესად მათ ძალაუფლებაში, ხელისუფლებაში დარჩენას.

საქართველოში მწვავედ დგას თანამედროვე დემოკრატიის ცენტრალური პრინციპების - „Rule of Law" და „ახალი სახელმწიფო მართვის" დანერგვის პრობლემა, რაც პირდაპირ კავშირშია დემოკრატიულ სისტემაში კანონის უზენაესობის პრინციპის „Rule of Law" და არა კანონით უზენასების "Rule by Law" დამკვიდრებასთან. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ლეგიტიმაციის პროცესი მხოლოდ არჩევნებით არ ამოიწურება, კანონშემოქმედებითი პროცესის ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი წყარო „ქვემოდან დემოკრატიის" პრინციპის ინტეგრაციაა. რაც მოიცავს სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების მხრიდან კონტროლის თანმიმდევრულობას, გონივრულობას, დასაბუთებულობას, საჯაროობას, ობიექტურობას, შეცდომების გამოვლენას და ოპერატიულობას. კანონშემოქმედებით პროცესში სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლების გარდა სხვა დაინტერესებული აქტორები - პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სახალხო დამცველი, ოპოზიცია (საპარლამენტო და არასაპარლამენტო), სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო აქტორები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები - არასახელისუფლებო აქტორები ნაკლებად მონაწილეობენ, მათი შეხედულებების, რეკომენდაციების, იდეების, არგუმენტების გაზიარება კანონშემოქმედებით პროცესში ფაქტობრივად არ ხდება, რაც კითხვებს ბადებს რამდენად ლეგიტიმურია საკანონმდებლო პროცესი და „ქვემოდან ზევით" დემოკრატიის განხორციელების პრაქტიკასთან დაკავშირებით საქართველოში. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის მიერ კანონშემოქმედებით პროცესში Rule of Law-ს, „ქვემოდან ზემოთ" დემოკრატიის პრინციპის განხორციელება და კანონშემოქმედებით პროცესში

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მხრიდან კონტროლისა და ზეგავლენის მექანიზმები სუსტია. არაეფექტურად ხდება სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზე ზედამხედველობა და ჩართულობა, არ არის დაცული დემოკრატიული კანონშემოქმედების პრინციპები.

თამარ ჩარკვიანი

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი,
ასოცირებული პროფესორი

თავისუფლების გაკვეთილები

რეცეფცია პირველი რესპუბლიკის მეასე წლისთავთან დაკავშირებით

ერები ისტორიის ასპარეზიდან მაშინ ქრებიან, როცა თავისუფლების წყურვილს ჰკარგავენ და პირიქით, მაშინ აღმოცენდებიან, როცა ამ წყურვილით გულანთებულები სასწაულებს ახდენენ. თავისუფლების წყურვილმა შეადუღაბა ერთ მუშტად ებრაელი ერი და ეგვიპტური ტყვეობისგან დააღწევინა თავი. თავისუფლება იყო ის საფუძველი, რამაც ძველ ბერძნებს გაამარჯვებინა რიცხობრივად გაცილებით აღმატებულ სპარსეთზე და თერმოპილთან და სალამინთან მოაპოვებინა ისტორიული გამარჯვებები. თავისუფლება ჰკვებავდა ჩვენს ერს უცხოელ დამყრობლებთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლებში და რომ არა იგი, საქართველო ამდენ ინვაზიებს ვერ გაუძლებდა და უსათუოდ დაიღუპებოდა.

ყველაზე გავრცელებული აზრის მიხედვით, თავისუფლება არის გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, რაც გარეშე ძალის მიერ არაა ნაკარნახევი და თავზე მოხვეული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისუფლება არის ავტონომიურად მოქმედების უნარი, რომელიც ეფუძნება რა საკუთარ ნებას, არანაირ გარეშე ძალაზე არაა დამოკიდებული. ავტონომიურობა, საკუთარ ნებაზე დამოკიდებულება თავისუფლების არსებითი ნიშანია, მაგრამ მხოლოდ მასზე აპელირება არ კმარა, რადგან თავისუფლებას გააჩნია მეორე ნიშანიც, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს. თავისუფლება წარმოუდგენელია პირადი პასუხისმგებლობის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისუფლება არ არსებობს ქმედებაზე პიროვნული ანგარიშვალდებულების, პერსონული ჩართულობის გარეშე. აქედან გამომდინარეობს თავისუფლების მომდევნო ნიშანი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი არის გაცნობიერებული, მიზანმიმართული ქმედება და არა სპონტანური თვითაქტივობა.

თავისუფლება ვერ ეგუება სტატიკას, უძრაობას, უმოქმედობას, იგი მუდმივი მოძრაობის, დინამიკის, მარადიული ბრძოლის პროცესია, რომელიც არ დგას ერთ ადგილზე და მუდმივ ცვალებადობაშია. თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც მთავრდება ეს ბრძოლა და მოძრაობა. ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ მიაღწია თავისუფლებას და ამიერიდან შეუძლია მიეცეს განცხრომასა

და ნეტარებას. მსგავს პოზიციას მივყავართ მონობამდე, რადგან ბრძოლის, მუდმივი მოძრაობისა და დინამიკის გარეშე თავისუფლება შეუძლებელია, ხოლო მათზე უარის თქმა ნიშნავს პასიურობას, უძრაობას, ინერტულობას, რაც სხვა არაფერია თუ არა მონობა. აქტიურობას, მოძრაობას, დინამიკას მოსდევს განახლება, წინსვლა, პროგრესი, რაც თავისუფლების განუყოფელი ატრიბუტებია და ხელს უწყობს პიროვნებისა და საზოგადოების სრულყოფასა და განვითარებას.

რომ შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული, მივიღებთ, რომ თავისუფლება წარმოადგენს საკუთარ ნებაზე დამოკიდებულ გაცნობიერებულ ქმედებას, რომელიც ეფუძნება რა პირად პასუხისმგებლობას, როგორც მუდმივი ბრძოლის პროცესი მიმართულია პიროვნებისა და საზოგადოების გასაახლებლად. ჩვენ, რასაკვირველია, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ დეფინიციას, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს იგი, შეუძლია ამომწურავად დაახასიათოს ესა თუ ის მოვლენა. დეფინიციას მხოლოდ ის შეუძლია, რომ მიახლოებით აღწეროს გამოსაკვლევი საგანი და უკეთეს შემთხვევაში გამოჰყოს მისი არსებითი ნიშნები. ჩვენი სპეკულაცია წარმატებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევძელით მსგავსი მომენტების დაფიქსირება. სხვათა შორის, მსგავსი სირთულეები შეინიშნება თავისუფლების იმ პარადიგმებში, რომლებიც სხვადასხვა კულტურებს ერთმანეთისაგან განსხვავებულად ესმით, რაც დროთა განმავლობაში აძნელებდა თავისუფლების უნივერსალური, ზოგადსაყოველთაო განსაზღვრების შემუშავებას, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველასთვის.

თავისუფლების ევროპული პარადიგმა ეფუძნება სეკულარიზმს, ლიბერალიზმს, ეგოცენტრიზმს, რომლებსაც საბოლოო ჯამში მივყავართ ღმერთის ავტორიტეტის უარყოფამდე და მისი ძალაუფლების დამხობამდე. ევროპულმა გონმა თავისუფლება გაიგო, როგორც თეოზისი, ანუ როგორც ღმერთის უარყოფის და მის ადგილზე ადამიანის გაღმერთების პროცესი. უფლის ტახტს იკავებს სოციალური კერპი, ფეტიში, რომელსაც ისეთ ტოტალიტარულ სისტემებში, როგორიცაა კომუნიზმი და ფაშიზმი აქვს ბელადისა და ფიურერის ფიზიონომია.

ევროპული პარადიგმის არაცნობიერ ძირებზე კარგად მიუთითა ფროიდის ფსიქოანალიზმმა, რომელშიაც ოიდიპოსის კომპლექსს და აქედან გამომდინარე მამის კულტის დაძლევას ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნია, რომლის გარეშეც შეუძლებელია სრულფასოვანი პიროვნების

ჩამოყალიბება. ჩინური პარადიგმა, პირიქით, მთლიანად მამის კულტზეა დამყარებული, რომლის მიხედვითაც, შვილმა არ შეიძლება აჯობოს მამას, რომელიც ხელშეუხებელი ავტორიტეტია და მისი დირექტივები უკრიტიკოდ უნდა აღსრულდეს. მსგავსმა მოდელმა უკიდურესად დააზარალა ჩინური კულტურა, რომელიც მთელი თავით წინ უსწრებდა დანარჩენ ცივილიზაციებს და ერი, რომელმაც თავის დროზე გამოიგონა დენთი, ქაღალდი, კომპასი, აბრეშუმი, სტამბა და ა.შ. ისტორიის აუტსაიდერად იქცა და ნახევრად კოლონიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც უპირველეს ყოვლისა განაპირობა წარსულის გაფეტიშებამ და მომავლისადმი უნდობლობამ, ავტორიტეტისადმი მორჩილებამ და თავისუფლების უარყოფამ.

თავისუფლებას სკეპტიკურად უყურებს ინდუიზმიც, რომლისთვისაც ინდივიდუალიზმი, ღვთაებრივი ყოფიერებიდან გამოყოფისა და გამოცალკევების პროცესი, ცოდვას წარმოადგენს, რაც კარმებში იჩენს თავს, რომელთაგან ადამიანი სწორი ცხოვრების გზით უნდა განიწმინდოს. სწორ ცხოვრებაში პერსონალიზმის დაძლევა და უპიროვნო ღვთაებრივ საწყისთან შეერთება, შერწყმა იგულისხმება, რაც მედიტაციებითა და განდგომით თუ მიიღწევა.

ისლამიც თითქმის არაფერს ტოვებს პიროვნული თავისუფლების გზაზე, რომლისთვისაც რწმენის საფუძველია მორჩილება, წმინდა წიგნში დაცული სიბრძნის აღსრულება და არა პერსონული ფასეულობები, რომლებსაც თავისთავად აღებული არანაირი ღირებულება არ გააჩნიათ.

ამგვარი მიდგომებისაგან პრინციპულად განსხვავებულია ქართული პარადიგმა, რომლისთვისაც თავისუფლება წარმოადგენს არა უფლისაგან განდგომას, არა მის წინააღმდეგ აჯანყებას, არამედ მის წიაღში დგომას, მისადმი მსგავსებას, მისი ქმედების გაგრძელებას. აღმოსავლური პარადიგმებისგან განსხვავებით იგი ეფუძნება პიროვნებას, პერსონულ ყოფიერებას და ხელს უწყობს არა მის დასუსტებასა და გაქრობას, არამედ გაძლიერებასა და სრულყოფას. მისი ორიენტირია არა წარსული, არა მამის ფეტიში, არამედ მომავალი და შვილის კულტი, რაც გამოიხატება იმაში, რომ შვილმა უნდა აჯობოს მამას, რადგან ამაშია ქვეყნისა და ერის სასიცოცხლო აუცილებლობა. მსგავსი მენტალობა ასაზრდოებდა ქართველი ერის თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლებისა და ეროვნული ყოფიერების შენარჩუნების მიმართულებით და უზრუნველყოფდა თაობათა უწყვეტ ესტაფეტას ამ დიად საქმეში.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა ათასწლეულებს გულისხმობს და მისი ათვლა ძველი კოლხეთიდან უნდა დაიწყოს, სადაც უძველესი სახელმწიფო, თუ ძველ ბერძნებს დავუჯერებთ, ჯერ კიდევ არგონავტების მოსვლამდე დიდი ხნით ადრე აღმოცენდა. არგონავტებმა კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში ილაშქრეს და აიეტის ქვეყნიდან ოქროს საწმისი და მედეა გაიტაცეს, რითაც, ერთის მხრივ, სათავე დაუდეს აკაზიტურ სიბრძნეს, ხოლო, მეორე მხრივ, მედიცინას, რომელიც უშუალოდ მედეას სახელიდან და მის მიერ დაგროვილი ცოდნიდან მომდინარეობს. ბერძენი ავტორები ისე აღწერენ მეფე აიეტის ქვეყანას, რომ იქმნება შთაბეჭდილება, რომლის მიხედვითაც, ეს სახელმწიფო ძირძველ კულტურასა და ხანგრძლივ პოლიტიკურ გამოცდილებას ეყრდნობოდა, რომელიც იაზონის მოსვლამდე ათეული საუკუნეებით ადრე არსებობდა.

ამდენად, ქართული სახელმწიფოებრიობა, სულ მცირე, სამი ათას ხუთას წელს მაინც ითვლის და გაცილებით ხანგრძლივი აღმოჩნდება იმ შემთხვევაში, თუ ათვლის წერტილად მედიტერანულ სივრცეს და იქ აღმოცენებულ პროტოქართულ პოლიტიკურ ერთეულებს ვიგულისხმებთ. ჩვენთვის ამის გარკვევას ამჯერად არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ჩვენთვის მთავარია იმის კონსტატირება, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა მრავალათასწლოვანი ფენომენია და იგი თავისი არსით არც გუშინ და არც უახლოეს წარსულში არ დაწყებულა. მონათმფლობელობიდან დაწყებული კაპიტალიზმით დამთავრებული მან გაიარა თითქმის ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია და მოაღწია ჩვენს დრომდე, როგორც უძველესმა პოლიტიკურმა ფენომენმა.

მისი განვითარების გზაზე უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ანუ, როგორც ჩვენში უწოდებენ პირველ რესპუბლიკას, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული სახელმწიფოსა და ქართული დემოკრატიის მშენებლობის საქმეში. წელს სრულდება ასი წელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან, რომელმაც, მართალია, სამი წელი იარსება და დაემხო ბოლშევიკური რუსეთის მუხანათური აგრესიის შედეგად, მაგრამ თავისუფლების ეს სამი წელი საუკუნეებს უდრის და მათ შთამომავალთა ხსოვნაში გაცილებით მეტი დატოვეს, ვიდრე მონობაში გატარებულმა ასეულობით წლებმა.

პირველი რესპუბლიკის გამოცხადება წარმოადგენდა მრავალათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იურიდიულ აქტს,

რომელმაც გააცოცხლა და ფენიქსივით აღადგინა საუკუნეების სიღრმიდან მომავალი ეროვნული სახელმწიფოებრიობის ტრადიცია, რაც ძალდატანებითი გზით უკანონოდ იქნა გაუქმებული რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით. პირველმა რესპუბლიკამ არა მარტო იურიდიულად აღადგინა სახელმწიფოებრიობა, არამედ იგი აიყვანა თანამედროვეობის მაღალი სტანდარტების დონეზე, რასაც უდიდეს შეფასებას აძლევდა ევროპელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერისა და უხუცესი წარმომადგენლის კარლ კაუცკის თვალსაზრისი, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხედავდა დემოკრატიის თვალსაჩინო მაგალითს, რაც მისაბაძი უნდა გამხდარიყო განვითარების გზაზე დამდგარი მსოფლიოს ხალხებისათვის.

პირველმა რესპუბლიკამ, საქართველოს მოუპოვა უნიკალური ფუნქცია, რაც კოლონიური უღლიდან თავდახსნილი ქვეყნებისათვის მაგალითი უნდა გამხდარიყო. საქართველომ მოიპოვა არა მარტო თავისუფლება, არამედ დაიწყო ჰუმანური, ცივილიზებული სოციალიზმის მშენებლობა, რომელშიაც დაცული იყო ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და ინტერესები. ეს იყო ევროსოციალიზმის პირველი პრეცედენტი, რომელიც მოგვიანებით გაიმეორეს სკანდინავიისა და ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა და არნახულ წარმატებებს მიაღწიეს მოსახლეობის კეთილდღეობის მიმართულებით. საქართველო ამ საქმეში პიონერი იყო და რომ არა წითელი რუსეთის აგრესია, იგი, რასაკვირველია, არანაკლებ შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწევდა.

პირველმა რესპუბლიკამ შექმნა დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელიც თანამედროვეობის მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა და ამ მხრივ უსწრებდა ბევრი ევროპული სახელმწიფოს კონსტიტუციებს. მასში გათვალისწინებული იყო აფხაზეთის ავტონომია, დაცული იყო ადამიანის უმთავრესი უფლებები, გარანტირებული იყო ხელისუფლების რგოლების ხელშეუხებლობა და პარალელიზმი, გაუქმებული იყო სიკვდილით დასჯა, საყოველთაო და თანასწორი არჩევნების გზით მშვიდობიანად ხდებოდა ხელისუფლების როტაცია, დაშვებული იყო მრავალპარტიული სისტემა, დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარებისთვის იქმნებოდა ხელსაყრელი პოლიტიკური სივრცე.

პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს და მან ფაქტობრივად ერთი კვირაც ვერ იარსება, მაგრამ დარჩა, როგორც პო-

ლიტიკური, სამართლებრივი, სახელმწიფოებრივი აზროვნების ბრწყინვალე ნიმუში, რომელზედაც მოგვიანებით ხელახლა აღიმართა თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს თანამედროვე კონსტიტუცია. პირველი რესპუბლიკა იყო თვალსაჩინო მაგალითი რუსეთის წითელ იმპერიაში შემავალი ხალხებისათვის, რომლებიც ოცნებობდნენ თავისუფლებაზე და ირაზმებოდნენ ეროვნული თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. სწორედ ეს მომენტი იყო ყველაზე სახიფათო და მომაკვდინებელი ბოლშევიკური რუსეთისათვის, რომელმაც ყველაფერი გააკეთა პირველი რესპუბლიკის განადგურებისათვის, რითაც თავიდან მოიშორა საშიში პრეცედენტი, რომელსაც მაგალითის ძალა ჰქონდა სხვა დაპყრობილი ერებისათვის.

პირველმა რესპუბლიკამ აჩვენა, რომ შესანიშნავად შეეძლო გარეშე გამომწვევებთან გამკლავება და ადეკვატური პასუხის გაცემა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ სომხეთის დამნაშავური ხელისუფლების აგრესიის მოგერიების დროს გამოვლინდა. ქართულმა არმიამ არა მარტო მოიგერია და უკუაგდო მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალები, არამედ კონტრშეტევაზე გადავიდა და აგრესორს ერევნამდე სდია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმეში ჩაერია ანტანტა, რომელმაც სახელოვან ქართველ გენერლებს, მაზნიაშვილსა და კვინიტაძეს არ მისცა სომხეთის დედაქალაქის აღების შესაძლებლობა. ქართულმა არმიამ სამხედრო-ოპერატიული და მორალური მომზადების მაღალი დონე აჩვენა დენიკინის ძალებთან და თურქ ასკერებთან ბრძოლების დროს, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ძირძველი ქართული ტერიტორიების მოტაცება. საქართველოს ოკუპაცია იოლი გასეირნება არ გამოდგა რუსეთის მეთერთმეტე არმიისთვის და არც იმ ძალებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან უტევდნენ თბილისსა და დემოკრატიულ საქართველოს. მარტო ტაბახმელასა და კოჯორთან გამართული ბრძოლები კმარა იმის საილუსტრაციოდ თუ რამდენად ძლიერი იყო ქართველ მეომრებში სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი სიყვარული, მისადმი თავგანწირვის მზაობა. ქართველი იუნკრების გმირობითა და თავდადებით იამაყებდა მსოფლიოს ყველა დიდი ქვეყნის შეიარაღებული ძალები და მათ მხედრულ შემართებას სამაგალითოდ გაიხდიდა.

პირველმა რესპუბლიკამ მიაღწია საერთაშორისო აღიარებას. იურიდიულად იგი მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ და მათ შორის თვით ყოფილმა მეტროპოლიამ, რუსეთმაც სცნო, რომელთანაც 1920 წლის 20 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც საქართველოს მხრიდან

ურატაძე, ხოლო რუსეთის მხრიდან კარახანი აწერდნენ ხელს და მასში რუსეთის ფედერაცია დე იურე აღიარებდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. მოგვიანებით რუსეთმა ფეხქვეშ გათელა აღნიშნული ხელშეკრულება, რითაც მუხანათურად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები და მსოფლიოს დაანახა საკუთარი პირსისხლიანი სახე.

პირველმა რესპუბლიკამ დააფიქსირა ევროპული ორიენტაციის პრიორიტეტულობა და დაადასტურა საქართველოს ერთგულება ევროპული ღირებულებებისადმი, რასაც ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან ახორციელებდნენ ჩვენი წინაპრები. კულტურით, მენტალობით, აქსიოლოგიით საქართველო ევროპის ორგანული ნაწილია, რის მოშლასაც ამაოდ ცდილობდნენ აღმოსავლელი დესპოტები, მაგრამ მათი მცდელობიდან არაფერი გამოვიდა, რადგან ძნელბედობის მიუხედავად საქართველო გულში იმარხავდა ამ კავშირს და როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა მაშინათვე ცდილობდა მის აღდგენას. პირველმა რესპუბლიკამ თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა იგი და მსოფლიოს დაანახა ჩვენი ბუნებრივი მიკუთვნებულობა საერთო ევროპული სახლისადმი.

დამარცხების მიუხედავად პირველმა რესპუბლიკამ საქართველოს ისტორიაში დატოვა თავისუფლებისათვის ბრძოლის, ქვეყნის აღმშენებლობის, შემოქმედებითი აზროვნების ბრწყინვალე მაგალითი, რომელმაც გაუძლო დროის გამოცდას და იქცა იმ კვარცხლბეკად, რომელზედაც აღიმართა თანამედროვე თავისუფალი საქართველოს მონუმენტი. პირველი რესპუბლიკის სამმა წელმა აჩვენა, რომ თავისუფლებაში გატარებული თუნდაც ერთი წელი გაცილებით ღირებული და ტევადია, ვიდრე მონობაში გატარებული საუკუნე.

პირველმა რესპუბლიკამ ჩაგვიტარა თავისუფლების გაკვეთილები, რითაც დაგვანახა, რომ თავისუფლების მიღწევის გზაზე შეცდომებსაც პლუსები აქვთ, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია გამარჯვების მიღწევა. პირველმა რესპუბლიკამ გვასწავლა, რომ არ შეიძლება ჩაქრეს, მინავლდეს თავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესი, რომელიც თავისი არსით მარადიულია და გამარჯვების სიხარულთან ერთად დამარცხების სიმწარესაც ატარებს. ზოგჯერ დამარცხებას გამარჯვებაზე ნაკლები მნიშვნელობა არ აქვს, რადგან აწრთობს და აძლიერებს იმას, ვისაც გამარჯვება სწყურია და აახლოებს საბოლოო მიზანთან.

საბჭოთა ოკუპაციის წლებში საქართველომ გამოსცადა ტოტალიტარული რეჟიმის საშინელებები წითელი ტერორიდან დაწყებული მასობრივი რეპრესიებით დამთავრებული, რომლებსაც ასეულ ათასობით ადამიანი ემსხვერპლა. ბოლშევიკები სასტიკად უსწორდებოდნენ მათ, ვინც საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ამბოხებას გაბედავდა და სისხლში ახშობდნენ ანტისაბჭოთა გამოსვლებს. ამ მხრივ აღსანიშნავია 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყება, რომლის დამარცხების შემდეგ გამძვინვარებულმა ბოლშევიკებმა არნახული ტერორი გააჩაღეს და გაუგონარი სისასტიკით გაუსწორდნენ მის მონაწილეებს შორაპანში, ტყვიამფრქვევების ცეცხლით პირდაპირ ვაგონებში ჩაცხრილეს ზემო იმერეთის თავადაზნაურობის წარმომადგენლები, ხოლო სამეგრელოში, გურიაში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ქართლსა და კახეთში მოაწყვეს ოპოზიციონერთა დახვრეტები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მოსახლეობის დაშინებას და კომუნისტურ რეჟიმთან ბრძოლაზე ხელის აღებას.

ვითარება არც მომდევნო წლებში გამოსწორებულა და პიკს 1937 წელს მიაღწია, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ უპრეცედენტო მასშტაბის რეპრესიები გააჩაღა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ, რასაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მაგრამ რაც არ უნდა ძლიერი ყოფილიყო წითელი ტერორი, იგი მაინც ვერ აღწევდა დასახულ მიზანს და ქართველ ერში ვერ ჰკლავდა თავისუფლებისკენ სწრაფვის მარადიულ წყურვილს, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში საბრძოლველად აღანთებდა ქართველთა არაერთ თაობას. საბჭოთა წყობილება ისე დაემხო, რომ მან ვერანაირად ვერ მოიკიდა ფეხი ქართველი ერის ცნობიერებაში და მისი სახით ვერ შეიძინა საიმედო მოკავშირე. სწორედ ქართველები იყვნენ პიონერები საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მათი ძალისხმევით აგორდა ეროვნული მოძრაობების უზარმაზარი ტალღა მოკავშირე რესპუბლიკებში, რასაც საბოლოო ჯამში შეეწირა წითელი იმპერია.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის წინაშე ახალმა გამოწვევებმა იჩინეს თავი, რომელთა შორის აღსანიშნავია: ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მძიმე სოციალური ფონი, უმუშევრობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, მოსახლეობის პოლარიზაცია, მასობრივი მიგრაცია, დემოგრაფიული კრიზისი, ხვალინდელი დღის შიში, კრიზისიდან გამოსავლის არქონა, ჩიხური ფსიქოლოგია. მიუხედავად სირთულეებისა, საქართველო არასოდეს ხელს არ აიღებს თავისუფლებაზე, რადგან მტკიცედ სწამს, რომ

მონურ მსუყე ულუფას მუდამ სჯობს თავისუფლების მწირი ლუკმა, თუნდაც იმიტომ, რომ მუქთა ყველი მხოლოდ ხაფანგშია და უფასოდ შემოძლეული ძღვენის უკან მუდამ ვიღაცის ვერაგული ინტერესები იმალება. ჩვენი თავის ბატონ-პატრონები ჩვენვე უნდა ვიყოთ და საკუთარი ბედისწერა ჩვენვე უნდა გამოვკვეროთ. ჩვენს საკეთებელ საქმეს სხვა ვერასოდეს გააკეთებს და ჩვენს სამშობლოს ჩვენს გარდა სხვა ვერ უპატრონებს. თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, პროდასავლურ ორიენტაციას, ტოლერანტობას, ჰუმანიზმს, ეროვნულ იდენტობას ალტერნატივა არ გააჩნიათ და ამ ისტორიულ გზაზე პირველი რესპუბლიკა ჩვენი ერთგული მოკავშირე და მეგზურია.

თეიმურაზ ფაჩულია

ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

ჯანდაცვის სისტემა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921)

მიმდინარე წლის 26 მაისს სრულდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 100 წლისთავი. 1918 წლის 26 მაისით დაიწყო თვისობრივად ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. დაიბადა XX საუკუნის ევროპული ტიპის, ახალი, საპარლამენტო დემოკრატიული სახელმწიფო. არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ქვეყნის მთავრობამ შეძლო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება: განახორციელა სასამართლო რეფორმა, ჩამოაყალიბა ადგილობრივი მართვის ორგანოები, პროფესიული კავშირები, მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდის უმთავრეს მოვლენას წარმოადგენდა უნივერსიტეტის დაარსება. 1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს, 13 საათსა და 20 წუთზე გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. ეს იყო პირველი ეროვნული უნივერსიტეტი არამარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. უნივერსიტეტის დაარსებაში დიდია ივანე ჯავახიშვილის წვლილი. პროფესორთა საბჭომ უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩია პეტრე მელიქიშვილი.

სამედიცინო განათლება

1917 წელს გრიგოლ მუხაძის, სპირიდონ ვირსალაძის და შალვა მიქელაძის თაოსნობით დაარსდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დაფუძნებაში. უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წინადადებით 1917 წლის 12 ოქტომბერს „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების“ მორიგ კრებაზე პირველად დაისვა ქართულ უნივერსიტეტთან სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების საკითხი. კრებაზე შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა დაემუშავებინა სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების ჩამოყალიბების პროექტი. კომისიაში შედიოდნენ: პ. მელიქიშვილი, ა. ჯავახიშვილი, დ. ახვლედიანი,

ი. თიკანაძე, მ. წინამძღვრიშვილი, ს. ვირსალაძე, ვ. ღამბაშიძე, გ. მუხაძე, ნ. მელიქიშვილი, ა. ხარაძე.

15 ოქტომბერს შედგა კომისიის პირველი სხდომა. განიხილეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და შესაძლო კანდიდატურების საქართველოში მოზიდვის საკითხი. პროექტის უფრო დეტალური დამუშავების მიზნით კომისია საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტების ქვეკომისიებად დაიყო. შედგა ფაკულტეტების ჩამოყალიბების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ორივე ქვეკომისიამ მიიღო ერთობლივი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტები ერთად მოისმენდნენ ლექციებს ბიოლოგიურ და საბუნებისმეტყველო საგნებში. კომისიამ დაადგინა: „თუ მატერიალური ძალა ხელს შეგვიწყობს და ომი მოკლე ხანში გათავდება, საბუნებისმეტყველო და მასთან ერთად სამკურნალო ფაკულტეტიც შესაძლებელია გაიხსნას 1918 წლის 1 ოქტომბრიდან“.

კომისიის მუშაობის შედეგები 1917 წლის 31 ოქტომბერს მოხსენდა „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების“ კრებას. გამოითქვა აზრი, ქართველ ექიმთა კომისიას არ შეეწყვიტა მუშაობა, მიეღო მუდმივი ხასიათი და ემოქმედა უნივერსიტეტის გამგეობასთან ერთად. აზრი მოწონებულ იქნა თვით უნივერსიტეტის გამგეობის მიერ, რომელშიც „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების“ წარმომადგენლებად მხოლოდ სათათბირო ხმით შევიდნენ ივანე თიკანაძე, სპირიდონ ვირსალაძე და გრიგოლ მუხაძე.

1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. 1918 წლის 27 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე გადაწყდა სამკურნალო ფაკულტეტის შექმნა. სხდომაზე განხილულ იქნა „ეროვნული საბჭოს სამკურნალო სექციის მიმართვა უცხოეთში მყოფ ქართველ პროფესორთა, დოცენტთა და მეცნიერ- ხელმძღვანელთა მიმართ სააღდგომოდ ტფილისს დაბრუნებისა და აქ კრების გამართვის შესახებ, სადაც ერთ-ერთ საკითხად ქართულ უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის გახსნა უნდა იყოს დასმული“.

1918 წლის 8 მარტის სხდომაზე განხილული იქნა წიგნთსაცავისა და რენტგენის სხივების კაბინეტის შეძენა საფრანგეთის მისიისაგან და გადაწყდა: „რადგანაც კაბინეტიცა და წიგნთსაცავიც სამკურნალო ფაკულტეტისათვის არის საჭირო, ამიტომ ეთხოვოს მკურნალთა და ბუნებისმეტყველთა საზო-

გადოებას, რომ ამათ შეძენას მოხმარდეს ის თანხა, რომელიც საზოგადოებას სამკურნალო ფაკულტეტისათვის აქვს შეგროვებული და განკუთვნილი“.

1918 წლის 15 მარტს ივანე ჯავახიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ საფრანგეთის მისიისაგან სამი ათას მანეთად შეძენილ იქნა უნივერსიტეტისათვის ფრანგული წიგნთსაცავი, რომელიც მოიცავდა „სამკურნალო წიგნებს“, რისთვისაც ი. ჯავახიშვილს გამოეცხადა მადლობა.

1918 წლის 13 აპრილის სხდომაზე მადლობა გამოეცხადა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, რომელმაც გადასცა უნივერსიტეტს თავისი წიგნთსაცავი და საექიმო ლაბორატორიის მოწყობილობა. ამავე სხდომაზე ფ. გოგიჩაიშვილმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტს ეთხოვა ყველა ადგილობრივი რედაქციისა და გამომცემელისათვის თავიანთი გამოცემები და ჟურნალ-გაზეთები, ორ-ორი ეგზემპლარი, უფასოდ გადაეცათ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის.

1918 წლის 17 ივნისს გაიმართა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა პეტრე მელიქიშვილი. საბჭოს სხდომას ესწრებოდა „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების“ თავმჯდომარე სპირიდონ ვირსალაძე. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სექტემბრის თვეში გახსნილიყო საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამედიცინო გაერთიანებული ფაკულტეტი. პროფესორთა საბჭო აღნიშნავდა: „სამკურნალო ფაკულტეტი აუცილებელია უნივერსიტეტისათვის, ამ ფაკულტეტეზე ჩვენი ხალხის შვილების ლტოლვა ყოველთვის ძლიერი იყო. მისი შექმნა ნიშნავს დიდ გამარჯვებას ამ საქმისა... დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას საჭირო ზომები ორივე ფაკულტეტის ენკენისთვიდან გახსნისა და მოწყობის შესახებ; ეთხოვოს მთავრობას დაუთმოს უნივერსიტეტს ერთ-ერთი შესაფერისი შენობა, სასურველია ქართული გიმნაზიის შენობა. ...აღიძრას შუამდგომლობა, სადაც ჯერარს, რომ საექიმო ფაკულტეტისათვის ეხლავე მიჩნეულ იქმნას რამოდენიმე საავადმყოფო, ორი მაინც, და ყველა ამ საკითხების მოგვარება დაევალოს ცალკე კომისიას, რომელშიც შევლენ უნივერსიტეტის გამგეობის წევრნი და ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების სამი წარმომადგენელი“.

გაერთიანებული ფაკულტეტის პირველ სხდომას, რომელიც ჩატარდა 1918 წლის 20 ოქტომბეტს, ესწრებოდნენ პ. მელიქიშვილი, ა. ბენაშვილი, ა. ნათიშვილი, არ. ხარაძე, ზ. ყანჩაველი, სპ. ვირსასლაძე, ი. თიკანაძე და

გ. მუხაძე. ამას გარდა, სხდომას ესწრებოდნენ პროფ. ივ. ჯავახიშვილი და ი. ყიფშიძე. სხდომაზე განიხილეს ლაბორატორიების და აუდიტორიების მოწყობის საკითხი; ჭიათურიდან საექიმო ლაბორატორიის გადმოტანაში თანადგომა ეთხოვა ჭიათურაში მოღვაწე ექიმ სიმონ ჯაფარიძეს. დაისვა, აგრეთვე, „საანატომიო თეატრისა და კლინიკის საკითხი“. მიხეილის საავადმყოფოთი და საბებიო ინსტიტუტით სარგებლობის შესახებ მთავრობის წინაშე მოხსენების მომზადება სხდომამ დაავალა მედიცინის დოქტორს სპირიდონ ვირსალაძეს.

1918 წლის შემოდგომაზე გაიხსნა საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები. პროფესორთა სიმცირის გამო ორივე ფაკულტეტი ერთად იყო და დეკანად არჩეულ იქნა პროფესორი პ. მელიქიშვილი, 1918 წლის 24 ოტომბერს კი – პროფესორი ვარლამ მოსეშვილი, რომელიც ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა 1919 წლის 29 აპრილამდე.

ფაკულტეტების დამოუკიდებლად მუშაობის დაწყება შესაძლებელი გახდა 1919 წელს. 1919 წლის 9 აპრილს პროფესორთა საბჭოზე განიხილეს სამათემატიკო- საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტის გაყოფის საკითხი და უკანასკნელი დამოუკიდებელ ფაკულტეტად ჩამოყალიბდა. 1919 წლის 29 აპრილს უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველ დეკანად აირჩიეს ალექსანდრე ნათიშვილი (1878-1959). ალექსანდრე ნათიშვილი შემდგომ არჩეულ იქნა უნივერსიტეტის პირველ პრორექტორად სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში.

აღსანიშნავია, რომ 1918 წლის 15 ნოემბერს თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ალექსანდრე ნათიშვილმა წაიკითხა პირველი ლექცია ადამიანის ნორმულ ანატომიაში. ალექსანდრე ნათიშვილი ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა 1919 წლის 29 აპრილიდან 1919 წლის 6 სექტემბრამდე, 1919 წლის 6 სექტემბრიდან 1929 წლის 6 სექტემბრამდე - სვიმონ ამირეჯიბი, 1920 წლის 6 სექტემბრიდან 1924 წლის 17 დეკემბრამდე - ალექსანდრე ალადაშვილი.

1919 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა კერძო პათოლოგიის და თერაპიის კათედრა, რომლის ხელმძღვანელად აირჩიეს სპირიდონ ვირსალაძე (1868- 1930). 1919 წელს სამკურნალო ფაკულტეტზე შეიქმნა ზოგადი ქირურგიის კათედრა კლინიკით, რომლის ხელმძღვანელად მიიწვიეს გრიგოლ მუხაძე (1879-1948), პრაქტიკული ქირურგიის ერთ–ერთი

ფუძემდებელი საქართველოში. 1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე დაარსდა მეანობა-გინეკოლოგიის კათედრა, რომლის გამგედ აირჩიეს ივანე თიკანაძე (1868-1943) ქართული მეცნიერული მეანობის ფუძემდებელი. სვიმონ ამირეჯიბმა (1877-1936), რომელიც ითვლება საქართველოში ბაქტერიოლოგიისა და ჰიგიენის ფუძემდებლად, 1919 წელს სამკურნალო ფაკულტეტზე დააარსა ბაქტერიოლოგიის, 1920 წელს კი ზოგადი ჰიგიენის კათედრები, 1919 წელს მიკრობიოლოგიის კათედრა თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიის ფაკულტეტზე. 1919 წელს მისი ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოში ვაქცინებისა და შრატების წარმოება. მან შეისწავლა თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების წყალსადენების სანიტარიის, მტკვრის დაბინძურების და თვითგაწმენდის საკითხები, მუშაობის სანჰიგიენური პირობები ჭიათურის მაღაროებში, აგრეთვე შავი ზღვის მიკროპლანქტონი და სხვ.

ალექსანდრე ალადაშვილმა (1876-1950) თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე 1919 წელს დაარსა შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრა, რომლის გამგედ მუშაობდა 1921 წლამდე. ნიკოლოზ კახიანმა (1883-1928) 1919 წელს თბილისის უნივერსიტეტში დააარსა ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრა. თბილისის უნივერსიტეტში გაიხსნა ფარმაკოლოგიის კათედრა, რომლის გამგედ აირჩიეს ვარლამ მოსეშვილი (1871-1943).

1920 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა ფსიქიატრიის კათედრა, რომლის გამგედ აირჩიეს მიხეილ ასათიანი (1882-1938), მეცნიერული ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. 1920 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა მეანობა-გინეკოლოგიის კათედრა, რომელსაც 1920-54 წლებში განაგებდა გაბრიელ ღამბარაშვილი (1878-1954), თეორიული და პრაქტიკული მეანობა - გინეკოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

უნივერსიტეტის დაარსების პირველივე წლებიდან სამედიცინო ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ: ნოვოროსიის (ქ. ოდესის) უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, მედიცინის დოქტორები – სპირიდონ ვირსალაძე (1868-1930), გრიგოლ მუხაძე (1879-1948), ივანე თიკანაძე (1868-1943), ექიმები –- მიხეილ წინამძღვრიშვილი (1882-1956), შალვა მიქელაძე (1884-1937). შემდგომ წლებში მათ შეუერთდნენ: ხარკოვის უნივერსიტეტის პრორექტორი, მედიცინის დოქტორი ალექსანდრე ნათი-

შვილი (1878-1959), ყირიმის (სიმფეროპოლი) უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი ალექსანდრე ალადაშვილი (1876-1950), ხარკოვის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი სვიმონ ამირეჯიბი (1877-1936), ნოვოროსიის (ქ. ოდესა) უნივერისტეტის პრივატ- დოცენტი ივანე ბერიტაშვილი (1885-1974), ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნეპროპეტროვსკის) უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლოზ კახიანი (1883-1928), ხარკოვის უნივერისტეტის პრივატ-დოცენტი, მედიცინის დოქტორი ვარლამ მოსეშვილი (1871-1943), მოსკოვიდან – მიხეილ ასათიანი (1882-1938), პეტროგრადიდან – მედიცინის დოქტორი ალექსანდრე მაჭავარიანი (1884-1941), მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, მედიცინის დოქტორი გაბრიელ ღამბარაშვილი (1878-1954), ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, ფარმაციის მაგისტრი იოველ ქუთათელაძე (1887-1963), ნოვოროსიის (ქ. ოდესა) უნივერისტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი სვიმონ გოგიტიძე (1921 წ.) და ოდესის სამედიცინო უნივერსიტეტის პროზექტორი, დოქტორანტი ვლადიმერ ჟღენტი (1922 წ.). მათ მიერ ჩამოყალიბდა ქირურგიის, თერაპიის, მეან- გინეკოლოგიის, კარდიოლოგიის, ფარმაკოლოგიის და სხვა მიმართულებების ქართული სამედიცინო სკოლები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს როგორც საქართველოში სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში, ასევე ახალგაზრდა სამედიცინო კადრების მომზადებაში.

1920 წლისათვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საერთო რიცხვი უდრიდა 138-ს, მათ შორის იყო 21 პროფესორი, 5 დოცენტი, 3 პრივატ-დოცენტი. 1919 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობამ 1813 შეადგინა. მათ შორის, 739 (40,8%) სწავლობდა სამკურნალო ფაკულტეტზე. 1920 წელს კი სტუდენტთა საერთო რაოდენობის (2729) 35,2% (960) ჩაირიცხა სამკურნალო ფაკულტეტზე.

სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გადიოდნენ მიხეილის სახელობის საავადმყოფოში, ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტში, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საავადმყოფოში და სხვ. აღნიშნული საავადმყოფოები წარმოადგენდნენ უნივერსიტეტის ბაზას, რომლებიც ყველა შესაძლებლობას იყენებდნენ, რომ სტუდენტებს ღირსეული განათლება მიეღოთ.

უნივერსიტეტის გარდა, ქვეყანაში შეიქმნა სხვადასხვა სამედიცინო პერსონალის მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები. 1918 წელს პროფესორმა სიმონ ამირეჯიბმა დააარსა მედიკოს ლაბორანტთა მოსამზადებელი

ექვსთვიანი ფასიანი კურსები. ასეთი კურსების მიზანს წარმოადგენდა ისეთი დეფიციტური კადრების მომზადება, როგორებიცაა: ექიმი ლაბორანტები, პროვიზორები, უმცროსი პროვიზორები, მოწყალების დები.

ჯანდაცვის სისტემის მართვა

1918 წლის ნოემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სამედიცინო - სანიტარიული დეპარტამენტი, რომელიც განაგებდა ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. დეპარტამენტი ერთიან, კოორდინირებულ და ცენტრალურ პრინციპზე დამყარებულ ხელმძღვანელობას ახოციელებდა ჯანდაცვის სფეროში. დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა სიმონ ჯაფარიძე. სამედიცინო - სანიტარიულ დეპარტამენტს ექვემდებარებოდა ვეტერინარული მომსახურება. 1920 წლის თებერვალში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძემ (1873-1921) დასამტკიცებლად წარმოადგინა ბრძანების პროექტი საქართველოს სამედიცინო-სანიტარული დეპარტამენტის ბაზაზე ჯანმრთელობის დეპარტამენტის შექმნის თაობაზე. თავის მოხსენებაში მინისტრმა დიდი ადგილი დაუთმო ქვეყანაში ჯანდაცვის მდგომარეობის საკითხს. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მალარიის, ტუბერკულოზისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებაზე. ამ დაავადებების მიერ გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე მიუთითებს სპირიდონ ვირსალაძე, რომელიც 1919 წელს დაწერილ ერთ-ერთ თავის წერილში წერდა: “საქართველოს ერი ფიზიკურად დასუსტებული და დაუძლურებულია, დგას გადაგვარებისა და გადაშენების გზაზე. ტუბერკულოზი და მალარია ეროვნულ ავადმყოფობებად არიან ჩათვლილნი... ეს მოვლენანი ისეთ უბედურებას შეადგენს ხალხის მომავლისთვის, რომ თუ დროზე შესაფერისი ზომები არ იქნა მიღებული, ხალხს ვერ დავიხსნით დაღუპვისაგან”.

მიუხედავად იმისა, რომ ფართო ღონისძიებები ჩატარდა პარტახტიანი ტიფის ეპიდემიის წინააღმდეგ, დადებითი შედეგები არ იქნა მიღწეული. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძის აზრით, აღნიშნული გამოწვეული იყო სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების არაკოორდინირებული ქმედებებით. იგი მოითხოვდა ყველა სამედიცინო დაწესებულების ახლად შექმნილი ჯანმრთელობის დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებას. კანონი ჯანმრთელობის დეპარტამენტის

დაარსების შესახებ მიღებულ იქნა 1920 წლის 13 ივლისს. ჯანმრთელობის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა სპირიდონ ვირსალაძე. დეპარტამენტის მოვალეობას შეადგენდა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაობის წარმართვა. ჯანმრთელობის დეპარტამენტის პასუხისმგებლობაში შედიოდა:

ა) რესპუბლიკის ყველა სამედიცინო-სანიტარიული ორგანიზაციის საქმიანობაზე ზედამხედველობა;

ბ) საკარანტინო საკითხები;

გ) ტუბერკულოზის, მალარიის, ქოლერის, ჭირის, ტიფის, სქესობრივი გზით გადამდები და სხვა დაავადებების მართვა;

დ) ექსპერტიზის საკითხები;

ე) სამედიცინო-სანიტარიული სტატისტიკის ჩატარება

ვ) სახელმწიფო მნიშვნელობის დასასვენებელი კურორტების საექიმო სანიტარიული მართვა;

ზ) სააფთიაქო და ფარმაცევტული საკითხები;

თ) სამედიცინო-სანიტარიული კანონის შესრულებაზე მონიტორინგი, სამედიცინო-სამეცნიერო საკითხების შემუშავება.

დეპარტამენტს მართავდა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ქვედეპარტამენტების უფროსები. საბჭოს ხელმძღვანელობდა დეპარტამენტის უფროსი.

სამედიცინო დაწესებულებების ქსელი

ქვეყნის ტერიტორია დაყოფილი იყო მაზრებად, ოლქებად, ქალაქებად. მაზრა წარმოადგენდა ყველაზე მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს. შესაბამისად, ინიშნებოდნენ სამაზრო, საოლქო, საქალაქო ექიმები. გეოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური თავისებურებების გამო თითოეულ რეგიონი მოითხოვდა განსხვავებულ მიდგომას. სვანეთი გამოირჩევა მაღალმთიანობით და ენდემური ჩიყვის პრობლემებით. შესაბამისად, სვანეთის მხარეს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. იგივე

შეიძლება ითქვას ახალქალაქზე, რომელიც ასევე გამოირჩევა მაღალმთიანობით და ეროვნული და აღმსარებლობითი თავისებურებებით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამკურნალო ქსელი დაყოფილი იყო 3 სექტორად:

ა) სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების ქსელი;

ბ) მუნიციპალური სამედიცინო დაწესებულებების ქსელი;

გ) კერძო სამედიცინო დაწესებულებების ქსელი.

გარდა აღნიშნული სექტორებისა, ქვეყანაში სამკურნალო საქმეს ემსახურებოდა კერძო პრაქტიკის მწარმოებელ ექიმთა კორპუსიც.

1919 წლის მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებდა 45 საავადმყოფო 1200 საწოლზე. თბილისში არსებობდა 17 საექიმო უბანი, ხოლო ქუთაისში - 13. ახალი სამედიცინო დაწესებულებები შეიქმნა ფოთში, ოზურგეთში, ახალქალაქსა და სვანეთში.

ჯანდაცვის სისტემის ერთეულს წარმოადგენდა სამკურნალო-მეთვალყურე სადგურები და ადგილები. სამედიცინო-სამეთვალყურეო სადგურები განიხილებოდა როგორც სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების და ამბულატორიული მომსახურების ერთგვარ ნაზავი.

1920 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ფინანსური დახმარება უნდა გაეწია ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებზე, კერძოდ, ომში დაღუპულთა ოჯახებზე, ეპიდემიებთან ბრძოლის დროს დაღუპულთა ოჯახებზე, შრომის უნარდაკარგულ საექიმო პერსონალზე (ექიმებს - 15000 მან., ხოლო ფერშლებს - 10000 მან. აღნიშნული თანხა მათ საშუალო წლიურ ხელფასს შეესაბამებოდა). ბრძანებას ხელს აწერდა საქართველოს დამფუძნებელი კრების ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ცნობილი ექიმი ივანე გომართელი.

დამოუკიდებელ საქართველოში სამედიცინო მომსახურება არ იყო უფასო, თუმცა, სახელმწიფო ცდილობდა ფასიანი სამედიცინო მომსახურების რეალურ, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარების ადეკვატურ ციფრებამდე დაყვანას, რაც ფასების განახევრებით გამოიხატა. ამ მხრივ, ქუთაისი იყო პირველი ქალაქი, სადაც მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო

დახმარების გაწევა გამოცხადდა. ამ პრაქტიკის პიონერად გვევლინება ქუთაისის ცნობილი ექიმი სამსონ თოფურია. მისი საავადმყოფო უფასოდ ემსახურებოდა მოსახლეობას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ სოხუმში გაიხსნა პირველი მუშათა აფთიაქი, რომელიც წამლებს მოსახლეობას უფასოდ აწვდიდა.

წითელი ჯვრის ეროვნული ორგანიზაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი წითელი ჯვრის ეროვნული ორგანიზაციის შექმნისა. 1918 წლის 11 სექტემბერს ჩატარდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდნენ ნოე ჟორდანია (მთავრობის თავმჯდომარე) და გრიგოლ გიორგაძე (სამხედრო მინისტრი). კრება გახსნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელმა, ექიმმა მიხეილ ზანდუკელმა. რუსეთის წითელი ჯვრის მთელი ქონება, რაც თავმოყრილია საქართველოში, გადაეცა ქართულ წითელ ჯვარს. წითელი ჯვრის საზოგადოებამ თბილისში დიდი მთავრის ქუჩაზე გახსნა საავადმყოფო, რომელიც უფასოდ ემსახურებოდა მოსახლეობას. წითელი ჯვრის საზოგადოებასთან დაარსდა მოწყალების დების საზოგადოება, რომლის დებულების თანახმად მოწყალების დებს მოეთხოვებოდათ და ევალებოდათ ქართული ენის ცოდნა.

სააფთიაქო საქმე

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სააფთიაქო საქმესაც. 1918 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადოება. 1918 წლის დეკემბერში ჩატარდა საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადოების ყრილობა. ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოში ფარმაცევტული საქმის ახლებურად, დროის მოთხოვნათა შესაბამისად წარმოებაზე. რეკომენდაცია მიეცა ქვეყანაში კერძო აფთიაქებთან ერთად საქალაქო (მუნიციპალური) აფთიაქების განვითარების ხელშეწყობას.

ჟურნალ-გაზეთები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში დაარსდა ქართული სამედიცინო ჟურნალ-გაზეთები. 1919 წელს სპირიდონ ვირსალაძემ შ. მიქელაძესთან ერთად გამოსცა პირველი სამედიცინო პერიოდული ჟურნალი "ექიმი". სარედაქციო კოლეგიის განცხადებით, იგი წარმოადგენდა საქართველოს ექიმთა და ეროვნული სამეცნიერო საზოგადოების გამოცემას, "სამეცნიერო-საზოგადოებრივ სამედიცინო ჟურნალს".

1918 წლის იანვარში გამოიცა „საქართველოს ექიმის თანაშემწეთა საზოგადოების" ახალი ყოველთვიური ჟურნალი "ექიმის თანაშემწე". 1919 წელს გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალი "ფარმაცევტი". 1920 წელს გამოვიდა „ჭლექთან მებრძოლი საზოგადოების" ჟურნალი "ჭლექი და მასთან ბრძოლა", რომელიც გამოდიოდა ორ კვირაში ერთხელ. ჯანდაცვის ორგანიზაციის საკითხები ქვეყნდებოდა მუნიციპალურ ჟურნალებში: „ერობა და ქალაქი", „ჩვენი ქალაქი". სახელმწიფო ცდილობდა მოსახლეობაში აემაღლებინა სანიტარიული განათლება. განათლების მინისტრის ბრძანებით გადაწყდა საგანმანათლებლო სამკურნალო წიგნაკების დაბეჭდვა: „ქართველ ექიმებს კარგად მოეხსენება, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ხალხი საექიმო დახმარების მხრივ. სხვათა შორის, ეს გარემოებაც ხელს უწყობს ხალხში ათასგვარი ცრურწმენების გავრცელებას, რასაც, სამწუხაროდ, მკვიდრათ აქვს გადგმული ფესვები არა თუ სოფლებში, - ქალაქებშიაც კი. გასაჭირის დროს ხალხი გარბის მარჩიელთან, რომ მისგან გაიგოს თავისი აწმყო და მომავალი. მოკლედ რომ მოვსჭრათ, ჩვენი ხალხის უმრავლესობა ჯერ კიდევ ბნელით არის მოცული, და ასე იქნება, სანამ მისი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა არ შეიცვლება. მაგრამ დღევანდელ პირობებშიც კი კერძო თაოსნობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ამიტომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამწიგნობრო სექციამ განიზრახა დაბეჭდოს მთელი რიგი სამკურნალო წიგნაკებისა... წიგნაკები უნდა დაიწეროს მეცნიერულად და მდაბიურად, რომ გასაგები იყოს საშუალო მკითხველისათვის.

ამგვარად, 1918-1921 წლებში, დროის მოკლე პერიოდში საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ქვეყნის ისტორიაში პირველად დაიწყო ჯანდაცვის სახელმწიფო დონეზე ორგანიზება და მართვა, სამედიცინო რეფორმასთან დაკავშირებული პროექტების

ფინანსური და მორალური მხარდაჭერის განხორციელება, ეროვნული სამედიცინო კადრების მომზადება. შეიძლება თამამად იმის აღნიშვნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის დარგში განხორციელებულმა რეფორმებმა საკუთარი წვლილი შეიტანეს ქვეყანაში ცივილიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვიდრების და დემოკრატიული საზოგადოების საქმეში.

თენგიზ ვერულავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ
რესპუბლიკის 100 წელი

26 ესე

რედაქტორი: თამარ ნეფარიძე

დიზაინერი: გიორგი ჩიქვინიძე

© „განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ინსტიტუტი“.

„განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ინსტიტუტი“.

ელ–ფოსტა: instituteeari@gmail.com